

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი



ნონა ზუბიტაშვილი

პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის
საზოგადოების გადახდის უუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები
პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ირაკლი ბურდული,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, პროფესორი

თბილისი
2016

სარჩევი

I. შესავალი	10
II. ძირითადი ცნებები და მათი შედარებითსამართლებრივი ექვივალენტობა	14
1. კორპორაცია	14
2. კორპორაციული საფარველი	17
3. პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა და გამჭოლი პასუხისმგებლობა	18
4. კორპორაციული საფარველის ჩამოხსნა და კორპორაციული საფარველის გაჭოლვა	19
5. იდენტიფიკაციის პრინციპი	22
6. გადახდისუნარობა	22
7. მნიშვნელოვანი კონტროლი	23
8. კორპორაციული ჯგუფი	24
9. ჩრდილოვანი დირექტორი	25
III. გამჭოლი პასუხისმგებლობის მიმართება პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპთან კორპორაციის განცალკევებულობის ჭრილში	25
1. კორპორაციის ცნების რეტროსპექტივა	26
1.1 პირთა გაერთიანება რომის სამართალში	27
1.1.1 “Societas” სამართლებრივი ბუნება	28
1.2 კორპორაციის განცალკევებული სამართალსუბიექტობის კონცეფციის განვითარება ევროპასა და აშშ-ში	30
1.2.1 პირთა გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში	33
1.3 კორპორაციის სახელშეკრულებო თეორია	34
1.4 ქონების დემარკაცია	35
2. იურიდიული პირის თვისობრივი მახასიათებლები და მათი მიმართება დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობასთან	36
3. კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემა	37
3.1 კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემის პრინციპები	38
3.1.1 აღსრულების მიქცევა მხოლოდ ქონების მიმართ	38
3.1.2 აღსრულების მიქცევა მხოლოდ მოვალის ქონების მიმართ	38
3.1.3 ქონების თავისუფალი განკარგვა	39
3.1.4 საგამონაკლისო ქონება	39
3.1.5 აღსრულება, მხოლოდ გადაწვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ	39
3.2 პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ადგილი კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემაში	40
3.2.1 პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის განვითარება და გავლენა კომერციულ ურთიერთობებზე	41
3.2.1.1 პასუხისმგებლობის შეზღუდვის კონცეფციის ჩანასახი ანტიკურ რომში	42
3.2.1.2 პასუხისმგებლობის შეზღუდვის კონცეფცია ბიზანტიურ სამართალში	43
3.2.1.3 პასუხისმგებლობის შეზღუდვის კონცეფცია ისლამურ სამართალში	44

3.2.1.4	პასუხისმგებლობის შეზღუდვის კონცეფცია შუასაუკუნეების იტალიაში	45
3.2.1.4.1	კომენდა	45
3.2.1.4.2	კომპანია	46
3.2.1.5	პასუხისმგებლობის შეზღუდვის კონცეფციის გავრცელება ახალ ერაში	47
3.2.1.5.1	საერთო სამართლის სისტემა	47
3.2.1.5.2	კონტინენტური ევროპის სამართალი	51
3.2.1.5.2.1	პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი საქართველოში	53
4.	<i>საჯარო წესრიგი პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის სასარგებლოდ და წინააღმდეგ</i>	54
5.	<i>პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ეკონომიკური გამართლება</i>	57
6.	<i>პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის მიმართება დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობასთან</i>	59
7.	<i>გამჭოლი პასუხისმგებლობა, როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის საპირწონე სამართლიანობის უზრუნველსაყოფად</i>	60
7.1.	<i>Piercing the Corporate Veil (კორპორაციული საფარველის გაჭოლვა) ისტორიული საფუძვლები</i>	60
7.2	<i>გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზნები</i>	62
7.2.1	<i>კრედიტორთა ინტერესების ეფექტური უზრუნველყოფა</i>	63
7.2.2	<i>უსამართლობის აღკვეთა</i>	63
8.	<i>გამჭოლი პასუხისმგებლობის გავლენა განცალკევებულ სამართალსუბიექტობაზე</i>	64
9.	შუალედური დასკვნა	66
IV.	პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა, როგორც კრედიტორთა დაცვის მექანიზმი	67
1.	<i>გამჭოლი პასუხისმგებლობა სხვადასხვა იურიდიულობებში</i>	68
1.1.	<i>გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლები აშშ-ში</i>	68
1.1.1	<i>შესავალი დოქტრინის განვითარებაში</i>	71
1.1.2	<i>გამჭოლი პასუხისმგებლობა იურიდიულ ლიტერატურაში</i>	72
1.1.2.1	<i>ვორმსერის მოდელი</i>	73
1.1.2.2	<i>პაუელის ტესტი</i>	73
1.1.2.3	<i>მექანიკური შეფარდების მეთოდი</i>	75
1.1.3	<i>გამჭოლი პასუხისმგებლობა ფედერალურ და ცალკეული შტატების დონეზე</i>	77
1.1.3.1	<i>აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა</i>	77
1.1.3.2	<i>გამჭოლი პასუხისმგებლობა შტატების სამართალში</i>	79
1.1.3.2.1	<i>დელავერის შტატი</i>	80
1.1.3.2.2	<i>ნიუ-იორკის შტატი</i>	81
1.1.3.2.3	<i>ტეხასის შტატი</i>	82
1.1.3.2.4	<i>მასაჩუსეტის შტატი</i>	85
1.1.4	<i>კორპორაციული საფარველის გაჭოლვა სპეციალური რეგულირების სფეროებში</i>	85
1.1.4.1	<i>UFTA - უნიფიცირებული წესები თაღლითური ტრანსფერის შესახებ</i>	86

1.1.4.2 CERLCA - ყოვლისმომცველი ეკოლოგიური ზიანის, კომპენსაციისა და პასუხისმგებლობის აქტი	87
1.2 გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლები ინგლისში	88
1.2.1 გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის თანამედროვე ტენდენციები	89
1.2.2 ერთი ეკონომიკური ელემენტის თეორია – ინგლისის სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომა	90
1.2.3 თაღლითობის ცნება გამჭოლი პასუხისმგებლობის კონტექსტში ინგლისის სამართლის მიხედვით	91
1.2.3.1 ინგლისის სასამართლოს მიდგომა შეცდომაში შეყვანის, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლის შესახებ	92
1.2.4 კორპორაციული საფარველის გაჭოლვა სპეციალური რეგულირების საფუძველზე	94
1.2.4.1 წინარე ვაჭრობა	94
1.2.4.2 თაღლითური ვაჭრობა და არამართლზომიერი ვაჭრობა	94
1.3 გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლები გერმანიაში	95
1.3.1 კორპორაციული საფარველის გაჭოლვის (“Durchgriffshaftung”) დოქტრინა	96
1.3.2 საკონცერნო სამართალი	97
1.3.2.1 სახელშეკრულებო კონცერნი (“Vertragskonzern”)	97
1.3.2.2 დე-ფაქტო კონცერნი (“Faktischer Konzern”)	98
1.3.2.3 კვალიფიციური დე-ფაქტო კონცერნი (“Qualifiziert Faktischer Konzern”)	99
1.4 გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლები საფრანგეთში	101
1.4.1 კორპორაციული საფარველის გაჭოლვის ნორმატიული საფუძველი	103
1.4.2 კორპორაციული საფარველის გაჭოლვა სასამართლო დოქტრინის მიხედვით	105
1.5 გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლები საქართველოში	107
1.5.1 დომინანტისა და უმცირესობაში მყოფი პარტნიორს შორის პასუხისმგებლობის განაწილების შესახებ	107
1.5.2 გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ელემენტები სხვა რეგულაციებში	110
1.5.3 კორპორაციული ჯგუფი რეგულირების გარეშე	111
1.6 ღია ტიპის კორპორაციის მიმართ გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობა	112
2. <i>კორპორაციული ჯგუფების რეგულირება და იდენტიფიკაციის პრინციპი საერთაშორისო დონეზე</i>	114
2.1 ევროპის კავშირი	114
2.2 ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო	116
2.3 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია	116
2.4 ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია	117
2.5 საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი	118
2.5 იდენტიფიკაციის პრინციპი საერთაშორისო სასამართლოებში	118
2.5.1 იდენტიფიკაციის პრინციპის მოდელი მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით	119
2.5.2 იდენტიფიკაციის პრინციპი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში	120
3. <i>გამჭოლი პასუხისმგებლობა საერთაშორისო კერძო სამართალსა და საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართალში</i>	121
3.1 გამჭოლი პასუხისმგებლობის პრობლემა საერთაშორისო კერძო სამართალში	121

3.1.1	სპეციალური კანონმდებლობის გავრცელების ტერიტორიული იურისდიქცია	122
3.1.2	საერთაშორისო კერძო სამართლის ტრადიციული მეთოდი	123
3.1.3	ალტერნატიული მეთოდები	125
3.2	კორპორაციული საფარველის პრობლემა საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში	126
3.3	კორპორაციული საფარველის პრობლემა საერთაშორისო საინვესტიციო დავებში	127
4	<i>შუალედური დასკვნა</i>	129

V. გამჭოლი პასუხისმგებლობის ცალკეული წინაპირობების ანალიზი
130

1.	<i>კორპორაციული საფარველის გაჭოლვის პირველი საფეხური</i>	130
1.1	ალტერ ეგოს თეორია	130
1.2	ინსტრუმენტალურობის წესი	131
2.	<i>კორპორაციული საფარველის გაჭოლვის მეორე საფეხური: პასუხისმგებლობის ფაქტობრივი წინაპირობები</i>	132
2.1	არასათანადო კაპიტალიზაცია	132
2.1.1	არასათანადო კაპიტალიზაცია, როგორც მენეჯერული პასუხისმგებლობა და ჩრდილოვანი დირექტორის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა	134
2.1.2	პასუხისმგებლობა არასათანადო კაპიტალიზაციისათვის დელიქტური სამართლის საფუძველზე	135
2.1.3	პარტნიორი, როგორც კრედიტორი, კორპორაციის ფინანსური სტაბილურობის ჭრილში	137
2.2	ქონების ტრანსფერი და აღრევა	139
2.2.1	ქონების არაპირდაპირი ტრანსფერი	139
2.2.1.1	კორპორაციული შესაძლებლობების დოქტრინის გამოყენება ქონების არაპირდაპირი ტრანსფერის დადგენის დროს	141
2.2.2	ქონების ტრანსფერი კორპორაციულ ჯგუფებს შორის და “Rozenblum”-ის დოქტრინა	142
2.2.3	ქონების აღრევა	144
2.3	ზარალის მომტანი საქმიანობის გაგრძელება	147
2.4	წარმოდგენს თუ არა კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა გამჭოლი პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ წინაპირობას?	149
2.4.1	კორპორაციული ფორმალობების არსი	150
2.5	ცრუ წარმოდგენების შექმნა	152
6.	<i>შუალედური დასკვნა</i>	155

VI. გამჭოლი პასუხისმგებლობის პრობლემის გადაწყვეტა
ზოგადსამართლებრივი პრინციპების საფუძველზე
157

1.	<i>კეთილსინდისიერების პრინციპის როლი გამჭოლი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას</i>	158
1.1	გაშლილი ხელის პრინციპი	158
2.	<i>უფლების ბოროტად გამოყენება</i>	160
2.1	პარტნიორი, როგორც მესაკუთრე და უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის კონცეფცია საკუთრების უფლების გამოყენების დროს	162

VII. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის რეგულირების პრობლემატიკა საქართველოში	164
1. პარტნიორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა	164
2. გამჭოლი პასუხისმგებლობის ფუნდამენტური წინააღმდეგობების რეგულირების მეთოდი	166
2.1 დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის პრინციპის დაძლევა	167
2.2 პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის მოქმედების ფარგლების ლიმიტირება	168
2.3 პროცედურული გადაწყვეტა: მტკიცების ტვირთის შემსუბუქება კრედიტორის სასარგებლოდ	170
3. ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	171
3.1 სახელშეკრულებო კრედიტორის სასარგებლოდ კორპორაციული საფარველის გაჭოლვის სასამართლო სტანდარტი	172
3.1.1 არასათანადო კაპიტალიზაციის სასამართლოსმიერი ინტერპრეტაცია	173
3.1.2 კაპიტალისა და ვალების შეფარდება, როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენების ელემენტი	175
3.1.3 ზარალის მომტანი საქმიანობის გაცნობიერებულად და გაუმართლებლად გაგრძელება; პარტნიორის პასუხისმგებლობის საფუძვლების შესაძლო კონკურენცია (დელიქტური თუ გამჭოლი პასუხისმგებლობა?)	175
3.1.4 საგადასახადო დარღვევის მიმართება პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენებასთან	177
3.1.5 პარტნიორსა და კორპორაციას შორის არსებული ხელშეკრულების შეფასების სტანდარტი	177
3.1.6 ნებაყოფლობითობა, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის შეფარდების სტანდარტი ხელშეკრულებისმიერი კრედიტორების შემთხვევაში	178
3.2 გამჭოლი პასუხისმგებლობის სტანდარტი საგადასახადო ვალდებულებებში	179
3.2.1 მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი	180
3.2.2 პასუხისმგებლობის მოცულობა	181
3.2.3 გამჭოლი პასუხისმგებლობის შესაძლებლობა გადახდისუნარიანობისას	182
3.2.4 გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობები და მათი რელევანტურობა საგადასახადო ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას	182
3.2.5 პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენების განმარტება	183
3.2.6 მტკიცების ტვირთის გადანაწილება	184
3.2.7 სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი გარემოებების ძალა გამჭოლი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას	184
3.2.8 პასუხისმგებლობის სახე	184
4. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების რეკომენდაციები	185
VIII. დასკვნა	188
ბიბლიოგრაფია	196

აბრევიატურები

ქართულ ენაზე:

აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
გგ.	გვერდი
იხ.	იხილეთ
	კოდექსი
მაგ.	მაგალითად
რედ.	რედაქტორი
	საზოგადოება
შეად.	შეადარეთ
შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის
სს	სააქციო საზოგადოება
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სისხლის სამართლის
სუს	საქართველოს უზენაესი სასამართლო

უცხოურ ენაზე:

A.L.R.	Americal Law Report
ABA	American Bar Association
AC	Appeal Court (UK)
Add.	Addition
AG	Aktiengesellschaft
ALI	American Law Institute
Am.	American

ARB	Arbitration
Bus.	Business
CERCLA	Comprehensive Environmental Response, Compensation, and Liability Act
CMLR	Common Market Law Reports
Comp.	Comparative
Del.	Delaware
Doc.	Documents
EC	European Commission
ECHR	European Court of Human Rights
ECJ	European Court Of Justice
Ed.	Edition
EEC	European Economic Community
EHCJ	England High Court of Justice
ER	England Reports
EWCA	England and Wales Court of Appeal
GmbH	Gesellschaft mit beschränkter Haftung
ICCA	International Council for Commercial Arbitration
ICJ	International Court of Justice
ICSID	Intenational Center for Settelment of Investment Disputes
IIL	Institute of International Law
Int.	International
J.	Journal
KB	King's Bench

L. Rev	Law Review
L.J.	Law Journal
LLC	Limited Liability Company
LTD	Private Limited Company (United Kingdom)
MBCA	Model Business Corporation Act
Nw. U.L.Rev.	Northwestern University Law Review
OECD	Organisation for Economic Co-operation and Development
OJ	Official Journal of the European Union
PLC	Public Limited Company (United Kingdom)
Rev.	Revised
SA	Société Anonyme (France)
Sec.	Section
UFTA	Uniform Fraudulent Transfer Act
UK	United Kingdom
UKSC	United Kingdom Supreme Court
UN	United Nations
UNCITRAL	United Nations Commission on International Trade Law
UNTS	United Nations Treaty Series
USA	United States of America
Vol.	Volume
Wash. U.L.Q	Washington University Law Quarterly

I. შესავალი

საკორპორაციო სამართლი ეფუძნება კონცეფციებისა და პრინციპების პარადიგმას, რომლის კომპლექსურ ერთობლიობაში ვხვდებით ისეთ ფუნდამენტურ ცნებებს, როგორცაა კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი. ამ პრინციპთა ურთიერთქმედების შედეგად, კორპორაციის კრედიტორებისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ კორპორაციის ქონება და შესაბამისად, კორპორაციის პარტნიორის პირად კრედიტორებს ხელი მიუწვდებათ მხოლოდ პარტნიორის პირად საკუთრებაზე.¹ ამდენად, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი ანიჭებს კორპორაციის ნორმატიული სტრუქტურის მიღმა მოქმედ პირებს დაცვით პრივილეგიას.

კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის კონცეფცია და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი ყველა სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელ ზოგად და საყოველთაო წესს წარმოადგენს.² თუმცა იგი არ არის აბსოლუტური და უპირობო.³ პრაქტიკაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს პარტნიორის მხრიდან კორპორაციის ორგანიზაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას პირადი სარგებლის არაკეთილსინდისიერად გაზრდის მიზნით, კორპორაციის გადახდისუნარიობამდე მიყვანას, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ბოროტად გამოყენებას. საჯარო წესრიგი მოითხოვს, რომ სამართალმა ადეკვატური და ქმედითი მექანიზმით დაარეგულიროს მსგავსი შემთხვევა. საკორპორაციო სამართალში მსგავსი შემთხვევები რეგულირებდა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინით, რომელიც საშუალებას იძლევა, რიგი გარემოებების არსებობისას, დადგეს პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა კორპორაციის კრედიტორების სასარგებლოდ.

ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ფარდობითი ბუნების გამოვლინების მაგალითია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში მოქცეული ლაკონური ნორმა, რომლის თანახმადაც პარტნიორები კორპორაციის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.⁴ აღნიშნული ნორმა წარმოადგენს პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის საფუძველს⁵ და შესაბამისად, მიხნეულ უნდა იქნეს გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ნორმატიულ გამოვლინებად. რომანულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახში სამართლის დოქტრინა

¹ *Hansman, Kraakman, The Essential Role of Organizational Law, The Yale Law Journal Vol. 110, No.3 2000, 393.*

² *Timberg, Corporate Fictions. Logical, Social and International Implications, Columbia Law Review, Vol. 46, No., 1946, 547; Lew, European Community Competition Law, Is the Corporate Veil Lifted Too Often? Journal of Transnational Law and Policy, Vol 2:19, 1993, 201.*

³ ყველა იურისდიქცია ანიჭებს სასამართლოს შესაძლებლობას გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენოს გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა. იხ. *Armour, Herting Kanda, Transactions with Creditors in: The Anatomy of Corporate Law, 2nd ed., 2009, 139.*

⁴ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, გამოქვეყნ. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წელი, №21-22, მუხლი 3.6.

⁵ სუს, 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ დოქტრინა არ არის სამართლის პირდაპირი წყარო, იგი ზემოქმედებს კანონმდებელზე და გამოყენება სამართალშეფარდებაშიც.⁶

როგორც ვხედავთ, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის მოქმედების კანონისმიერი ლიმიტაცია ბუნდოვანია და ყოველგვარი მინიშნების გარეშე ტოვებს სასამართლოს, იმის დადგენის მცდელობაში თუ რა შემთხვევა უნდა მიიჩნიოს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ბოროტად გამოყენებად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოთ დასახელებული დებულების გამოყენება უახლეს პრეცედენტს წარმოადგენს,⁷ რის გამოც გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის მიმართ ინტერესი დიდია, როგორც სამეცნიერო წრეებში, ასევე პრაქტიკოს იურისტებშიც. აღნიშნული ინტერესი და ასევე ის გარემოებაც, რომ ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, განაპირობებს ნაშრომის აქტუალურობას.

ნაშრომის მიზანია პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივი მექანიზმის გამოყენების დასაბუთება კორპორაციის გადახდისუუნარობის დროს. პასუხისმგებლობის საფუძვლების იდენტიფიკაცია, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის წინაპირობების სისტემატიზაცია და ანალიზი.

კვლევა ეფუძნება სისტემური ანალიზის მეთოდს, რომლის საფუძველზეც დგინდება ურთიერთკავშირი საკორპორაციო სამართლის სამ ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე კონცეფციას – დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას, პასუხისმგებლობის შეზღუდვასა და გამჭოლი პასუხისმგებლობას, როგორც პირადი პასუხისმგებლობის კერძო გამოვლინებას, შორის. პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობების სისტემატიზაცია ეფუძნება ისტორიულ-სამართლებრივი, შედარებით-სამართლებრივი ანალიზისა და ემპირიულ მეთოდებს. გამჭოლი პასუხისმგებლობის შეფარდების რეკომენდაციების ჩამოყალიბების მიზნით კი გამოყენებულია სამართლებრივ-ლოგიკური ანალიზის მეთოდი. დედუქციური მეთოდის საფუძველზე შეჯამებულია ნაშრომში განვითარებული თეზისები.

შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ხორციელდება ინგლისის, აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიისა და საქართველოს მაგალითზე. მიზანშეწონილია, აქვე განიმარტოს, თუ რატომ გაკეთდა არჩევანი სწორედ ამ ქვეყნებზე. გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა წარმოადგენს სამოსამართლო სამართლის მიერ შექმნილ და სამეცნიერო ლიტერატურაში განვითარებულ მექანიზმს. ინგლისი და აშშ მიეკუთვნებიან საერთო სამართლის სისტემას, სადაც სამოსამართლო

⁶ *დავიდი*, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, 1993, 132.

⁷ სუს, 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014, და ამავე თარიღის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1158-1104-2014; ასევე, სუს, გადაწყვეტილება საქმეზე №ას-286-272-2013. ამ უკანასკნელ შემთხვევაში უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად სცნო სარჩელი, რითაც დაეთანხმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომლის მიხედვითაც, შეიძლება დავასკვნათ, რომ სათანადო გარემოებების შემთხვევაში, ხელშეკრულებისმიერი კრედიტორების სასარგებლოდ შესაძლებელია კორპორაციული საფარველის გაჭოლვა.

სამართალი ქმნის სამართლის მნიშვნელოვან წყაროს.⁸ ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ 1896 წელს, საქმეში *Salomon v Salomon & Co. Ltd*,⁹ წამოიჭრა პასუხისმგებლობა შეზღუდული პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი. აღნიშნულ საქმეს, იურიდიულ ლიტერატურაში განიხილავენ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის განვითარების პირველ ბიძგად.¹⁰ აშშ-ს საკორპორაციო სამართალი წარმოადგენს, ინგლისური სამართლის პრიმატს, თუმცა უფრო ფართო განვითარებით.¹¹ აშშ-ს სასამართლო პრაქტიკა, შედარებითსამართლებრივი ანალიზისთვის შერჩეულ ქვეყნებს შორის ყველაზე მდიდარია გამჭოლი პასუხისმგებლობის პრეცედენტებით¹² და ამავდროულად საკითხი მრავალმხრივ დამუშავებულია იურიდიულ ლიტერატურაშიც.¹³ საფრანგეთში, სამართლებრივი ტრადიციების გარდა,¹⁴ ვხვდებით საკითხის ისეთ რეგულაციას, რომელიც საქართველოს სამართლებრივი სისტემებისათვის შესაძლებელია ადვილად ასათვისებელი გამოდგეს. კერძოდ, სასამართლო პრაქტიკით განვითარებული თეორიების პარალელურად, გამჭოლი პასუხისმგებლობის ნორმატიულ საფუძვლები ინკორპორირებულია გადახდისუნარიობის მომწერიგებელ ნორმატიულ აქტში.¹⁵ რაც შეეხება გერმანიას, გარდა იმ ფაქტორისა, რომ ქართული საკორპორაციო სამართალი, წარმოადგენდა კონტინენტური ევროპის ტრადიციების და განსაკუთრებით კი გერმანული საკორპორაციო სამართლის რეცეფციას,¹⁶

⁸ *Dainow*, The Civil Law and the Common Law: Some Points of Comparison, The American Journal of Comparative Law, Vol. 15, No. 3, 1967, 424.

⁹ *Salomon v A Salomon & Co Ltd* [1897] AC 22.

¹⁰ *Halpern, Trebilcock, Turnbull*, An Economic Analysis of Limited Liability in Corporation Law, 30 University of Toronto Law Journal.117, 1980, 119.

¹¹ *Ottolenghy S*, From Peeping Behind the Corporate Veil, to Ignoring it Completely, The Modern Law Review, Vol. 53, 1990, 339.

¹² რასაც ცხადყოფს აშშ-ში მე-20 საუკუნის ბოლოდან განხორციელებული ემპირიული კვლევები: *Thompson*, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, 76 Cornell Law Review 1036, 1991; *Hodge, Sachs*, Empirical Study: Piercing the Mist: Bringing the Thompson Study into the 1990s, 43 Wake Forest Law Review 341, 2008; *Matheson*, Why Courts Pierce: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil, 7 Berkeley Business Law Journal 1, 2010; *McPherson, Raja*, An Empirical Study of Piercing Rates and Factors Courts Consider when Piercing the Corporate Veil, 45 Wake Forest Law Review 931, 2010.

¹³ აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილი ნაშრომები დღემდე არ კარგავენ აქტუალურობას, მაგ. *Wormser*, Piercing the Veil of Corporate Entity, Columbia Law Review, Vol. 12. No. 6, 1912; *Douglas W.*, Insulation from Liability through Subsidiary Corporations, Yale Law Journal, Vol.39, 1929; *Smith*, Legal Personality, The Yale Law Journal, Vol. 37, No. 3 1928.

¹⁴ საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსი (იგივე „ნაპოლეონის კოდექსი“) და 1807 წლის სავაჭრო კოდექსი წარმოადგენენ მსოფლიო მასშტაბით პირველ უნიკალურ კოდიფიკაციას; იხ. *Blanc-Jouvan*, Worldwide Influence of the French Civil Code of 1804, on the Occasion of its Bicentennial Celebration, Cornell Law School Berger International Speaker Papers, Paper 3, 2004, 3.

¹⁵ *Armour, Herting Kanda*, Transactions With Creditors, in: The Anatomy of Corporate Law, 2nded., 2009, 139.

¹⁶ *ჭანტურია*, კანონის მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, ს. ჯორბენაძის 70წ. საიუბილეო კრებული, 1996, 33-34; *ხოიძე*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, 197. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დეკადაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მეწარმეთა შესახებ კანონი დაშორდა გერმანულ ტრადიციებს და მაგალითად ისეთი ფუნდამენტური საკითხის მიმართ როგორცაა მინიმალური საწესდებო კაპიტალის იმპერატიული ნორმატიული რეგულირება, იზიარებს ამერიკულ მიდგომას.

გერმანიაში ვხვდებით საკონცერნო სამართლის უნიკალურ ინსტიტუტს, რომელიც ფარავს პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის შემთხვევებს კორპორაციული ჯგუფის ფარგლებში და რომლის რეცეფციის მცდელობა კქონდა არაერთ ვეროპულ ქვეყანას, მათ შორის საფრანგეთსაც.¹⁷ ამდენად, დასახელებული ქვეყნების რეგულაციების შედარებითსამართლებრივი კვლევის შედეგად შესაძლებელია საქართველოსთვის მისაღები და ამაღროულად პროგრესული მოდელის ჩამოყალიბება.

დისერტაცია შედგება რვა თავისგან. მეორე თავში, გამოკვლეულია პარტნიორის პირად პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების შედარებითსამართლებრივი ექვივალენტობა. აღნიშნულის შედეგად, ჩამოყალიბებულია ცალკეულ ცნებათა ის შინაარსი, რომლითაც ისინი გამოყენებულია წინამდებარე ნაშრომში.

მესამე თავი ეთმობა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპისა და გამჭოლი პასუხისმგებლობის ურთიერთმიმართების სისტემურ ანალიზს კორპორაციის დამოუკიდებელ კონცეფციაზე გავლენის კუთხით. კვლევის მთავარი ჰიპოთეზაა ის, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ანტითეზა - გამჭოლი პასუხისმგებლობა - არ აუქმებს კორპორაციის დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობის ფუნდამენტურ კონცეფციას. ამ ჰიპოთეზის ვერიფიკაციით დასტურდება, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპების საკორპორაციო სამართლის სისტემაში თანაარსებობა, კონცეპტუალურ დონეზე არ არის წინააღმდეგობრივი.

ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის განვითარება და თავისებურებები სხვადასხვა ნაციონალურ სამართლებრივ სისტემაში, საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ სასამართლოების პრაქტიკაში. ასევე, კორპორაციული ჯგუფის პასუხისმგებლობის ელემენტები და გამჭოლი პასუხისმგებლობის პრობლემატიკა საერთაშორისო კერძო სამართლსა და საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართალში.

ნაშრომის მესამე თავში განხილულია გამჭოლი პასუხისმგებლობის ცალკეული წინაპირობები, განხორციელებულია სუბსტანციური ანალიზი და წარმოდგენილია მათ შორის ურთიერთკავშირი.

მეექვსე თავი ეთმობა ზოგადსამართლებრივი პრინციპების როლს გამჭოლი პასუხისმგებლობის შეფარდების პროცესში. ამ თავის ძირითადი თეზისია, რომ კეთილსინდისიერება წარმოადგენს პარტნიორის ქმედების შეფასების უნივერსალურ მასშტაბს და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გამჭოლი პასუხისმგებლობის შეფარდების პროცესში, ხოლო უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის პრინციპი კი წარმოადგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველს და კონცეპტუალურ გამართლებას.

მომდევნო თავი ეხება გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების პრობლემატიკას საქართველოში. განხილულია პარტნიორის სისხლისსამართლებრივი და კორპორაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიმართება. ამ ნაწილის მიზანია კორპორაციის წინააღმდეგ მოთხოვნათა დაკმაყოფილების ეფექტურობის

¹⁷Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 230.

თვალსაზრისით გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების უპირატესობის დასაბუთება. მერვე თავში შეჯამებულია ნაშრომის ძირითადი თეზისები.

კვლევის შედეგებმა, საბოლოო ჯამში, ხელი უნდა შეუწეოს გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინისა და მისი როგორც კრედიტორთა ინტერესების დაცვის მექანიზმის განვითარებას საქართველოში.

II. ძირითადი ცნებები და მათი შედარებითსამართლებრივი ექვივალენტობა

იურიდიული ცნებები სხვადასხვა იურისდიქციაში განსხვავებულ შინაარსს იძენენ. მაგალითად, ინგლისის სამართალში დამკვიდრებული ცნება - *“company”*¹⁸ აერთიანებს *“limited company”*-ს ე.ი. შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას და *“unlimited company”*-ს ე.ი. შეუზღუდავი პასუხისმგებლობის კომპანიას.¹⁹ აღნიშნული კატეგორიკაზიის ჭრილში ინგლისური *“company”* არ წარმოადგენს აშშ-ს სამართალში დამკვიდრებული ცნების *“corporation”*-ის აბსოლუტურ ექვივალენტს, რადგანაც ამ უკანასკნელის სავალდებულო რეკვიზიტს სწორედ პასუხისმგებლობის შეზღუდვა წარმოადგენს.²⁰ ფრანგულ სამართალში ვხვდებით ტერმინის *“societas”*, რომელსაც ქვემოთ განხილული ფუნდამენტური განსხვავების ჭრილში ასევე ვერ განვიხილავთ *“company”*-ის ან *“corporation”*-ის ტოლფას ტერმინად. მოცემულ შემთხვევაში, საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია იმ სამართლებრივი ცნებების შინაარსის განსაზღვრა, რომლებსაც ეფუძნება გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა. ამიტომაც, მიზანშეწონილია, იმთავითვე მოხდეს ძირითადი ცნებების ექვივალენტობის განსაზღვრა და იმ მნიშვნელობათა ჩამოყალიბება, რომელთაც ესა თუ ის ცნება იძენს წანამდებარე ნაშრომის ფარგლებში.

1. კორპორაცია

საქართველოში, საკანონმდებლო დონეზე, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის აღსანიშნავად დამკვიდრებულია ტერმინი „საზოგადოება“.²¹ აღნიშნული ცნების დიფერენციაციას, ცალკეული ორგანიზაციული ფორმების განმასხვავებელი ნიშნების გათვალისწინებით, ვხვდებით ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.

¹⁸ “Company is a “limited company” if the liability of its members is limited by its constitution. It may be limited by shares or limited by guarantee”; ციტირებულია: Company Act 2006, Art. 3.

¹⁹ Company Act 2006, Art. 3.

²⁰ MBCA Art. 6.22

²¹ „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი განასხვავებს შემდეგ ორგანიზაციულსამართლებრივ ფორმებს: „სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) კოოპერატივი.” ამ მუხლის მიხედვით, სს-ს სინონიმად შეიძლება გამოყენებულ იქნეს კორპორაციაც. თავად კანონი ზოგადი ნაწილის ამ მუხლის გარდა, არსად აკეთებს მითითებას კორპორაციაზე. თუმცა კორპორაციის ცნება, მისი შედარებითი სამართლებრივი შინაარსის გათვალისწინებით, უფრო ფართოა, ვიდრე ქართული კანონმდებლობაში განმტკიცებული სს-ს შინაარსი.

კერძოდ, გამოიყენება ამხანაგური და კაპიტალური ტიპის საზოგადოებები. კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს²² მიეკუთვნებიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში, შპს) და სააქციო საზოგადოება (შემდგომში, სს). მეწარმეთა შესახებ კანონის საფუძველზე შესაძლებელია ორი სახის სს-ის გამოყოფა: „მარტივი“ სს და ანაგარიშვალდებული სს, ე.ი. სს, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი საფონდო ბირჟაზე.²³

ინგლისურ საკორპორაციო სამართალში დამკვიდრებული ცნება “company” გამორიცხავს ამხანაგური ტიპის საზოგადოებებს (“partnership”),²⁴ თუმცა Company Act 2006-ის მე-3 მუხლის თანახმად, “company” შეიძლება დაფუძნებულ იქნეს როგორც “limited company”, ასევე “unlimited company” ორგანიზაციული ფორმითაც.²⁵ “Limited company”, აერთიანებს “public limited company” (PLC) და “private limited company”(LTD). ორივე სარგებლობს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპით, თუმცა მათ შორის განსხვავება ისაა, რომ “public limited company” უფლებამოსილია განხორციელოს აქციებით (“share”) საჯარო ვაჭრობა.²⁶ Company Act 2006-ი ასევე განასხვავებს “public limited company” ორ ფორმას, “company limited by shares” და “company limited by guarantee”, განსხვავება მათ შორის ისაა, რომ პირველ შემთხვევაში, კომპანიის წევრების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება წილის სანაცვლოდ განხორციელებული ინვესტიციით, ხოლო “company limited by guarantee” შემთხვევაში კი კომპანიის წევრი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს წინასწარ შეთანხმებული თანხა, იმ შემთხვევაში, თუ დაიწყება კომპანიის ლიკვიდაცია.²⁷ ამდენად, ინგლისური “limited company” მთავარი მახასიათებელია პარტნიორის პასუხისმგებლობის შეზღუდვა.

²² მახარობლიშვილი, მეწარმე სუბიექტთა დოკუმენტურ-თეორიული გამოიყენა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2011, 100.

²³ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტი; ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი.

²⁴ “Partnership” წარმოადგენს ამხანაგობას, რომელიც ფუნქციონირებს შეუზღუდავი პასუხისმგებლობის რეჟიმში. ამ თვალსაზრისით იგი ახლოს დგას ქართულ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან, თუმცა არც მის ანალოგს წარმოადგენს. განსხვავება ფუნდამენტურ მიდგომაშია: ინგლისის სამართალი, საქართველოს საკორპორაციო სამართლისგან განსხვავებით არ განიხილავს “Partnership”-ს განცალკევებულ იურიდიულ პირად. “Partnership” ორგანიზაციული ფორმის არაერთი მოდიფიკაცია არსებობს, მაგ., “General partnership” (მარეგულირებელი აქტი: Partnership Act 1890), “Limited Partnership”, (მარეგულირებელი აქტი: Limited Partnership Act 1907) და “Limited Liability Partnership” (მარეგულირებელი აქტი: Limited Liability Partnership Act 2000). ეს უკანასკნელი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპს და ახასიათებს განცალკევებულობა. თუმცა “Limited Liability Partnership” მაინც განსხვავდება “Private Limited Company”-გან. “Limited Liability Partnership” დასაფუძნებლად საჭიროა მინიმუმ ორი წევრი, “Private Limited Company”-თვის კი საკმარისია ერთი წევრი. იხ. Limited Liability Partnership Act 2000, Art. 2; შეად., Company Act 2006, Art. 7.

²⁵ Company Act 2006, Art. 3.

²⁶ შესაბამისად, პირველის მიმართ უფრო მაღალი მოთხოვნებია, იხ. Company Act 2006, Art. 763, რომლის თანახმადაც, ღია შეზღუდული კომპანიის კაპიტალის ოდენობა უნდა შეადგენდეს 50 000 ფუნტს.

²⁷ Companies Act 2006, Art. 3.

აშშ-ის “corporation” გულისხმობს მხოლოდ ისეთ გაერთიანებას, სადაც პარტნიორი სარგებლობს შეზღუდული პასუხისმგებლობით.²⁸ “Corporation” აერთიანებს ორ ფორმას: “close corporation” და “public corporation”.²⁹ ამის გარდა, აშშ-ის სამართალი ასევე იცნობს “limited liability company”-ის, რომელიც შედარებით ახალი ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმაა.³⁰ ამ ფორმის მახასიათებლებისა და ქართული შპს-ს და სს-ს ნიშნების შედარების საფუძველზე ვერ ჩავთვლით მათ ექვივალენტურ ცნებებად.³¹ თავის მხრივ, ქართული სს, ისევე როგორც შპს, თუ არ წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საზოგადოებას, ადვილად შეიძლება მიესადაგოს დახურული ტიპის კორპორაციას.³²

იურიდიულ ლიტერატურაში განსაკუთრებული მსჯელობის საგანია, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ღია ტიპის კორპორაციის მიმართ გამოყენების შესაძლებლობის შესაძლებლობა. აშშ-ში მასშტაბური ემპირიული კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის არცერთ საქმეში არ ფიგურირებდა ღია ტიპის კორპორაცია.³³ თუმცა წინამდებარე ნაშრომში განვითარებული მსჯელობა, აბათილებს მოსაზრებას ღია ტიპის კორპორაციის მიმართ

²⁸ კორპორაციის პარტნიორს არ ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა კორპორაციის ქმედების ან ვალდებულებებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პარტნიორს პარტნიორის პასუხისმგებლობა ეკისრება საკუთარი ქმედების გამო. ორიგინალში: “Unless otherwise provided in the articles of incorporation, a shareholder of a corporation is not personally liable for the acts or debts of the corporation except that he may become personally liable by reason of his own acts or conduct.” ციტირებულია: MBCA Art. 6.22 (b).

²⁹ ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 78.

³⁰ აშშ-ში პირველი სტატუტი “LLC”-ის შესახებ მიღებულ იქნა 1977 წელს ვაიომინგის შტატში, შემდეგ 1982 წელს ფლორიდის შტატში. დანარჩენ შტატებს კი “LLC”-ის ორგანიზაციული ფორმის ინკორპორირება კანონმდებლობაში 1990 წლამდე არ მოუხდენიათ; *Maizes, Limited Liability Companies: A Critique*, *St. John's Law Review*: Vol. 70: Iss. 3, Article 3, 1996, 578.

³¹ აშშ-ს “LLC”-ი, კორპორაციის და ამხანაგობისგან განსხვავებული ჰიბრიდული ორგანიზაციული ფორმაა, თუმცა ახასიათებს ორივეს ნიშნები, მაგ., პარტნიორებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მართვაში, იგივენაირად, როგორც ეს დადგენილია ამხანაგობის პარტნიორებისთვის, ისარგებლონ ამხანაგობის მსგავსად პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმით, და ამავედროულად მათზე ვრცელდება პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი, ისე, როგორც კორპორაციის პარტნიორების მიმართ; *oRapp, Preserving LLC Veil Piercing: A Response to Bainbridge*, *The Journal of Corporation Law*, 31 Iowa J. Corp. L. 1063, 2006, 1067. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ LLC-ის ორგანიზაციული ფორმა განკუთვნილია ზოგადად ნებისმიერი კანონიერი საქმიანობისთვის და არა ექსკლუზიურად სამეწარმეო საქმიანობისთვის, როგორც ესაა “corporation”-ის, ქართული შპს-სა და სს შემთხვევაში; შეად., *Uniform Limited Liability Act, Section 108*: “... A limited liability company may have any lawful purpose, regardless of whether for profit”, MBCA §3.01 “Every corporation incorporated under this Act has the purpose of engaging in any lawful business unless a more limited purpose is set forth in the articles of incorporation.” და მეწარმეთა შესახებ კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, ასევე მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, რომელთა ურთიერთკავშირის შედეგად იკვეთება სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი – მოგების მიზანი.

³² ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 78.

³³ *McPherson, Raja, An Empirical Study of Piercing Rates and Factors Courts Consider when Piercing the Corporate Veil*, 45 *Wake Forest Law Review* 931, 2010, 967.

დოქტრინის გამოყენების დაუშვებლობის შესახებ.³⁴ აღნიშნულის, და ასევე, იმის გათვალისწინებითაც, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობა აქტუალურია ყველა იმ ორგანიზაციულ ფორმასთან მიმართებით, რომლებიც პარტნიორს ანიჭებენ კორპორაციულ საფარველს, ნაშრომის ერთიანი სტილის უზრუნველსაყოფად, ნაშრომში გამოყენებულია ტერმინი „კორპორაცია“, რომელიც წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, ქართული სამართლის კონტექსტში, მოიაზრებს შპს-სა და სს, ინგლისის სამართალზე მითითებისას „limited company“, აშშ-ის სამართლის შემთხვევაში კი „corporation“.

რაც შეეხება კონტინენტური ევროპის საკორპორაციო სამართალს, ფრანგულ სამართალში დამკვიდრებული ტერმინი „societas“ უნდა მივიჩნიოთ ქართული „სამეწარმეო საზოგადოების“ ანალოგად.³⁵ „Societas“ აერთიანებს როგორც ამხანაგობებს, ასევე კაპიტალური ტიპის ისეთ საზოგადოებებს, რომელთაც ახასიათებთ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი.³⁶ ამიტომაც, ნაშრომში, „კორპორაცია“, ფრანგულ სამართალზე მითითების შემთხვევაში მოიაზრებს მხოლოდ ისეთ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმებს, რომლის ფარგლებშიც პარტნიორები სარგებლობენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპით. გერმანულ სამართალზე მითითებისას, ტერმინი კორპორაცია, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის, მოიაზრებს, როგორც *Gesellschaft mit beschränkter Haftung* (შპს), ასევე *Aktiengesellschaft* (სს).

2. კორპორაციული საფარველი

კორპორაციული საფარველი არის „იმუნიტეტი“, რომელიც კორპორაციის დაფუძნების მომენტიდან პარტნიორს იცავს პასუხისმგებლობისგან გარესამართლებრივ ურთიერთობებში. კორპორაციული საფარველი უკავშირდება კორპორაციის განცალკევებული სამართალსუბიექტობისა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპებს. სწორედ აღნიშნული პრინციპების ურთიერთქმედების შედეგად, კორპორაციაში იქმნება ქონების დაყოფის განსაკუთრებული რეჟიმი, რომლის შედეგადაც პარტნიორი სარგებლობს ორგანიზაციული დაცვით. ზოგადად, ორგანიზაციული დაცვა მოქმედებს ორი მიმართულებით. პარტნიორის ქონება ხელმიუწვდომელია კორპორაციის კრედიტორებისთვის, ხოლო კორპორაციის ქონება ხელმიუწვდომელია პარტნიორის კრედიტორებისათვის.³⁷ ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პარტნიორი იფარება კორპორაციული (ორგანიზაციული) საფარველით, რომელიც იცავს მას, პასუხისმგებლობისგან

³⁴ საკითხი შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის მე-4 თავის 1.6 ქვეთავი.

³⁵ ამ განსხვავების ჭრილში, „societas“ სწორ თარგმანად ინგლისურ სამართალში შეიძლება მიხნეულ იქნეს „business association.“

³⁶ ესენია: „Société à responsabilité limitée“ (შპს, მინიმუმ ერთი წევრი), Société Anonyme (სს მინიმუმ 7 წევრი, 37 ათასი ევრო კაპიტალიან 225 ათასი ევრო, აქციათა საჯაროდ ვაჭრობის შემთხვევაში) Société par Actions Simplifiées (სს გამარტივებული სტრუქტურით, ერთი პარტნიორი, 37 ათასი ევრო კაპიტალი) იხ. Code de Commerce, Art.L224-1 - L224-3, Article L225-1, <http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000005634379>

³⁷ Hansmann, Kraakman, Squire, Law and Rise of the Firm, Harvard Law Review, Vol. 119, No 5, 2006, 1337.

გარესამართლებრივი ურთიერთობებში. გამომდინარე იქიდან, რომ კორპორაციული საფარველი ტოვებს პრაქტიკულ შესაძლებლობას გამოყენებულ იქნეს არამართზომიერად, პირადი ქონებრივი სარგებლის მისაღებად, სამართალმა განავითარა რიგი მექანიზმები, რომელთა მიზანიცაა შეზღუდოს კორპორაციული საფარველით სარგებლობის პრივილეგია იმ შემთხვევაში თუ ეს სარგებლობა ეწინააღმდეგება სამართალს ან სამართლიანობას, რიგ შემთხვევებში.

3. პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა და გამჭოლი პასუხისმგებლობა

გამჭოლი პასუხისმგებლობის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს კორპორაციის კრედიტორების სასარგებლოდ პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა. თუმცა აღნიშნული შედეგის მიიღწევა შესაძლებელია, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის საფუძველზე, ასევე პირადი პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმატიული საფუძვლებით. მაგალითად, ინგლისის სამართლის ნორმები თაღლითური და არამართზომიერი ვაჭრობის შესახებ, აშშ-ს თაღლითური ტრანსფერისა და გარემოს დაცვითი რეგულირების კანონმდებლობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა. ასევე, გერმანული საკონცერნო სამართალით, რომელიც წარმოადგენს მაკონტროლებელი კორპორაციის პირადი პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ სამართლებრივ მექანიზმს. პირად პასუხისმგებლობას იწვევს ასევე პარტნიორის პასუხისმგებლობა დელიქტური სამართლის საფუძველზე, რისი გამოყენების ტენდენციაც, როგორც ინგლისის უახლესმა სასამართლო პრეცედენტმა ცხადყო სულ უფრო აქტუალური ხდება.³⁸ პარტნიორის პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობით სრულდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზირებული ქმედებები.³⁹ თუმცა როგორც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, როგორც მინიმუმ სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში დაზარალებულის სამოქალაქო სარჩელის საფუძველია გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა, რომლის გამოსატყულებასაც წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-6 მუხლი, და არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი -

³⁸ VTB Capital plc v Nutritek International Corp and others [2012] EWCA Civ 808.

³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლი („ცრუ მეწარმეობა” - საწარმოს შექმნა სამეწარმეო განზრახვის გარეშე, კრედიტის ან სხვა ქონებრივი სარგებლის მისაღებად), 205-ე მუხლი („უკანონო ქმედება გადახდისუუნარობისას” - გადახდისუუნარობისას ქონების იმ ნაწილის განკარგვა ან დამალვა კრედიტორისათვის ხელმიუწვდომლობის მიზნით, რომელიც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში მოექცეოდა სამეურნეო ქონებაში); 205¹-ე მუხლი („ქონების გადამაღვა მოჩვენებითი ანდა თვალთმაქცური გარიგებით” - საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ქონების გადამაღვა მოჩვენებითი ან თვალთმაქცური გარიგებით, ჩადენილი მოსალოდნელი ანდა უკვე არსებული ქონებრივი ვალდებულებისათვის თავის არიდების მიზნით); 205-ე მუხლი („გადახდისუუნარობის საქმის წარმოების განცხადების შეუტანლობა გადახდისუუნარობისას” - გადახდისუუნარობისას ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ განცხადების შეუტანლობა); 218-ე მუხლი („გადასახადისათვის თავის არიდება”, რაც სუს-ის 2015 წლის 6 მაისის №ას-1307-1245-2014 გადაწყვეტილების მიხედვით, შეიძლება გახდეს გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველზე პარტნიორის პასუხისმგებლობის წინაპირობა).

მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად გამოწვეული ზიანისათვის პირის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი.

გამჭოლი პასუხისმგებლობისა და პირადი პასუხისმგებლობის მსგავსება გამოიხატება განცალკევებულობისა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპების უკუგდებაში. შესაბამისად, ორივე შემთხვევაში, პასუხისმგებლობის მიღწევისათვის საჭიროა კორპორაციული საფარველის ჩამოხსნა და აღნიშნულის სამართლებრივი დასაბუთება. ამ მსგავსების ჭრილში შესაძლებელია გამჭოლი და პირადი პასუხისმგებლობის ურთიერთმიმართების დადგენა. გამჭოლი პასუხისმგებლობა წარმოადგენს პირადი პასუხისმგებლობის კერძო გამოვლინებას. შესაბამისად, პირადი პასუხისმგებლობა უფრო ფართო ცნებაა და გამჭოლი პასუხისმგებლობის გარდა მოიცავს პასუხისმგებლობას სხვა შემთხვევებსაც. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულად, პირადი პასუხისმგებლობის კონცეფციის განვითარების საფუძველი გახდა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა. პირადი პასუხისმგებლობის სხვა საფუძველები წარმოადგენს შედარებით თანამედროვე სამართლებრივ ბერკეტს.⁴⁰

ამდენად, პირადი პასუხისმგებლობა და გამჭოლი პასუხისმგებლობა არ არის იდენტური ცნებები. გამჭოლი პასუხისმგებლობა ყოველთვის გულისხმობს პირად პასუხისმგებლობას, თუმცა არა პირიქით, პირადი პასუხისმგებლობა სავალდებულოდ არ გულისხმობს გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის საფუძველით პასუხისმგებლობას. როგორც ზემოთ აღინიშნა წინამდებარე ნაშრომის მიზანია კორპორაციული საფარველის ჩამოხსნის გზით პასუხისმგებლობის დამდგენი საფუძველების სისტემატიზაცია, მათი არსისა და წინაპირობების დადგენა. იმის გათვალისწინებით, რომ პირადი და გამჭოლი პასუხისმგებლობის საბოლოო შედეგი კორპორაციული საფარველის მიღმა მოქმედი პირის პასუხისმგებლობას გულისხმობს, ნაშრომში განხილულია, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა - პასუხისმგებლობის ყველაზე სადავო საკითხი, და ასევე პირადი პასუხისმგებლობის სხვა საფუძველებიც.⁴¹

4. კორპორაციული საფარველის ჩამოხსნა და კორპორაციული საფარველის გაჭოლვა

ტერმინი “კორპორაციული საფარველის გაჭოლვა”, როგორც აშშ-ში გავრცელებული “*piercing the corporate veil*”-ის ექვივალენტური თარგმანი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა 2009 წლიდან.⁴² გერმანიაში კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დოქტრინა ცნობილია “*Durchgriffshaftung*”-ის სახელწოდებით. რაც შეეხება ინგლისს, იურიდიულ ლიტერატურაში “*piercing the corporate veil*”-ის

⁴⁰ მაგ., CERCLA ფედერალური კანონი მიღებულ იქნა 1980 წელს.

⁴¹ *Thompson, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study*, 76 *Cornell Law Review* 1036, 1991, 1036; *Morrissey, Piercing All the Veils: Applying an Established Doctrine to a New Business Order*, 32 *Iowa Journal of Corporate Law* 529, 2007, 542.

⁴² *ბურდული*, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, 236.

ექვივალენტად ტრადიციულად გამოიყენებოდა *“lifting the corporate veil,”*⁴³ თუმცა, ინგლისის უზენაესმა სასამართლომ 2013 წლის პრეცედენტით დაადგინა, რომ კორპორაციული საფარველის გაჭოლვა – *“piercing”* და ჩამოსხმა – *“lifting”* არ წარმოადგენს იდენტურ მექანიზმებს.⁴⁴ ეს უკანასკნელი გულისხმობს კორპორაციული საფარველის ჩამოსხმას იმ მიზნით, რომ ქონება ან ქმედება მიეწეროს პარტნიორს, იმგვარად, რომ არ მოხდეს კორპორაციულ საფარველის გარღვევა. შესაბამისად, ინგლისის უზენაესი სასამართლოს მიდგომა, გულისხმობს იმასაც, რომ ამ ორი მექანიზმის სამართლებრივი დასაბუთება განსხვავებული სტანდარტით უნდა მოხდეს. ინგლისის უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა – *“piercing the corporate veil”* შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთადერთ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა განცალკევებული კორპორაციული სამართალსუბიექტობის ბოროტად გამოყენება.⁴⁵ აღსანიშნავია, რომ ბოროტად გამოყენების ელემენტს ეფუძნება გერმანული *“Durchgriffshaftung”*-ის დოქტრინაც.⁴⁶

კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, ისევე როგორც კორპორაციული საფარველის ჩამოსხმა წარმოადგენს სასამართლო მექანიზმს. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის შედეგად ხდება კორპორაციის კრედიტორების სასარგებლოდ პარტნიორზე პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.⁴⁷ ამდენად, გამჭოლი პასუხისმგებლობა ასახავს შემთხვევას, როდესაც პარტნიორი, მისი ნების საწინააღმდეგოდ, პირადად აგებს პასუხს კორპორაციის ვალდებულებებისათვის. პარტნიორის მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, სახეზე იქნებოდა ნებაყოფლობითი პირადი პასუხისმგებლობა, რაც ნაკლებ სავარაუდოა, რადგანაც პარტნიორი სწორედ იმიტომ ირჩევს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ორგანიზაციულსამართლებრივ ფორმას, რათა დაიცვას თავი პირადი პასუხისმგებლობისგან. ამდენად, გამჭოლი პასუხისმგებლობის პირველი მახასიათებელია პასუხისმგებლობის არანებაყოფლობითი ხასიათი. კორპორაციული მოსასხამის ჩამოსხმა, არანებაყოფლობითი ხასიათის მიუხედავად სავალდებულოდ არ გულისხმობს გადახდისუნარო კორპორაციის ვალდებულებებისათვის პარტნიორის პასუხისმგებლობას.⁴⁸

კორპორაციული საფარველის გაჭოლვის სტანდარტული ფაბულისგან განსხვავებენ *“reverse piercing”*, ანუ რევერსულ გაჭოლვას, როდესაც პარტნიორის ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება

⁴³ Liew, Three Steps Forward, Three Steps Back: Why the Supreme Court decision in *Prest v Petrodel Resources Ltd* leads us nowhere, *The King’s Student Law Review*, Vol. 5, No. 2, 2014, 70.

⁴⁴ *Prest v Petrodel Resources Ltd* [2013] UKSC.

⁴⁵ *Prest v Petrodel Resources Ltd* [2013] UKSC.

⁴⁶ Merkt, Spindler, Limited Liability of Controlling Parties (Piercing the Corporate Veil) and Related Legal Constellations, in: *Legal Capital in Europe*, 2006, 170,174.

⁴⁷ Black’s Law Dictionary 7th ed., 1999, 1168.

⁴⁸ მაგ. საქმეში *Prest v Petrodel Resources Ltd* [2013] UKSC კორპორაციული საფარველის ჩამოსხმა მოხდა საოჯახო დავაში, კორპორაციის პარტნიორის მეუღლის სასარგებლოდ, რომელიც განქორწინების შედეგად ითხოვდა ქონების გადახაწილებას. გასანაწილებელ ქონებაში მოექცა იმ კორპორაციის ქონებაც, რომელს პარტნიორსაც წარმოადგენდა მეუღლე.

კორპორაციას.⁴⁹ თუმცა კორპორაციული საფარველის გაჭოლვის ეს ვერსია არ წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის განხილვის საგანს.

პასუხისმგებლობის სუბიექტების მიხედვით განასხვავებენ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ გამჭოლ პასუხისმგებლობას. ვერტიკალური პასუხისმგებლობა გულისხმობს პარტნიორის, როგორც ინდივიდუალური, ასევე დედა კორპორაციის, პასუხისმგებლობას.⁵⁰ ჰორიზონტალური პასუხისმგებლობა კი ეხება კორპორაციის ვალდებულებებისათვის მასთან დაკავშირებული (აფილირებული) კორპორაციების პასუხისმგებლობას.⁵¹ წინამდებარე ნაშრომში ორივე ფორმა განხილულია ერთ სიბრტყეზე, რადგანაც ორივე შემთხვევაში სახეზეა იდენტური წინაპირობები.

დოქტრინის ფარგლებში განსხვავება კეთდება ხელშეკრულებისმიერ და დელიქტისმიერ კრედიტორებს შორის შორისაც.⁵² წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში „გამჭოლი პასუხისმგებლობა“ და „კორპორაციული საფარველის გაჭოლვა“ ურთიერთთანაცვლებად ტერმინებად არის გამოყენებული და მოიაზრებს პარტნიორის პირად, არანებაყოფლობით პასუხისმგებლობას კორპორაციის როგორც სახელშეკრულებო, ასევე კანონისმიერი ვალდებულებებისათვის. ამასთან, თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში ხელშეკრულებისმიერი კრედიტორის სასარგებლოდ გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების მიზანშეწონილობა განხილულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებისმიერი კრედიტორი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, მოკლებული იყო შესაძლებლობას წინასწარ გაეთვალისწინებინა კორპორაციის ფაქტობრივი ვალაუვალობის რისკი. ნაშრომის ძირითადი მოტივი არის ის, რომ გამჭოლ პასუხისმგებლობას არ უნდა მიეცეს ფართო პრაქტიკა და იგი უნდა განვითარდეს საგამოკლისო მექანიზმად, რომელიც დაშვებულია მხოლოდ სათანადო გარემოებების არსებობისას.

გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზანია უზრუნველყოს კრედიტორის დაცვა იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა სამართლებრივი მექანიზმებით ეფექტური დაცვა ვერ მიიღწევა. შესაბამისად, გამჭოლი პასუხისმგებლობა წარმოადგენს საგამონაკლისო ბერკეტს. გამჭოლი პასუხისმგებლობა, ისევე როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი ან ნებისმიერი სხვა სამართლებრივი ბერკეტი, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ბოროტად, პარტნიორის ან კორპორაციის

⁴⁹ Gaertner, Reverse Piercing the Corporate Veil: Should Corporation Owners have it Both Ways? 30 William & Mary Law Review 667, 1989, 681; Richardson, The Helter Skelter Application of Reverse Piercing Doctrine, University of Cincinnati Law Review, Vol. 79, Issue 4, Art. 9, 2011, 1605

⁵⁰ Matheson, The Limitations of Limited Liability: Lessons for Entrepreneurs (and Their Attorneys), *The Limitations of Limited Liability: Lessons for Entrepreneurs (and Their Attorneys)*, 2 Minnesota. Journal Business Law & Entrepreneurship 1 (2003), 420;

⁵¹ Matheson, The Limitations of Limited Liability: Lessons for Entrepreneurs (and Their Attorneys), *The Limitations of Limited Liability: Lessons for Entrepreneurs (and Their Attorneys)*, 2 Minnesota. Journal Business Law & Entrepreneurship 1 (2003), 420;

⁵² აშშ-ში, 2010 წელს გამოქვეყნებული ემპირიული კვლევის საფუძველზე კი, იმ შემთხვევათა რაოდენობა, სადაც კორპორაციული საფარველის გაჭოლვა მოხდა სახელშეკრულებო კრედიტორის სასარგებლოდ, არასათანადო კაპიტალიზაციის საფუძველზე 30%-ს აღემატება (114 საქმიდან 35 საქმეში დადგა გამჭოლ პასუხისმგებლობა), ხოლო არანებაყოფლობითი კრედიტორების სასარგებლოდ – 15%-ს (40 საქმიდან 6); იხ. McPherson, Raja, An Empirical Study of Piercing Rates and Factors Courts Consider when Piercing the Corporate Veil, 45 Wake Forest Law, Review, 931, 2010, 965.

წინააღმდეგ. შესაბამისად, აუცილებელია გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის მოქმედების არიალის შემოფარგვლა იმ ჩარჩოებში, რომლებიც შეესატყვისება მის ბუნებას და მიზანს. აღნიშნულის გამო, წინამდებარე ნაშრომში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის მეორე მახასიათებლად მოაზრებულია გადახდისუუნარობა, უფრო სწორედ კი მისი გამოყენების დაშვება მხოლოდ კორპორაციის გადახდისუუნარობის დროს.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას და მას უკავშირებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა ექვივალენტურია თუ არა გამჭოლი პასუხისმგებლობა იმ პასუხისმგებლობისა, რომელიც შეიძლება დადგეს, პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენებისას. აღნიშნული კავშირის დადგენა საჭიროებს მრავალმხრივ განხილვას, კერძოდ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის წინაპირობებისა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენების შინაარსის განსაზღვრას, რაზეც დეტალური მსჯელობა მოცემულია ნაშრომის შესაბამის თავებში. წინამდებარე თავის მიზნებისათვის, კი უნდა აღნიშნოს, რომ ნაშრომის ფარგლებში გამჭოლ პასუხისმგებლობაზე მითითებისას მოიაზრება დოქტრინა *“piercing the corporate veil”*.

5. იდენტიფიკაციის პრინციპი

იდენტიფიკაციის პრინციპი გულისხმობს კორპორაციული საფარველის მიღმა მოქმედი სუბიექტის განსაზღვრას – იდენტიფიკაციას და თავის თავში არ მოიაზრებს პირად პასუხისმგებლობას. იდენტიფიკაციის შედეგად შესაძლებელი ხდება პარტნიორის მიერ კორპორაციის უფლებების განხროციელება, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი დამოუკიდებელი და განცლაკვებული სუბიექტია.⁵³ შესაბამისად, იდენტიფიკაციის პრინციპი კორპორაციული საფარველის ჩამოხნის ერთ-ერთი მეთოდია.

6. გადახდისუუნარობა

გადახდისუუნარობა განიმარტება, როგორც მოვალის უუნარობა დააკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა.⁵⁴ ამ გაგებით იგი შეესაბამება საერთო სამართლის ტერმინს *“insolvency.”*⁵⁵ სწორედ ამ შინაარსით გამოიყენება ნაშრომში ტერმინი გადახდისუუნარობაც.

⁵³ ამგვარ პრეცედენტებს ვხვდებით მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პრაქტიკაში. სასამართლო დაცვის უფლების კონტექსტში საჭირო გახდა პარტნიორის იდენტიფიკაცია, და შესაბამისად, კორპორაციული მოსახამის ჩამოხსნა; იხ., საქმე: *Agrotexim Hellas SA and Others v. Greece*, Judgment of 24 October 1995.

⁵⁴ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლი.

⁵⁵ მაგ., UFTA-ს დეფინიციების თანახმად, გულისხმობს შემთხვევას, როცა მოვალის ვალდებულებათა მოცულობა აღარბებს მის ქონებას. ამასთან, მნიშვნელოვანია ე.წ. „გადახდისუუნარობის პრეზუმცია“, რომელიც მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა პირი არ ასრულებს ვადამოსულ ვალდებულებებს.

ამდენად, გადახდისუუნარობა წარმოადგენს ფაქტობრივ მდგომარეობას, რომლის დროსაც უნდა დაიწყოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები.⁵⁶ თუმცა, იმ შემთხვევაში, როცა კორპორაციის დირექტორი თავს არიდებს სავალდებულო პროცედურის დაწყებას, გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის, საკმარისად უნდა იქნეს მიჩნეული კრედიტორის მხრიდან გადახდისუუნარობის, როგორც ფაქტის დადასტურება.⁵⁷

7. მნიშვნელოვანი კონტროლი

პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს როგორც ერთი წევრისგან შემდგარი კაპიტალური ტიპის საზოგადოების შემთხვევაში, ასევე პარტნიორთა სიმრავლის დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი საჭიროა იმ სახასიათო ელემენტის გამოყოფა, რომლის არსებობაც გადამწყვეტია პარტნიორის პასუხისმგებლობისათვის. ასეთ მაკვალიფიცირებელ ნიშნად კი გვევლინება მნიშვნელოვანი კონტროლი.

ეროვნული კანონმდებლობა იცნობს კონტროლის განმარტებას, თუმცა არა კორპორაციის ვალდებულებებისთვის პარტნიორის პასუხისმგებლობის ჭრილში. კონტროლის განსაზღვრება გვხვდება სპეციალურ სამართალურთიერთობებში. მაგალითად, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, კონტროლად მიიჩნევა ვითარება, როდესაც პირი ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა წრე საწარმოში ფლობს წილთა 10%-ზე მეტს, ან სხვაგვარად შეუძლია გააკონტროლოს საწარმო. ხოლო კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, კი კონტროლად მიიჩნევა შემთხვევა, როდესაც პირს შეუძლია პირდაპირ ან არაპირდაპირ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ პირზე (ეკონომიკურ აგენტზე).⁵⁸ თუმცა კანონმდებლობით დადგენილი კონტროლის განმარტებები გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის ვერ გამოდგება. გამჭოლი პასუხისმგებლობის თეორიულ-სამართლებრივი დასაბუთება მდგომარეობს იმაში, რომ კორპორაციის პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა დაიშვება საგამონაკლისო მექანიზმის სახით, როდესაც პარტნიორი ახორციელებს კორპორაციაზე ისეთი ხარისხის კონტროლს, რომ ამ უკანასკნელის დამოუკიდებლობა და განცალკევებულობა იკარგება. შესაბამისად, გამჭოლი პასუხისმგებლობის ჭრილში კონტროლის ხარისხი ყოველ კონკრეტულ

⁵⁶ მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლი, რომელიც ავალდებულებს დირექტორს გაჭიანურების გარეშე დაიწყოს პროცედურა.

⁵⁷ გადახდისუუნარობაზე, როგორც ფაქტზე, მითითება უნდა დაეკისროს კრედიტორს. უშუალოდ მტკიცების ტვირთი კი უნდა გადავიდეს პარტნიორზე, რადგანაც, კრედიტორისგან განსხვავებით, სწორედ მას გააჩნია შესაძლებლობა ამტკიცოს ამ გარემოების არარსებობა. თუმცა ალტერნატიულად, შესაძლებელია გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის გამოყენებულ იქნეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქემა და გადახდისუუნარობის ფაქტი, კრედიტორის სასარგებლოდ ჩაითვალოს დამტკიცებულად, თუ მოსარჩელე (კრედიტორი) წარადგენს კორპორაციის წინააღმდეგ მიღებულ სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებს, შესაძლებელია სხვა კრედიტორების სასარგებლოდაც, რომლებიც მიქცეულია იძულების წესით აღსასრულებლად და საერთო თანხა აღემატება განსაზღვრულ ოდენობას.

⁵⁸ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლი.

შემთხვევაში უნდა დადგინდეს გარემოებების შეფასების შედეგად, რაც გამორიცხავს კონტროლის მოცულობის ციფრებში გამოსახული უნივერსალური ფორმულის მიზანშეწონობას.

კონტროლი გამჭოლი პასუხისმგებლობის ფარგლებში მოიცავს სამ ფაქტორს: 1. დომინირება, რომელიც გამოხატულია ფართოდ, სხვადასხვა გარემოებებით და არამხოლოდ ხმათა უმრავლესობით; 2. კონტროლის გამოყენება არამართლზომიერი ქმედებისთვის; 3. მიზეზშედეგობრივი კავშირი კონტროლის გამოყენებასა და კრედიტორისთვის მიყენებულ ზიანს შორის.⁵⁹ გამჭოლი პასუხისმგებლობისთვის კონტროლის საკმარისი ხარისხის განსასაზღვრად, ე.ი. მნიშვნელოვანი კონტროლის დასადგენად სასამართლო ყურადღებას აქცევს ფაქტობრივ გარემოებათა ფართო წრეს. მაგალითად, მხედველობაში მიიღება საერთო დირექტორატის არსებობა; პარტნიორის მიერ კორპორაციის ქონების, როგორც პირადის, გამოყენება.⁶⁰

8. კორპორაციული ჯგუფი

კორპორაციული ჯგუფი გულისხმობს ისეთ კორპორაციულ სტრუქტურას, რომელშიც მონაწილეობს რამდენიმე კორპორაცია. შესაძლებელია ეს იყოს მშობელ-შვილობილი კორპორაციები, ან აფილირებული კორპორაციები, კორპორაციათა სახელშეკრულებო ან დე-ფაქტო კავშირი. კორპორაციული ჯგუფის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინები გამოიყენება. მაგალითად, აშშ-ს სამართალში დამკვიდრებულია ტერმინი ჰოლდინგი, ხოლო გერმანიაში კი კონცერნი.⁶¹ კორპორაციული ჯგუფი მიიჩნევა კვაზი სამართალსუბიექტობის მქონე სამეწარმეო გაერთიანებად.⁶² ნაშრომში გამოყენებულია როგორც ტერმინი კორპორაციული ჯგუფი, ასევე გერმანულ სამართალზე მითითებისას, მისი სახასიათო რეგულირების აღსანიშნავად, კორპორაციული ჯგუფის ექვივალენტურ ტერმინად გამოყენებულია კონცერნი.⁶³

⁵⁹ Hofstetter, Parent Responsibility for Subsidiary Corporations, Evaluating European Trends, 39 International and Comparative Law Quarterly, 576, 1990, 592.

⁶⁰ Hofstetter, Parent Responsibility for Subsidiary Corporations, Evaluating European Trends, 39 International and Comparative Law Quarterly, 576, 1990, 592.

⁶¹ მაჭავარიანი, კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, 12.

⁶² მაჭავარიანი, კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, 12.

⁶³ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი 2008 წლამდე ითვალისწინებდა კონცერნის მარეგულირებელ წესებს. მეწარმეთა შესახებ კანონის მე-17 მუხლში განხორციელებული ცვლილებების შედარებისათვის იხ. საქ. 1996 წლის 13 დეკემბრის კანონი №535 - პარლამენტის უწყებანი №1-2; შეად., საქ. 1999 წლის 6 ივნისის კანონი №2073, სსმ I, №24(31).

9. ჩრდილოვანი დირექტორი

ჩრდილოვან ხელმძღვანელად (*shadow director*) მიიჩნევა მხოლოდ ის პირი, რომელიც ხანგძლივად ახდენს გავლენას ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირთა გადაწყვეტილებებზე.⁶⁴ ამ ფენომენის აღსანიშნავად, იურიდიულ ლიტერატურაში გამოიყენება დე-ფაქტო დირექტორის ცნებაც.⁶⁵ ჩრდილოვანი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხი როგორც წესი რეგულირდება გაკოტრების სამართლით.⁶⁶ გადახდისუნარობის შემთხვევაში, პარტნიორების პასუხისმგებლობის მიღწევა სამართლებრივად არის რთული. გადახდისუნარობის დადგომის მომენტიდან ისეთი ძირითადი მოვალეობები, როგორიცაა კორპორაციის ქონებაზე გარიგებების აკრძალვა, გადახდისუნარობის პროცედურის დაწყება გაჭიანურებს გარეშე, ეკისრება დირექტორს.⁶⁷ თუმცა, ჩრდილოვანი ხელმძღვანელის ცნება იძლევა შესაძლებლობას დადგებს პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა, ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა ქონების გადამალვა, მოჩვენებითი თაღლითური გარიგებების მეშვეობით. ამისათვის საჭიროა პარტნიორი მიჩნეულ იქნეს ჩრდილოვან ხელმძღვანელად.

III. გამჭოლი პასუხისმგებლობის მიმართება პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპთან კორპორაციის განცალკევებულობის ჭრილში

კორპორაციის დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას რამდენიმე სტრუქტურული მახასიათებელი განსაზღვრას. პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი განაპირობებს კორპორაციის და მისი

⁶⁴ *Davies, Principles of Modern Company Law*, 8th ed. 2008, 219; “shadow director” აღტერნატიულ ქართულ თარგმანად ასევე გამოიყენება ტერმინი „ჩრდილში მდგომი დირექტორი“, *ცერცვაძე*, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, 15-16.

⁶⁵ ჩრდილოვან დირექტორსა და დე-ფაქტო დირექტორს შორის კონტინენტური სამართლის სისტემა არ ახდენს შინაარსობრივ დიფერენციაციას; *Vandekerckhove, Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 434; თუმცა მათ შორის განსხვავებას ვხვდებით ინგლისის პრეცედენტული სამართალში. მაგ., *Re Hydrodan (Corby) Ltd* [1994] 2 BCLC 180 განმარტავს, რომ ჩრდილოვანი დირექტორი არის პირი, რომლის მითითებებითაც მოქმედებს ოფიციალური დირექტორი, ხოლო დე-ფაქტო დირექტორი არის პირი, რომელიც მართალია არ არის დანიშნული დირექტორად, თუმცა ის ღიად მოქმედებს როგორც დირექტორი, და ამასთან მესამე პირებიც მას აღიქვამენ დირექტორად. ამასთან, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ პასუხისმგებლობის მიზნებისათვის დე-ფაქტო და ჩრდილოვან დირექტორს შორის მსგავსება („გავლენის მოხდენის უნარი“), უფრო მნიშვნელოვანი და პრაქტიკულია, ვიდრე მათ შორის განსხვავება, იხ. *Davies, Principles of Modern Company Law*, 8th ed. 2008, 219; ჩრდილოვან დირექტორსა და დე-ფაქტო დირექტორს შორის განსხვავების შესახებ იხ. ასევე *ცერცვაძე, ცერცვაძე*, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, 15-16.

⁶⁶ *Davies, Principles of Modern Company Law*, 8th ed. 2008, 219.

⁶⁷ *Insolvency Act 1986, Art., 214* არამართლზომიერი ვაჭრობის აკრძალვა. იხ. ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, 9.10. მუხლი, დირექტორის მოვალეობა, გონივრულ ვადაში დაიწყოს გადახდისუნარობის წარმოება.

დამფუძნებლის განცალკევებულობას, ანიჭებს რა კორპორაციის ნორმატიული მეტაფორის მიღმა მოქმედ პირებს დაცვით პრივილეგიას, მაგრამ არ წარმოადგენს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის აუცილებელ ფაქტორს. ამავდროულად, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი არ არის აბსოლუტური და უპირობო. მისი მოქმედება შემოფარგლულია სამართლის ჩარჩოებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი მოქმედებს იქამდე, სანამ კორპორაციის თუ მის მიღმა მოქმედ პირთა ქმედება შესაბამისობაშია კანონთან.

წინამდებარე თავში განხილულია პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპისა და გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპის ურთიერთმიმართების სისტემური ანალიზი კორპორაციის დამოუკიდებლობის კონცეფციაზე გავლენის კუთხით. ნაშრომის ამ ნაწილის მთავარი ჰიპოთეზაა ის, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ანტითეზა - გამჭოლი პასუხისმგებლობა - არ აუქმებს კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ფუნდამენტურ კონცეპტს და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპს როგორც ძირითად წესს. მისი ეფექტი ვრცელდება მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან გამომდინარე პრივილეგიის გამოყენებაზე და გავლენას არ ახდენს თავად კორპორაციის დამოუკიდებლობაზე, როგორც ფუნდამენტურ კონცეფციაზე. ამ ჰიპოთეზის ვერიფიკაციით დადასტურდება, რომ საკორპორაციო სამართალში, როგორც სისტემურად დაკავშირებულ ნორმათა ერთობლიობაში, პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპების თანაარსებობა, არ არის წინააღმდეგობრივი. შესაბამისად, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის პრაქტიკაში დამკვიდრება საკორპორაციო სამართლის ფუნდამენტურ და ძირითად პრინციპებთან არ მოდის წინააღმდეგობაში. აღნიშნული დასკვნის მიზნებისათვის, გამოკვლეულია იურიდიული პირის ცნება, დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის კონცეფციის განვითარება, პასუხისმგებლობის პრინციპისა და გამჭოლი პასუხისმგებლობის არსი, ბუნება და მიზნები.

1. კორპორაციის ცნების რეტროსპექტივა

პირთა გაერთიანების იურიდიულ პირად შერაცხვის საკითხს განსაკუთრებული ადგილი უკავია იურისპრუდენციაში. საკითხი, ფილოსოფიური პლურალიზმის საგანია. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა უსული წარმონაქმნის გაპიროვნებას (პერსონიფიკაციას) წარმოადგენს, რა დროსაც ხდება ინდივიდისათვის, როგორც რეალური სუბიექტისთვის, თანდაყოლილი უნიკალური თვისებების გადატანა კორპორაციაზე.⁶⁸ ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა მეტაფორაა, რომლის მეშვეობითაც სამართალი ერთ კატეგორიაში აქცევს მეორე და სრულიად განსხვავებული კატეგორიის თვისებებს.⁶⁹ აღნიშნავენ ასევე იმასაც, რომ დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის სამართლებრივი მეტაფორა (როგორც ხერხი) მხოლოდ კორპორაციისთვის მინიჭებულ

⁶⁸ Schane, The Corporation Is A Legal Person: The Language of A legal Fiction, 61 Tul. L. Rev. 653, 1986-1987, 593.

⁶⁹ Deway, The Historic Background of Corporate Personality, 35 Yale L.J 655, 1925-1926, 656.

ატრიბუციის დახასიათების მიზნით გამოიყენება და არ უნდა იყოს განმარტებული, როგორც კორპორაციის რაობის განმსაზღვრელი მახასიათებელი.⁷⁰ ამ მიდგომებს შორის განსხვავება შეიძლება აქტუალური იყოს სამართლის ფილოსოფიაში. საკანონმდებლო რეალობაში ყველა მეთოდს ერთი და იგივე შედეგი მოჰყვება. ხელოვნური „უსულო“ წარმონაქმნი ხდება იმ თვისებების მატარებელი, რომელსაც კანონი მას მიაწერს, ხოლო ის თუ ვისთვისაა თანდაყოლილი ეს თვისებები რეალურ სამყაროში, კანონისთვის არ არის მნიშვნელოვანი.⁷¹

1.1 პირთა გაერთიანება რომის სამართალში

რომის სამართალში პირი გულისხმობდა ინდივიდს, ადამიანს, რომელსაც გააჩნდა უნარი, ერთი მხრივ, ყოფილიყო იურიდიულ უფლებათა სუბიექტი, ხოლო მეორე მხრივ, პირადად განეხორციელებინა მისთვის მიკუთვნებული უფლებები. კერძოდ, პირს გააჩნდა უნარი მოეპოვებინა საკუთრება და მფლობელობაში ჰქონდა ქონება, ყოფილიყო მოსარჩელე ან მოპასუხე, და ესარგებლა სხვა სამართლებრივი ხასიათის პრივილეგიებით.⁷² ინდივიდისგან განსხვავებით, ხელოვნური წარმონაქმნი (*“persona ficta”*) განიხილებოდა უფლებების სუბიექტად, თუმცა მხოლოდ სამართლის თვალში.⁷³ ინდივიდის სამართალსუბიექტობა⁷⁴ წყდებოდა მისი გარდაცვალებით. სამართლის მიერ შექმნილი ხელოვნური სუბიექტი კი იღებდა უნარს, ესარგებლა ცალკეული უფლებებით ადამიანის ბუნებრივი არსებობისგან დამოუკიდებლად. კერძოდ, ხელოვნური წარმონაქმნი, რომელიც, როგორც წესი, იქმნებოდა ინდივიდების გაერთიანებით, წარმოშობდა ახალ, გაერთიანების წევრების სამართალსუბიექტობისგან დამოუკიდებელ სუბიექტს. სამართლის თვალში ეს ახალი სუბიექტი, განაგრძობდა არსებობას, მისი წევრების სრულად შეცვლის შემთხვევაშიც კი.⁷⁵ ზოგადად, პირთა გაერთიანებები რომის სამართალში - თ და სტრუქტურულად მარტივი წარმონაქმნები იყვნენ.⁷⁶ გაიუსის ინსტიტუციები, რომელიც იყოფა სამ ნაწილად - პირი, ნივთები და ქმედება, არ ეხება ხელოვნურ

⁷⁰ *Nicholas, Separate Legal Personality: Legal Reality and Metaphor, Bond Law Review, Vol.5: Issue 2, Article 6, 1993, 220.*

⁷¹ შეად., პროფესორ ფოლფგან ფრიდმანის მიერ თავის ნაშრომში „სამართლის თეორია“ დაფიქსირებული პოზიცია, რომლის თანახმადაც ნებისმიერი სამართალი არსებობს იმ თავისუფლების უზრუნველსაყოფად, რომელიც თანდაყოლილია მხოლოდ ადამიანისთვის. პირის სამართლებრივი ცნება შესაბამისობაში უნდა იყოს ამ იდეასთან. იხ. *Friedmann, Legal Theory, 1967, 556.*

⁷² *Budrick, The Principles of Roman Law, and Their Relation to Modern Law, 2004, 276.*

⁷³ *Morey, Outlines of Roman Law, Comprising its Historical Growth and General Principles, 1914, 262.*

⁷⁴ იგულისხმება Legal Capacity, რომელიც ქართული სამართლის გაგებით უნდა მივიჩნიოთ უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ერთიანობად; *ჭანტურია, შესავალი სამართალში, 2000, 130.*

⁷⁵ *Morey, Outlines of Roman Law, Comprising its Historical Growth and General Principles, 1914, 262.*

⁷⁶ *Hillman, Limited Liability in Historical Perspective, Washington and Lee Law Review, Volume 54, 1997:616.*

წარმონაქმნს.⁷⁷ ასევე, დიგესტებში გაერთიანებული მისი შრომების არცერთ ნაწილში არ არის განხილული კორპორაცია პირად.⁷⁸

რომის სამართალი აღიარებდა რამდენიმე სახის გაერთიანებას, როგორც სამართლის სუბიექტს. კერძოდ: ა) ხაზინა (*“fiscus”*) - განიხილებოდა როგორც სამართლის სუბიექტი, რომელსაც გააჩნდა უფლებები და მოვალეობები, იმ ინდივიდების უფლებებისა და მოვალეობებისგან დამოუკიდებლად, რომლებიც ახორციელებდნენ მის უფლებამოვალეობებს. იგი განიხილებოდა ერთ წარმონაქმნად, მიუხედავად იმისა, რომ მისი სტრუქტურა აერთიანებდა ცალკეულ დანაყოფებს. ბ) საქველმოქმედო მიზნის მატარებელი კავშირი (*“pica causa”*), გ) გარდაცვლილი პირის ქონება, მემკვიდრეზე გადასვლამდე (*“haretidas jacens”*), წარმოადგენდა სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს. უფრო კონკრეტულად კი სამართალურთიერთობების შენარჩუნების მიზნით, ქონება შეიძლება განხილულიყო „კრედიტორად“ ან „მოვალედ“.⁷⁹

მიუხედავად იმისა, რომ რომის სამართალში იურიდიული პირის ცნება არ იყო სისტემურად დამუშავებული, *persona ficta* ფენომენის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორცაა სამართალსუბიექტობა, იყო აღიარებული. აღნიშნულის გამო, მიიჩნევა, რომ იურიდიული პირის კონცეფციას საფუძველი სწორედ რომის სამართალმა დაუდო.

1.1.1 “Societas” სამართლებრივი ბუნება

Societas – ამხანაგობა რომის სამართალში წარმოადგენდა ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც მონაწილეები კისრულობდნენ ვალდებულებას ქონების გაერთიანების გზით ეწარმოებინათ საერთო საქმე და მოგება, ისევე როგორც ზარალი გაენაწილებინათ ერთმანეთში.⁸⁰

Societas, ძირითადი მახასიათებლებია: 1. მონაწილეთა (*socius*) მხრიდან გარკვეული კონტრიბუციის განხორციელება. კონტრიბუციის სახით გამოიყენებოდა ქონება, უნარები, სამუშაო, ან მათი კომბინაცია. 2. ყველა მონაწილის თანხმობა. თუმცა არ იყო განსაზღვრული თანხმობის ფორმა. 3. კანონიერი და განხორციელებადი მიზანი.⁸¹ ხელშეკრულება იყო ორხმრივად მაგალდებულებელი, მხარეები შებოჭილნი იყვნენ კეთილსინდისიერების (*bonae fidei*) პრინციპით. თუკი მონაწილეთა წილი მოგებაში და ზარალში არ იყო შეთანხმებული, ივარაუდებოდა, რომ თითოეულს გააჩნდა თანაბარი წილი. თითოეულ მონაწილეს შეეძლო ესარგებლა და განეხორციელებინა ქონების ადმინისტრირება, თუმცა ერთობლივი საქმიანობას წარმართავდა ხელმძღვანელი (*socius*), რომელიც შეიძლება არც ყოფილიყო ხელშეკრულების მონაწილე.⁸²

⁷⁷ Budrick, The Principles of Roman Law, and Their Relation to Modern Law, 2004, 276.

⁷⁸ Budrick, The Principles of Roman Law, and Their Relation to Modern Law, 2004, 276.

⁷⁹ Budrick, The Principles of Roman Law, and Their Relation to Modern Law, 2004, 276.

⁸⁰ მეტრეველი, რომის სამართლის საფუძველები, 2005, 85; გარიშვილი, ხოფერი, რომის სამართალი, 2013, 428.

⁸¹ Buckland, A text Book of Roman Law from Augustus to Justinian, 3ed Ed. 1963, 508.

⁸² Buckland, A text Book of Roman Law from Augustus to Justinian, 3ed Ed. 1963, 508.

მოცემული სამართალურთიერთობა ყოველთვის არ აყალიბებდა მონაწილეთა საერთო საკუთრებას, თუმცა საზიარო სარგებლობის უფლება ყოველთვის ახასიათებდა. შესაბამისად, *Societas* არსი მდგომარეობდა არა საერთო საკუთრებაში, არამედ ქონების ერთობლივ გამოყენებაში.⁸³

რომის სამართალი იცნობდა *Societas* ხელშეკრულების რამდენიმე სახეს.⁸⁴ ყველაზე გავრცელებულ ხელშეკრულებას წარმოადგენდა *Societas alicuius negotiationis*, რომლის საფუძველზეც ხდებოდა ერთობლივი და განსაზღვრული კომერციული საქმიანობის განხორციელება. არსებობდა ასევე ხელშეკრულება - *Societas omnium bonorum quae ex quaestu veniunt*, რომელიც წარმოადგენდა გაერთიანებას ყველა ტრანზაქციის მიზნებისათვის. თუკი სახეზე იყო გაერთიანება, თუმცა არ არსებობდა მტკიცებულება თუ რომელი სახის ხელშეკრულება არსებობდა მონაწილეთა შორის, ივარაუდებოდა რომ სახეზე იყო სწორედ ეს ფორმა. მოგება, ისევე როგორც ზარალი ნაწილდებოდა გაერთიანების მონაწილეთა შორის. ხელშეკრულების ეს სახე გამოიყენებოდა ერთობლივი კომერციული საქმიანობისათვის. ხელშეკრულების შემდეგი სახე იყო *Societas omnium bonorum*, რომლის მიხედვითაც, მონაწილეთა მთელი ქონება ერთიანდებოდა, რის საფუძველზეც იქმნებოდა საერთო ფონდი.⁸⁵ ხელშეკრულების ბოლო სახე იყო *Societas unius rei*. აღნიშნული ხელშეკრულება იდებოდა ერთ კონკრეტული ტრანზაქციის განხორციელების მიზნით, რომელიც შეიძლება არც ყოფილიყო კომერციული ხასიათის. აღსანიშნავია, რომ ურთიერთობის ეს ტიპი საოჯახო სამართლის ნაწილი იყო და არ იყო დაკავშირებული სავაჭრო ურთიერთობებთან.⁸⁶

Societas არ იყო კორპორაციულად ორგანიზებული წარმონაქმნი. როგორც ხელშეკრულება, იგი წარმოადგენდა მისი მონაწილე მხარეების უფლებებისა და მოვალეობების სამართლებრივ წყაროს.⁸⁷ ამ სამართალურთიერთობის მიმართ ვრცელდებოდა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი. თუმცა სახელშეკრულებო თავისუფლება მაინც ექცეოდა გაკრვეულ ჩარჩოებში. კერძოდ, აკრძალული იყო ისეთი ხელშეკრულების დადება, რომლის ძალითაც ერთი პარტნიორი იდებოდა მოგებას, ხოლო მეორე კი მხოლოდ ზარალს.⁸⁸ აღნიშნულის გარდა, ამ ტიპის ხელშეკრულებას არ ახასიათებდა განუსაზღვრელი ვადა. გაერთიანება არსებობდა იქამდე სანამ მისი მონაწილეები არ შეწყვეტდნენ ხელშეკრულებას.⁸⁹ შესაბამისად, ამხანაგობიდან გასვლისათვის საჭირო იყო ხელშეკრულების შეწყვეტა. ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალება, წარმოადგენდა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.⁹⁰

ამდენად, იმის მიუხედავად, რომ *Societas* არ წარმოადგენდა ორგანიზებულ წარმონაქმს და სრულად არ ახასიათებდა კორპორაციის

⁸³ Buckland, A text Book of Roman Law from Augustus to Justinian, 3ed Ed. 1963, 507

⁸⁴ Buckland, A text Book of Roman Law from Augustus to Justinian, 3ed Ed. 1963, 507.

⁸⁵ Чиларж, Учебник Институций Римского Права, Часть I, Москва, 1906, 221.

⁸⁶ Zinnerman, The Law of Obligations, Roman Foundations of Civilian Traditions, 1996, 453.

⁸⁷ Новицкий, Римское право, Москва, 2009, 237.

⁸⁸ მეტრეველი, რომის სამართლის საფუძველები, 2005, 85;

⁸⁹ Zinnerman, The Law of Obligations, Roman Foundations of Civilian Traditions, 1996, 453.

⁹⁰ Zinnerman, The Law of Obligations, Roman Foundations of Civilian Traditions, 1996, 453.

კლასიკური ნიშნები, ის მაინც წარმოადგენდა პირთა და ქონების ერთი მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბებულ გაერთიანებას. შესაბამისად, იგი შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ერთობლივი კომერციული საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ მექანიზმად.

1.2 კორპორაციის განცალკევებული სამართალსუბიექტობის კონცეფციის განვითარება ევროპასა და აშშ-ში

პირი, როგორც სამართლის სუბიექტი, წარმოადგენს უფლებათა და მოვალეობათა მატარებელს.⁹¹ კორპორაციის განცალკევებული სამართალსუბიექტობა, ძირითადი წამაძღვარია იმ თეორიებისთვის, რომლებიც ადამიანისგან განსხვავებული „არსების“ გაპიროვნების - პერსონიფიკაციის შესაძლებლობას უშვებენ. თავის მხრივ, დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას, თითოეული თეორიის ფარგლებში, განნია თავისი ლოგიკური წანამძღვარი, რომელიც მას განაპირობებს. ამ გზით იქმნება ლოგიკური ჯაჭვი, რომელსაც, იურიდიული დოქტრინა, საბოლოოდ, თეორიას უწოდებს. კორპორაციის რაობის შესახებ განზოგადებული მსჯელობებიდან გამოყოფენ რამდენიმე ძირითად თეორიას.⁹²

ფიქციის თეორია ეფუძნება იდეას, რომ სამართლის ძალით შესაძლებელია ადამიანისთვის თანდაყოლილი უფლებაუნარიანობის გადატანა ისეთ წარმონაქმნზე, როგორცაა პირთა და ქონების გაერთიანება ერთ „არსებად“.⁹³ შესაბამისად, ეს თეორია იურიდიულ პირს ხელოვნურ, ფიქციურ წარმონაქმნად განიხილავს. იურიდიულ ლიტერატურაში ამ თეორიის ფუძემდებლად ფრიდრიხ კარლ ფონ სავინს

⁹¹ Dewey, The Historic Background of the Corporate Legal Personality, Yale Law Journal, Vol. 35, No. 6, 1926, 656.

⁹² მაგ., ფიქციის, კონცეფციის, მიზნობრივი ქონებისა და რეალური კავშირის თეორიები. იხ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის შესავალი ნაწილი, 2011, 224-228; კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 163-165; ასევე, განვითარდა თეორია, რომელიც კორპორაციას განიხილავს „მოქალაქედ“. ამ მოძღვრებამ, თავის მხრივ, საფუძველი დაუდო კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის ფენომენს (პირველად გამოქვეყნ. 1932 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის სამართლის მიმოხილვის ჟურნალში, იხ. *Dodd, For Whom Are Corporate Managers Trustees?*, 45 Harvard Law Review, 1145 (1932)); ასევე აგრეგატის თეორია; იხ. *მახარობლიშვილი*, მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამოიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი, №2, 2011, 99 და მომდევნო გვერდები; კორპორაციის, როგორც „მოქალაქის“ კონცეფციის საპირისპიროდ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი კონცეფცია ე.წ. „პარტნიორის უპირატესობის თეორია“ (“shareholder primacy theory”). ამ საკითხებზე დეტალურად იხ. *Millon, Theories of the Corporation*, 1990 Duke L.J. 201, 1990, 213-221; შეჯამებისთვის: კორპორაციების შესახებ მოძღვრებები შეიძლება განზოგადდეს ორ ძირითად მიმართულებად: პირველ ჯგუფში ექცევა თეორიები, რომლებიც ორიენტირებულია ქონების კონცეფციაზე, ხოლო მეორე ჯგუფში - სოციალური წარმონაქმნის კონცეფციაზე. ქონების კონცეფციის თანახმად, კორპორაცია განიხილება პარტნიორების კერძო საკუთრებად, რომლის მიზანიცაა პარტნიორების მოვების მაქსიმილიზაცია. სოციალური წარმონაქმნის კონცეფციის თანახმად კი, კორპორაციის მიზანია საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობა; *Garrett, The Corporation as Sovereign*, 60 Maine Law Review 129, 2008, 135.

⁹³ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის შესავალი ნაწილი, 2011, 224.

მიიხსენებენ.⁹⁴ თუმცა, იდეა, რომელსაც ეფუძნება ფიქციის თეორია, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, კერძოდ მე-13 საუკუნეში გაჩნდა, როდესაც რომის პაპმა ინოკენტე IV-მ გაერთიანებები უსულო „არსებებად“ შერაცხა.⁹⁵

ინოკენტე IV-ის მიერ განვითარებული მოძღვრების ფუნდამენტური მიდგომა მდგომარეობდა იმაში, რომ გაერთიანების შიდა ძალაუფლება უნდა მოქცეული გაერთიანების ხელმძღვანელის ხელში, რომელიც მოახდენდა უფლებამოსილების დელეგირებას სხვა წევრებზე, რომლებიც თავის მხრივ, პასუხისმგებელი იქნებოდნენ მის წინაშე.⁹⁶ აღსანიშნავია, რომ ინოკენტე IV-ის ამ მოძღვრების პარალელურად, კანონიკური სამართალში ასევე განვითარდა განსხვავებული პოზიცია, რომელიც უკავშირდება კარდინალ ჰოსტიენტის (1271 წ.) სახელს. მისი სწავლების თანახმად, სახეზე იყო არა დელეგირება არამედ, ერთობლივი განაწილება. კერძოდ, გაერთიანების წევრები და ხელმძღვანელი ინაწილებდნენ ძალაუფლებასა და პასუხისმგებლობას.⁹⁷ ანგლოამერიკულ იურიდიულ ლიტერატურაში, სწორედ ინოკენტე IV-ის მიერ განვითარებული მოძღვრება უსულო არსებების შესახებ მიიხსენიება ფიქციის თეორიის ფუნდამენტურ ელემენტად.⁹⁸

კონტინენტური ევროპის სამართლის პარალელურად, ფიქციის თეორიას ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებშიც ავითარებდნენ. ინგლისის სასამართლოს სახაზინო პალატამ 1612 წელს განიხილა *The Case of Sutton's Hospital* (სატონის ჰოსპიტალის საქმე), სადაც მოსამართლე ედვარდ ქოუქმა დაადგინა, რომ კორპორაცია არის უხილავი, უკვდავი და იგი არსებობს მხოლოდ სამართლის თვალში.⁹⁹ ამ მოსაზრებამ იურიდიულ ლიტერატურაშიც მოიკიდა ფეხი. 1793 წელს ინგლისში გამოიცა ცნობილი შოტლანდიელი იურისტის სტუარტ კიდის ტრაქტატი კორპორაციათა სამართლის შესახებ, სადაც ავტორი აღნიშნავდა, რომ კორპორაცია, ინდივიდების გაერთიანება ერთ „სხეულში“, არის სპეციალურ მმართველობას დაქვემდებარებული, ხელოვნურ ფორმაში მოქცეული უკვდავი წარმონაქნი, რომელიც სამართლის ძალით აღჭურვილია ინდივიდის მსგავსი უფლებაუნარიანობით, ისეთ საკითხებში როგორცაა საკუთრება, სახელშეკრულებო ვალდებულებები, სრული საპროცესო უფლებაუნარიანობა, პრივილეგიები და იმუნიტეტი ზოგადად.¹⁰⁰ აღსანიშნავია, რომ კიდი კორპორაციას პოლიტიკური უფლებების მატარებლადაც მოიაზრებდა.¹⁰¹

ფიქციის თეორიაზეა დამყარებული ინგლისის ლორდთა პალატის 1987 წლის ცნობილი გადაწყვეტილება *Saloman v. A Saloman & Co*, რომელიც ინგლისში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ათვლის წერტილად

⁹⁴ ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, 210.

⁹⁵ Deway, The Historic Background of Corporate Personality, 35 Yale L.J 655, 1925-1926, 665; ეს იდეა ატარებდა კათოლიკური ეკლესიის პოლიტიკას, რომლის თანახმადაც, ეკლესიური კოლექციები არ აგებდნენ პასუხს დელიქტისთვის, რადგანაც მათ არ ჰქონდათ სხეული და საკუთარი ნება.

⁹⁶ Brundage, Medieval Canon Law, 2014, 201.

⁹⁷ Brundage, Medieval Canon Law, 2014, 201.

⁹⁸ Deway, The Historic Background of Corporate Personality, 35 Yale L.J 655, 1925-1926, 665;

⁹⁹ The Case of Sutton's Hospital, (1612) 77 Eng Rep 960; ix. *Machen*, Corporate Personality (II), Harvard Law Review, Vol. 24, No. 5 (Mar., 1911), 348.

¹⁰⁰ Kyd, Treatise on Law of Corporations, 1793, 12-19.

¹⁰¹ Kyd, Treatise on Law of Corporations, 1793, 18.

მიიხსენება.¹⁰² ამ საქმეში, გადამწყვეტ გარემოებად იქცა ფაქტი, რომ კორპორაცია დაფუძნებული იყო კანონმდებლობის (Company Act 1862) დაცვით. სწორედ ამ გარემოებაზე დაყრდნობით, ლორდმა პელსბერიმ, დაადგინა, რომ სამართლის თვალში, კორპორაცია თავისი ხელოვნურობის მიუხედავად, იქცა წევრებისგან დამოუკიდებელ და განცალკევებულ სუბიექტად.

ინგლისის მსგავსად, აშშ-ს სასამართლოებიც ეყრდნობოდნენ ფიქციის თეორიას, კონცესიის თეორიასთან კომბინაციაში. მოსამართლე ქოუჩის ზემოთაღნიშნული მიხედვლება თითქმის ორი საუკუნის შემდეგ საფუძვლად დაედო აშშ-ს უზნაესი სასამართლოს ერთერთ უმნიშვნელოვანეს საქმეს, რომელიც ეხებოდა იურიდიული პირის სამართლებრივი რაობის განსაზღვრას. კერძოდ, 1819 წელს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განიხილა *Trustees of Dartmouth College v. Woodward*-ის საქმე, სადაც კორპორაცია მოხსენიებულია ხელოვნურ უხილავ და ხელშეუხებელ წარმონაქმნად, რომელსაც გააჩნია მხოლოდ სადამფუძნებლო აქტით მისთვის მინიჭებული თვისებები.¹⁰³ ეს პოზიცია ემყარება კონცესიის თეორიას, რომლის თანახმადაც, სამართლის თვალში, კორპორაციის პერსონიფიკაცია უფლებამოსილი პირის მიერ კონცესიის (ნებართვის) გაცემის საფუძველზე ხდება.¹⁰⁴

კონცესიის თეორიამ ასევე გადამწყვეტი გავლენა იქონია აშშ-ის უზენაესი სასამართლოს 1880 წლის გადაწყვეტილებაზე საქმეში *Graham v. Railroad*.¹⁰⁵ გადაწყვეტილების თანახმად, კორპორაცია განცალკევებული წარმონაქმნია. მართალია, იგი იმართება, დირექტორების მიერ, თუმცა სამართლისთვის ის ისეთივე დამოუკიდებელი სუბიექტია, როგორც ინდივიდი, მას ისევე შეუძლია გააჩნდეს საკუთრება (თუკი ეს გათვალისწინებულია მისი წესდებით), როგორც ფიზიკურ პირს.

თავის მხრივ, კონცესიის თეორია მჭიდროდ არის დაკავშირებული სპეციალური უფლებაუნარიანობის ცნებასთან ე.წ. “*ultra vires*” დოქტრინასთან,¹⁰⁶ რომლის თანახმადაც კორპორაციას არ შეეძლო ისეთ ხელშეკრულების დადება, რომელიც სცილდებოდა კონცესიით გათვალისწინებული მიზნების ფარგლებს. თუმცა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან დოქტრინამ დაკარგა აქტუალობა აშშ-ი, ხოლო მეოცე საუკუნის პირველ დეკადაში პრაქტიკულად გაუქმდა, რასაც საფუძვლად დაედო აშშ-ს უზენაესი სასამართლოს 1910 წლის გადაწყვეტილებები.¹⁰⁷

¹⁰² *Salomon v A Salomon & Co Ltd* [1897] AC 22; *Cheng*, A Comparative Study of The English and The U.S. Corporate Veil Doctrine, Boston Collage International and Comparative Law Review, Vol.34, 2011, 334.

¹⁰³ ეს მიხედვლება ეკუთვნის მოსამართლე მარშალს, რომელიც არაერთხელ გამხდარა ციტირებული სხვა გადაწყვეტილებებსა თუ იურიდიულ ლიტერატურაში, იხ. *Jones*, A Corporation as a Distinct Entity, 2 *Caunsellor* 78, 1892-1983, 79; *Bevans*, Business Organizations and Corporate Law, 2007, 159; *მახარობლიშვილი*, მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამოიჯენა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი, №2, 2011, 88.

¹⁰⁴ *Bevans*, Business Organizations and Corporate Law, 2007, 80.

¹⁰⁵ *Graham v. Railroad Company*, 102 U.S. 148 (1880).

¹⁰⁶ ეს დოქტრინა მოქმედებდა ინგლისშიც იხ. *კანტურია*, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, 228.

¹⁰⁷ *Southern Ry. v. Greene*, 216 U.S. 400, 416-17 (1910); *Ludwig v. Western Union Tel. Co.*, 216 U.S. 146, 164 (1910); *Western Union Tel. Co. v. Kansas*, 216 U.S. 1, 18 (1910); *Pullman Co. v. Kansas*, 216 U.S. 56 (1910); ასევე იხ. *Hortwitz*, Santa Clara Revisited: The Development of Corporate Theory, 88 *West Wirginia Law Reviv*, 173;

1.2.1 პირთა გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში

საქართველოში ადრეულ შუა საუკუნეებში უკვე არსებობდა წევრობაზე დაფუძნებული სხვადასხვა გაერთიანებები.¹⁰⁸ ივანე ჯავახიშვილი ასეთ გაერთიანებებს შორის მოიხსენიებს როგორც ვაჭართა და ხელოსანთა ორგანიზაციებს, ასევე სამონასტრო ძმობასაც.¹⁰⁹ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მათ ახასიათებდათ კორპორაციების ისეთი კლასიკური ნიშნები, როგორცაა ორგანიზებულობა (განსაკუთრებული შიდა წყობილება) განსაზღვრული წესების მიხედვით საქმიანობა, პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, მათ კორპორაციებად მოიხსენიებს. მისი მოსაზრებით, ისტორიულად, კორპორაციები, წარმოადგენდნენ თვითმართველ ორგანიზაციებს, შესაბამისად, ამ ორგანიზაციების მარეგულირებელი წესების ძირითად თავისებურებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ იგი წევრთა განუსაზღვრელი წრის ან საერთო მიზნებით შეკავაშირებული ყოფაცხოვრებისა და მოღვაწეობის მოსაწერიგებლად იყო განკუთვნილი.¹¹⁰

შუა საუკუნეების კორპორაციებს გააჩნდათ ორგანიზებულობის გარკვეული ხარისხი, რაც ძირითადად იერარქიულ დაქვემდებარებაში ვლინდებოდა. კერძოდ, ყოველ კორპორაციას, როგორც ძმობას, ასევე ვაჭართა/ხელოსანთა გაერთიანებას, ჰყავდა თავისი თავმჯდომარე.¹¹¹ თავმჯდომარის მთავარი ფუნქცია წარმომადგენლობაში ვლინდება, რადგანაც სწორედ მას ეკისრებოდა თავისი თანამეხელობეთა და ხელობის ინტერესის დაცვა ხელისუფალთა წინაშე.¹¹²

რაც შეეხება სამონასტრო ძმობას, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, გაერთიანების ამ ფორმას ასევე ახასიათებდა კორპორაციის ნიშნები. კერძოდ, კრებულობითი მართვა-გამგეობის წესი და თანამდებობის პირთა არჩევის გზით დანიშვნა. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სამონასტრო ცხოვრების განვითარების შედეგად, ძმობის ქონების მესაკუთრედ იქცა „კრებული ყოველთა ძმათაი“. შუა საუკუნეების საკორპორაციო სამართალს ასევე ახასიათებდა ერთიანობის პრინციპიც, კერძოდ, ძმობა მრავალწევრობიანობის მიუხედავად აღიქმებოდა ერთ სხეულად.¹¹³

განხილული ნიშნების ჭრილში, ზემოთ დასახელებული გაერთიანებების, უმეტესად კი სამონასტრო ძმობის მარეგულირებელი წესები, გარკვეულ მსგავსებას ავლენს დასავლეთ ევროპაში, კანონისტების მიერ მე-11 საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარებულ

¹⁰⁸ ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია II ნაწილი, ნაკვეთი II, 1929, 207.

¹⁰⁹ ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია II ნაწილი, ნაკვეთი II, 1929, 208.

¹¹⁰ ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია II ნაწილი, ნაკვეთი II, 1929, 208.

¹¹¹ სამონასტრო ძმობის თავმჯდომარეს მამასახლის ან „წინამძღვარს“ ეძახდნენ, ვაჭართა კორპორაციების უფროსს „ვაჭართ-უხუცესს“, ხოლო ხელოსანთა ამქრის უფროსებს, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, ეწოდებოდა „გახოტ-უხუცესი ან ხუროთა-უხუცესი მერმინდელი სპარსულ-თურქული „უსტაბაში“-ს მაგიერ“.

¹¹² აღსანიშნავია, რომ ვეფხისტყაოსანში აღწერილია ვაჭართ უხუცესების მზადება ნავროზობასთან დაკავშირებულ დარბაზობისთვის.

¹¹³ ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია II ნაწილი, ნაკვეთი II, 1929, 212.

მოძღვრებასთან, რომლის თანახმად, იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო შიდა ავტონომია და არჩეული ორგანოები, ხოლო გაერთიანების სახელით მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებისათვის საგაღდებელი იყო ერთსულოვნება.¹¹⁴

აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, ზემოთგანხილული მსგავსება არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი. ამ მსგავსების მიზეზად იგი ასახელებს განვითარების საერთო საფუძველს და წყაროს. ხოლო ასეთ წყაროდ მიიჩნევს რომის სამართალს. შესაბამისად, ქართულ საკორპორაციო სამართალს, ასევე დასავლეთ ევროპული კანონიკური სამართალს განიხილავს რომის სამართლის მემკვიდრეობად.¹¹⁵

1.3 კორპორაციის სახელშეკრულებო თეორია

მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ნეოკლასიკურ ეკონომიკურ მიდგომებზე დაყრდნობით, განვითარდა კორპორაციის ახალი ეკონომიკური თეორია, რომელიც კორპორაციას განიხილავს როგორც *“nexus of contacts”*¹¹⁶ - ორმხრივად მავალდებულებელ შეთანხმებების ერთობლიობად. ეს მახასიათებელი გამოიყენება იმისთვის, რომ ხაზი გაესვას შიდასამართლებრივი ურთიერთობების სახელშეკრულებო ხასიათს კორპორაციასა და მის მენეჯერებს ან დასაქმებულებს შორის, ვიდრე თავად კორპორაციის ხელშეკრულებად კვალიფიკაციას.¹¹⁷ ამ თეორიის მიხედვით, კორპორაციის გაპიროვნება სამართლებრივი ფიქციაა, რომელიც ფაქტობრივ რეალობაში არ არსებობს.¹¹⁸ შესაბამისად, ამ თეორიის მტკიცების საგანი არ არის, ის რომ კორპორაცია, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, არ არსებობს სამართლებრივ რეალობაში. შესაბამისად, სამართლებრივ რეალობაში არ ხდება კორპორაციის დამოუკიდებელისუბიექტობის, როგორც ძირითადი მახასიათებლის ელიმინაცია. ამ გარემოების გათვალისწინებით, თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ კორპორაცია არის არა *“nexus of contracts”*, არამედ *“nexus for contracts”*, იმ გაგებით, რომ კორპორაცია მოქმედებს, როგორც სუბიექტი იმ მრავალ

¹¹⁴ ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია II ნაწილი, ნაკვეთი II, 1929, 213.

¹¹⁵ ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია II ნაწილი, ნაკვეთი II, 1929, 213.

¹¹⁶ *“Nexus of contacts”* კონცეფცია პირველად გამოქვეყნდა 1976 წელს ჯენსენისა და მექლინგის ნაშრომში: *The Theory of the Firm, Managerial Behavior, Agency Costs and Ownership Structure*, *Journal of Financial Economics*, October, 1976, V. 3, No. 4, თუმცა, ამ თეორიის საფუძველები შეიძლება მოიძებნოს რონალდ ქოუსის 1937 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, „ფირმის ბუნება“. იხ. *Coase, “The Nature of the Firm”*, 4 *Economic* 386, 1937.

¹¹⁷ *Hayden, Bodie, The Uncorporation and the Unraveling of “Nexus of Contract” Theory*, *Michigan Law Review*, Vol. 109, 2011, 1127.

¹¹⁸ *Jensen, Meckling, The Theory of the Firm, Managerial Behavior, Agency Costs and Ownership Structure*, *Journal of Financial Economics*, October, 1976, V. 3, No. 4, 310-311.

ხელშეკრულებებში, რომელიც იდება კორპორაციასა და დასაქმებულებს ან მომხმარებლებს შორის.¹¹⁹

1.4 ქონების დემარკაცია

ქონების დემარკაციის კონცეფცია უკავშირდება კორპორაციის სამართლებრივი განცალკევებულობის უზრუნველყოფას. ქონების დემარკაციის ცნების თანახმად, კორპორაციის ქონება განცალკევებული უნდა იყოს იმ ქონებისგან, რომელსაც კორპორაციის პარტნიორები შეიძლება ფლობენ ერთობლივად ან ცალცალკე.¹²⁰

ქონების განცალკევებით იქმნება ორი სამართლებრივი ბერკეტი: “*entity shielding*” (ორგანიზაციული დაცულობა) და “*owner shielding*” (მესაკუთრის დაცულობა).¹²¹

იურიდიული პირის უნარი იყოს მესაკუთრე, სრულად ვრცელდება კორპორაციაზე. შესაბამისად, კორპორაციას აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ან გაასხვისოს ქონება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოთხოვნათა აღსრულების პროცესში ხელმისაწვდომი გახადოს თავისი ქონება კრედიტორებისთვის. სანაცვლოდ, კორპორაციის ქონება ხელმიუწვდომელია თავად პარტნიორების პირადი კრედიტორებისთვის. განცალკევებულების ამ სამართლებრივ შედეგს “*entity shielding*” – ორგანიზაციული დაცულობა ეწოდება.¹²² კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, იგი წარმოადგენს პარტნიორის ქონებრივი ინტერესების დაცვისთვის განკუთვნილ ბერკეტს.

“*Entity shielding*” იცავს კორპორაციის ქონებას დამფუძნებელთა კრედიტორებისაგან, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობა კი იცავს დამფუძნებლებს ამ კომპანიის კრედიტორთა მოთხოვნებისაგან.¹²³ ერთად ისინი ქმნიან „ქონების დაყოფის“ განსაკუთრებულ რეჟიმს, როდესაც ბიზნესის ქონებით ხდება ბიზნესის კრედიტორების უზრუნველყოფა, ხოლო ბიზნესის მესაკუთრეთა პირადი ქონება განკუთვნილია ამ მესაკუთრეთა პირადი კრედიტორებისათვის. ამ კონცეფციის მთავარი არგუმენტი ისაა, რომ ქონების დემარკაცია ზრდის ორივე ტიპის ქონების გადახდის უნარიანობას.¹²⁴

უნდა აღინიშნოს, რომ ქონების დემარკაციის კონცეფცია, როგორც კორპორაციათა მარეგულირებელი ძირითადი პრინციპი, აღიარებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. კერძოდ, 1998 წლის გადაწყვეტილებში, საკონსტიტუციო სასამართლომ

¹¹⁹ *Armour, Hansman, Kraakman*, The Essential Elements of A Corporate Law: What is Corporate Law, Discussion Paper No. 643, 7/2009, Harvard Law School, 6.

¹²⁰ *Hansmann, Kraakman, Squire*, Law and Rise of the Firm, Harvard Law Review, Vol. 119, No 5, 2006, 1337.

¹²¹ *Hansmann, Kraakman, Squire*, Law and Rise of the Firm, Harvard Law Review, Vol. 119, No 5, 2006, 1337.

¹²² *Hansmann, Kraakman, Squire*, Law and Rise of the Firm, Harvard Law Review, Vol. 119, No 5, 2006, 1338.

¹²³ *Armour, Hansman, Kraakman*., The Essential Elements of A Corporate Law: What is Corporate Law, Discussion Paper No. 643, 7/2009, Harvard Law School, 9.

¹²⁴ *Armour, Hansman, Kraakman*., The Essential Elements of A Corporate Law: What is Corporate Law, Discussion Paper No. 643, 7/2009, Harvard Law School, 9.

ცალსახად დაადგინა, რომ იურიდიული პირის ქონებაზე საკუთრების უფლება თავად იურიდიულ პირს, როგორც სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს, ეკუთვნის.¹²⁵ ეს მიდგომა, ასევე გვხვდება ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში იმაზე მითითებით, რომ პარტნიორი, თავის მხრივ, არც იურიდიული პირის და არც მისი ქონების მესაკუთრე არ არის.¹²⁶

კონცეპტუალურ დონეზე, სწორედ ქონების დემარკაციის პრინციპის დარღვევა ამართლებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის უკუგდების და გამჭოლი პასუხისმგებლობის შეფარდების აუცილებლობას. როგორც აღინიშნა, ქონების დემარკაციის შედეგად იქმნება ქონების დაყოფის სპეციალური რეჟიმი. ასეთ რეჟიმში, პარტნიორის პასუხისმგებლობის შეზღუდვა გამართლებულია, რადგანაც საკუთრება და მასზე კონტროლი გამიჯნულია. ხოლო, როცა პარტნიორი ისეთი ხარისხითა და ინტენსივობით არღვევს ქონებრივი განცალკევებულობის მოთხოვნას, რომ ასევე ირღვევა ქონების დაყოფის ის რეჟიმიც, რომელშიც დაცული იქნებოდა კრედიტორის ინტერესიც, აღარ არსებობს მოცემულობა, რომელიც გაამართლებდა პარტნიორის ორგანიზაციულ დაცულობას და შესაბამისად, პარტნიორისთვის შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე პრივილეგიის მინიჭებას.

2. იურიდიული პირის თვისობრივი მახასიათებლები და მათი მიმართება დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობასთან

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ კორპორაციის კლასიკური ცნების რამდენიმე ნიშანს. ესენია: დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა, საპროცესო უფლებაუნარიანობა, უნარი იყოს მესაკუთრე, უნარი თავად შექმნას ქცევის წესი, რომელსაც დაემორჩილება და არსებობის განუსაზღვრელი ვადა.¹²⁷ რა თქმა უნდა კორპორაციას გააჩნია ყველა ჩამოთვლილი ნიშანი, თუმცა ისინი არ წარმოადგენენ ერთი დონის კატეგორიებს. კორპორაციასთან ამ ნიშნების დაკავშირება, ლოგიკური ბმის გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება ამ ცნებათა თანმიმდევრობაში დამოუკიდებელი სუბიექტის კონცეპტის ჩართვით. ამდენად, კორპორაციის ძირითადი ნიშანია დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა, რომლიდანაც გამომდინარეობს ყველა დანარჩენი. სხვა სიტყვებით, ნიშნები, რომლებიც მიიჩნევა კორპორაციის მახასიათებლად, გამომდინარეობს არა კორპორაციის ცნებიდან, არამედ დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ცნებიდან, რადგანაც მხოლოდ სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს ზემოთ ჩამოთვლილი უნარის მატარებელი. ამდენად, აღნიშნული მახასიათებლები გამომდინარეობენ დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ცნებიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ დამოუკიდებლობის მიღწევას ფაქტობრივ რეალობაში. დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს კორპორაციის ცნებას.

¹²⁵ საქ. საკონსტიტუციო სას. 1998 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/36-7.

¹²⁶ *ზოდუ*, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, 2007, 115.

¹²⁷ *Bevans, Business Organizations and Corporate Law*, 2007, 159.

ზოგი მეკლესარი, კორპორაციის ატრიბუტად ასევე განიხილავს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპს.¹²⁸ თუმცა, ეს რეკვიზიტი არ წარმოადგენს არც ზოგადად იურიდიული პირის და არც კონკრეტულად კორპორაციის განუყოფელ და მითუმეტეს აბსოლუტურ ატრიბუტს. სამართლის თვალში, დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა შეიძლება არსებობდეს შეუზღუდავი პასუხისმგებლობის პირობებშიც, რასაც ადასტურებს შემდეგი არგუმენტაცია: პირველი, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა ინგლისში არის იურიდიული პირი, დამოუკიდებელი და განცალკევებული¹²⁹ თუმცა, პირველს გარესამართლებრივი ურთიერთობებში შეუზღუდავი, ხოლო მეორეს ნაწილობრივ შეზღუდული პასუხისმგებლობა ახასიათებს.¹³⁰ მეორე, კანონი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის „უკუგდების“ შესაძლებლობას იურიდიული პირის ლიკვიდაციის გარეშე. ამის შესაძლებლობა გათვალისწინებულია, ერთი მხრივ, მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით, და, მეორე მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსის 205¹-ე მუხლით, რომელიც ადგენს ხელმძღვანელებლობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მის მიერ საზოგადოების ქონების კრედიტორების საზიანოდ გადამალვის შემთხვევაში. ასეთი ქმედებისათვის იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, იძულებითი ლიკვიდაციის სახით, არ არის დადგენილი კანონმდებლობით. შესაბამისად, შესაძლებელია კორპორაციული საფარველის გაჭოლვა და დაცულ პირთა პასუხისმგებლობის მიღწევა, კორპორაციის სამართალსუბიექტობის შეწყვეტის გარეშე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კანონის თვალში, შეზღუდული პასუხისმგებლობა არ არის კორპორაციის ცნების განუყოფელი მახასიათებელი.

3. კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემა

სისხლის სამართლისგან განსხვავებით, რომელიც დანაშაულის კრიმინალიზაციის გზით აწესებს პასუხისმგებლობას არამართლოზმიერი ქმედებისთვის, კერძო სამართალი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იმგვარად, რომ არ ახდენს თავად პასუხისმგებლობის გამომწვევი ქმედების კრიმინალიზაციას. კერძო სამართალი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმადაც ჰორიზონტალურ

¹²⁸ Armour, Hansman, Krakmaan, The Essential Elements of A Corporate Law: What is Corporate Law, Discussion Paper No. 643, 7/2009, Harvard Law School, 9; ასევე, მახრობლიშვილი, მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი, №2, 2011, 115.

¹²⁹ შეად, ჟორია, საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, სტატიათა კრებულში: საკორპორაციო სამართლის კრებული, რედ. ბურდული ი., 2011, 22-24. Limited Liability Partnerships Act 2000.

¹³⁰ უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია სპს-ს პარტნიორებმა გარე ურთიერთობებშიც შეიზღუდონ პასუხისმგებლობა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გზით. თუმცა პასუხისმგებლობის დაზღვევაც, კორპორაციული პასუხისმგებლობის შეზღუდვის მსგავსად, არ არის აბსოლუტური, იგი შეზღუდული სადაზღვეო სამართლის ფუნდამენტური პრინციპით, რომლის თანახმადაც სადაზღვეო შემთხვევებზე ანაზღაურდება, თუკი განზრახი ბრალით მოხდა მისი გამომწვევა.

ურთიერთობებში მყოფი პირები თავად წყვეტენ პასუხისმგებლობის საკითხს. მაგალითისთვის გამოდგება პასუხისმგებლობა სახელმწიფოებო ვალდებულების დარღვევისათვის. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა არ იწვევს ავტომატურ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაშიც თუ ვალდებულების დარღვევისასთვის გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო, სანამ კრედიტორი არ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას ან პირგასამტეხლოს გადახდას, მოვალის ქონებრივი პასუხისმგებლობა ფაქტობრივად არ დგება. სხაგვარად, მოვალის პასუხისმგებლობას იწვევს კრედიტორის მიერ მოთხოვნის განხორციელება, თუმცა კრედიტორს გააჩნია მოთხოვნის უფლება და არა მოთხოვნის ვალდებულება.

3.1 კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემის პრინციპები

კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემა ეფუძნება პრინციპებს, რომლებიც იმდენად ზოგადია, რომ საერთოა მეტნაკლებად ყველა სამართლებრივი ოჯახისათვის და ამავროულად, ისეა შეზარდობული თავად პასუხისმგებლობის სისტემასთან, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ხშირად გაუცნობიერებლად მისდევენ მას.¹³¹

3.1.1 აღსრულების მიქცევა მხოლოდ ქონების მიმართ

პირისთვის კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებით აღსასრულებად მიქცევა გულისხმობს აღსრულებას მოვალის ქონებიდან, თავად მოვალე პასუხისმგებლობაში არ მიეცემა. აღმასრულებელი მოახდენს ქონების რეალიზაციას, თუმცა თავად მოვალის თავისუფლებას არავინ შეეხება, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მისი ქონება არ იქნება საკმარისი ვალდებულების დასაფარად.¹³² ეს წესი თანაბრად ვრცელდება, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზეც. კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის კონცეფცია უზრუნველყოფს ამ წესის გავრცელებას იურიდიულ პირებზე.

3.1.2 აღსრულების მიქცევა მხოლოდ მოვალის ქონების მიმართ

კრედიტორი უფლებამოსილია აღსრულებას მიაქციოს მხოლოდ გადაწყვეტილებაში მოვალედ მითითებული პირის ქონება. ისტორიულად ეს პრინციპი ითვალისწინებდა გამონაკლისს, რომლის ძალითაც აღსრულების მიზნით რეალიზაციას ექვემდებარებოდა მოვალის მეუღლის ან ოჯახის წევრების ქონებაც.¹³³ თუმცა მეოცე საუკუნიდან ამ

¹³¹ Lopucki, The Death of Liability, 106 Yale L.J.1, 1996, 9.

¹³² Lopucki, The Death of Liability, 106 Yale Law Journal 1, 1996, 9. აღმასრულებლისთვის წინააღმდეგობის გაწევა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის ხელისშემშლად არ იგულისხმება, ასეთი ქმედება, როგორც წესი კრიმინალიზებულია, მათ შორის საქართველოშიც, იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 381-ე მუხლი.

¹³³ Lopucki, The Death of Liability, 106 Yale Law Journal 1, 1996, 10.

პრინციპის სასარგებლოდ ერთმნიშვნელოვანი მიდგომა ჩამოყალიბდა, მეუღლეთა განცალკევებული საკუთრების სახით. ანალოგიური წესი მოქმედებს კორპორაციების მიმართაც.¹³⁴ იმ ფიქციის ძალით, რომ კორპორაცია დამოუკიდებელი სუბიექტია, პარტნიორი პასუხს არ აგებს კორპორაციის ვალდებულებების. თუკი მოვალე პარტნიორია, აღსრულებას შეიძლება მიექცეს მისი წილი, მაგრამ არა ამ წილის ექვივალენტი ქონება, რომელიც კორპორაციის საკუთრებას წარმოადგენს.

3.1.3 ქონების თავისუფალი განკარგვა

მოვალე უფლებამოსილია გაასხვისოს თავისი ქონება ან გამოიყენოს ვალდებულების შესასრულებლად სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების საბოლოოდ გამოტანამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ქონება კანონმდებლობის შესაბამისად არ არის დაყადაღებული.¹³⁵

3.1.4 საგამონაკლისო ქონება

თითქმის ყველა სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს მინიმუმ ერთი კატეგორიის ქონებას მაინც, რომელიც არ მიექცევა აღსასრულებლად. ამ პრინციპს საფუძვლად უდევს შეხედულება, რომლის თანახმადაც, მოვალის პირადი ცხოვრების ხარისხი არ უნდა გაურესდეს იმგვარად, რომ მის არსებობას შეექმნას საფრთხე.¹³⁶ ქართული კანონმდებლობით საგამონაკლისო ქონების დაცვის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ ფიზიკური პირები.¹³⁷

3.1.5 აღსრულება, მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ

კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემის უმნიშვნელოვანი პრინციპია, რომ სანამ გადაწყვეტილება პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ არ შევა კანონიერ ძალაში მისი აღსრულება არ იწყება კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.¹³⁸

როგორც ვხედავთ დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ძალით, კორპორაციაზე ვრცელდება არსებითად იგივე კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპები, როგორც

¹³⁴ *Lopucki, The Death of Liability*, 106 *Yale Law Journal* 1, 1996, 10.

¹³⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

¹³⁶ *Lopucki, The Death of Liability*, 106 *Yale Law Journal* 1, 1996, 12.

¹³⁷ საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ, 45-ე მუხლი.

¹³⁸ *Lopucki, The Death of Liability*, 106 *Yale L.J.*, 1996, 12. თუმცა ეს წესი, ზოგადად ითვალისწინებს გამონაკლისს, რომელიც დაიშვება ისეთ შემთხვევაში, როცა გასაჩივრება ვერ გააუქმებს სამართლებრივ ფაქტს. მაგ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეაჩერებს აქციათა გადაფორმების პროცედურებას. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 309¹⁵-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

ფიზიკური პირზე და უმეტეს შემთხვევაში, კორპორაცია სარგებლობს ანალოგიური პრივილეგიებით.

3.2 პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ადგილი კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემაში

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი კერძოსამართლებრივი სისტემის ნაწილია. შესაბამისად, იგი არის არა კონკრეტულად კორპორაციათა მარეგულირებელი სამართლის მონაპოვარი, არამედ მთლიანად კერძო სამართლის სისტემისთვისაა დამახასიათებელი. პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი გამორიცხავს ერთი სუბიექტის პასუხისმგებლობას, ადგენს რა ამ სუბიექტის ქმედებისათვის სხვა სუბიექტის პასუხისმგებლობას. კერძო სამართალში, ამ პრინციპს რამდენიმე გამოვლინება აქვს. პირველი, იგი გამორიცხავს ერთი სუბიექტის პასუხისმგებლობას და განსაზღვრავს ვალდებულებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც მართალია უშუალოდ არ არის ქმედების განმახორციელებელი, თუმცა სამართლის ძალით სწორედ მას მიეწერება პასუხისმგებლობის გამომწვევი ქმედება. კორპორაციის პასუხისმგებლობის დროს სწორედ ეს შემთხვევაა სახეზე.

მეორე, იგი გამორიცხავს ერთი სუბიექტის პასუხისმგებლობას და ადგენს მეორე სუბიექტის პასუხისმგებლობას, იმგვარად რომ არ მიაწერს მას ქმედებას, თუმცა სამართლის ძალით მეორე სუბიექტს თვლის ქმედების განმახორციელებელი პირის “მეთვალყურედ”. პასუხისმგებლობის შეზღუდვის ეს ვერსია მოქმედებს დელიქტურ სამართალში, კერძოდ არასწრულწლოვანის ან მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მიმართ, და ასევე გვხვდება მარწმუნებელ-რწმუნებულს შორის ურთიერთობაში.¹³⁹ მესამე გამოვლინება გვხვდება სახელშეკრულებო ურთიერთობებში, იგი გამორიცხავს ერთი სუბიექტის პასუხისმგებლობას და ადგენს მეორე სუბიექტის პასუხისმგებლობას, ამ ორს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამის მაგალითია, დაზღვევის ხელშეკრულება, როცა სადაზღვეო პრემიის გადახდის სანაცვლოდ პირი იზღუდავს პასუხისმგებლობას მესამე პირების წინაშე. აღნიშნულის გარდა, პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფენომენის გამოვლინება ასევე გვხვდება სანივთო სამართალშიც. მაგალითად, იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნა ითვლება დაკმაყოფილებულად, მიუხედავად, იმისა ფარავს თუ არა ამონაგები თანხა მოთხოვნის მოცულობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული დანაწესი წარმოადგენს მოვალის პასუხისმგებლობის კანონისმიერი შეზღუდვის მაგალითს, რადგანაც, მოვალის მიერ ქონების მასიდან ერთი (ან რამდენიმე) კონკრეტული ნივთის გამოყოფითა და უზრუნველყოფით იცავს ქონების დარჩენილ ნაწილს პასუხისმგებლობის მიქცევისგან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი არ არის კუმულაციური ხასიათის. შესაძლებელია მხარეებმა დათქვან, რომ იმ შემთხვევაში თუკი კონკრეტული ნივთიდან ამონაგები თანხა არ არის საკმარისი, აღსრულება მიექცევა მოვალის სხვა ქონებაზეც. ს წესი

¹³⁹ მაგ., სსკ-ის 994-ე და 995-ე მუხლები.

საჭიროებს წინასწარ შეთანხმებას და ხელშეკრულებაში ასახვას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმოქმედებს კანონის დანაწესი, რომლის თანახმადაც მოვალის პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე შეზღუდულია, მხოლოდ იპოთეკით უზრუნველყოფილი კონკრეტული ნივთით.

თუმცა არცერთი ეს გამოვლინება თავისი არსით არ არის უღიმიტო. დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრივილეგიით ქმედების განმასორციელებელი პირი ვერ ისარგებლებს, თუკი მან განზრახი მართლაწინააღმდეგო ქმედებით გამოიწვია ზიანი.¹⁴⁰ დელიქტურ სამართალში, მართალია არასრულწლოვანის ან მხარდაჭერის მიმღები პირის პასუხისმგებლობა რჩება შეზღუდული, მაგრამ, მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის სანაცვლო პასუხისმგებლობა არ დგება, თუკი ამ უკანასკნელს არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ზიანი.¹⁴¹ ანალოგიურად, საკორპორაციო სამართალშიც, პარტნიორთა პასუხისმგებლობას განაპირობებს მათი ქმედება.

ამდენად, რომ შევაჯამოთ, კერძო სამართალი პასუხისმგებლობის შეზღუდვიდან გამომდინარე პრივილეგიით სარგებლობას უკავშირებს კეთილსინდისიერებისა და სათანადო გულისხმიერების სტანდარტების დაცვას. ამ იდეით უნდა შეიზღუდოს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი საკორპორაციო სამართალშიც.

3.2.1 პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის განვითარება და გავლენა კომერციულ ურთიერთობებზე

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ისტორიულ ჩანასახები ძველ ბაბილონსა და ანტიკურ რომს უკავშირდება. წინამდებარე თავში პასუხისმგებლობის შეზღუდვის ისტორიული საფუძვლების განხილვა იწყება რომანული სამართლით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის იდეის ჩანასახი ასევე ძველ ბაბილონშიც არსებობდა.¹⁴²

ისტორიული საფუძვლების განხილვა წარმოაჩენს რამდენიმე მნიშვნელოვან კანონზომიერებას. პირველი, პასუხისმგებლობის შეზღუდვის მექანიზმის გამოყენება საჭირო ხდება ისეთ პირობებში, როცა საკუთრება და ამ საკუთრებაზე ფაქტობრივი კონტროლი სხვადასხვა სუბიექტის ძალაუფლების სფეროში ექცევა.¹⁴³ მეორე, სამართლებრივი სისტემა, რაც განსაკუთრებული კარგად რომანული სამართლის მაგალითზე ჩანს, მიდის იმ ლოგიკურ განვითარებამდე, როცა პასუხისმგებლობის შეზღუდვის საპირწონედ მისგან გამომდინარე პრივილეგიაზე ლიმიტის დაწესება ხდება საჭირო.

¹⁴⁰ სსკ, მუხლი 829-ე.

¹⁴¹ სსკ, 995 მუხლი მე-3 ნაწილი.

¹⁴² Lutz, Babylonian Partnership, 4 J. Econ. Hist. & Bus. 552, 1931, 563.

¹⁴³ ეს კანონზომიერება, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს გამჭოლი პასუხისმგებლობის თანამედროვე კონცეფციის ძირითად თეზას, რომლის თანახმადაც, თუკი მესაკუთრეს კონტროლი საკუთრების ობიექტზე იმდენად მაღალია, რომ ამ კონტროლში იკარგება დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის გამოყენება არ უნდა მოხდეს; იხ. Cheng, Form and Substance of the Doctrine of Piercing the Corporate Veil, Mississippi Law Journal, Vol.82:2, 2010, 559.

3.2.1.1 პასუხისმგებლობის შეზღუდვის კონცეფციის ჩანასახი ანტიკურ რომში

მიუხედავად იმისა, რომ ძველ რომში არსებობდა, როგორც პირთა გაერთიანების, ასევე პასუხისმგებლობის შეზღუდვის ცნებები, ეს ორი იდეა ერთმანეთთან არასდროს იყო დაკავშირებული.¹⁴⁴ რაც შეეხება პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპს, რომანული სამართალი აღიარებდა დელიქტური ვალდებულებებისთვის პირის პასუხისმგებლობის შეზღუდვას (ნოქსალური პასუხისმგებლობა)¹⁴⁵ და მოგვიანებით, როგორც შემდგომ ვნახავთ, ამ შეზღუდვის ლიმიტირების შესაძლებლობასაც. მაგალითად, *pater familias*, ოჯახის (როგორც ეკონომიკური ერთეულის) უფროსი პასუხისმგებელი იყო იმ ზიანისათვის, რომელიც დადგა მისი შვილების ან მონების არამარტოზომიერი (დელიქტური) ქმედების შედეგად.¹⁴⁶ შეიძლება ითქვას, რომ ფუნქციურად, ეს პრინციპი პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ექვივალენტი იყო. რაც შეეხება სახელშეკრულებო ვალდებულებას, ის პერსონალური ხასიათის იყო, რაც გულისხმობდა, რომ მესამე პირი ვერ შეიბოჭებოდა ხელშეკრულებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი აკონტროლებდა ხელშემკვერელ მხარეს. ეს წესი, გარკვეულწილად ხელს უშლიდა საგაჭრო ურთიერთობების განვითარებას, რის გამოც რომანულ სამართალში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. ერთ-ერთი იყო *action institoria*, რომელმაც დაუშვა მარწმუნებლის პასუხისმგებლობა რწმუნებლის მიერ დავალებების განხორციელების შედეგად დამდგარი ზიანისთვის.¹⁴⁷

ანტიკურ რომში პასუხისმგებლობის შეზღუდვის მექანიზმები თანდათან ვითარდებოდა. ყველაზე ეფექტურ ფორმად იქცა *peculium-ი* რომელიც რესპუბლიკის ხანის შუა პერიოდში აქტიურად გამოიყენებოდა. *Peculium* შეადგენდა იმ ქონებას, რომელიც მინდობილი ჰქონდა ოჯახის უფროსგან მონას ან შვილს.¹⁴⁸ *Pater familias* პასუხისმგებლობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ *peculium-ის* მოცულობით, ამავდროულად მას შეეძლო ნებისმიერ დროს უკან გამოეთხოვა მინდობილი ქონება. შესაბამისად, ნებისმიერ რომაელს, რომელსაც ჰქონდა სურვილი ინვესტირება გაეკეთებინდა ვაჭრობაში და ეწარმოებინა საქმე მონის ან შვილის მეშვეობით, შეეძლო შეზღუდა საკუთარი პასუხისმგებლობა *peculium-ის* ოდენობის განსაზღვრით.

Peculium-ი იქცა პასუხისმგებლობის შეზღუდვის ეფექტურ მექანიზმად, რის გამოც გვიანი რესპუბლიკის ხანაში, განვითარდა *peculium-დან* გამომდინარე სარჩელების სპეციალური ფორმა, *actio de peculio et in rem verso*, რომელიც გულისხმობდა *pater familias*

¹⁴⁴ Hillman, Limited Liability in Historical Perspective, Washington and Lee Law Review, Volume 54, 1997, 616.

¹⁴⁵ მეტრეველი, რომის სამართლის საფუძვლები, 2005, 55.

¹⁴⁶ Hillman, Limited Liability in Historical Perspective, Washington and Lee Law Review, Volume 54, 1997, 616.

¹⁴⁷ Hillman, Limited Liability in Historical Perspective, Washington and Lee Law Review, Volume 54, 1997, 617.

¹⁴⁸ მეტრეველი, რომის სამართლის საფუძვლები, 2005, 55. ასევე, იუსტიციანუს ინსტიტუციების ტიტული IX, რომის სამართლის ძეგლები, 2002, 79.

პასუხისმგებლობის გაფართოებას, *peculium*-ის ფარგლებს მიღმა, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის, იმ დათქმით, რომ ოჯახის უფროსის მიერ მინდობილი ქონება გაიზარდა, სადაო ტრანზაქციის შედეგად. ეს სარჩელი გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როცა მონამ მინდობილი ქონება სესხის უზრუნველსაყოფად გამოიყენა და დაუბრუნა ოჯახის უფროსს, რის გამოც ვალდებულების შესრულების მომენტისათვის “*peculium*”-ი აღარ იყო საკმარისი ვალდებულების დასაფარად.¹⁴⁹

რომ შევაჯამოთ, ანტიკურ რომში პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფენომენი არსებობდა, თუმცა არ უკავშირდებოდა პირთა გაერთიანებებს. “*peculium*”-ი წარმოადგენდა ინვესტიციას, ქონებრივ „შენატანს” და ამავედროულად გამოიყენებოდა, როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმა. ამ მექანიზმის ლოგიკური განვითარება მივიდა იმ ეტაპამდე, რომ საჭირო გახდა ზოგადი წესიდან გამონაკლისის დაწესება, რაც გარკვეული პირობის არსებობისას ოჯახის უფროსის “*peculium*”-ის ოდენობით შეზღუდვად პასუხისმგებლობას გულისხმობდა. ამდენად, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი სამართლის საწყისებშივე მივიდა იმ ლოგიკურ განვითარებამდე, რომ საჭირო გახდა მისი შეზღუდვა.

3.2.12 პასუხისმგებლობის შეზღუდვის კონცეფცია ბიზანტიურ სამართალში

შეზღუდული პასუხისმგებლობის კონცეფციის ისტორიული რაკურსით განხილვისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ბიზანტიური სამართლის განხილვა. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს ე.წ. “*Nomos Nautikos*” („როდოსის საზღვაო კანონი”) - დებულებების კრებული, რომელიც სხვა საკითხების გარდა, არეგულირებდა საზღვაო ვაჭრობაში ჩართული მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს.¹⁵⁰ ამ აქტის შექმნის ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა სავარაუდოდ შეიქმნა ჩვ.წ. 600-დან 800 წლამდე შუალედში. დაახლოებით ამავე პერიოდში შეიქმნა ეკლოგა, რომელიც იყო იუსტინიანეს კოდექსის თანამედროვე პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მცდელობა. როგორც საზღვაო კანონი, ისე ეკლოგა საუბრობს კრეოკოინონიას (*chreokoinonia*) შესახებ, რომელიც ლიტერატურაში აღწერილია, როგორც „საზღვაო ვაჭრობაში კაპიტალის დაბანდების ყველაზე გავრცელებული საშუალება შუა საუკუნეებში”.¹⁵¹ კონტრაქტის ეს სახე საზღვაო კანონში აღწერილია შემდეგნაირად: „ა” აძლევს ოქროს ან ვერცხლს ამხანაგობას გარკვეული პერიოდით. ამხანაგობა დაკავებულია საზღვაო ვაჭრობით. ვადის ამოწურვისას ბ-მ, რომელმაც მიიღო ოქრო ან ვერცხლი, არ დაუბრუნა ის ა-ს. ამ შემთხვევაში ა-მ უნდა მიიღოს თავისი, მაგრამ თუ კონტრაქტით დადგენილი ვადის გასვლამდე წარმოიქმნება ზარალი საზღვაო საშიშროებიდან

¹⁴⁹ Hillman, Limited Liability in Historical Perspective, Washington and Lee Law Review, Volume 54, 1997, 618.

¹⁵⁰ Udovitch, At the Origins of the Western Commenda: Islam, Israel, Byzantium?, 37 Spectrum 198, 1962, 201-202.

¹⁵¹ Hillman, Limited Liability in Historical Perspective, Washington and Lee Law Review, Volume 54, 1997, 619.

გამომდინარე, სამართლიანი იქნება თუ ისინი გაინაწილებენ ზარალს მათი წილების შესაბამისად და იმის შესაბამისად, თუ როგორ გაიყოფდნენ მოგებას“.152 საზღვაო ვაჭრობაში კრეოკონონია იყო კაპიტალის მოზიდვის უმნიშვნელოვანესი საშუალება, რომელიც საკმაოდ რისკიან საქმიანობას წარმოადგენდა მე-7 საუკუნეში არაბი და სლავი მეკობრეების თავდასხმების გამო.153 სესხის მსგავსად ის სთავაზობდა პასიურ ინვესტორს (ა – ზემოხსენებულ ციტირებაში) პასუხისმგებლობის შეზღუდვას განხორციელებული ინვესტიციის ფარგლებში. ამასთან, სესხისაგან განსხვავებით, ის უზრუნველყოფდა პასიური ინვესტორისათვის მნიშვნელოვან წილს საქმიანობის მოგებაში.154

3.2.1.3 პასუხისმგებლობის შეზღუდვის კონცეფცია ისლამურ სამართალში

ისლამური სამართლის ყველაზე მეტად ავტორიტეტული წყარო – წინასწარმეტყველ მუჰამედის ღვთაებრივი გამოცხადება, რომელიც ასახულია ყურანში, ადგენს, რომ „მოგება არის პასუხისმგებლობის თანმდევი“, რაც გულისხმობს, რომ მხოლოდ იმ ადამიანს აქვს მოგების მოთხოვნის უფლება, რომელიც თავის თავზე აიღებს წაგების რისკს.155 ამ დებულების გათვალისწინებით, რთულად წარმოსადგენია ისეთი ამხანაგობების ჩამოყალიბება, რომლებშიც მოგება განაწილებოდა პასუხისმგებლობისგან დამოუკიდებლად. თუმცა ამის განხორციელება მოხდა სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით.156

პირველი ასეთი მექანიზმი იყო ე.წ. „ლიცენზირებული მონა“, რომელიც რომაული პეკულიუმის ინსტიტუტის ანალოგი იყო. „ლიცენზირებული მონის“ შემთხვევაში კომერციული საქმიანობა იწყებოდა მონათმფლობელის განცხადებით, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებდა მონას, დაეწყო კომერციული საქმიანობა. ვაჭარი/მონა უფლებამოსილი იყო, მონაწილეობა მიეღო ვაჭრობის სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის, შეეძინა საქონელი და მომსახურება ნაღდი ფულით და კრედიტად, დაექირავებინა მუშები, აეღო სესხი. ასეთი საქმიანობის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნებზე პასუხისმგებელი იყო მხოლოდ მონა. თუ მონა ვერ შეძლებდა საკუთარი შემოსავლებით ვალდებულებების გასტუმრებას, შესაძლებელი იყო მისი გაყიდვა სამართალწარმოების შედეგად. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მონათმფლობელი არ იყო პასუხისმგებელი ვალებზე და მას შეეძლო გამოეთხოვა კიდევ ბიზნეს საქმიანობაში ჩადებული ნებისმიერი იდენტიფიცირებადი ქონება. ლიტერატურაში საუბრობენ ამ ისლამური ინსტიტუტის მსგავსებაზე შეზღუდული პასუხისმგებლობის თანამედროვე მექანიზმებთან. კერძოდ, „ლიცენზირებული მონის“ შემთხვევაში მონა წარმოადგენს პატრონის ქონებას, რომელსაც იგი იყენებდა ბიზნესში ისევე, როგორც თანამედროვე შემთხვევაში პარტნიორები მათი პირადი

¹⁵² Ashburner, The Rodian Sea-Law, 1909, 97.

¹⁵³ Vasiliev, History of the Byzantine Empire, 1952, 248.

¹⁵⁴ Hillman, Limited Liability in Historical Perspective, Washington and Lee Law Review, Volume 54, 1997, 620.

¹⁵⁵ Hasanuzzaman, Limited Liability of Shareholders: An Islamic Perspective, 28 Islamic Studies, 1989, 353.

¹⁵⁶ Rayner, The Theory of Contracts in Islamic Law, 1991, 80.

ქონების ნაწილს აბანდებენ კომპანიაში და ამ უკანასკნელს ანიჭებენ ბიზნესის კეთების უფლებამოსილებას. როგორც ბატონი არ არის პასუხისმგებელი საკუთარი მონის ვალდებულებებზე, ისევე პარტნიორები არ არიან პასუხისმგებელი კომპანიის ვალდებულებებზე.¹⁵⁷

შეზღუდული პასუხისმგებლობის მიღწევის მეორე და უფრო მნიშვნელოვანი მექანიზმი იყო ე.წ. ქირადი (qirād), რომელიც არ არის მოხსენიებული ყურანში. ამ ინსტიტუტის შესახებ საუბრობს მალიქის მუვათა¹⁵⁸. მუვათას განმარტებით, ქირადი არის მოგების განაწილების შესახებ შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, „პირი (ვაჭარი) იღებს თანხას კოლეგისაგან (ინვესტორისაგან), რათა იმუშავოს მისი გამოყენებით ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე“.¹⁵⁹ ვაჭარს ჰქონდა სრული თავისუფლება სავაჭრო პოლიტიკის არჩევაში, მაგრამ ინვესტორს ჰქონდა კონტროლი უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა ვაჭრობის სფეროსა და მოგზაურობის ტერიტორიის განსაზღვრა. მოგება თანაბრად იყოფოდა ვაჭარსა და ინვესტორს შორის, თუმცა მხარეებს შეეძლოთ შეეთანხმებინათ შეეცვალათ წილების ოდენობა. როგორც ვხედავთ, ქირადი არის თანამედროვე შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის საინტერესო ნაირსახეობა, სადაც პასუხისმგებლობის შეზღუდვით სარგებლობს პასიური ინვესტორი.

3.2.14 პასუხისმგებლობის შეზღუდვის კონცეფცია შუასაუკუნეების იტალიაში

3.2.14.1 კომენდა

კომენდას (Commenda) წარმოშობა წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კონცეფციის ისტორიის დასაბამს. იგი განვითარდა მე-11 საუკუნის იტალიაში. თუმცა კომენდას საფუძვლები უფრო ადრეულ ფორმებში აქვს. განსაკუთრებით დიდია კავშირი კომენდასა და ისლამურ ქირადს შორის.¹⁶⁰ კომენდა ასევე დაკავშირებულია ბიზანტიურ კრეოკონონიასთან.¹⁶¹ გამოიყენებოდა რა ძირითადად საზღვაო ვაჭრობაში, კომენდას გააჩნდა ბევრი ისეთი მახასიათებელი, რომელიც ტიპიურია თანამედროვე შეზღუდული პასუხისმგებლობის გაერთიანებისათვის.¹⁶² კომენდაში, ერთი მხარე (პასიური ან მძინარე პარტნიორი) აძლევდა კაპიტალს მეორე მხარეს (მოგზაურ ან მმართველ პარტნიორს) საზღვაო სავაჭრო ექსპედიციის დასაფინანსებლად. მმართველი პარტნიორი, რომელიც არ მონაწილეობდა კაპიტალით და საკუთარ თავზე იღებდა მოგზაურობის საფრთხეებს, პასუხისმგებელი

¹⁵⁷ *Hasanuzzaman*, Limited Liability of Shareholders: An Islamic Perspective, 28 *Islamic Studies*, 1989, 359.

¹⁵⁸ მუვათა (Muwatta) – ისლამური სამართლის გვიანი მერვე საუკუნით დათარიღებული კრებული, რომელიც მოიცავს იმდროინდელი მეცნიერების მოსაზრებებსა და მალიქის კომენტარებს.

¹⁵⁹ *Hillman*, Limited Liability in Historical Perspective, *Washington and Lee Law Review*, Volume 54, 1997, 621.

¹⁶⁰ *Udovitch*, At the Origins of the Western Commenda: Islam, Israel, Byzantium?, 37 *Spectrum* 198, 1962, 207.

¹⁶¹ *Hillman*, Limited Liability in Historical Perspective, *Washington and Lee Law Review*, Volume 54, 1997, 622.

¹⁶² *Lopez, Raymond*, *Medieval Trade in the Mediterranean World*, 1955, 174-176.

იყო ექსპედიციის მართვის ყველა ასპექტზე. მას შემდეგ, რაც დასრულდებოდა ექსპედიცია, კომენდა უქმდებოდა და პარტნიორები ინაწილებდნენ მოგებას წინასწარ შეთანხმებული ფორმულის მიხედვით.¹⁶³ ამგვარი კომენდას ძირითად უპირატესობას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ პასიური პარტნიორი სარგებლობდა შეზღუდული პასუხისმგებლობით. ამ უკანასკნელის არსებობის შესახებ არც კი იცოდნენ მესამე პირებმა, რომლებიც აწარმოებდნენ ურთიერთობას მმართველ პარტნიორთან.¹⁶⁴

კომენდას წარმოქმნამ საშუალება მისცა ინვესტორებს, მოეხდინათ საკუთარი რისკების დივერსიფიკაცია და ფული დაეზღვიებინათ სხვადასხვა კომენდაში, რასაც ეკონომიკური გამართლება ჰქონდა.¹⁶⁵ უნდა აღინიშნოს, რომ რისკების დივერსიფიკაციაზე, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის გამართლების არგუმენტზე თანამედროვე მეცნიერებიც უთითებენ.¹⁶⁶

3.2.1.4.2 კომპანია

სახმელეთო ვაჭრობაში საზღვაო ვაჭრობისაგან განსხვავებით, კომენდას ნაცვლად გამოიყენებოდა კომპანია (Compagnia). კომენდასგან განსხვავებით, კომპანია არ ზღუდავს პასიური ინვესტორის პასუხისმგებლობას.¹⁶⁷ ზუსტი მიზეზი, თუ რატომ არ გამოიყენებოდა შეზღუდული პასუხისმგებლობა სახმელეთო ვაჭრობისას, უცნობია. თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს განპირობებული იყო პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის არსებობით. სულ მცირე მე-14 საუკუნის შუა პერიოდიდან არსებობდა პრემიაზე დაფუძნებული სადაზღვევო საქმიანობა¹⁶⁸ ასევე არსებობს კომპანიას ხელშეკრულების მაგალითები, რომელიც მოიცავს დაზღვევის პირობებს.¹⁶⁹

უნდა მივიჩნიოთ, რომ კომენდასთან დაკავშირებული შეზღუდული პასუხისმგებლობა იყო უფრო გამონაკლისი, ვიდრე – წესი იმ პერიოდისათვის.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის განვითარების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბონსინორეს კომპანიის წარუმატებელ მცდელობას, მიეღწია პასუხისმგებლობის შეზღუდვისათვის. ბონსინორეს ამხანაგობა იყო მე-13 საუკუნის ერთ-ერთი უმსხვილესი საბანკო-სავაჭრო კონცერნი სიენაში. თავდაპირველად, იგი ოპერირებდა როგორც საოჯახო კომერციული

¹⁶³ Lopez, Raymond, *Medieval Trade in the Mediterranean World*, 1955, 174-176; იმის გათვალისწინებით, რომ შუა საუკუნეებში ცხოვრება ღირდა იაფი და კაპიტალი იყო იშვიათი, ტიპიური ფორმულის მიხედვით, მოგების სამი მეოთხედი რჩებოდა პასიურ პარტნიორს, ხოლო ერთი მეოთხედი – მოგზაურ პარტნიორს.

¹⁶⁴ Lopez, Raymond, *Medieval Trade in the Mediterranean World*, 1955, 176.

¹⁶⁵ Hillman, Limited Liability in Historical Perspective, *Washington and Lee Law Review*, Volume 54, 1997, 623.

¹⁶⁶ Easterbrook, Fischel, Limited Liability and the Corporation, *University of Chicago Law Review* 1985, 96-97.

¹⁶⁷ Hillman, Limited Liability in Historical Perspective, *Washington and Lee Law Review*, Volume 54, 1997, 623.

¹⁶⁸ Postan, *The Cambridge Economic History of Europe*, 1963, 49.

¹⁶⁹ Lopez, Raymond, *Medieval Trade in the Mediterranean World*, 1955, 206-211.

გაერთიანება, თუმცა შემდეგ მას შეემატა ოჯახის არაწევრი 18 პარტნიორი. დროთა განმავლობაში შიდა აზრთა სხვადასხვაობამ დააზარალა გაერთიანება.¹⁷⁰ კრედიტორების მითხოვნებისაგან თავის დაცვის მიზნით, ამხანაგობამ სცადა შემდეგი სახის დახმარების მიღება მუნიციპალური ხელისუფლებისაგან: მათ მოითხოვეს სიენის კომუნის ორი ელჩის გაგზავნა რომის პაპთან, რათა ამ უკანასკნელს გამოეყენებინა თავისი ძალაუფლება და კრედიტორებს მოთხოვნები პარტნიორების მიმართ წამოეყენებინათ მხოლოდ მათი წილის შესაბამისად ამხანაგობაში.¹⁷¹ თუმცა პეტიცია უარყოფილ იქნა და ფორმა გაკოტრდა. ამ შემთხვევის შემდეგ სიენაში მიიღეს კანონმდებლობა, რომელშიც განმტკიცდა სოლიდარული (პროპორციული) პასუხისმგებლობის პრინციპი.¹⁷²

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის განვითარებისთვის გარდამტეხი ეტაპი იყო მე-15 საუკუნე. 1408 წელს ფლორენციაში მიიღეს კანონი, რომელიც იძლეოდა კომანდიტური საზოგადოების (*società in accomandite*) დაფუძნების შესაძლებლობას, რომლის ძირითადი მახასიათებელი იყო ის, რომ პასიური პარტნიორები პასუხს აგებდნენ მხოლოდ მათი ინვესტიციის ფარგლებში. ეს ინსტიტუტი გადატანილი იქნა საფრანგეთში 1671 წელს და შემდეგ განმტკიცდა სავაჭრო კოდექსში 1806 წელს. ის ასევე იქცა ირლანდიური ანონიმური ამხანაგობის აქტის და ადრეული ამერიკული შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის აქტების, მოდელად რომელთაგან პირველი შემოიღეს ნიუ-იორკში 1822 წელს.¹⁷³

3.2.1.5 პასუხისმგებლობის შეზღუდვის კონცეფციის გავრცელება ახალ ერაში¹⁷⁴

მე-17 საუკუნემდე ამხანაგობა წარმოადგენდა კომერციული საქმიანობის განხორციელების ერთადერთ ექსკლუზიურ ფორმას.¹⁷⁵ შესაბამისად, ამ პერიოდამდე პირთა გაერთიანება, როგორც სავაჭრო ურთიერთობის სპეციალური სუბიექტი არ სარგებლობდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპით. მიდგომების შეცვლა დაიწყო მე-18 საუკუნიდან.

3.2.1.5.1 საერთო სამართლის სისტემა

დამფუძნებელთა შეუზღუდავი პასუხისმგებლობა ზოგად წესს წარმოადგენდა. შეზღუდული პასუხისმგებლობა განიხილებოდა

¹⁷⁰ The Cambridge Economic History of Europe, M. Postan ed. 1963, 67.

¹⁷¹ პეტიციის ტექსტის ინგლისური თარგმანისათვის იხ.; Lopez, Raymond, Medieval Trade in the Mediterranean World, 1955, 298-301.

¹⁷² Hillman, Limited Liability in Historical Perspective, Washington and Lee Law Review, Volume 54, 1997, 626.

¹⁷³ Braudel, Civilization and Capitalism 15th-18th Century: The Wheels of Commerce, 1982, 438-439.

¹⁷⁴ მოიცავს პერიოდს მე-18 საუკუნიდან მე-20 საუკუნემდე.

¹⁷⁵ Hansmann, Kraakman, Squire, The New Business Entities in Evolutionary Perspective, University of Illinois Law Review, Vol.1, 2005, 5.

პრივილეგიად, რომელსაც მთავრობა ანიჭებდა კომპანიას ეკონომიკური აქტივობის ზოგიერთი ფორმის ხელშეწყობის მიზნით.¹⁷⁶ მსგავსი მიდგომის საფუძვლები მომდინარეობს 1720 წლის Babble Act-სგან, რომელმაც აკრძალა სააქციო საზოგადოების არსებობა დამფუძნებელი სამეფო მანდატის გარეშე.¹⁷⁷ მიუხედავად იმისა, რომ 1720 წლის შემდგომ დაფუძნებული სააქციო საზოგადოებების უმრავლესობას არ გააჩნდა სამეფო მანდატი, ისინი მაინც სარგებლობდნენ - თ შეზღუდული პასუხისმგებლობით ტრასტისა და ისეთი ხელშეკრულებების მეშვეობით, რომლებიც კრედიტორებს უზღუდავდა მოთხოვნის უფლებას კორპორატიული ქონებით.¹⁷⁸ ამასთან, ასეთი კომპანიების წესდების მიხედვით, აკრძალული იყო აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტად შეფასება.¹⁷⁹ შესაბამისად, თავად დამფუძნებლები განსაზღვრავდნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის ღირებულებას.

ინგლისში შეზღუდული პასუხისმგებლობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე რჩებოდა მხოლოდ მთავრობის მიერ მინიჭებულ პრივილეგიად და საკანონმდებლო დონეზე დომინირებდა შეუზღუდავი პასუხისმგებლობა. შეუზღუდავ პასუხისმგებლობაზე კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება 1844 წელს მიღებულმა კანონმა ზოგადი ინკორპორაციის შესახებ, როდესაც მოითხოვა რეგისტრირებული კომპანიების მიერ დამფუძნებლებთა ვინაობის გასაჯაროება.¹⁸⁰ თუმცა 1844 წლის კანონმა ვერ შეძლო ინვესტორების მოზიდვა ბიზნესში (მდიდარ ინვესტორებს არ ჰქონდათ შეუზღუდავი პასუხისმგებლობის კომპანიებში მონაწილეობის მიღების სურვილი, მაშინ როდესაც არარეგისტრირებულ სააქციო საზოგადოებებში მონაწილეობდა ათასობით ინვესტორი), რაც წარმოადგენდა შეზღუდული პასუხისმგებლობის სასარგებლოდ ერთ-ერთ ძირითად არგუმენტს.¹⁸¹ 1844 წლიდან 1855 წლამდე საწარმოო კორპორაციების შექმნა დაშვებული იყო, თუმცა ისინი არ სარგებლობდნენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიით.¹⁸² მხოლოდ 1855 წელს მიანიჭა ინგლისის პარლამენტმა შეზღუდული პასუხისმგებლობა რეგისტრირებულ სააქციო საზოგადოებებს და ამდროულად სცადა კრედიტორების დაცვა მინიმალური საწესდებო კაპიტალით და ასევე სიტყვა Ltd-ის მითითების სავალდებულოობით.¹⁸³ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი აშშ-ზე გაცილებით უფრო ინდუსტრიული სახელმწიფო იყო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ის მნიშვნელოვნად ჩამორჩა აშშ-ს შეზღუდული

¹⁷⁶ Bainbridge, In Defense of the Shareholder Wealth Maximization Norm: A Reply to Professor Green, 50 Washington and Lee Law Review, 1993, 1423-1446.

¹⁷⁷ Hillman, Limited Liability in Historical Perspective, Washington and Lee Law Review, Volume 54, 1997, 627.

¹⁷⁸ Anderson, Tollison, The Myth of the Corporation as a Creation of the State, 3 International Review of Law and Economics, 1983, 107-120.

¹⁷⁹ Blumberg, Limited Liability and Corporate Groups, 11 Journal of Corporation Law, 1986, 573-631.

¹⁸⁰ Shannon, The Coming of General Limited Liability, 2 Economic History, 1931, 267-291.

¹⁸¹ Diamond, Corporate Personality and Limited Liability, in Tony Ornhail (ed.), Limited Liability and the Corporation, London and Canberra, Croom Helm, 1982, 22-43.

¹⁸² Hansman, Kraakman, The Essential Role of Organizational Law, The Yale Law Journal Vol. 110, No.3 2000, 393.

¹⁸³ Diamond, Corporate Personality and Limited Liability, in Tony Ornhail (ed.), Limited Liability and the Corporation, London and Canberra, Croom Helm, 1982, 22-43.

პასუხისმგებლობის კონცეფციის განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულმა კოლონიებმა მექვიდროებით მიიღეს „ბაბლ აქტი“, მათი საკანონმდებლო ორგანოები (ინგლისის პარლამენტთან შედარებით) გაცილებით უფრო დიდი ენთუზიაზმით იყენებდნენ მანდატს.¹⁸⁴ შესაბამისად, აშშ-ში ბიზნესის ორგანიზების დომინირებულ ფორმად იქცა კორპორაცია.¹⁸⁵ უკვე მე-19 საუკუნეში შტატების უმრავლესობაში საკორპორაციო კანონმდებლობის ფუნდამენტური პრინციპი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობა.¹⁸⁶ საუკუნეზე მეტია პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი აშშ-ში განიხილება ძირითად წესად და წარმოადგენს საკორპორაციო სამართლის ფუნდამენტურ წესს შტატების ყველა იურისდიქციაში.¹⁸⁷ აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში დაადგინა, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვა არის წესი და არა გამონაკლისი. სწორედ აღნიშნული წესი განაპირობებს ინვესტორთა დაინტერესებას და დიდი საწარმოების არსებობას.¹⁸⁸ თუმცა ამ პოზიციის მიმართ არ არის ერთგვაროვანი დამოკიდებულება მკვლევარებს შორის. მაგალითად, ცნობილი მკვლევარების ისთერბრუკისა და ფიტჩელის თანახმად, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი ეკონომიკურად ეფექტურია.¹⁸⁹ მეორეს მხრივ, ჰენრი ჰანსმანისა და რეინერ კრაკმანის მიხედვით, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი დელიქტისმიერი კრედიტორს ტოვებს კომპენსაციის გარეშე, იმ პირობებში, როცა პარტნიორები სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარაჯებს იბრუნებს და იღებს მოგებას საზოგადოების ხარჯზე.¹⁹⁰ ამ არგუმენტაციაზე დაყრდნობით ისინი ემხრობიან პასუხისმგებლობის შეზღუდვის შეცვლას პარტნიორთა პროპორციულ პასუხისმგებლობით დელიქტისმიერი კრედიტორების სასარგებლოდ.

ინგლისში გაერთიანებები ფუნქციონირებდნენ ოფიციალური დაფუძნების გარეშე, რის გამოც ისინი სარგებლობდნენ მხოლოდ ამხანაგობის სტატუსით.¹⁹¹ მე-16 საუკუნეში კონტინენტურ ევროპაში გაგრძელებულმა გილდიებმა გავლენა იქონიეს ინგლისზეც, სააქციო საზოგადოებების სახით, რომლებიც იქმნებოდა სამეფო ტახტის ან პარლამენტის მიერ ან საერთო სამართლის საფუძველზე გაცემული წესდების საფუძველზე.¹⁹² ამ პერიოდში წარმოიშვა ისეთი ცნობილი კორპორაციები, როგორცაა British East India Company (1600), River Company (1619), Hudson's Bay Company (1670).¹⁹³

¹⁸⁴ Hillman, Limited Liability in Historical Perspective, Washington and Lee Law Review, Volume 54, 1997, 627.

¹⁸⁵ Blumberg, Limited Liability and Corporate Groups, 11 Journal of Corporation Law, 1986, 573 da momdevno.

¹⁸⁶ Hovenkamp, Enterprise and American Law 1836-1937, Harvard University Press, 1991, 49-55; Федчук, Проникновение за Корпоративный Занавес в Права Ведущих Зарубужных Сран, 2008, 17.

¹⁸⁷ Rands, Domination of a Subsidiary by a Parent, Indiana Law Review, Vol. 32:421, 1999, 425

¹⁸⁸ Anderson v. Abbott, 321 U.S. 349, 362 (1944).

¹⁸⁹ Rands, Domination of a Subsidiary by a Parent, Indiana Law Review, Vol. 32:421, 1999, 427.

¹⁹⁰ Rands, Domination of a Subsidiary by a Parent, Indiana Law Review, Vol. 32:421, 1999, 426.

¹⁹¹ Figueroa, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 Duquesne Law Review 683, 2012, 694.

¹⁹² Figueroa, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 Duquesne Law Review 683, 2012, 694.

¹⁹³ Minchinton, Chartered Companies and Limited Liability, in: Limited Liability and the Corporation 154 Tony Orhial ed., 1982, 139.

საკორპორაციო სამართლის ლიბერალიზაცია ინგლისში მე-18 საუკუნიდან დაიწყო. ლიბერალიზაციის შედეგად კორპორაციის დასაფუძნებლად აუცილებელი აღარ იყო სახელმწიფო აქტი. ამასთან, აქციები გახდა თავისუფლად მიმოქცევადი.¹⁹⁴ თუმცა მონოპოლისტური გაერთიანებების მომხრეთა ლობირებით, მალევე იქნა მიღებული ე.წ. Bubble Act (1720), რომელმაც კვლავ აკრძალა კორპორაციათა დაფუძნება პარლამენტის ან სამეფო ტახტის აქტის გარეშე. “Bubble Act” რეტროაქტიულად ვცელებოდა 1718 წლის 24 ივნისიდან დაფუძნებულ ყველა კორპორაციაზე.¹⁹⁵

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა მე-18 საუკუნეში, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, ამ პერიოდის არცერთი მკვლევარი არ განიხილავს შეზღუდულ პასუხისმგებლობას კორპორაციის ძირითად მახასიათებლად. პასუხისმგებლობის შეზღუდვის ერთ-ერთი პირველი პრეცედენტი უკავშირდება აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიასა და აფრიკის სამეფო კომპანიას. სწორედ მათ მიანიჭა 1662 წელს ინგლისის პარლამენტმა შეზღუდული პასუხისმგებლობა.¹⁹⁶ აღნიშნულმა ფაქტმა განაპირობა პრეფერენციული მიდგომის ჩამოყალიბება, რომლის თანახმადაც, კორპორაციების პასუხისმგებლობა იყო შეუზღუდავი, გარდა იმ შემთხვევისა თუ თავად წესდებით არ მოხდებოდა შეზღუდვა.¹⁹⁷

ინგლისის საკორპორაციო სამართლის განვითარებაში შემდეგი ეტაპი იყო 1844 წლის სააქციო საზოგადოების შესახებ აქტი, რომლის მიხედვითაც კორპორაციად რეგისტრაცია სავალდებულო გახდა ყველა იმ გაერთიანებისათვის, რომელსაც გააჩნდა აქციები ან/და ჰყავდა მინიმუმ 25 წევრი. დამატებით, აქტმა გამორიცხა პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესაძლებლობა წესდებით, თუმცა არ გაითვალისწინა მესამე პირებთან დადებული ხელშეკრულების გზით პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო, 1855 წელს მიღებულ იქნა პასუხისმგებლობის შესახებ აქტი, რომლითაც განიმარტა და ჩამოყალიბდა უნიფიცირებული პროცედურა შეზღუდული პასუხისმგებლობის კორპორაციის დაფუძნებისათვის.¹⁹⁸ 1856 წელს კი მიღებულ იქნა განახლებული სააქციო საზოგადოების შესახებ აქტი.¹⁹⁹

ამდენად, ინგლისში მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის დამკვიდრება.²⁰⁰ საბოლოოდ კი, ევროპის მასშტაბით, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის საყოველთაო ხასიათის აღიარება მოხდა 1989 წლის მე-12 საკორპორაციო დირექტივით, რომელმაც დაავალდებულა წევრი სახელმწიფოები ნაციონალური კანონმდებლობით უზრუნველყოს პასუხისმგებლობის შეზღუდვის შემოღება ისეთი ერთი პირის მიერ

¹⁹⁴ *Figueroa*, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 *Duquesne Law Review* 683, 2012, 695.

¹⁹⁵ *Ribstain*, Limited Liability and the Theories of Corporation, 50 *Maryland Law Review* 80, 1991, 122.

¹⁹⁶ *Minchinton*, Chartered Companies and Limited Liability, in *Limited Liability and the Corporation* 154 Tony Orhnia ed., 1982, 141-142

¹⁹⁷ *Figueroa*, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 *Duquesne Law Review* 683, 2012, 697.

¹⁹⁸ *Mayson, French, Ryan*, *Company Law*, 31st ed. 2014-2015, 55.

¹⁹⁹ *Figueroa*, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 *Duquesne Law Review* 683, 2012, 697.

²⁰⁰ *Carney*, Limited Liability, in: *Encyclopedia of Law and Economics*, 1998, 663.

დაფუძნებული ორგანიზაციული ფორმისთვის, რომლის მეშვეობითაც იგი შეიძლება თავად ეწარმოებინა ბიზნესი.²⁰¹ ღირექტივის მიღებამდე, შეიძლება ითქვას, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი გამოიყენოდა მხოლოდ იმ ორგანიზაციული ფორმისთვის, რომლის ფარგლებშიც, ინვესტორი-პარტნიორი ასრულებდა პასიურ როლს, და არ ერეოდა კორპორაციის მენეჯმენტში.²⁰²

ამერიკული საკორპორაციო სამართალი ეფუძნება ბრიტანულ საკორპორაციო სამართალს, რომელიც, თავის მხრივ, საფუძველს იღებს რომანული და კანონიკური სამართლიდან. ზემოთ განხილულმა 1720 წლის Bubble Act-ი ფართოდ გავრცელდა ამერიკის კოლონიებში 1741 წლიდან.²⁰³ თუმცა წესდებით პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული კორპორაციები ერთდროულად თანაარსებობდნენ.²⁰⁴ შტატებში დამკვიდრდა კორპორაციების ტრადიციული კონცეფცია, რომლის თანახმადაც კორპორაცია წარმოადგენს განცალკევებულ სუბიექტს.²⁰⁵ მე-19 საუკუნის დასაწყისში ორი ფუნდამენტური პრინციპი იღვა კორპორაციის კონცეფციის სათავეში, პირველის თანახმად, კორპორაცია იყო განცალკევებული, დამოუკიდებელი სუბიექტი. ხოლო მეორეს თანახმად კი, კორპორაციის დაფუძნება შესაძლებელი იყო მხოლოდ სახელმწიფო აქტის საფუძველზე. პირველი შტატი, რომელმაც დაუშვა კორპორაციების შეზღუდული პასუხისმგებლობა იყო მასაჩუსეტისის შტატი.²⁰⁶

3.2.1.5.2 კონტინენტური ევროპის სამართალი

ისტორიკოსებს შორის არ არსებობს კონსენსუსი დასავლეთ ევროპაში პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის დამკვიდრების ზუსტი თარიღის შესახებ. ლიტერატურაში განხილულია ფაქტი, რომ 1664 წელს დაფუძნებულ French East India Company-ის ფრანგ ღირექტორები სარგებლობდნენ შეზღუდული პასუხისმგებლობით.²⁰⁷ თუმცა, ეს შემთხვევა წარმოადგენდა უფრო გამონაკლისს, ვიდრე ზოგად წესს. საფრანგეთის რევოლუციამდე ძირითადი წესი იყო პარტნიორების შეუზღუდავი პასუხისმგებლობა. საფრანგეთში 1780-იანი წლიდან იწყება წესდებებში პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის გათვალისწინების ტენდენცია.²⁰⁸ 1807 წლის საფრანგეთის სავაჭრო კოდექსმა მოახდინა *societes anonymes* მოდიფიკაცია, რის შედეგადაც

²⁰¹ Directive 89/667/EEC of 21 December 1989 on single-member private limited-liability companies.

²⁰² Mayson, French, Ryan, Company Law, 31st ed. 2014-2015, 55.

²⁰³ Dodd, The Evolution of Limited Liability in American Industries, 61 Harv. L. Rev. 1372-1373, 1948 1354.

²⁰⁴ Figueroa, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 Duq. L. Rev. 683, 2012, 695.

²⁰⁵ აღნიშნულმა ასახვა კპოვა სასამართლო პრაქტიკაშიც, სასამართლო გადაწყვეტილებებით აღიარებულ იქნა, რომ კორპორაცია, არის სამართლის მიერ აღიარებული ხელოვნური წარმონაქმნი; ორიგინალში: "artificial, intangible being[s]," born out of an act of the parties and recognized by the law" Fairfield Cnty. Tpk. Co. v. Thorp, 13 Conn. 173, 179 (Conn. 1839).Tr. of Dartmouth Coll. v. Woodward, 17 U.S. (4 Wheat.) 518, 636 (1819).

²⁰⁶ Dodd, The Evolution of Limited Liability in American Industries, 61 Harv. L. Rev. 1372-1373, 1948 1379.

²⁰⁷ Carney, Limited Liability, in: Encyclopedia of Law and Economics, 1998, 661.

²⁰⁸ Figueroa, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 Duquesne Law Review 683, 2012, 699.

სააქციო საზოგადოების მიმართ შესაძლებელი გახდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის გავრცელება.²⁰⁹ საფრანგეთის მიდგომამ თავის მხრივ, გავლენა იქონია სხვა ქვეყნებზეც. გამოთქმულია აზრი, რომ სწორედ საფრანგეთიდან გავრცელდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი ესპანეთში (კერძოდ კი ესპანეთის 1829 წლის სავაჭრო კოდექსში), ხოლო ესპანეთიდან კი ლათინურ ამერიკაში.²¹⁰

პრუსიაში მე-18 საუკუნის დასასრულს და მე-19 საუკუნის დასაწყისში, კორპორაციები არ იყო ფართოდ გავრცელებული ორგანიზაციული ფორმა.²¹¹ 1682 წელს დაფუძნებული ბრანდენბურგ-აფრიკული კომპანია - “Brandenburgische-Afrikanische Kompagnie” ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ძველ კორპორაციად.²¹² ამასთან ამ პერიოდში არ იყო ჩამოყალიბებული პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი.²¹³ საფრანგეთისგან გასხვავებით, სადაც სავაჭრო კოდექსში გაერთიანდა კორპორაციების მარეგულირებელი ნორმები, პრუსიაში თავდაპირველად მიღებულ იქნა კორპორაციების მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა - 1843 წლის სააქციო საზოგადოების შესახებ კანონის სახით და უკვე შემდგომ, კოდიფიცირებული აქტი 1861 წლის, სავაჭრო კოდექსის სახით.²¹⁴ 1843 წლის კანონმა შემოიღო პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი, თუმცა იგი არეგულირებდა მხოლოდ სააქციო საზოგადოებებს.²¹⁵ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონი კი მიღებულ იქნა 1892 წელს.

ამ პერიოდში გავრცელებული იყო კორპორაციათა მარეგულირებელი ორი სისტემა. პირველი, ოქტროის სისტემა, რომლითაც სახელმწიფო ინდივიდუალურ პრივილეგიებს უწესებდა კონკრეტულ სუბიექტებს, და მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მინიჭებული წესდების საფუძველზე იყო შესაძლებელი დაფუძნება. მეორე, კონცესიის სისტემა, რომლის მიხედვითაც სააქციო საზოგადოება შეიძლება ჩამოყალიბებულიყო კერძო ინიციატივის საფუძველზე.²¹⁶

კორპორაციისა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის კონცეფციის კვლევის შედეგად უნდა ითქვას, რომ კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში, კორპორაციის კონცეფციის განვითარების ადრეულ სტადიაზე კორპორაციის ცნების ფუნდამენტური ელემენტი იყო განცალკევებულობის პრინციპი. შესაბამისად, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი და მისგან გამომდინარე, კორპორაციული

²⁰⁹ *Carney*, Limited Liability, in: *Encyclopedia of Law and Economics*, 1998, 661.

²¹⁰ *Figueroa*, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 *Duquesne Law Review* 683, 2012, 699.

²¹¹ 1800 წლამდე არსებობდა მხოლოდ ხუთი სააქციო კორპორაცია, იხ. *Franks, Mayer, Wagner*, The Origins of the German Corporation – Finance, Ownership and Control, *Review of Finance* 10 (4), 2006, 539.

²¹² *Muchlinski*, The Development of German Corporate Law to 1990: An Historical Reappraisal, *German Law Journal*, Vol.14 No.02, 2013, 345.

²¹³ *Muchlinski*, The Development of German Corporate Law to 1990: An Historical Reappraisal, *German Law Journal*, Vol.14 No.02, 2013, 345.

²¹⁴ *Kuhn*, A Comparative Study of the Law of Corporations: with Particular Reference to the Protection of Creditor and Shareholder, 1912, 65.

²¹⁵ *Muchlinski*, The Development of German Corporate Law to 1990: An Historical Reappraisal, *German Law Journal*, Vol.14 No.02, 2013, 346.

²¹⁶ *Franks, Mayer, Wagner*, The Origins of the German Corporation – Finance, Ownership and Control, *Review of Finance* 10 (4), 2006, 541.

საფარველი” წარმოადგენს საკორპორაციო სამართლის შედარებით თანამედროვე ტენდენციას.

3.2.1.5.2.1 პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი საქართველოში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სავაჭრო ურთიერთობები შუა საუკუნეებიდან ვითარდება და ამავე პერიოდიდან შეიმჩნევა ვაჭართა და ხელოსანთა გაერთიანებებიც,²¹⁷ შესაბამისი ისტორიული ძეგლების არარსებობის გამო, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მსგავსი გაერთიანებები სარგებლობენ შეზღუდული პასუხისმგებლობით.

მსოფლიო ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდი საქართველოს რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში ყოფნის პერიოდს ემთხვევა. ამ პერიოდში, რუსეთის იმპერიის საკანონმდებლო რეგულირება შეიძლება განვიხილოთ ქართული კაპიტალური საზოგადოებების რეგულირების სამართლებრივ საფუძველად. იმპერიის მასშტაბით პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის გამოყენების პირველი პრეცედენტი იყო იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1805 წლის ბრძანება.²¹⁸ აღნიშნულმა აქტმა პეტერბურგის გემშენებელ კომპანიას მიანიჭა შეზღუდული პასუხისმგებლობა, უთითებდა რა, რომ გაკოტრებული კომპანიის ვალდებულებების დაკმაყოფილება აქციონერების ხარჯზე ეწინააღმდეგებოდა კომპანიის არსს, რადგანაც აქციონერების პასუხისმგებლობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ მათ მიერ გაღებული თანხებით.²¹⁹ 1807 წლის 1 იანვარს მიღებულ იქნა მანიფესტი, რომლითაც დაწესდა გაერთიანების სამი ფორმა. მათ შორის იყო სრული ამხანაგობა, ნდობაზე დაფუძნებული ამხანაგობა და წილებზე დაფუძნებული ამხანაგობა, “товарищества по участкам”, რომლისთვისაც სავალდებულო იყო წინარე კაპიტალი “складочный капитал”. სწორედ ეს უკანასკნელი მიიჩნევა თანამედროვე გაგებით კორპორაციის ჩანასახად.²²⁰ მანიფესტი წარმოადგენდა ზოგადი ხასიათის აქტს, რომელიც რეალურად არ ახდენდა კორპორაციებთან დაკავშირებული საკითხების სრულად რეგულირებას. იმის გათვალისწინებით, რომ მე-19 საუკუნიდან რუსეთის იმპერიის ფარგლებშიც დაიწყო სააქციო საზოგადოებების ფართო გავრცელება.²²¹ 1836 წლის 6 დეკემბერს მიღებულ იქნა ახალი დადგენილება სააქციო კომპანიების შესახებ - “О товариществах по участкам или компаниях на акциях”. აღნიშნული აქტის თანახმად, აქციებზე დაფუძნებული კომპანია იქმნებოდა ერთანირი და საერთო რაოდენობის კერძო შენატანების საერთო კაპიტალში გაერთიანებით, რომლითაც შემოიფარგლებოდა როგორც კომპანიის საქმიანობის სფერო, ასევე

²¹⁷ ბურდულო, სამეწარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში, 2007, 57. ასევე, ქოქრაშვილი, სამეწარმეო სამართალი, 2007, 8.

²¹⁸ Owen, The Corporation Under Russian Law, 1800-1917, A Study in Tsarist Economic Policy, Cambridge University Press 2002, 10.

²¹⁹ Owen, The Corporation Under Russian Law, 1800-1917, A Study in Tsarist Economic Policy, Cambridge University Press 2002, 10; Долинская, Акционерное право. Основные положения и тенденции, 2006, 43.

²²⁰ Долинская, Акционерное право. Основные положения и тенденции, 2006, 43.

²²¹ Красильникова, История Корпоративного Права России, 2011, 205.

აქციონერების პასუხისმგებლობაც. შენარჩუნებულ იქნა კონცესიის სისტემა.²²²

საქართველოში ნორმატიულ დონეზე ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმებისთვის პასუხისმგებლობის შეზღუდვის დაწესების პირველი პრეცედენტი საქართველოს პირველი სამოქალაქო კოდექსის შექმნას უკავშირდება. 1923 წლის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებდა შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივ ფორმებს მათ შორის, ამხანაგობას შეზღუდული პასუხისმგებლობითა და საპაიო ამხანაგობას (სააქციო საზოგადოება).²²³

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის დამკვიდრების საბოლოო ეტაპს საქართველოში წარმოადგენს 1991 წელი, როდესაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მცირე პერიოდში შემუშავებულ იქნა საკორპორაციო სამართლის ნორმატიული ბაზა.²²⁴

4. საჯარო წესრიგი პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის სასარგებლოდ და წინააღმდეგ

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ საჯარო წესრიგი გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტურ პრინციპებს, ხოლო საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება როგორც ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, ასევე მოქმედებს უფრო ფართო მასშტაბითაც, აყენებს რა ზიანს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.²²⁵ ამდენად, საჯარო წესრიგი მოიცავს არამხოლოდ კანონმდებლობით გაწერილ ფუნდამენტურ სამართლებრივ პრინციპებს, არამედ უფრო ფართო გაგებით, საზოგადოებაში დამკვიდრებულ ღირებულებასაც, რომლებსაც შეიძლება არც კჭონდეს პირდაპირი ნორმატიული გამოვლინება.

როგორც აღინიშნა, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკასა და ინგლისში საწარმოო კორპორაციების მიმართ

²²² კონცესიის სისტემების გაუქმებას, დადგენილები ცვლილებების 1871-1872 წლების პროექტი ითვალისწინებდა, თუმცა პროექტის მიღება საბოლოოდ არ მოხარა; *Долгинская, Акционерное право. Основные положения и тенденции, 2006, 50.*

²²³ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1923 წლის სამოქალაქო კოდექსი, თავი X, მუხლი 318. თუმცა სამოქალაქო კოდექსის პირველი რედაქციის ლიბერალური მიდგომები ახალი ეკონომიკური პოლიტიკის „ნეპის“ შედეგი იყო, რადგანაც ეს უკანასკნელი პირველ ხანებში შესაძლებლობას იძლეოდა საწარმოთა დაფუძნება-ოპერირებას კერძო ნების საფუძველზე. მოგვიანებით, კოდექსიდან ამოღებულ იქნა ორგანიზაციული ფორმების მომწვერიგებელი ნორმები; *ლაზარაშვილი, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგულირების ისტორია, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნ., აღმანახი №5, 1998, 10.*

²²⁴ „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონი.

²²⁵ სუს, 2015 წლის 28 ოქტომბრის განჩინება №ას-813-764-2015; ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 აპრილის განჩინება №2/ზ-257-2013, რომლითაც საარბიტრაჟო სამართლის კონტექსტში სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო წესრიგი არის საზოგადოებაში დამკვიდრებული სამართლებრივ, სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ურთიერთობათა წესი, რომელიც აუცილებელია ამ საზოგადოების არსებობისათვის. შესაბამისად, ყოველგვარი მართლსაწინააღმდეგო ქმედება არღვევს საჯარო წესრიგს, თუმცა, საჯარო წესრიგის აქრღვევასევე ისეთი ქმედებაც, რომელიც შეიძლება არ იყოს კანონსაწინააღმდეგო, თუმცა ეწინააღმდეგებოდეს ურთიერთობათა დამკვიდრებულ წესს.

შეუზღუდავი პასუხისმგებლობის პრინციპი მოქმედებდა. თუმცა რამდენიმე ათეულწელიწადში კანონმდებელმა გააცნობიერება, რომ დოვლათის წარმოება უფრო ეფექტური იქნებოდა, თუკი წახალისებდნენ ინვესტირებას პასუხისმგებლობის შეზღუდვის მეშვეობით.²²⁶ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ინდუსტრიული წარმოების წამყვანი ცენტრი აშშ-ში იყო ნიუ-იორკის შტატი.²²⁷ 1822 წელს ნიუ-იორკის უმაღლესმა სასამართლომ საწარმოო კორპორაციის ინკორპორაციის შესახებ 1811 წლის სტატუტის ინტერპრეტაცია იმგვარად მოახდინა, რომ ნათელი გახდა – პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის გავრცელებას კორპორაციებზე შტატის პოლიტიკა განსაზღვრავდა და განპირობებული იყო ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და კორპორაციების შექმნის წახალისების მიზნებით.²²⁸ ამ პერიოდიდან, შეიძლება ითქვას, რომ კორპორაციების კონტექსტში პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი უკვე საჯარო წესრიგის ნაწილი იყო.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის შესახებ ისტორიულ კვლევებში გაუდერებულია პოზიცია, რომელიც ამართლებს შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპს დემოკრატიის საფუძვლით. ამ პოზიციის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ მცირე კაპიტალისტს არ მიეცემა შესაძლებლობა მოახდინოს ინვესტირება და ამავროულად დაიცვას თავი პასუხისმგებლობის შეზღუდვის იმუნიტეტით, ის არასდროს მოახდენს ინვესტირებას და შესაბამისად, მხოლოდ ინდუსტრიული გიგანტები შეძლებენ გამოიყენონ სარგებელი, რაც კორპორაციებში ინვესტირებას მოჰყვება.²²⁹ უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მკვლევარები იშვიათად უთითებენ ამ არგუმენტზე.²³⁰

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ სწორედ საჯარო წერივი უნდა განსაზღვრავდეს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის მოქმედების ფარგლებს.²³¹ საჯარო წესრიგის საპასუხო რეაქცია პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის გამოყენებაზე, რაც გამოიხატება პარტნიორისთვის იმუნიტეტის მინიჭებით ან პირიქით იმუნიტეტის უკუგდებით, როგორც ქვემოთ ვნახავთ, უნდა მოხდეს საკმარისი გონიერების გამოჩენით. აღნიშნული პოზიცია ეფუძნება სამ მაგალითს, რომელიც ნათლად

²²⁶ *Presser, Limited Liability Democracy and Economics*, 87 *Northwestern University Law Review* 148, 154.1992, 154.

²²⁷ *Presser, Limited Liability Democracy and Economics*, 87 *Northwestern University Law Review* 148, 154.1992, 154.

²²⁸ *Presser, Limited Liability Democracy and Economics*, 87 *Northwestern University Law Review* 148, 154.1992, 155.

²²⁹ ეს არგუმენტი განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ამოქმედება საჭირო იყო მცირე ინვესტორების დაინტერესებისთვის. 1848 წელს, ნიუ-იორკის კონსტიტუციის განხილვის დროს, გაუდერდა მოსაზრება, რომ თუ არ მოხდებოდა შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის შემოღება, კორპორაციებში ინვესტირება დარჩებოდა მხოლოდ მდიდარი ინვესტორების პრივილეგიად, დემოკრატიის მიზანი კი არ იყო მდიდარი კაცის უფრო მეტად გამდიდრება; იხ. *Presser, Limited Liability Democracy and Economics*, *Northwestern University Law Review*, 1992, 154.

²³⁰ *Presser, Limited Liability Democracy and Economics*, 87 *Northwestern University Law Review* 148, 1992, 154.

²³¹ *Gelb, Limited Liability Policy and Veil Piercing*, 9 *Wyoming Law Review* 551, 2009, 552.

წარმოაჩენს საჯარო წესრიგის როლს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის გამოყენების პროცესში.²³²

პირველი მაგალითი

რამდენიმე პირმა ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობის წარმოების მიზნით, მოახდინეს მნიშვნელოვანი სახრების ინვესტირება. მათ სურდათ წარმატების მიღწევა, თუმცა არ სურდათ გაერისკათ მთელი პირადი ქონებით, ამიტომ აირჩიეს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა. ისინი საქმეებს უძღვებოდნენ სათანადო გულისხმიერებით, თუმცა მათი ბიზნესი ვერ აეწყო. ამ შემთხვევაში, საჯარო წესრიგმა უნდა დაუშვას პასუხისმგებლობის შეზღუდიდან გამომდინარე პრივილეგიით სარგებლობა.

მეორე მაგალითი

რამდენიმე პირმა გამოიყენა პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმა არა სამეწარმეო საქმიანობაში წარმატების მისაღწევად, არამედ კრედიტორების ხარჯზე პირადი მოგების მისაღებად. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმა გამოყენებულია როგორც მექანიზმი თაღლითური გზით მოგების მისაღებად. ასეთ დროს საჯარო პოლიტიკამ არ უნდა მიანიჭოს იმუნიტეტი პარნიორებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მაგალითში აღწერილი ქმედება, თავისი შემადგენლობით, სისხლისსამართლებრივ დანაშაულთან უფრო ახლოსაა, ვიდრე კერძოსამართლებრივ ქმედებასთან.²³³ ამიტომ, ლოგიკურია, რომ საჯარო წესრიგი ახდენს ასეთი ქმედების კრიმინალიზაციას, რაც თავის მხრივ, ხაზს უსმავს იმ გარემოებას, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი არ არის ულიმიტო და მისი მოქმედება შეზღუდულია, როგორც მინიმუმ სისხლისსამართლის კანონმდებლობით. თუმცა საჯარო წესრიგმა, ასევე უნდა უზრუნველყოს კრედიტორთა ინტერესების ეფექტური და ქმედითი დაცვა. პარტნიორის შეუზღუდავი პასუხისმგებლობის ამოქმედება მასზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით არ არის ეფექტური მექანიზმი, რადგანაც ამ შემთხვევაში, კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილება მოხდება მხოლოდ კრედიტორის სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ. ამასთან ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კანონმდებლობით ერთგვაროვანი სისხლისსამართლის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებას პრეიდუციული ძალა სამოქალაქო სასამართლოს საქმეზე, მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ფაქტის და არა ზიანის ოდენობის ან სხვა ფაქტობრივი გარემოების ნაწილში აქვს.²³⁴ ამდენად, სისხლისსამართლის

²³² Gelb, Limited Liability Policy and Veil Piercing, 9 Wyoming Law Review 551, 2009, 553.
²³³ შეად., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 205¹-ე მუხლი.
²³⁴ სუს-ის 2010 წლის განჩინება №238-224-10, სასამართლომ მიუთითა, რომ, პრეიდუციული ძალა ენიჭება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ, კანონიერ ძალაში შესულ საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დადგენილი პირის მიერ ჩადენილ ქმედებას, ხოლო ამ ქმედებით მიყენებული მატერიალური და

საქმეზე დაზარალებულად ცნობილი კრედიტორის სარჩელის გამო, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო ითვალისწინებს სისხლისამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ მხოლოდ დანაშაულის – პარტნიორის მიერ საზოგადოების სახელით თაღლითობის ჩადენის ფაქტს, ხოლო თაღლითობის შედეგად დამგარი ზიანის ოდენობის მტკიცება კრედიტორს ეკისრება. როგორც ვხედავთ, სისხლისამართლებრივი მექანიზმი, მხოლოდ დროში გაწეული წინაპირობაა იმისათვის, რომ იურიდიული პირის კრედიტორმა პარტნიორის დანაშაულებრივი ქმედების გამო სამოქალაქო სამართლებრივი წარმოების გზით ანაზღაუროს ზიანი. ამ არაფექტურობის გამო, მიზანშეწონილია, რომ საჯარო წესრიგმა უზრუნველყოს კრედიტორისთვის ალტერნატივა, გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველით სამოქალაქო სამართლებრივი წარმოების გზით ზიანის ანაზღაურებისთვის.

მესამე მაგალითი

რამენიმე პირმა დაარსა კორპორაცია, იმ მიზნით რომ ეწარმოებინათ ბიზნესი და მიეღოთ მოგება, თუმცა მათ არ სურდათ ინვესტიციის დაკარგვის რისკის აღება. მათი მიზანი იყო წარმატებული ბიზნესის წარმოება ისე, რომ არაფერი წაეგოთ, და ყველა შესაძლო რისკი გადაეკისრათ კრედიტორებს. ამ შემთხვევაში, საჯარო წესრიგმა პარტნიორებს შეზღუდული პასუხისმგებლობის იმუნიტეტი უნდა მიანიჭოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პარტნიორები მოახდენენ კრედიტორების სათანადო ინფორმირებას კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და ამის გათვალისწინებით კრედიტორები მაინც მოახდენენ ინვესტირებას ამ ბიზნესში და ამით შეგნებულად იკისრებენ იმ რისკებს, რაც პარტნიორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვას მოჰყვება ბიზნესის წარუმატებლობის შემთხვევაში.

შეჯამების მიზნით, შეიძლება ითქვას, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი წარმოადგენს საჯარო წესრიგის ნაწილს, თუმცა ამავედროულად, იგივე საჯარო წესრიგი ზღუდავს ამ პრინციპის ბოროტად გამოყენების შემთხვევებში პარტნიორისთვის იმუნიტეტის მინიჭებას.

5. პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ეკონომიკური გამართლება

იურიდიულ ლიტერატურაში განსაკუთრებული მსჯელობის საგანია პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ეკონომიკური ეფექტი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე. ამ მიმართულებით გამოიყოფა რამდენიმე პრობლემური საკითხი. პირველი, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპისა და გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის მოქმედება სახელშეკრულებო კრედიტორების მიმართ. სამართლის ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ რიჩარდ პოზნერის თანახმად, სახელშეკრულებო კრედიტორებს ადვილად

მორალური ზიანის და მათი ოდენობის მტკიცების ტვირთი, სამოქალაქო საქმეზე ეკისრება მოსარჩელე მხარეს.

შეუძლიათ გამოიკვლიონ კორპორაციის კაპიტალიზაციის შესახებ ინფორმაცია და სხვა გარემოებები, რომლებიც შეამცირებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვიდან გამომდინარე რისკებს.²³⁵ ამდენად, ხელშეკრულებისმიერი კრედიტორებს, რისკების შემცირების ხარჯზე გააჩნიათ თავდაცვის მაქნიზმი. შესაბამისად, პოზნერის მიდგომის თანახმად, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი არ წარმოადგენს მომეტებული და გაუმართლებელი ფინანსური რისკის მატარებელს სახელშეკრულებო კრედიტორების მიმართ, რის გამოც, მათ შემთხვევაში გამჭოლი პასუხისმგებლობა არ უნდა იქნეს გამოყენებულ დამატებით მექანიზმად.²³⁶

თუმცა, პროფესორ პოზნერის არგუმენტი არ უნდა იქნეს მიხნეული წინასწარ დამტკიცებულ მოცემულობად. უდავოა, რომ ხელშეკრულებისმიერი კრედიტორებს, დელიქტისმიერ კრედიტორებთან შედარებით გააჩნიათ რისკების შემცირების შესაძლებლობა გარემოებათა წინასწარი შეფასების ხარჯზე. მაგრამ ამავედროულად გამჭოლი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ცრუ წარმოდგენების შექმნა და კრედიტორის შეცდომაში შეყვანა. ასეთ დროს კი ხელშეკრულებისმიერი კრედიტორების ხელთ არსებული რისკების შემცირების მექანიზმი ვერ იმოქმედებს.

ამდენად, განხილული არგუმენტი, გამჭოლი პასუხისმგებლობის მოქმედების ფარგლების ხელშეკრულებისმიერი კრედიტორების მიმართ შეზღუდვის შესახებ, შეფასებულ უნდა კონკრეტული შემთხვევების სადავო ფაქტობივი გარემოებების ჭრილში და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გაზიარებული, როდესაც კრედიტორი, რეალური შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად, არ იცავს თავს, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან გამომდინარე ვადლებულების შეუსრულებლობის საფრთხისგან. ასეთ დროს სრულიად გამართლებულად უნდა იქნეს მიხნეული მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების კრედიტორზე გადასვლა. მიზანშეწონილია გაიმიჯნოს ორი შემთხვევა, როდესაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან გამონაკლისი არ უნდა იქნეს გამოყენებული კრედიტორის სასარგებლოდ. პირველი, კრედიტორმა წინასწარ იცოდა კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ თუმცა ნებაყოფლობით, თავისუფალი ნების საფუძველზე შესაძლო უარყოფითი შედეგი იკისრა საკუთარ თავზე. მეორე, კრედიტორმა მართალია წინასწარ არ იცოდა, თუმცა მას გააჩნდა შესაძლებლობა, რომ თავისუფლად შეეფასებინა შესაძლო რისკები, რაც არ განუხორციელებია. ორივე შემთხვევა, განხილულ უნდა იქნეს კრედიტორის სასარგებლოდ გამჭოლი პასუხისმგებლობის შემაფერხებელ გარემოებად.

აღნიშნულის გარდა, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ეკონომიკური გამართლება ეფუძნება კორპორაციის მონიტორინგის ხარჯების შემცირების არგუმენტს. პროფესორ ფიტჩელისა და ისტერბრუქის მიერ ჩამოყალიბებულ არგუმენტაციის მიხედვით, შეუზღუდავი პასუხისმგებლობის პირობებში, პასუხისმგებლობის

²³⁵ *Presser, Piercing the Corporate Veil*, 2011 Edition, 50.

²³⁶ *Posner, The Rights of Creditors of Affiliated Corporations*, *The University of Chicago Law Review*, Vol. 43, No.3, 1976, 503.

თავიდან აცილების მიზნით, პარტნიორები დაიწყებდნენ კორპორაციის და მენეჯმენტის აქტიურ კონტროლს.²³⁷ აღნიშნული კი გამოიწვევდა მენეჯმენტის მონიტორინგის ხარჯების ზრდას და შესაბამისად, შეაფერხებდა ინვესტიციების განხორციელებას. მეორე არგუმენტის თანახმად, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი ამცირებს პარტნიორების მხრიდან სხვა დანარჩენი პარტნიორების მონიტორინგის ხარჯებს.²³⁸

ზემოთ დასახელებული ორი გარემოების საბოლოო ეფექტი დადებითად ისახება კორპორაციაზე, რადგანაც პარტნიორების ხარჯების შემცირებისა და ინვესტიციების დივერსიფიკაციის შესაძლებლობის ხარჯზე შესაძლებელი ხდება კორპორაციის კაპიტალის გაზრდა.²³⁹

მესამე არგუმენტის მიხედვით, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი და ინვესტიციების დივერსიფიკაცია მენეჯმენტს საშუალებს აძლევს თავისუფლად მიიღონ ბიზნეს გადაწყვეტილებები და განახორციელოს მაღალი რისკის მატარებელი პროექტები, რომლებმაც საბოლოო ჯამში, შეიძლება დიდი მოგება მოუტანოს კორპორაციას.²⁴⁰

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ეკონომიკური ანალიზი ეფუძნება საწარმოს უნარს გადააკისროს რისკები კრედიტორებს.²⁴¹ ამ გაგებით, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი წარმოადგენს კორპორაციის რისკების დაზღვევის მექანიზმს, რომლის ღირებულებასაც იხდის კრედიტორს.²⁴²

6. პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის მიმართება დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობასთან

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი არ განაპირობებს დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას. დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა არსებობს შეუზღუდავი პასუხისმგებლობის ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმებშიც (მაგ., სპს). ნიშანდობლივია, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი არ არის უპირობო ინსტრუმენტი. ყველა მეტნაკლებად განვითარებული სამართლებრივი სისტემა აღიარებს რეალობას, რომელშიც პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბოროტად და ცდილობს მის პრევენციას გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის მეშვეობით.²⁴³ ამავედროულად პასუხისმგებლობის შეზღუდვა ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმის მეშვეობით არ არის უნიკალური საშუალება. სამართლის მიერ აპრობირებულია პასუხისმგებლობის დაზღვევის მექანიზმი. შესაბამისად, შეუზღუდავი პასუხისმგებლობის ორგანიზაციულსამართლებრივ ფორმაში

²³⁷ *Presser, Piercing the Corporate Veil*, 2011 ed. 50.

²³⁸ *Easterbrook, Fischel, Limited Liability and the Corporation*, University of Chicago Law Review 1985, 96-97.

²³⁹ *Presser, Piercing the Corporate Veil*, 2011 ed. 50.

²⁴⁰ *Presser, Piercing the Corporate Veil*, 2011 ed. 50.

²⁴¹ *Sommer, Subsidiary: Doctrine without a Cause?* Fordham Law Review, Vol.59, Issue 2, Art. 2, 1990, 230.

²⁴² *Sommer, Subsidiary: Doctrine without a Cause?* Fordham Law Review, Vol.59, Issue 2, Art. 2, 1990, 230.

²⁴³ *Herting, Kanda, Creditor Protection*, in: *The Anatomy of Corporate Law, A Comparative and Functional Approach*, 2004, 93.

გაერთიანებულ პირებს შეუძლიათ დაიზღვიონ თითქმის ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობა, რაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ალტერნატივას წარმოადგენს ამხანაგური ტიპის საზოგადოებებისათვის.²⁴⁴ აღსანიშნავია ისიც, რომ კორპორაციულ სამართლებრივი მექანიზმის – პასუხისმგებლობის შეზღუდვის მსგავსად, არც პასუხისმგებლობის დაზღვევა არის უპირობო მექანიზმი. სადაზღვეო სამართლის ფუნდამენტური პრინციპია, რომ ზიანი, რომელიც გამოიწვია პირის მართალსაწინააღმდეგო და განზრახმა ქმედებამ არ ექვემდებარება ანაზღაურებას.²⁴⁵

7. გამჭოლი პასუხისმგებლობა, როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის საპირწონე სამართლიანობის უზრუნველსაყოფად

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი არ არის უნივერსალური. მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი მიიჩნევა მნიშვნელოვან სოციალურ ბენეფიციად, სასამართლო არასდროს აღიარებდა კორპორაციის განცალკევებულ ბუნებას, როდესაც იგი გამოიყენებოდა არამართლზომიერად.²⁴⁶

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ყველა წამყვანი სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს მისი უკუდგების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როცა სახეხეა პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების გამოყენება პირადი სარგებლისა და კრედიტორების საზიანოდ.

ქვემოთ მოცემული მსჯელობის ძირითადი თეზისია, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობისა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის ურთიერთგამომრიცხავი ბუნება გაველენას არ ახდენს დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობაზე, ამავდროულად, გამჭოლი პასუხისმგებლობა აბალანსებს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს, უზრუნველყოფს რა სამართლიანობასა და სტაბილურ ეკონომიკურ გარემოს.

7.1. Piercing the Corporate Veil (კორპორაციული საფარველის გაჭოლვა) ისტორიული საფუძვლები

წინამდებარე თავში განხილულია კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დოქტრინის ისტორიული საფუძვლები აშშ-ში, ინგლისსა და გერმანიაში.²⁴⁷

²⁴⁴ Halpern, Tribelrlock, Turnbull, An Economic Analysis of Limited Liability in Corporation Law, 30 U.Toronto L.J.117, 1980, 138.

²⁴⁵ სსკ-ის 842-ე მუხლი.

²⁴⁶ Morrissey, Piercing All the Veils: Applying an Established Doctrine to a New Business Order, 32 Iowa Journal of Corporate Law 529, 2007, 541

²⁴⁷ აშშ-ში, ინგლისსა და გერმანიაში გამჭოლი პასუხისმგებლობა განვითარებულია სხვადასხვა, თუმცა მსგავს თეორიებში. მაგ. აშშ-ში დომინანტია ალტერ ეგო-ს და ინსტრუმენტალური თეორია. იხ. ვულა შვილი, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კორპორაციათა ურთიერთობის კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), საკორპორაციო სამართლის კრებულში, რედ. ბურდული ი., 2011, 83-85. ინგლისში ლორდ დენინგის მიერ ჩამოყალიბებული ერთიანი ეკონომიკური ელემენტის თეორია, იხ. Cheng., A Comparative Study of The English and The U.S. Corporate Veil Doctrine, Boston Collage International and Comparative Law Review, Vol.34, 2011, 334;

ტერმინი *Piercing the corporate veil* (ქართული შესატყვისი - კორპორაციული საფარველის გაჭოლვა), აშშ-ს სამართლის დოქტრინაში დაამკვიდრა პროფესორმა ვორმსერმა, ნაშრომში „კორპორაციის საფარველის გაჭოლვა“, რომელიც 1912 წელს დაიბეჭდა კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლის მიმოხილვის ჟურნალში.²⁴⁸ მასვე უკავშირდება ალტერ ეგოს თეორიის განვითარება.²⁴⁹ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპის წარმოშობის ზუსტი თარიღის დადგენა შეუძლებელია, რადგანაც პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის არგუმენტირებული პრეცედენტები ვორმსერის მიერ ტერმინის დამკვიდრებამდეც არსებობდა.²⁵⁰ მაგალითად, 1809 წლიდან 1830 წლამდე პერიოდში მასაჩუსეტისის შტატმა მიიღო ხუთი სხვადასხვა სტატუტი, რომელიც არეგულირებდა პარტნიორის პასუხისმგებლობის შემთხვევებს.²⁵¹ ასევე, 1824 წელს საქმეზე *Wood v. Dummer*, მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ გამოიყენა შეუზღუდავი პასუხისმგებლობის პრინციპი. ამ საქმეში ინკორპორირებული ბანკის აქციონერებმა დიდი ოდენობით დივიდენდების გაცემის შედეგად კორპორაცია დატოვეს სახსრების გარეშე. სასამართლომ განსაზღვრა აქციონერთა ვალდებულება გადაეხადათ კორპორაციის დავალიანება კრედიტორების წინაშე მიღებული დივიდენდების ფარგლებში.²⁵²

გამჭოლი პასუხისმგებლობის ისტორიული საწყისების წარმოჩენის მიზნით, უნდა აღინიშნოს *Booth v. Bunce* საქმე.²⁵³ ამ საქმეში ფინანსური პრობლემის მქონე ამხანაგობის წევრებმა დააფუძნეს კორპორაცია, რომელსაც გადასცეს ამხანაგობის ქონება. ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლომ 1864 წელს დაადგინა, რომ ამ ამხანაგობის კრედიტორს შეეძლოთ კორპორაციისთვის გადაცემული ქონებიდან მიეღოთ ანაზღაურება, რადგანაც კორპორაცია შეიქმნა არაკეთილსინდისიერად, იმ მიზნით, რომ ანაზღაურების გარეშე დაეტოვათ ამხანაგობის კრედიტორები.²⁵⁴

ამდენად, აშშ-ს პრეცედენტულ სამართალში პარტნიორის შეუზღუდავი პასუხისმგებლობის შემთხვევებს სასამართლოები ადგენდნენ იმ პირობებში, როცა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი აღიარებული და ფართოდ გავრცელებული ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან იყო.

ინგლისში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის განვითარებას იურიდიულ ლიტერატურაში პირობითად სამ ეტაპად ყოფენ.²⁵⁵ პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს 1897 წლიდან (როდესაც მიღებულ იქნა *Salomon v. Salomon* საქმეზე გადაწყვეტილება, სადაც ლორდთა პალატამ დაადგინა, რომ კანონის შესაბამისად დაარსებული კომპანია მიიჩნევა დამოუკიდებელ სამართალსუბიექტად, რაც

²⁴⁹ *Wormser*, Piercing the Veil of Corporate Entity, Columbia Law Review, Vol.12, No. 6, 1912, 496.

²⁵⁰ *Wormser*, Piercing the Veil of Corporate Entity, Columbia Law Review, Vol.12, No. 6, 1912, 500.

²⁵¹ *Alting*, Piercing the Corporate Veil, In American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. 7 Int'l L. 187, 1995, 192.

²⁵² *Wood v. Dummer*, 30 F. Cas. 435 (C.C.D. Me. 1824) (No.17, 944).

²⁵³ *Booth v. Bunce* (1865) 33 N. Y. 139.

²⁵⁴ *Wormser M.*, Piercing the Veil of Corporate Entity, Columbia Law Review, Vol.12, No. 6, 1912, 496.

²⁵⁵ *Cheng*, A Comparative Study of The English and The U.S. Corporate Veil Doctrine, Boston Collage International and Comparative Law Revie, Vol.34, 2011, 334.

გამორიცხვას მისი პარტნიორის პირად პასუხისმგებლობას) მეორე მსოფლიო ომამდე. როგორც აღნიშნავენ, დოქტრინის განვითარების ეს ეტაპი ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებდა.²⁵⁶ მეორე ეტაპი, მოიცავს პერიოდს მეორე მსოფლიო ომიდან 1978 წლამდე, ამ პერიოდში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენებამ პიკს მიაღწია,²⁵⁷ თუმცა ეს ეტაპი დასრულდა 1978 წელს, როდესაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქმეზე *Woolfson v Strathclyde Regional Council*, სადაც სასამართლომ უარყო პარტნიორის კორპორაციული საფარველის გაჭოლის შესაძლებლობა.²⁵⁸ 1978 წლიდან იწყება მესამე ეტაპი, რომელიც დღემდე გრძელდება და ხასიათდება, უმეტეს სადაო შემთხვევებში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენებლობის ტენდენციით.²⁵⁹

Piercing the veil-ის ანალოგს გერმანულ სამართალში წარმოადგენს *Durchgriffshaftung*, რომელიც მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან აღიარებულ იქნა სასამართლოს გადაწყვეტილებებით.²⁶⁰ *Piercing the veil-ის* მსგავსად, *Durchgriffshaftung-ის* გამოყენების წინაპირობები არ არის სისტემატიზირებული. იგი ეხება შემთხვევას, როცა პარტნიორი ბოროტად იყენებს განცალკევებულ სამართალსუბიექტობას.²⁶¹ კორპორაციული საფარველის გაჭოლის გარდა, ასევე არსებობს სხვა სამართლებრივი საფუძვლები, რომლის დროსაც ხდება პარტნიორზე შეუზღუდავი პასუხისმგებლობის დაკისრება. ეს შემთხვევებია, როდესაც პარტნიორი გამოდის კომპანიის თავდებად, ან პარტნიორი დებს ხელშეკრულებას პირადი სტატუსით, და არა როგორც კორპორაციის პარტნიორი.²⁶²

ისტორიული საფუძვლების შეჯამების მიზნით, შეიძლება ითქვას, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის პარალელურად გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის განვითარება აშშ-ში უფრო თანმიმდევრულად მოხდა, ვიდრე ინგლისსა და გერმანიაში.

7.2 გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზნები

გამჭოლი პასუხისმგებლობა, როგორც სამართლებრივი მექანიზმი, წარმოადგენს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან გამომდინარე

²⁵⁶ Cheng, A Comparative Study of The English and The U.S. Corporate Veil Doctrine, Boston Collage International and Comparative Law Revie, Vol.34, 2011, 334.

²⁵⁷ Cheng, A Comparative Study of The English and The U.S. Corporate Veil Doctrine, Boston Collage International and Comparative Law Revie, Vol.34, 2011, 334.334, ავტორის მითითებით ამ პერიოდში დოქტრინის სიცოხლისუნარიანობა უკავშირდება ლორდ დენინგის სახელს, რომელმაც, ერთიანი ეკონომიკური ელემენტის თეორიის შექმნით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დოქტრინის განვითარებაში.

²⁵⁸ Cheng, A Comparative Study of The English and The U.S. Corporate Veil Doctrine, Boston Collage International and Comparative Law Revie, Vol.34, 2011, 334.

²⁵⁹ Cheng, A Comparative Study of The English and The U.S. Corporate Veil Doctrine, Boston Collage International and Comparative Law Revie, Vol.34, 2011, 334.

²⁶⁰ Atling, Piercing the Corporate Veil, In American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. 7 Int'l L. 187, 1995, 197.

²⁶¹ Merkt, Spindler, Limited Liability of Controlling Parties (Piercing the Corporate Veil) and Related Legal Constellations, in: Legal Capital in Europe, 2006, 170,174.

²⁶² Atling, Piercing the Corporate Veil, In American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. 7 Int'l L. 187, 1995, 197.

იმუნიტეტის ბოროტად გამოყენების საპასუხო მექანიზმს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამჭოლი პასუხისმგებლობის ძირითადი მიზანია კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სამართლიანი ბალანსის შენარჩუნება, რაც ემსახურება მხარეთა შორის ერთგვარად *status que ante*-ს აღდგენას. უფრო ვიწრო გაგებით, კი გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზანია კერძოსამართლებრივი ურთიერთობების იმ მონაწილის უფლებათა დაცვა, რომელსაც მეორე მხარის არამართლზომიერი ან არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო, არ გააჩნია უფლების დაცვის ქმედითი და აღსრულებადი მექანიზმი.

ამდენად, გამჭოლი პასუხისმგებლობა უნდა ემსახურებოდეს ამ მიზანს, და სათანადო ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას პარტნიორის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს სამართლიანი ბალანსის შენარჩუნების/აღდგენის მიზნით.

7.2.1 კრედიტორთა ინტერესების ეფექტური უზრუნველყოფა

სამართალი ცდილობს აირიდოს შედეგი, რომელიც დგება პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ბოროტად გამოყენებით.²⁶³ იმ მოცემულობაში, რომელიც სცდება კანონით დადგენილ ჩარჩოებს, სამართლიანი ბალანსი მოითხოვს კეთილსინდისიერი მხარის უზრუნველყოფას უფლების დაცვის ეფექტური მექანიზმით. გამჭოლი პასუხისმგებლობა არის უკიდურესი ღონისძიება, რომელსაც სასამართლო მიმართავს იმ შემთხვევაში, როცა პარტნიორთა არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო კრედიტორები ანაზღუარების გარეშე დარჩნენ.²⁶⁴ ამის გათვალისწინებით გამჭოლი პასუხისმგებლობა გვეკლინება, როგორც ზიანის კომპენსაციის სამართლებრივი საფუძველი.

7.2.2 უსამართლობის აღკვეთა

სასამართლოს მიერ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენება უმეტეს შემთხვევაში მოტივირებულია უსამართლობის აღკვეთის მიზნით. საერთო სამართლის სისტემაში გამჭოლი პასუხისმგებლობა წარმოადგენს სამართლიანობის კონცეფციიდან გამომდინარე (*“equitable remedy”*) სასამართლო მექანიზმს.²⁶⁵ სასამართლო პრეცედენტები ცხადყოფენ, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპი გამოყენებული უნდა იყოს უსამართლობის აღსაკვეთად.²⁶⁶ ამ მიზანს აშშ-ს სასამართლო შედარებით ახალ გადაწყვეტილებებშიც იზიარებს. მაგალითად, საქმეზე *Bair v. Purcell*²⁶⁷ 2007 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ გამჭოლი

²⁶³ *Morrissey, Piercing All the Veils: Applying an Established Doctrine to a New Business Order*, Iowa Journal of Corporate Law, [32 Iowa J. Corp. L. 529], 2007, 541.

²⁶⁴ მაგ., *Booth v. Bunce* (1865) 33 N. Y. 139.

²⁶⁵ *Morrissey, Piercing All the Veils: Applying an Established Doctrine to a New Business Order*, Iowa Journal of Corporate Law, [32 Iowa J. Corp. L. 529], 2007, 542.

²⁶⁶ *Bellaire Securities Corp. v. Brown*, 124 Fla. 47, 87, 168 So. 625, 633 (1936).

²⁶⁷ *Bair v. Purcell*, 500 F. Supp. 2d 468, 480. (M.D. Pa. 2007).

პასუხისმგებლობის გამოიყენება შეიძლება გახდეს აუცილებელი უსამართლობის აღსაკვეთად. ამ აუცილებლობას არ აფერხებს ის ფაქტი, რომ არ არსებობს ამ მექანიზმის გამოყენების ჩარჩო რეგულაციები. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა, თავდაპირველ მიზანს, თანამედროვე სამყაროშიც ინარჩუნებს.

თავისთავად პრობლემურია სამართლიანობის კონცეფციაც, რადგანაც არ არსებობს საყოველთაო კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავდა სამართლიანობის არსს. იმ შემთხვევაში კი, თუ კონკრეტული კერძო ურთიერთობების სამართლიანობის კონტექსტში შეფასება ვერ მოხდება, გამჭოლი პასუხისმგებლობა ვერ შეასრულებს უსამართლობის აღკვეთის მიზანს. თუმცა, გამჭოლი პასუხისმგებლობის და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ბუნებიდან გამომდინარე, სამართლიანობის არსი, პირველ რიგში, ვლინდება უფლების ბოროტად გამოყენებისა, შესაბამისად, კანონმდებლობით მინიჭებული პრივილეგიის არამართლზმიერად გამოყენების დაუშვებლობაში. შესაბამისად, გამჭოლი პასუხისმგებლობის კონტექსტში სამართლიანობის კონცეფცია არ უკავშირდება განსაკუთრებულ სირთულეს, რადგანაც უფლების ბოროტად გამოყენება აპრიორი გულისხმობს უსამართლობას.

8. გამჭოლი პასუხისმგებლობის გავლენა განცალკევებულ სამართალსუბიექტობაზე

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს პოზიცია, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის შეფარდება გულისხმობს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის სტატუსის გაუქმებას.²⁶⁸ გამჭოლი პასუხისმგებლობის სინონიმად ხშირად გამოიყენება ტერმინი *disregarding corporate entity*²⁶⁹, რაც შინაარსობრივად კორპორაციის როგორც იურიდიული პირის სტატუსის იგნორირებას გულისხმობს. წინამდებარე თავის მიზიანია არგუმენტირებულად უარყოს ეს პოზიცია და დაასაბუთოს, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობა არ აუქმებს დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას.

აღნიშნული თეზისის ვერიფიკაციის მიზნით, გამჭოლი პასუხისმგებლობის მოქმედება უნდა განვიხილოთ ორ განსხვავებულ სივრცეში. პირველი, არის ფაქტობრივი რეალობა, ხოლო მეორე სამართლებრივი რეალობა.

გამჭოლი პასუხისმგებლობის ყველა წინაპირობა საბოლოო ჯამში მიდის იმ საერთო გარემოებაში, როცა კორპორაციის დამოუკიდებლობა და განცალკევებულობა ფაქტობრივად არ არსებობს. მაგალითად, როცა კორპორაცია წინასწარი განზრახვით გამოყენებულია, როგორც ვადლებულებებისთვის თავის არიდების მექანიზმი (ინსტრუმენტალური თეორია)²⁷⁰ ან როცა პარტნიორის კონტროლის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ ასეთ პირობებში დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა

²⁶⁸ Wormser, Piercing the Veil of Corporate Entity, Columbia Law Review, Vol.12, No. 6, 1912, 496.

²⁶⁹ Wormser, Piercing the Veil of Corporate Entity, Columbia Law Review, Vol.12, No. 6, 1912, 496.

²⁷⁰ Team, Glenn v. Wagner: Instrumentality Rule Versus the Balancing Test in Piercing the Corporate Veil, 64 North Carolina Law Review 1265, 1986; 1270.

ვერ იარსებებს (ალტერ ეგო). მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციაზე პარტნიორის დომინირების ხარჯზე, იკარგება კორპორაციის დამოუკიდებლობა, სამართლის თვალში, კორპორაცია მაინც ინარჩუნებს დამოუკიდებელი და განცალკევებული სუბიექტის სტატუსს. ამდენად, გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპის გამოყენება, ფაქტობრივ რეალობაში არ აუქმებს დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას, რადგანაც ეს უკანასკნელი უბრალოდ არ არსებობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაქტობრივ რეალობაში გამჭოლი პასუხისმგებლობა არ უპირისპირდება დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას, რადგანაც მოქმედებას იწვევს მხოლოდ ისეთ რეალობაში, რომელშიც კორპორაცია არ არის არც განცალკევებული პარტნიორისგან და არც საკმარისად დამოუკიდებელი.

როგორც აღინიშნა, სამართლებრივ რეალობაზე გავლენას არ ახდენს ფაქტობრივი რეალობა და ის ფაქტი, რომ რიგი გარემოებები გამორიცხავენ რეალურ დამოუკიდებლობას, სამართლის თვალში არ იწვევს დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსის გაუქმებას, რაც მხოლოდ ლიკვიდაციის შედეგად მიიღწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტნიორის პასუხისმგებლობის პარალელურად კორპორაციის იძულებითი ლიკვიდაციის წესი გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ნაწილი იქნებოდა. თუმცა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა არცერთ ნაციონალურ სამართლებრივ სისტემაში არ ითვალისწინებს ამის შესაძლებლობას. ანალოგიურად საქართველოშიც, სისხლის სამართლის კოდექსის 205¹-ე მუხლი, რომელიც შინაარსობრივად ყველაზე ახლოს დგას პარტნიორის შეუზღუდავი პასუხისმგებლობის იდეასთან, სანქციის სახით არ ითვალისწინებს იურიდიული პირის ლიკვიდაციას. ამდენად, უნდა დავასკვნათ, რომ სამართლის თვალში დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობაზე გამჭოლი პასუხისმგებლობა გავლენას არ ახდენს. თუმცა პირიქით, დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ხარისხი, როგორც ფაქტობრივი მოვლენა, გვევლინება გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობად.

გამჭოლ პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ურთიერთგამომრიცხავი მიმართება, დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის კონტექსტში, არც სამართლის თეორიაში წარმოშობს კოლიზიას, რადგანაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი არ არის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის განუყოფელი მახასიათებელი. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ სამართლის ისტორიაში დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის კონცეფცია განვითარდა იმ პირობებში, როცა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი არ მოქმედებდა კორპორაციათა მიმართ. მაგალითად, ინგლისში პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი დადგინდა, ინგლისის პარლამენტის 1855 წლის შეზღუდული პასუხისმგებლობის აქტით,²⁷¹ თუმცა კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ბევრად ადრე იყო აღიარებული როგორც კორპორაციის ძირითადი მახასიათებელი სამართლის თეორიაშიც და სასამართლო პრაქტიკაშიც. ამ ისტორიული გარემოების გათვალისწინებით, აღარ გვეჩვენება სამართლებრივ პარადოქსად ის

²⁷¹ Limited Liability Act 1855. Hillman, Limited Liability in Historical Perspective, Washington and Lee Law Review, Volume 54, 1997, 627.

ფაქტი, რომ დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა შეიძლება არსებობდეს პარტნიორის შეუზღუდავი პასუხისმგებლობის პირობებშიც. ამის ნათელი მაგალითი, ეროვნულ სამართალშიც მოიპოვება. სპს-ს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა, კანონით აღიარებული იურიდიულ პირია, თუმცა ამავდროულად მოქმედებს პარტნორების შეუზღუდავი პასუხისმგებლობის პრინციპი.²⁷² ანგლო-ამერიკულ სამართალშიც ვხვდებით ამხანაგური ტიპის გაერთიანებებს შეზღუდული პასუხისმგებლობით (რაც ჩვენი კანონმდებლობით კომანდიტური საზოგადოების ანალოგია), რომელიც, მინიმუმ ერთი წევრის შეუზღუდავი პასუხისმგებლობის პირობებშიც კი ითვლება წევრებისგან დამოუკიდებელ და განცალკევებულ სუბიექტად.²⁷³

9. შუალედური დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი არგუმენტი, რომელიც ნაშრომის მოცემულ ნაწილში დასმულ საკითხებს პასუხობს და შეაჯამებს კვლევის შედეგად ჩამოყალიბებულ თეზისებს.

პირველი, დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა კორპორაციის ნორმატიული ცნების ერთადერთი მახასიათებელია. ის ნიშნები კი, რომელსაც სამართალი და თეორია მიაწერს კორპორაციას, წარმოადგენენ კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის მახასიათებლებს და არა უშუალოდ კორპორაციის ცნების განუყოფელ ნაწილს. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე არ იქნება თანმიმდევრული სისტემური ბმა ცნებებს შორის, რომელიც მოითხოვს პირველ რიგში, დამოუკიდებელი სუბიექტის აღიარებას და მის აღჭურვას უფლებაუნარიანობით, იმ ატრიბუტიკის მინიჭებით, რომელიც ფაქტობრივ რეალობაში უზრუნველყოფს ამ დამოუკიდებლობას.

მეორე, გამჭოლი პასუხისმგებლობა წარმოადგენს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან გამონაკლისს. თუმცა ეს გამონაკლისი, ისევე როგორც თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი არ არის ერთადერთი და უნიკალური. შეზღუდული პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ კორპორაციულსამართლებრივი ინსტრუმენტი. პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი მექანიზმი სახელშეკრულებო სამართალში უფრო ადრე განვითარდა ვიდრე საკორპორაციო სამართალში, დაზღვევის ინსტიტუტის სახით. თუმცა არც ეს მექანიზმი არის უპირობო და მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი არ მოქმედებდა განზრახ მართლსაწინააღმდეგოდ. ეს ფაქტი, თავის მხრივ, ნათელს ჰფენს იმ გარემოებას, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი რა მექანიზმითაც არ უნდა იყოს მიღწეული ვერ იქნება ულიმიტო. ამ კანონზომიერებას ასევე ადასტურებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ისტორიული ანალიზი ანტიკური რომის მაგალითზე, რომელმაც დაადასტურა რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი, სამართლის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, აუცილებლად იწვევს მისი ლიმიტაციის საჭიროებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი აუცილებლად უნდა მოექცეს სამართლებრივ

²⁷² „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-20 მუხლი.

²⁷³ Limited Liability Partnerships Act 2000.

საზღვრებში, რომ არ მოხდეს უფლების ბოროტად გამოყენების შედეგად, ეკონომიკური ურთიერთობების სტაბილურობის დარღვევა.

მესამე, დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობაზე გამჭოლი პასუხისმგებლობა არ ახდენს არავითარ გავლენას, რადგანც სასამართლო მას იყენებს იმ პირობებში, როდესაც დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა ფაქტობრივად არ არსებობს. სწორედ ეს ფაქტობრივი რეალობა იძლევა გამჭოლი პასუხისმგებლობის გამართლების შესაძლებლობას. შესაბამისად, ფაქტობრივ რეალობაში, დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობასა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპს შორის კოლიზია გამორიცხულია. რაც შეეხება სამართლებრივ რეალობას, არც ამ სივრცეში ხდება დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის გაუქმება, რადგანაც გამჭოლი პასუხისმგებლობა არ მოიაზრებს პარტნიორის პასუხისმგებლობის პარალელურად, კორპორაციის პასუხისმგებლობას იძულებითი ლიკვიდაციის სახით.

გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის თანაარსებობა დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის კონტექსტში არ არის წინააღმდეგობრივი, რადგანაც შეზღუდული პასუხისმგებლობა არ არის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის განმსაზღვრელი განუყოფელი მახასიათებელი. იურიდიული პირის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა აღიარებული იყო იქამდეც, ვიდრე სამართლებრივი სისტემები კორპორაციებს შეზღუდულ პასუხისმგებლობას მიანიჭებდნენ. შეზღუდული პასუხისმგებლობა არის პრივილეგია, რომელსაც სამართალი ანიჭებს ინდივიდს იმ პირობებში, როცა ხდება კორპორაციაში საკუთრებისა და კონტროლის დემარკაცია.

სწორედ ეს პირობა სძენს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპს გამართლებას, რადგანაც ასეთ შემთხვევაში, როცა საკუთრება და კონტროლი ამ საკუთრების მიღმა ობიექტებზე სხვადასხვა ინდივიდების ძალაუფლების სფეროში ექცევა, აუცილებელი ხდება მესაკუთრის დაცვა, მისი პასუხისმგებლობის შეზღუდვით, რაც ამავდროულად კორპორაციებში ინვესტირების წახალისებასაც უწყობს ხელს. ამის გათვალისწინებით, ნათელი ხდება, რომ იურიდიული პირი ვერ იქნება პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიით აღჭურვილი ისეთ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმებში, სადაც საკუთრება და კონტროლი არ არის გამიჯნული.

IV. პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა, როგორც კრედიტორთა დაცვის მექანიზმი

საზოგადოების ვალდებულებებისთვის პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის მატერიალური საფუძველი გათვალისწინებულია მეწარმეთა შესახებ კანონში, რომლის თანახმადაც პარტნიორი ვერ დაიცავს თავს საზოგადოების კრედიტორებისგან, თუკი იგი ბოროტად იყენებდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.²⁷⁴ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში შედარებითსამართლებრივი ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებულია შემთხვევები, რომლის დროსაც განვითარებული სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნების სასამართლოები ახდენენ პარტნიორის კორპორაციული „მოსახამის“

²⁷⁴ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი.

გაჭოლვას.²⁷⁵ კერძოდ, საწარმოს არასათანადო კაპიტალიზაცია, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა, ქონების აღრევა. ამ ფონზე მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების (როგორც გარესამართლებრივ ურთიერთობებში პარტნიორის პასუხისმგებლობის კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთადერთი საფუძვლის) და გამჭოლი პასუხისმგებლობის ურთიერთმიმართების დადგენა. უფრო კონკრეტულად კი იმის განსაზღვრა ფარავს თუ არა მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული გარემოება გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინას, და რა სტანდარტით უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ პარტნიორის ქმედების შეფასება. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს კვლევის საგანს.

ნაშრომის წინამდებარე ნაწილის მიზანია, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბოს პარტნიორის მხრიდან პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენების შეფასების სტანდარტი. კვლევის შედეგებმა, საბოლოო ჯამში, ხელი უნდა შეუწყოს გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინისა²⁷⁶ და მისი როგორც კრედიტორთა ინტერესების დაცვის მექანიზმის განვითარებას საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში.

1. გამჭოლი პასუხისმგებლობა სხვადასხვა იურისდიქციებში

1.1. გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველები აშშ-ში

აშშ-ში პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ძირითად წესად ფორმირება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება.²⁷⁷ მის პარალელურად ასევე განვითარდა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინაც, როგორც გამონაკლისი ზოგადი წესიდან.²⁷⁸ ამ პარადოქსის საფუძველი შეიძლება საერთო სამართლის ტრადიციებში იყოს, სადაც სასამართლოს როლი სამართლიანი ბალანსის შენარჩუნების პროცესში

²⁷⁵ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ეს ტერმინი დამკვიდრდა 2009 წელს იხ. ბურდული, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი 2009, 236. გულაშვილი, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული დონისძიება მშობელ-შვილობილ კორპორაციათა ურთიერთობის კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), საკორპორაციო სამართლის კრებულში, რედ. ბურდული, 2011, 85-98..

²⁷⁶ რომანულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახში სამართლის დოქტრინა დიდი როლს ასრულებს, ის ზემოქმედებს კანონმდებელზე და მიუხედავად იმისა, რომ არ არის სამართლის პირდაპირი წყარო, გამოყენება სამართალშეფარდებაშიც; რენე, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, 1993, 132.

²⁷⁷ Hovenkamp, Enterprise and American Law 1836-1937, Harvard University Press, 1991, 49-55.

²⁷⁸ სამეცნიერო ლიტერატურაში კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის უკუგდების შესაძლებლობა განიხილებოდა მე-19 საუკუნის ბოლოდან, მაგ. Woodward, Liability of a Members of De Facto Corporation, 27 American Law Review 209, 1893, 209-223; პასუხისმგებლობის შეზღუდვის წესის დამკვიდრების პარალელურად არსებობს შეუზღუდავი პასუხისმგებლობის პრინციპის გამოყენების სასამართლო პრეცედენტები. მაგ., Wood v. Dummer, 30 F. Cas. 435 (C.C.D. Me. 1824) (No.17, 944).

არ იზღუდება იმერატიული კანონმდებლობით.²⁷⁹ მართლაც, გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპის განვითარება პასუხისმგებლობის შეზღუდვის კვალდაკვალ, იმ პირობებში, როცა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ფუნდამენტური პრინციპი და საჯარო პოლიტიკა მუშაობდა²⁸⁰ შეიძლება მხოლოდ იმ გარემოში განთარებულიყო, სადაც სასამართლოს როლი განსაკუთრებულია.

აშშ-ში გამჭოლ პასუხისმგებლობას სამი ძირითადი წინაპირობა გააჩნია: პირველი, დომინირება და კონტროლი, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს არასათანადო კაპიტალიზაციის, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობის, ქონებათა აღრევის, დირექტორატის იდენტურობის, ანდა სხვა გარემოებების სახით. მეორე წინაპირობაა თაღლითობა და კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენება. მესამე წინაპირობას წარმოადგენს მიზეზშედგობრიობა. თავისთავად, ცალკე აღებული რომელიმე წინაპირობა ან გარემოება გამჭოლი პასუხისმგებლობისთვის არ არის საკმარისი.²⁸¹

თავის მხრივ, დომინირებისა და კონტროლის განსაზღვრის მექანიზმებს წარმოადგენენ ალტერ ეგოს, ინსტრუმენტალური და იდენტობის თეორიები, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია გამჭოლი პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი საფუძვლები. მაგალითად, ალტერ ეგოს თეორიის თანახმად, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა უნდა მოხდეს, როდესაც კუმულატიურად სახეზეა შემდეგი გარემოებები: პირველი, კორპორაციასა და მაკონტროლებელ პარტნიორს შორის საკუთრება და ინტერესი იმდენად არის დაკავშირებული, რომ კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა შეუძლებელია არსებობდეს. მეორე, კორპორაციისა და მაკონტროლებელი პარტნიორის დამოუკიდებელ სუბიექტად განხილვა გამოიწვევს, უსამართლო შედეგს.²⁸²

ინსტრუმენტალური თეორია სამ გარემოებას ეფუძნება. პირველი, კონტროლი, არა მხოლოდ წილთა უმრავლესობის ხარჯზე, არამედ დომინირება, რომელიც ვლინდება, როგორც ფინანსების კონტროლით, ასევე პოლიტიკის და საქმიანობის მიმართულებების იმგვარად განსაზღვრით, რაც გამორიცხავს კორპორაციის დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას. მეორე, ასეთი კონტროლი და დომინირება პარტნიორის მიერ ხორციელდება თაღლითობის ჩასადენად, კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ვალდებულებისგან თავის ასარიდებლად და უთანაბრდება უსამართლო და არამართლოზმიერ ქმედებას კრედიტორის უფლებების მიმართ. მესამე, კონტროლსა და ქმედებას შორის უნდა არსებობდეს მიზეზშედგობრივი კავშირი.²⁸³

²⁷⁹ *Dainow*, The Civil Law and the Common Law: Some Points of Comparison, The American Journal of Comparative Law, Vol. 15, No. 3, 1967, 424.

²⁸⁰ იმ დროინდელი საჯარო პოლიტიკის მიხედვით, თუ არ მოხდებოდა შეზღუდული პასუხისმგებლობის დაწესება, კორპორაციებში ინვესტირება და მისი ბენეფიციები დარჩებოდა ისეთი ინდუსტრიული გიგანტების პრივილეგიად, როგორიც იყო მაგალითად, ჟონ ჯეიკობ ასტორი; იხ., *Presser*, Limited Liability Democracy and Economics, 87 Nw. U.L.Rev. 148, 1992, 156.

²⁸¹ *Douglas*, Piercing the Corporate Veil in Regulated Industries, Brigham Young University Law Review, 1165, 2008, 1196-1182.

²⁸² *Cox, Hazan*, Business Organizations Law, 3th edition, 2011, 127.

²⁸³ *Cox, Hazan*, Business Organizations Law, 3th edition, 2011, 127.

ამდენად, ინსტრუმენტალური თეორიის თანამედროვე გაგება ეფუძნება პროფესორ პაუველის მიდგომას.

იდენტურობის თეორია იმეორებს რა წინა ორი თეორიის ძირითად აქცენტებს, ადგენს რომ სახეზე უნდა იყოს საკუთრებისა და ინტერესის იმგვარი კავშირი, რომელიც გამოორიცხავს განცაკეცებულ სამართალსუბიექტობას. ამ კავშირის ფონზე, დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ფიქცია საშუალებას აძლევს ერთიან ეკონომიკურ კავშირს თავი აარიდოს პასუხისმგებლობას, სხვა სუბიექტის ხარჯზე, ერთიანი საწარმოს სასარგებლოდ.²⁸⁴ იდენტურობის თეორია საშუალებას იძლევა დადგეს მაკონტროლებელი პირის პერსონალური პასუხისმგებლობა მიუხედავად იმისა, გააჩნია თუ არა მას პარტნიორის სტატუსი.

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ მშობელ-შვილობილი კომპანიების კონტექსტში არამართლზომიერი დომინირებისა და კონტროლის დასადგენად ოთხი გარემოების შემოწმებაც საკმარისია. კერძოდ, დედა კომპანია: ყოველდღიურად მონაწილეობს შვილობილის საქმიანობაში, განსაზღვრავს შვილობილის პოლიტიკას იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს შვილობილის ღირებულების გვერდის ავლით, შვილობილის დასაქმებულებს აძლევს ინსტრუქციებს.²⁸⁵

კონტროლი და დომინირება, რომელიც საერთო სამივე თეორიისთვის, ძირითადად ვლინდება არასათანადო კაპიტალიზაციის, კორპორაციულ ფორმალობათა დარღვევისა და ქონებათა აღრევის სახით. ამის გარდა, შეიძლება სახეზე იყოს ღირებულების გადაფარვა და ცენტრალიზებული ადგილმდებარეობა კომპანიათა ჯგუფის შემთხვევაში.²⁸⁶ თუმცა ბოლო ორ გარემოება შეიძლება გაერთიანდეს ზოგადად შეცდომაში შემყვან ქმედებათა ჯგუფში ან კორპორაციულ ფორმალობათა დარღვევაში.

აშშ-ში კორპორაციული საფარველის გაჭოლვის საფუძვლებისა და შეფასების სტანდარტის მრავალფეროვნების მიუხედავად, აღიარებულია, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობა არის საგამონაკლისო მექანიზმი, რომლის გამოყენებაც უნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაციული ფორმა გამოიყენება მართლზომიერი მიზნების გარეშე პარტნიორის დასაცავად.²⁸⁷

შეჯამების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ კორპორაციული საფარველის გაჭოლვის ანალიზისას სასამართლო, სხვა ფაქტებთან ერთად აფასებს შემდეგ გარემოებებს: 1. საერთო საკუთრება; 2. ფართო კონტროლი 3. სამეწარმეო საქმიანობათა გადაფარვა; 4. არასათანადო კაპიტალიზაცია; 5. ტრანზაქციის განხორციელების დროს კორპორაციის გადახდისუუნარობა; 6. კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა; 7. დომინანტი პარტნიორის მიერ კორპორაციის სახსრების მისაკუთრება. 8. საბუღალტრო წიგნების და ფინანსური აღრიცხვის წესების დარღვევა. 9. კორპორაციის გამოყენება დომინანტი პარტნიორის ტრანზაქციების განსახორციელებლად. 10. კორპორაციის გამოყენება

²⁸⁴ Cox, Hazan, Business Organizations Law, 3th edition, 2011, 128.

²⁸⁵ Blumberg, The Law of Corporate Groups: Problems of Parent Subsidiary Corporations under Statutory Law of General Application, 1989, 188.

²⁸⁶ Gevurtz, Corporation Law, 2nd edition, 2010, 75-78.

²⁸⁷ Strasser, Piercing the Veil in Corporate Groups, 37 Conn. L. Rev. 637, 2005, 650.

თადლითობისთვის.²⁸⁸ ეს და სხვა გარემოებები უნდა შეფასდეს ერთიანობაში და მხოლოდ სათანადო საფუძვლების დადასტურებისას უნდა მოხდეს კორპორაციული საფარველის გაჭოლვა.

1.1.1 შესავალი დოქტრინის განვითარებაში

Piercing the corporate veil, რომელიც დღეს უკვე საერთაშორისოდ აღიარებული ტერმინია, აშშ-ს იურიდიულ ლიტერატურაში დაამკვიდრა პროფესორმა ვორმსერმა.²⁸⁹ მისი კონცეფციის თანახმად, სასამართლო არ უნდა შემოხილავდეს იურიდიული პირის სამართალსუბიექტობის ფიქციით და ყოველკონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაედგინა ხელოვნური წარმონაქმნის ნამდვილი ბუნება. კერძოდ, პროფესორი ვორმსერი არ უარყოფდა იურიდიული პირის დამოუკიდებლობისა და განცალკევებულობის თეორიას, თუმცა თვლიდა, რომ იურიდიული პირის ფიქციის კულტად ქცევა დიდი საფრთხესთან იყო დაკავშირებული, რადგანაც მისი უაღტერნატივო დაშვება სასამართლო პრაქტიკაში, მოსამართლეებს უბიძგებდა რეალური ბუნების გამოკვლევის გარეშე, ყოველი მომდევნო საქმე დაეფუძნებინათ მხოლოდ ამ ფიქციაზე, რაც გაუმართლებელია, რადგანაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი იძლევა იმის საშუალებას, რომ მისგან გამომდინარე პრივილეგია გამოყენებულ იქნეს უკანონო და უსამართლო მიზნების მისაღწევად.²⁹⁰ პროფესორი ვორმსერი გამჭოლი პასუხისმგებლობის ბუნდოვანებას არ მიიხსენებდა დოქტრინის სუსტ მხარედ, პირიქით, თვლიდა, რომ კორპორაციული საფარველის გაჭოლვის წინაპირობების კოდიფიკაცია შეცდომა იქნებოდა.²⁹¹ ამის მიუხედავად, იგი გამოყოფდა გარემოებებს, რომელთა არსებობაც არ იყო საკმარისი კორპორაციული საფარველის გაჭოლვისათვის. მაგალითად, ვორმსერის თეორიის მიხედვით, კორპორაციული საფარველის გაჭოლვისთვის არ არის საკმარისი ის, რომ ორ კორპორაციას ჰყავს იდენტური პარტნიორები, ან როცა სახეზეა ერთი კორპორაციის 100%-იანი მონაწილეობა მეორე კორპორაციაში, ან როცა დაკავშირებული კორპორაციები ახორციელებენ იდენტურ საქმიანობას. ასევე, მხოლოდ ის ფაქტი, რომ კორპორაციას ჰყავს ერთი 100%-იანი წილის მფლობელი ინდივიდუალური პარტნიორი, არ არის საკმარისი გარემოება კორპორაციული საფარველის გაჭოლვისთვის, მიუხედავად, იმისა რომ ასეთ მოცემულობაში კონტროლი და საკუთრება შეიძლება ერთი პირის ხელში იყოს მოქცეული.²⁹²

კორპორაციული საფარველის გაჭოლვა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფენ, რომ კორპორაცია პარტნიორის მიერ გამოიყენება უსამართლო და არამართლზომიერი მიზნების მისაღწევად, მათ შორის, არსებული სამართლებრივი ვალდებულებებისგან თავის ასარიდებლად.²⁹³

²⁸⁸ *Bendremer*, Delaware LLC's and Veil Piercing: Limited Liability Has its Limitations, 10 Fordham Journal of Corporate & Financial Law 385, 2005, 390.

²⁸⁹ *Wormser*, Piercing the Veil of Corporate Entity, Columbia Law Review, Vol.12, No. 6, 1912, 496.

²⁹⁰ *Presser*, Piercing the Corporate Veil, 2011 Ed., 35.

²⁹¹ *Presser*, Piercing the Corporate Veil, 2011 Ed., 36.

²⁹² American Law Reports 2d, Disregarding Corporate Entity in Settling Accounts between Close Corporation and its Stockholder or Stockholders, 100 A.L.R.2d 385, West Group 2008, 2.

²⁹³ *Wormser*, Disregard of the Corporate Fiction and Allied Corporation Problem 1927, reprinted in 2000, Law Classics series, 55-56.

შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და ამავედროულად მნიშვნელოვანი პრეცედენტი აშშ-ში არის საქმე *United States v. Reading Co.*²⁹⁴ ამ საქმეში შეერთებულმა შტატებმა ანტიმონოპოლიური სტატუტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც, უკანონოდ ითვლებოდა სარკინიგზო კომპანიის მიერ ისეთი საქონლის საზღვარგარეთ გადაზიდვა, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ეკუთვნოდა მას, იყო მის მიერ წარმოებული ან მოპოვებული ან რომელშიც გააჩნდა პირდაპირი ან ირიბი ინტერესი, სარჩელი აღძრა რიდინგის სარკინიგზო კომპანიის წინააღმდეგ. რიდინგის სარკინიგზო კომპანიას ჰქონდა იმგავარად ჩამოყალიბებული კორპორაციული სტრუქტურა, რომ ქვანახშირის წარმოების კომპანია, რომელიც დაფუძნებული იყო რიდინგის მიერ, გახდა 100%-იანი შვილობილი იმ ჰოლდინგის, რომელიც ასევე ფლობდა რიდინგის კომპანიას. სასამართლომ გამოიყენა გამჭოლი პასუხისმგებლობის კონცეპტი და არსებული კორპორაციული სტრუქტურის მიღმა მოქმედი სამი კომპანია განიხილა ერთ პირად.²⁹⁵

გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლოს და შემდგომ უკვე შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს ბენჯამინ კარდოზოს. მან 1927 წელს განიხილა საქმე *Berkey v. Third Avenue Railroad Co.*²⁹⁶ სადაც გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი წამოიჭრა დელიქტის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების მიზნით მშობელ-შვილობილი კომპანიების ფარგლებში. იმის დასადასტურებლად, რომ შვილობილ კომპანიას არ გააჩნდა დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა, მხარე უთითებდა რამდენიმე ფაქტზე. ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ ავტომობილზე, რომელმაც გამოიწვია ზიანი, აღბეჭდილი იყო დედა კომპანიის სახელწოდება. ამის გარდა, სასამართლოსთვის წარდგენილი იყო დედა კომპანიის ანგარიში, რომელშიც ის შვილობილ კომპანიას მოიხსენიებდა მისი სტრუქტურის ნაწილად, ორივე კომპანიის თანამშრომლები, იდენტურ კომპანიებად მიიჩნევენ და მჭირაველებს, და ასევე ის ფაქტი, რომ დედა კომპანიამ შვილობილი უზრუნველყო სესხით. აღნიშნული ფაქტები მოსამართლე კარდოზომ არ ჩათვალა საკმარისად, რადგანაც შვილობილ კომპანიას ასევე ჰქონდა დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში, რომლიდანაც ახდენდა სახელფასო ანგარიშსწორებას, გააჩნდა საკუთარი ქონება და განცალკევებულობის გარკვეული ხარისხი.²⁹⁷

1.1.2 გამჭოლი პასუხისმგებლობა იურიდიულ ლიტერატურაში

აშშ-ში გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი განსაკუთრებული ინტერესის საგანია მეცნიერებს შორის. წინამდებარე თავის მიზანია

²⁹⁴ *United States v. Reading Co.* 253 U.S. 26 (1920), ციტირებულია: *Krendl, Krendl, Piercing The Corporate Veil: Focusing The Inquiry*, *Denver Law Journal*, Vol. 55, No.1, 1978, 3.

²⁹⁵ *Krendl, Krendl, Piercing The Corporate Veil: Focusing The Inquiry*, *Denver Law Journal*, Vol. 55, No.1, 1978, 3.

²⁹⁶ *Berkey v. Third Avenue Railway Co* 244 N.Y. 602 (1927).

²⁹⁷ *Berkey v. Third Avenue Railway Co* 244 N.Y. 602 (1927).

წარმოადგინოს იურიდიულ ლიტერატურაში შემუშავებული პირადი პასუხისმგებლობის სხვადასხვა მოდელი.

1.1.2.1 ვორმსერის მოდელი

პროფესორ ვორმსერის მოდელი ეფუძნება პრივილეგიის მართლზომიერი გამოყენების კონცეფციას. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ პასუხისმგებლობის შეზღუდვიდან გამომდინარე პრივილეგია გამოიყენება კრედიტორთა მოტყუების მიზნით, ვადამოსული ვალდებულების შესრულებისგან თავის ასარიდებლად, მონოპოლიის დასამყარებლად ან დანაშაულის ჩასადენად. მშობელ-შვილობილი კომპანიების შემთხვევაში ვორმსერის მოდელი არ მოითხოვს ფაქტობრივი თაღლითობის დამტკიცებას საჭიროა მხოლოდ იმის დადასტურება, რომ შვილობილი კომპანია გამოიყენებოდა ვალდებულებების სუბიექტად ან საშუალებად იმისათვის, რომ დედა კორპორაციას თავი აერიდებინა ვალდებულების შესრულებისგან.²⁹⁸

1.1.2.2 პაუელის ტესტი

პაუელის კონცეფცია, მორის ვორმსერისგან განსხვავებით, ეფუძნება გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლების უნიფიცირების აუცილებლობას, რომელიც მან განახორციელა 1931 წელს გამოცემულ ნაშრომში.²⁹⁹ მიუხედავად იმისა, რომ პაუელი სისტემატიზაციას ახდენდა მშობელ-შვილობილი კორპორაციების კონტექსტში, მისი კონცეფცია ასევე გამოიყენებოდა ინდივიდუალური პარტნიორის პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვისაც.³⁰⁰ მის მიერ განვითარებული თეორიის თანახმად, როგორც მინიმუმ მშობელ-შვილობილი კორპორაციების კონტექსტში არსებობს სამსაფეხურიანი ტესტი, რომელიც სრულად უნდა იყოს სახეზე კორპორაციული საფარველის გაჭოლვისთვის. პირველი საფეხურზე უნდა შემოწმდეს წარმოადგენს თუ არა დედა კომპანია შვილობილის ალტერ-ეგოს ან შვილობილი წარმოადგენდეს თუ არა ინსტრუმენტს დედა კომპანიისთვის ანუ სახეზე უნდა იყოს დედა კომპანიის მხრიდან სრული კონტროლი და დომინირება შვილობილ კომპანიაზე. მეორე საფეხურზე უნდა დადგინდეს, თაღლითობის და არამართლზომიერი ქმედების ან უსამართლობის არსებობა, რაც მოითხოვს, რომ დედა კომპანიის ქმედება, შვილობილის გამოყენებით, მოსარჩელესთან მიმართებით იყოს უსამართლო, თაღლითური და არამართლზომიერი. ბოლო – მესამე ეტაპზე, უნდა შემოწმდეს მიადგა თუ არა მოსარჩელეს ზიანი მეორე ეტაპზე დადასტურებული ქმედების შედეგად.³⁰¹ თავის მხრივ, ალტერ ეგოს, ან ინსტრუმენტალობის შესამოწმებლად პროფესორმა პაუელმა შეიმუშავა შემდეგი

²⁹⁸ *Figueria*, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 *Duquesne Law Review* 683, 2012, 699.

²⁹⁹ *Presser*, Piercing the Corporate Veil, 2011 ed., 40; ასევე, *Krendl*, *Krendl*, Piercing The Corporate Veil: Focusing The Inquiry, *Denver Law Journal*, Vol. 55, No.1, 1978, 5-7.

³⁰⁰ *Presser*, Piercing the Corporate Veil, 2011 ed., 40.

³⁰¹ *Presser*, Piercing the Corporate Veil, 2011 ed., 41.

თერთმეტპუნქტიანი ქვეტესტი, რომელთაგან რამდენიმეს არსებობაც საკმარისია ალტერ-ეგოს დასადგენად.³⁰²

1. წარმოდგენილია თუ არა დედა კომპანია შვილობილ კომპანიაში სრულად ან წილთა უმრავლესობით?
2. ჰყავთ თუ არა საერთო დირექტორატი?
3. აფინანსებს თუ არა დედა კომპანია შვილობილს?
4. როგორ დააფინანსა დედა კომპანიამ შვილობილი დაფუძნებისას?
5. არის თუ არა შვილობილი არასათანადოდ კაპილიზირებული?
6. ფარავს თუ არა დედა კომპანია შვილობილის გადასახდელებს (მათ შორის ხელფასებს, სხვა ხარჯებს და ზარალს)
7. ეწევა თუ არა შვილობილი დედა კომპანიის საქმიანობისგან განსხვავებულ საქმიანობას; გააჩნია თუ არა შვილობილს ქონება გარდა იმისა, რაც დედა კომპანიამ გადასცა?
8. მიიჩნევს თუ არა დედა კომპანია (რაც უნდა დადასტურდეს დოკუმენტალურად) შვილობილს თავისი კორპორაციული სტრუქტურის ნაწილად?
9. იყენებს თუ არა დედა კომპანია შვილობილის ქონებას, როგორც საკუთარს?
10. არის თუ არა შვილობილის დირექტორატი დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში? ასრულებს თუ არა დედა კომპანიის მითითებს?
11. არის თუ არა სახეზე შვილობილის, როგორც იურიდიული პირის მიმართ დადგენილი სხვა ფორმალური მოთხოვნები?

პაუელი არ უარყოფდა იმის შესაძლებლობას, რომ სამსაფეხურიანი ტესტის ფარგლებში დასადგენი ფაქტობრივი გარემოებები, შეიძლება განმეორდეს თითოეულ საფეხურზე. აღნიშნული ფაქტები შეიძლება ასაბუთებდეს ტესტის მეორე საფეხურსაც. თუმცა დამატებით, არამართლზომიერი ან უსამართლო ქმედების შეფასებისას პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებსაც:³⁰³

1. უთანაბრდება თუ არა დედა კომპანიის მიერ შვილობილის გამოყენება ფაქტობრივ თაღლითობას?
2. იყენებდა თუ არა დედა კომპანია შვილობილს, რომელიმე იმპერატიული წესის შესრულებისგან თავის ასარიდებლად?
3. მიისაკუთრა თუ არა დედა კომპანიამ შვილობილის აქტივები?
4. გამოიყენა თუ არა დედა კომპანიამ შვილობილი მესამე პირების შეცდომაში შესაყვანად?
5. გამოყენებულ იქნა თუ არა ესტოპელის (უფლების დაკარგვა) წესი დედა კომპანიის სასარგებლოდ?
6. ხომ არ გამოიყენა დედა კომპანიამ შვილობილი დელიქტის განსახორციელებლად?

³⁰² *Krendl, Krendl, Piercing The Corporate Veil:Focusing The Inquiry*, Denver Law Journal, Vol. 55, No.1, 1978, 6.

³⁰³ *Krendl, Krendl, Piercing The Corporate Veil:Focusing The Inquiry*, Denver Law Journal, Vol. 55, No.1, 1978, 7.

თუკი პირველი საფეხურის ტესტირების საჭირო იყო რამდენიმე გარემოების დადასტურება, მეორე საფეხურის ტესტირების საკმარისია ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ერთი ფაქტის არსებობაც.³⁰⁴

პრეფესორ პაუელის სამსაფეხურიანი ტესტი თანამედროვე პრაქტიკაშიც გამოიყენება. მაგალითად, ოჰაიოს უზნაესის სასამართლოს მიერ *Belvedere Condominium Unit Owners' Association. v. R.E. Roark Cos., Inc* საქმეში გამოყენებულ იქნა პაუელის სამსაფეხურიანი ტესტის ინდივიდუალური პარტნიორის წინააღმდეგ გამოყენება მცირედი მოდიფიკაციით.³⁰⁵ სასამართლომ დაადგინა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობისთვის უნდა დადგინდეს: 1. წარმოადგენს თუ არა კორპორაცია პარტნიორის ალტერ-ეგოს, ანუ იმდენად მაღალია პარტნიორის მიერ კორპორაციის პირადი მიზნებისთვის გამოყენების ხარისხი, რომ კორპორაციისა და პარტნიორის განსხვავება შეუძლებელია. 2. საზოგადოებაზე კონტროლი გამოიყენებოდა არამართლზომიერი ქმედების ჩასადენად. 3. წინა ორი გარემოების ურთიერთკავშირის შედეგად, მოსარჩელს მიაღება ზიანი.³⁰⁶

1.1.2.3 მექანიკური შეფარდების მეთოდი

იმის გათვალისწინებით, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს სხვადასხვა სიტუაციურ მოცემულობაში, როგორც ინდივიდუალური პარტნიორის,³⁰⁷ დედა კორპორაციის,³⁰⁸ ანდა საერთო პარტნიორების მქონე აფილირებული ჯგუფის შემთხვევაში,³⁰⁹ იურიდიულ ლიტერატურაში მოხდა გამჭოლი პასუხისმგებლობის ფაქტობრივი წინაპირობების მასშტაბური სისტემატიზაცია. კერძოდ, 1978 წელს გამოქვეყნდა პრაქტიკოსი იურისტების ქებით და ჯემს ქრენდელის ნაშრომი, რომლითაც წარმოდგენილ იქნა პაუელის ზემოთ განხილული ტესტის საფუძველზე შემუშავებული გამჭოლი პასუხისმგებლობის ახლებური მოდელი.

მოდელი აყალიბებს მშობელ-შვილობილი კორპორაციების ფარგლებში დედა კორპორაციის პასუხისმგებლობის სამ ფუნდამენტურ ელემენტს: 1. დომინირება 2. არამართლზომიერი მიზანი 3. საჯარო წესრიგი.³¹⁰ ამასთან ავტორების მიერ სისტემატიზირებულია წინაპირობები - 31 გარემოება („პრაქტიკოსის საკონტროლი სია“, როგორც თავად ავტორები უწოდებენ),³¹¹ რომელიც უნდა დაადასტუროს

³⁰⁴ *Presser, Piercing the Corporate Veil*, 2011 ed., 43.

³⁰⁵ *Belvedere Condominium Unit Owners' Assn. v. R.E. Roark Co., Inc.* 67 Ohio St. 3d 274 (1993).

³⁰⁶ *Manning*, "There's a Change in the Status Quo": Corporate Veil Piercing in Ohio After *Dombrovski v. Wellpoint*, 15 *Entrepren. Bus. L.J.* 315, 2010, 335.

³⁰⁷ მაგ. *Zubik v. Zubik*, 384 F.2d 267 (3d Cir. 1967), *cert. denied*, 390 U.S. 988 (1968).

³⁰⁸ მაგ. *Berger v. Columbia Broadcasting Sys., Inc.*, 453 F.2d 991 (5th Cir.), *cert. denied*, 409 U.S. 848 (1972).

³⁰⁹ მაგ. *Krivo Indus. Supply Co. v. National Distillers & Chem. Corp.*, 483 F.2d 1098 (5th Cir. 1973) (creditor); *Soderberg Advertising Inc. v. Kent-Moore Corp.*, 11 Wash. App. 721, 524 P.2d 1355 (1974) (optionee).

³¹⁰ *Krendl, Krendl, Piercing The Corporate Veil: Focusing The Inquiry*, *Denver Law Journal*, Vol. 55, No.1, 1978, 26.

³¹¹ ორიგინალში: "Practitioner's Checklist".

პრაქტიკოსმა იურისტმა გამჭოლი პასუხისმგებლობისგან პარტნიორის დასაცავად. კერძოდ, ეს გარემოებებია:³¹²

1. პარტნიორი არ არის კორპორაციის სახელშეკრულებო ან სხვა ტიპის ვალდებულების მხარე;
2. არ არის სახეზე არასათანადო კაპიტალიზაცია;
3. შვილობილი არ გადის მასშტაბურ ზარალზე, იმ პირობებშიც კი, როცა დედა კორპორაციას რჩება მხოლოდ მოგება;
4. ადგილი არ ჰქონია კომპანიის კრედიტორების შეცდომაში შეყვანას;
5. კრედიტორებისთვის არ შეუქმნიათ მცდარი წარმოდგენები კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
6. მშობელ-შვილობილ კორპორაციებს არ ჰყავთ იდენტური დასაქმებულები; დედა კორპორაცია არ ნიშნავს და ათავისუფლებს შვილობილის დასაქმებულებს;
7. შვილობილი კორპორაცია თავად გასცემს ხელფასებს; ასევე დამოუკიდებლად განსაზღვრავს ხელფასების ოდენობას;
8. მშობელ-შვილობილ კორპორაციაში დასაქმებულ პირებთან შრომითი ურთიერთობები იწარმოება განცალკევებულად და დამოუკიდებლად;
9. დედასა და შვილობილის აქვთ დამოუკიდებელი ოფისები და განსახვავებული საკონტაქტო მონაცემები;
10. მენეჯმენტის სხდომები იმართება განცალკევებულად;
11. შვილობილი აწარმოებს საბუღალტრო წიგნებს მხოლოდ თავისი ოპერაციების შესახებ;
12. შვილობილს გააჩნია დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში;
13. შვილობილის მოგება არ აისახება დედა კორპორაციის ფინანსურ ანგარიშებში;
14. მშობელ-შვილობილი კორპორაციები დამოუკიდებლად ახდენენ საგადასახადო ანგარიშსწორებას;
15. შვილობილი თავად აწარმოებს მოლაპარაკებებს სესხის ან სხვა დაფინანსების მოპოვების შესახებ;
16. შვილობილი არ სესხულობს ფულს დედა კორპორაციისგან;
17. ფინანსური ტრანზაქციები მშობელ-შვილობილს შორის სათანადოდ დოკუმენტირებულია და აკმაყოფილებს გაშლილი ხელის პრინციპს;
18. დედა კომპანია არ ახდენს შვილობილის სესხის უზრუნველყოფას;
19. შვილობილის მოგება დედა კორპორაციის მოგებასთან მიმართებით არ არის შეუსაბამოდ მცირე;
20. ორივე კომპანია ცალცალკე სარგებლობს სადაზღვეო პროდუქტით, და დამოუკიდებლად იხდიან საზღაფევო პრემიებს;
21. შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობა ხორციელდება განცალკევებულად.
22. არ ახორციელებენ ერთობლივ რეკლამას ან რაიმე საზოგადოებრივ საქმიანობას, რომელიც მომხმარებელს აფიქრებინებდა რომ ისინი წარმოადგენენ ერთ ორგანიზაციას.
23. მშობელ-შვილობილი კომპანია ერთმანეთს არ განიხილავენ ერთ ორგანიზაციად ან ქვედანაყოფად.
24. მშობელ-შვილობილი კომპანიის აღჭურვილობა და სხვა საქონელი არის განცალკევებული

³¹² *Krendl, Krendl, Piercing The Corporate Veil: Focusing The Inquiry*, Denver Law Journal, Vol. 55, No.1, 1978, 16-17.

25. მშობელ-შვილობილი კომპანია ერთმანეთში არ ახდენს ქონების ან ვალდებულებების გაცვალს.
26. კომპანიებს არ აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება ერთმანეთისგან საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შესახებ.
27. შვილობილი და დედა კომპანია ექსკლუზიურად არ საქმიანობენ ერთმანეთთან.
28. დედა კორპორაცია არ ახდენს შვილობილის კონტაქტების შემოწმებას, ასევე ფინანსური საქმიანობის დეტალურ შემოწმებას, რაც გულისხმობს იმაზე მეტ ჩართულობას, ვიდრე მომგებიანი საქმიანობით დაინტერესებული ჩვეულებრივი პარტნიორი ჩაერთვებოდა.
29. დედა კორპორაცია არ ახდენს შვილობილის მიერ სამუშაოების განხორციელების წესის კონტროლს;
30. დედა კორპორაცია არ ბლოკავს შვილობილის მნიშვნელოვან ბიზნეს გადაწყვეტილებებს;
31. მშობელ-შვილობილი კორპორაციები ახორციელებენ განსხვავებულ სამეწარმეო საქმიანობაში;

გამჭოლი პასუხისმგებლობისთვის არ არის აუცილებელი, რომ აღნიშნული ფაქტორები წარმოდგენილ იქნეს კუმულატიურად. აღნიშნული ფაქტორები, პრეცედენტული სამართლის მიხედვით წარმოდგენენ სასამართლოს მიერ სხვადასხვა მოცემულობაში, გამჭოლი პასუხისმგებლობისთვის დასახელებულ მნიშვნელოვან გარემოებებს. კომენტატორების მიერ გამოთქმულია აზრი, რომ დასახელებულ ფაქტორებთან მექანიკური შესაბამისობა, დაიცავს პარტნიორს კორპორაციულ საფარველის გაჭოლვისგან. გამოთქმულია მოსაზრება რომ ნებისმიერი, მათ შორის ყველაზე დეტალიზებული სიის დაცვა, კი არ უზრუნველყოფს პარტნიორის დაცვას, იმ შემთხვევაში, როდესაც კორპორაცია გამოყენებულია საჯარო წესრიგის მოთხოვნებისთვის გვერდის ასაველევად.³¹³

განხილული მოდელის ავტორების მოსაზრებით, მათ, ვისაც სურთ კორპორაციული საფარველის შენარჩუნება, უნდა დაიცვან სასამართლო პრაქტიკით გამოკვეთილი რაც შეიძლება მეტი „მექანიკური“ ფაქტორი და ამავდროულად მხედველობაში უნდა მიიღონ საჯარო წესრიგის ფუნდამენტური მოთხოვნები.³¹⁴

1.1.3 გამჭოლი პასუხისმგებლობა ფედერალურ და ცალკეული შტატების დონეზე

ნაშრომის წინამდებარე ნაწილში განხილულია კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დოქტრინის განვითარება აშშ-ს სასამართლოებში.

1.1.3.1 აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა

³¹³ *Krendl, Krendl, Piercing The Corporate Veil: Focusing The Inquiry*, Denver Law Journal, Vol. 55, No.1, 1978, 52.

³¹⁴ *Krendl, Krendl, Piercing The Corporate Veil: Focusing The Inquiry*, Denver Law Journal, Vol. 55, No.1, 1978, 56.

აშშ-ში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენებას ვხვდებით, როგორც შტატების, ასევე ფედერალურ დონეზე. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საქმეში *Simmons Creek Coal Co. v. Doran* ჩამოაყალიბა კორპორაციული საფარველის გაჭოლვის შტატების დონეზე გავრცელების საფუძველი.³¹⁵ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე წლის შემდეგ უკვე შტატების სასამართლო დონეზე დაიწყო კორპორაციული საფარველის გაჭოლვის ჩარჩოების ჩამოყალიბება. ვისკონსინის შტატის სასამართლოს 1905 წლის გადაწყვეტილება მიიჩნევა გამჭოლი პასუხისმგებლობის ზოგადი ფორმულის ჩამოყალიბების პირველ მცდელობად. კერძოდ, საქმეში *United States v. Milwaukee Refrigerator Transit Co.* სასამართლომ დაადგინა, რომ კორპორაციის დამოუკიდებელი და განცალკევებული სტატუსი ძალაშია იქამდე, სანამ საკმარისი გარემოებებით არ დაადასტურდება საწინააღმდეგო.³¹⁶ როდესაც იურიდიული პირის შეზღუდული პასუხისმგებლობა გამოიყენება საზოგადო კეთილდღეობის წინააღმდეგ, არამართლზომიერი ქმედებისათვის, თაღლითობის ან სხვა დანაშაულის შედეგად სასჯელისთვის თავის ასარიდებლად, სამართალი კორპორაციას და პარტნიორს განიხილავს ამხანაგობად, და შესაბამისად, დადგება პარტნიორების შეუზღუდავი პასუხისმგებლობა.³¹⁷

აშშ-ში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თაღლითობის ცნებას. *Milwaukee*-ის გადაწყვეტილების შემდეგ, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ საქმეში *J.J. McCaskill Co. v. United States* განმარტა პარტნიორის მხრიდან თაღლითობის ფაქტორი გამჭოლი პასუხისმგებლობის შეფარდებისას.³¹⁸ აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პარტნიორსაც, რომელმაც იცოდა სხვა პარტნიორის მიერ თაღლითობის ჩადენის ფაქტი.³¹⁹ სასამართლო ვერდნობოდა არგუმენტაციას, რომლის თანახმადაც პარტნიორმა დაუშვა კორპორაციის გამოყენება თაღლითობის ჩასადენად ან პასუხისმგებლობისთვის თავის ასარიდებლად.³²⁰ სხვა გადაწყვეტილებაში აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ კვლავ განმარტა, რომ კანონისთვის გვერდის ავლას არ შეიძლება არ მოჰყვეს პასუხისმგებლობა მშობელ-შვილობილი კორპორაციების სტრუქტურაში.³²¹ ამ არგუმენტაციაზე დაყრდნობით სასამართლომ ჯგუფში შემაგალი ყველა კორპორაცია განიხილა ერთ სუბიექტად. ამავე პერიოდის საქმეში *Davis v. Alexander*, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც შვილობილი დაქვემდებარებულია დედა კომპანიის კონტროლს, შვილობილის მიერ გაუფრთხილებლობით მოყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისრის დომინანტი კორპორაციას.³²² ამდენად, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ მე-20 საუკუნის დასაწყისშივე შეიმუშავა მშობელ-

³¹⁵ *Simmons Creek Coal Co. v. Doran*, 142 U.S. 417 (1892).

³¹⁶ *United States v. Milwaukee Refrigerator Transit Co.*, 142 F. 247, 255 (C.C.E.D. Wis. 1905).

³¹⁷ *United States v. Milwaukee Refrigerator Transit Co.*, 142 F. 247, 255 (C.C.E.D. Wis. 1905).

³¹⁸ *J. J. McCaskill Co. v. United States*, 216 U.S. 504 (1910).

³¹⁹ *J. J. McCaskill Co. v. United States*, 216 U.S. 504 (1910).

³²⁰ *J. J. McCaskill Co. v. United States*, 216 U.S. 504 (1910).

³²¹ *United States v. Reading Co.*, 226 U.S. 324, 355 (1912).

³²² *Davis v. Alexander*, 269 U.S. 114, 117 (1925).

შვილობილი კორპორაციების ფარგლებში პასუხისმგებლობის განსაზღვრის ზოგადი ფორმულა.

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში გამჭოლი პასუხისმგებლობის ფორმულის გაფართოება უკავშირდება 1944 წელს საქმეზე *Anderson v. Abbott* მიღებულ გადაწყვეტილებას.³²³ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საჯარო წესრიგზე, რომელიც არასათანადო კაპიტალიზაციის შემთხვევაში, განიხილა გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლად. სასამართლომ აღნიშნა, რომ პარტნიორს ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ის არ ახდენს კორპორაციის ადეკვატურ დაფინანსებას.³²⁴

შედარებით ახალ გადაწყვეტილებებში აშშ-ის უზენაესი სასამართლო გამჭოლი პასუხისმგებლობას განიხილავს, როგორც სამართლიანობის მიღწევის მექანიზმს იმ შემთხვევებში, როდესაც კორპორაციული საფარველი გამოიყენება უპირატესი საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ.³²⁵

ერთ-ერთ ბოლო და გახმაურებულ საქმეში - *United States v. Bestfoods*-ში კი უზენაესმა სასამართლომ დედა კორპორაციის პასუხისმგებლობის სტანდარტად განიხილა არა შვილობილზე კონტროლი, არამედ ამ უკანასკნელის საქმიანობაში ჩარევის ხარისხი. სასამართლოს პოზიციით, ასეთ შემთხვევაში დედა კომპანიის პასუხისმგებლობა დგება არა შვილობილის ქმედების, არამედ თავად დედა კომპანიის ქცევის გამო.³²⁶

უნდა ითქვას, რომ მოცემულ საქმეში უზენაესმა სასამართლომ სწორი შეფასება მისცა დედა კომპანიის როლს პასუხისმგებლობის განსაზღვრისას. კონტროლი თავის თავში, როგორც ფაქტი, ვერ იქნება საკმარისი საფუძველი გამჭოლი პასუხისმგებლობისათვის. საჭიროა კონტროლის არამართლზომიერი გამოყენების, კორპორაციის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევის ფაქტის დადასტურებაც.

1.1.3.2 გამჭოლი პასუხისმგებლობა შტატების სამართალში

შტატების სასამართლო პრაქტიკაში უხვად არის გამჭოლი პასუხისმგებლობის პრეცედენტები. წინამდებარე თავში, ოთხი იურისდიქციის მაგალითზე, განხილულია გამჭოლი პასუხისმგებლობის რეგულირების მოდელი შტატების სამართალში. შტატების სამართლის შერჩევისას არჩევანი გაკეთდა დელავერის, ნიუ-იორკის, ტეხასისა და მასაჩუსეტის შტატებზე, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: დელავერის საკორპორაციო სამართლის განვითარების კუთხით მიიჩნევა წამყვან შტატად.³²⁷ ნიუ-იორკი, თავის მხრივ, იყო ერთ-ერთი პირველი შტატი, სადაც დაიწყო გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის სამოსამართლო სამართალში განვითარება,³²⁸ რამაც მნიშვნელოვანი

³²³ *Anderson v. Abbott*, 321 U.S. 349, 357 (1944).

³²⁴ *Anderson v. Abbott*, 321 U.S. 349, 357 (1944).

³²⁵ *First National City Bank v. Banco para el Comercio Exterior de Cuba, Bangor Punta Operations, Inc. v. Bangor & Aroostook R.R. Co.*, 417 U.S. 703, 713 (1974).

³²⁶ *United States v. Bestfoods*, 524 U.S. 51, 61 (1998).

³²⁷ *Presser, Piercing the Corporate Veil*, 2011 ed., 210.

³²⁸ მაგ. *Berkey v. Third Avenue Railway Co* 244 N.Y. 602 (1927).

გავლენა იქონია დოქტრინის მეცნიერულ დონეზე დამუშავებაზე.³²⁹ ტეხასის შტატის მაგალითზე წარმოჩენილია ფართო სამოსამართლო რეგულირების საკანონმდებლო შეზღუდვის მოდელი.³³⁰ მასაჩუსეტისის შტატი კი, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს პირველ შტატს, სადაც ამოქმედდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი,³³¹ გამოირჩევა მდგარი პრეცედენტული სამართალით,³³² რაც განაპირობებს იმას, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის თავდაპირველ პრეცედენტებს დროთა განმავლობაშიც არ დაუკარგავთ აქტუალობა.

1.1.3.2.1 დელავერის შტატი

გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი დელავერის საკორპორაციო სამართალში არ არის ისე განვითარებული, როგორც სხვა შტატების სამართალში.³³³ აღნიშნული შეიძლება განპირობებული იყოს იმითაც, რომ დელავერის შტატი, ისტორიულად ქმნიდა პარტნიორთა და ხელმძღვანელთა სასარგებლო მოქნილ კანონმდებლობას. სწორედ მოქნილი კანონმდებლობისა და მაღალი დონის სამოსამართლო სამართლის გამო დელავერის შტატში დაფუნებულია არაერთი დიდი და ცნობილი კორპორაცია.

დელავერის შტატში გამჭოლი პასუხისმგებლობის სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სახეზეა თაღლითობა. დელავერის შტატის სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1967 წელს საქმეზე *Pauley Petroleum Inc. v. Continental Oil*,³³⁴ სადაც დელავერის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება დაიშვება მხოლოდ სამართლის ინტერესში, როდესაც თაღლითობის, კანონმდებლობის დარღვევის საზოგადო არამართლზომიერი ქმედების ფაქტი მოითხოვს ამას. იმ ფაქტებს შორის, რომელსაც დელავერის სასამართლოები ანიჭებენ გადამწყვეტ მნიშვნელობას უნდა გამოიყოს: 1. იყო თუ არა კორპორაცია სათანადოდ კაპიტალიზირებული; 2. იყო თუ არა კორპორაცია გადახდისუნარიანი; 3. გაიცემოდა თუ არა დივიდენდები, დაცული იყო თუ არა კორპორაციის დოკუმენტაციის წარმოების წესი და სხვა კორპორაციული ფორმალბები; ფუნქციონირებდა თუ არა დირექტორატი; 4. იყენებდა თუ არა დომინანტ აქციონერი კორპორაციის ფინანსებს; 5 ხომ არ გამოიყენებოდა

³²⁹ *Thompson, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study*, 76 *Cornell Law Review* 1036, 1991, 1036.

³³⁰ ტეხასის მოდელი ითვლება უნიკალურად, რამდენადაც სასამართლო პრაქტიკა, ექსპლიციტურ საკანონმდებლო რეგულირებასთან ერთად ფარავს გამჭოლი პასუხისმგებლობის ყველა შესაძლო შემთხვევას; იხ., *Wix, Piercing the Corporate Veil: Should Michigan Consider Statutory Solutions?* 79 *University of Detroit Mercy Law Review* 637, 2002, 647. ასევე სასამართლო შეფასებით, საკანონმდებლო რეგულირების ბუნება ორგანოვანია ის უფრო მკაცრია სახელშეკრულებო კრედიტორების მიმართ, ვიდრე დელიქტისმიერი მოთხოვნების შემთხვევაში; იხ., *Menetti v. Chavers*, 974 S.W.2d 168 (Tex. Ct. App. 1986).

³³¹ *Dodd, The Evolution of Limited Liability in American Industries*, 61 *Harv. L. Rev.* 1372-1373, 1948 1379.

³³² *Presser, Piercing the Corporate Veil*, 2011 ed., 249.

³³³ *Bainbridge, Gulati, How Do Judges Maximize? (The Same Way Everybody Else Does - Boundedly): Rules of Thumb in Securities Fraud Opinions*, 51 *Emory Law Journal* 83, 2002, 148.

³³⁴ *Pauley Petroleum Inc. v. Continental Oil* 231 A.2d 450 (1967).

კორპორაცია დომინანტი პარტნიორის მიერ ფასადად,³³⁵ დამოუკიდებელი იდენტურობის არაარსებობის მტკიცებულებად მიიჩნევა, კორპორაციის ნულოვანი ბალანსი და ერთპიროვნულად ვალების დაფარვის შეუძლებლობა.³³⁶

1.1.3.2.2 ნიუ-იორკის შტატი

ნიუ-იორკის შტატის სამართალი აერთიანებს გამჭოლი პასუხისმგებლობის ყველაზე ცნობილ პრეცედენტებს. პრაქტიკის განვითარება მოიცავს ორ ეტაპს. პირველი ეტაპი *Berkey*,³³⁷ *Bartle*³³⁸ და *Walkovszky*³³⁹ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებია. ამ გადაწყვეტილებებმა ჩამოაყალიბეს ერთგავარი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც დედა კორპორაციის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შეიღობილი წარმოდგენს „საშუალებას“ დედა კორპორაციის ხელში, რომელიც გამოიყენება თაღლითობის, უკანონობის ან ცრუ წარმოდგენების შესაქმნელად.³⁴⁰ ხოლო ინდივიდუალური პარტნიორის კოტექსტში პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის გადაწყვეტია ის გარემოება, რომ პარტნიორი იყენებს კორპორაციას არაკეთილსინდისიერად, პირადი სარგებლისათვის.³⁴¹

ნიუ-იორკის სამართლის განვითარების მეორე ეტაპზე, განიმარტა გამჭოლი პასუხისმგებლობის ფორმულა. მშობელ-შვილობილი კორპორაციების შემთხვევაში პასუხისმგებლობა დადგება თაღლითობის, უკანონობის აღსაკვეთად ან სამართლიანობის მისაღწევად. ინდივიდუალური პარტნიორების შემთხვევაში კი საჭიროა სამი გარემოების არსებობა: 1. კორპორაციის სრული კონტროლი 2. კონტროლის გამოყენება არამართლზომიერი ქმედების განსახორციელებად. 3. არამართლზომიერი ქმედების განხორციელების შედეგად დამდგარი ზიანი.³⁴²

აღსანიშნავია, ნიუ-იორკის შტატის სააპელაციო სასამართლოს მიერ შემუშავებული ათფაქტორიანი ტესტი³⁴³, რომელიც მოიცავს შემდეგ გარემოებებს:

1. კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა
2. არასათანადო კაპიტალიზაცია
3. თანხების გადინება, რომელიც არ მართლდება კორპორაციის ინტერესებით.
4. საერთო პარტნიორები, ოფიცრები, დირექტორები და პერსონალი;

³³⁵ *In re Sunbeam Corp.*, 284 B.R. 355 (Bankr. S.D. N.Y. 2002).

³³⁶ *Bridas S.A.P.I.C. v. Government of Turkmenistan*, 447 F.3d 411 (5th Cir. 2006) იხ ასევე, *American Law Reports 3d, Liability of Corporation for Contracts of Subsidiary*, [38 A.L.R.3d 1102], West Group 2012, 7.

³³⁷ *Berkey v. Third Avenue Railway Co* 244 N.Y. 602 (1927).

³³⁸ *Bartle v. Home Owners Co-op*, 127 N.E. 2d 832 (N.Y. 1995).

³³⁹ *Walkovszky v. Carlton*, 223 N.E.2d 6 (NY 1966).

³⁴⁰ *Presser, Piercing the Corporate Veil*, 2011 ed., 210.

³⁴¹ *Presser, Piercing the Corporate Veil*, 2011 ed., 677.

³⁴² *Presser, Piercing the Corporate Veil*, 2011 ed., 644-655.

³⁴³ *Passalacqua Builders Inc. v Rensick Developers South Inc* 933 F.2d 131, 139 (2d Cir.1991).

5. საერთო საოფისე სივრცე, საკონტაქტო ინფორმაცია;
6. რა ფარგლებით იყენებს ბიზნეს დისკრეციას დომინანტი კორპორაცია?
7. აკმაყოფილებს თუ არა კორპორაციის ხეშეკრულებები გაშლილი ხელის პრინციპს?
8. განიხილავს თუ არა დომინანტი პარტნიორი დაქვემდებარებულ კორპორაციას დამოუკიდებელი მოგების ცენტრად;
9. ფარავს თუ არა დაქვემდებარებული კორპორაცია დომინანტ კორპორაციის ვალებს ან გასცემს მის სასარგებლოდ გარანტიებს?
10. იყენებს თუ არა პარტნიორი დაქვემდებარებული კორპორაციის ქონებას, როგორც საკუთარს.

თუმცა სხვა სასამართლოები ამ ტესტს არ მიიჩნევენ საკმარისად მოქნილად. ძირითადად დაბნეულობას იწვევს ის ფაქტი, რომ ტესტი სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებს დომინანტი სუბიექტის მიერ კონტროლის გამოყენებას,³⁴⁴ რაც გადამწყვეტია გამჭოლი პასუხისმგებლობისათვის.

1.1.3.2.3 ტეხასის შტატი

ტეხასის შტატში გვხვდება გამჭოლი პასუხისმგებლობის რეგულირების უნიკალური მოდელი. ფართო სასამართლო ინტერპრეტაციის პირობებში კანონმდებლობით არის ჩამოყალიბებული პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი რიგი გარემოებები.

ტრადიციულად ტეხასში, პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა მიიჩნეოდა საგამონაკლისო შემთხვევად.³⁴⁵ დამოკიდებულება შეიცვალა ტეხასის უზენაესი სასამართლოს მიერ 1986 წელს მიღებული გადაწყვეტილებით საქმეზე *Castleberry v. Branscum*.³⁴⁶ აღნიშნულ საქმეში ქასტლბერიმ სარჩელი აღძრა კორპორაცია Texan Transfer Inc. და მისი პარტნიორების წინააღმდეგ კორპორაციის მიერ ხელმოწერილი თამასუქის გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ პარტნიორებმა გამოიყენეს Texan Transfer Inc. თაღლითობისთვის. სასამართლომ თავის მსჯელობაში ამოსავალ წერტილად მიიჩნია ის გარემოება, რომ პარტნიორები თავად არ განიხილავდნენ კორპორაციას განცალკევებულ სუბიექტად და აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, სასამართლომ განმარტა, რომ თუკი პარტნიორი თავად უგულებელყოფს კორპორაციასთან განცალკევებულობას, მაშინ სამართალმაც ანალოგიურად უნდა განიხილოს განცალკევებულობის პრინციპი.³⁴⁷ აღნიშნულის სამართლებრივი დასაბუთებულობისათვის სასამართლომ

³⁴⁴ *Presser, Piercing the Corporate Veil*, 2011 ed., 676-677.

³⁴⁵ *Presser, Piercing the Corporate Veil*, 2011 ed., 837.

³⁴⁶ *Castleberry v. Branscum* 721 S.W.2d 270, 272 (Tex. 1986).

³⁴⁷ *Castleberry v. Branscum* 721 S.W.2d 270, 272 (Tex. 1986); *Miller, Owners Liability Protection and Piercing the Veil of Texas Business Entity*, Dalas Bar Assosication, Chapter 6, 2012, 2.

მიმართა ალტერ ეგოს პრინციპს, რომელიც მისივე განმარტებით იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ კორპორაციის ქმედებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს, როგორც ინდივიდუალურ პარტნიორს, ასევე დედა კომპანიას.³⁴⁸

ტეხასის სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად შეიძლება გაიმიჯნოს ერთი მხრივ, ინდივიდუალური პარტნიორსა და კორპორაციას შორის, ხოლო მეორეს მხრივ, მშობელ შვილობილ კორპორაციებს შორის ურთიერთობის ხასიათის დასადგენად გასათვალისწინებელი გარემოებები.

ინდივიდუალური პარტნიორის შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს: კორპორაციისა და პარტნიორის ქონების განცალკევებულობა, ფინანსური ინტერესის საკუთრების და კონტროლის მოცულობა. იყენებდა თუ არა პარტნიორი კორპორაციას პირადი ინტერესებში. კორპორაციის სამეწარმეო საქმიანობის ხასიათისა და რისკების ჭრილში იყო თუ არა სახეზე სათანადო კაპიტალიზაცია.³⁴⁹ მშობელ-შვილობილი კორპორაციების შემთხვევაში დასადგენია:³⁵⁰

1. მშობელ-შვილობილის საერთო საკუთრება.
2. საერთო ხელმძღვანელობა, ზედა და ქვედა რგოლის მენეჯმენტი.
3. საერთო დეპარტამენტები.
4. კონსოლიდებული ფინანსური ანგარიშები.
5. დედა კომპანიის მხრიდან შვილობილის დაფინანსება.
6. არასათანადო კაპიტალიზაცია.
7. დედა კომპანიის მიერ შვილობილის დასაქმებულებისთვის ხელფასების გაცემა და სხვა ხარჯების დაფარვა.
8. მხოლოდ დედა კომპანია ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.
9. დედა კომპანიის მიერ შვილობილის ქონების, როგორც საკუთარით სარგებლობა.
10. ყოველდღიური საქმიანობის ერთად განხორციელება.
11. შვილობილის კორპორაციულ ფორმლობათა დაუცველობა.
12. შვილობილის მენეჯმენტი მოქმედებს დამოუკიდებლად, თუ დედა კორპორაციის ინტერესებში.
13. სარჩელიდან გამომდინარე სადავო ქმედებასთან დაკავშირებული იყო თუ არა დედა კომპანია, თანამშრომლის, მენეჯმენტის ან დირექტორის სახით.

ტეხასის უზენაესი სასამართლოს პოზიციის თანახმად ტეხასის სასამართლოებმა გამჭოლი პასუხისმგებლობის რეგულირების მოქნილი და ფაქტებზე დამყარებული მიდგომა უნდა აირჩიონ, რათა შესაძლებელი გახდეს გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზნების მიღწევა.³⁵¹ ქასთელბერის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ ასევე დაადასტურა, რომ მოსარჩელესთვის არ არის სავალდებულო

³⁴⁸ Castleberry v. Branscum 721 S.W.2d 270, 272 (Tex. 1986).

³⁴⁹ Lucas v. Texas Industries, Inc., 696 S.W.2d 372, 374 (Tex.1984); Gentry v. Credit Plan Corp. of Houston, 528 S.W.2d at 573-75.

³⁵⁰ Castleberry v. Branscum 721 S.W.2d 270, 272 (Tex. 1986).

³⁵¹ ორიგინალში: "Because disregarding the corporate fiction is an equitable doctrine, Texas takes a flexible fact-specific approach focusing on equity"; *ob. Castleberry v. Branscum* 721 S.W.2d 270, 272 (Tex. 1986).

თაღლითობის განზრახვის დამტკიცება (ე.წ. რეალური თაღლითობა),³⁵² საკმარისია ე.წ. ნაგუსლისხმები თაღლითობის დადასტურება. ნაგუსლისხმები თაღლითობა, ფაქტობრივი თაღლითობისგან განსხვავებით, გულისხმობს ერთი პირის მიერ უსამართლო უპირატესობის მოპოვებას მეორე პირის მიმართ, და არ მოითხოვს განზრახვის ელემენტს.³⁵³

ტეხასის უზენაესი სასამართლოს მიერ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ფართო განმარტების შემდეგ, ტეხასის კანონმდებლობაში, კერძოდ კი ტეხასის ბიზნეს კორპორაციების აქტში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც გარკვეულწილად შეიზღუდა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ფარგლები. ტეხასის ბიზნეს კორპორაციების აქტის 2:21 მუხლში ორჯერ შევიდა ცვლილებები 1989 და 1993 წლებში.³⁵⁴ აღნიშნული მუხლის დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა არ დაიშვება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კორპორაციის ორგანიზაციული ფორმა გამოიყენება კრედიტორთა წინააღმდეგ რეალური თაღლითობის ჩასადენად, პარტნიორის ან დაკავშირებული პირისთვის უშუალო პირადი სარგებლის მიღების მიზნით.³⁵⁵ ამდენად, ნორმის ფორმულირებიდან გამომდინარე ის გამოიყენება მხოლოდ სახელშეკრულებო მოთხოვნებისთვის თავის არიდების შემთხვევაში, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე დაადასტურებს, რომ პარტნიორმა, დედა კორპორაციამ ან სხვა დაკავშირებულმა კორპორაციამ პირადი სარგებლის მისაღებად გამოიყენება ვალდებულების გამომწვევი ქმედების განმახორციელებელი კორპორაცია ფაქტობრივი თაღლითობის ჩასადენად.³⁵⁶ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, როგორც ვხედავთ, ქასტელბერის საქმეზე დადგენილი ნაგუსლისხმები თაღლითობის კონცეფციის ნაცვლად, საჭიროა რეალური თაღლითობის დადასტურება. ამდენად, მოხდა სასამართლო მიდგომის ლიმიტირება. ამის გარდა, საკანონმდებლო რეგულირებამ გარკვეული ბუნდოვანება გამოიწვია დელიქტისმიერი მოთხოვნების მიმართ. კერძოდ, რა სტანდარტით უნდა მოხდეს გამჭოლი პასუხისმგებლობის განსაზღვრა, თუ საკანონმდებლო სტანდარტი ლოგიკურად ეხება მხოლოდ სახელშეკრულებო შემთხვევებს. შესაბამისად, სახეხეა ორი შესაძლებლობა. პირველი, ანალოგიის წესით უნდა მოხდეს დელიქტისმიერ მოთხოვნებზე საკანონმდებლო სტანდარტის გავრცელება, ან მეორე, დელიქტისმიერ კრედიტორების შემთხვევაში შედარებით მსუბუქი მიდგომის გამოიყენება (რეალური თაღლითობის მტკიცების ტვირთისგან კრედიტორის გათავისუფლება).

³⁵² “To prove there has been a sham to perpetrate a fraud, tort claimants and contract creditors must show only constructive fraud” *Castleberry v. Branscum* 721 S.W.2d 270, 272 (Tex. 1986).

³⁵³ რეალურ და ნაგუსლისხმებ თაღლითობას შორის განსხვავება განიმარტა ტეხასის უზენაესი სასამართლოს 1964 წლის გადაწყვეტილებაში; ციტატა გადაწყვეტილებიდან: “Actual fraud usually involves dishonesty of purpose or intent to deceive, whereas constructive fraud is the breach of some legal or equitable duty which, irrespective of moral guilt, the law declares fraudulent because of its tendency to deceive others, to violate confidence, or to injure public interests”; *ib. Archer v. Griffith* 390 S.W.2d 735 (1964).

³⁵⁴ *Oldham*, *Piercing the Corporate Veil: Recent Developments in Texas Law*, 32 HOUS. LAW. 33, 1995, 33–36.

³⁵⁵ Texas Business Corporation Act, Art. 2:21 “Liability of Subscribers and Shareholders”.

³⁵⁶ Texas Business Corporation Act, Art. 2:21 “Liability of Subscribers and Shareholders”; *Wix*, *Piercing the Corporate Veil: Should Michigan Consider Statutory Solutions?* 79 University of Detroit Mercy Law Review 637, 2002, 648.

1.1.3.2.4 მასაჩუსეტსის შტატი

მასაჩუსეტსის შტატის სასამართლო პრაქტიკა ერთ-ერთი ყველაზე მდგარია. სასამართლოები დღემდე მისდევენ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მიღებულ გადაწყვეტილებებს.³⁵⁷ ამ მხრივ ყველაზე მნიშველოვანი გადაწყვეტილებაა *Hanson v. Bradley*.³⁵⁸ აღნიშნულ საქმეში, არასათანადოდ კაპიტალიზირებული კორპორაციის პარტნიორის ვალი ჰქონდა თავად კორპორაციას, რომლის უზრუნველსაყოფად პარტნიორის სასარგებლოდ კორპორაციის ქონება დაიტვირთვა იპოთეკით. სასამართლომ განმარტა, რომ პარტნიორი შეიძლება იყოს თავისი კორპორაციის კრედიტორი. ეს ბუნებრივი და კანონიერი შემთხვევაა. ამასთან, პარტნიორი კრედიტორი უფრო მეტად არის დაცული რისკებისგან, ვიდრე გარე კრედიტორი. ასეთ დროს სასამართლოს უფლება და მოვალეობაა, რომ შეაფასოს მდგომარეობა კორპორაციული ფორმის მიღმა. მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო არასათანადო კაპიტალიზირებული კორპორაცია, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას (სასტუმროს ოპერირება) ახორციელებდა კრედიტის საფუძველზე. სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში, ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო ინფორმაცია სუსტი კაპიტალიზაციის შესახებ. სწორედ აღნიშნული გარემოება მიიჩნია სასამართლომ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის გადამწყვეტ ფაქტორად.

მასაჩუსეტსის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით გამჭოლ პასუხისმგებლობას გააჩნია სამი წინაპირობა: 1. პარტნიორის დომინანტური მდგომარეობა ან კორპორაციის კონტროლი 2. დომინანტური მდგომარეობის ან კონტროლის გამოყენება უსამართლო ან თაღლითური გზით. 3. უშუალო ზიანი. როდესაც კრედიტორს ზიანი ადგება იმის გამო, რომ „გახელილი თვალებით“ ე.ი. გაცნობიერებულად შევიდა სახელშეკრულებო ურთიერთობაში. მსგავს ვითარებაში კრედიტორი ვერ დაეყრდნობა პარტნიორის არასათანადო ქმედებას, როგორც მისი პასუხისმგებლობის წინაპირობას. სასამართლომ გამჭოლი პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან გარემოებად დაადგინა შემთხვევა, როდესაც კორპორაცია გამოიყენება თაღლითური საშუალებით საჯარო წესრიგისათვის გვერდის ასავლისათვის.³⁵⁹

1.1.4 კორპორაციული საფარველის გაჭოლვა სპეციალური რეგულირების სფეროებში

აშშ-ში დიდი დებატების საგანია კორპორაციული საფარველის გაჭოლვა იმ სფეროებში, რომლებიც ფედერალურ დონეზე სპეციალურ რეგულირებას ექვემდებარება. ესეთია მაგალითად, ტრანზაქციათა კონტროლისა და გარემოს დაცვის სფეროები.

³⁵⁷ *Presser, Piercing the Corporate Veil*, 2011, 249.

³⁵⁸ *Hanson v. Bradley* 10 N.E.2d 259 (Mass. 1937).

³⁵⁹ *Gordon Chemical Co. v. Aetna Casualty S Surety Co.*

1.1.4.1 UFTA - უნიფიცირებული წესები თაღლითური ტრანსფერის შესახებ

აშშ-ში 1984 წლიდან მოქმედებს უნიფიცირებული წესები თაღლითური ტრანსფერის შესახებ (Uniform Fraudulent Transfer Act, შემდეგში UFTA). მისი წინამორბედი იყო თაღლითური გადაცემის შესახებ აქტი (Uniform Fraudulent Conveyance Act). ორივე ეს დოკუმენტი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, მოვალეს ეკრძალება გადამალოს ქონება თვალთმაქცური ტრანზაქციის გზით, იმისგან დამოუკიდებლად, გათვალისწინებულია თუ არა ხელშეკრულებაში ესეთი აკრძალვა.³⁶⁰ ეს კონცეფცია აშშ-ში გავრცელდა ინგლისიდან, სადაც ეს პრინციპი ინკორპორირებული იყო ე.წ. ელიზაბეტის სტატუტში (Fraudulent Conveyances Act 1571 - Statute of 13 Elizabeth 1571).³⁶¹

თაღლითური ტრანსფერის შესახებ უნიფიცირებული აქტი კრძალავს გადახდისუუნარობისას თაღლითურ ტრანზაქციებს, ხოლო კრედიტორს ანიჭებს შეცილების და ქონების დაყადაღების უფლებას.³⁶²

UFTA გამოყოფს სამი სახის თაღლითურ ტრანსფერს: 1. ნებისმიერი გადაცემა, რომელიც მოვალემ განახორციელა იმ განზრახვით, რომ დააბრკოლოს ან გააჭიანუროს კრედიტორის მოთხოვნის შესრულება ან მოატყუოს კრედიტორი; 2. ნებისმიერი ტრანსფერი, რომლის სანაცვლოდ მოვალემ არ მიიღო ადეკვატური ანაზღაურება, და რომლის შედეგადაც მოვალის დარჩენილი ქონების შეფარდება არსებულ და მოსალოდნელ ვალდებულებებთან არაგონივრულად დაბალია; 3. ნებისმიერი ტრანსფერი, რომლის სანაცვლოდ მოვალე არ იღებს ადეკვატურ ანაზღაურებას და აცნობიერებს, რომ ესეთი ტრანზაქცია მას გადახდისუუნარობამდე მიიყვანს.³⁶³

იმის მიუხედავად, რომ თაღლითური ტრანსფერის აკრძალვის პრინციპი და გამჭოლი პასუხისმგებლობა მსგავს ღირებულებებს ეფუძნება, აშშ-ს სასამართლოები პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის დადგენისას თაღლითური ტრანსფერის შესახებ აქტის გამოყენების ნაცვლად, მაინც კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დოქტრინას ეყრდნობიან.³⁶⁴ ეს განპირობებულია რამდენიმე გარემოებით: თაღლითური ტრანსფერის აკრძალვის პრინციპი აქცენტს აკეთებს იმ ტიპის ტრანზაქციებზე, რომელთაც არ სდევს სამართლიანი და ექვივალენტური ანაზღაურება კორპორაციის სასარგებლოდ, მაშინ, როცა კორპორაციულ ფორმლობათა დაუცველობა გულისხმობს თავად ასეთ ტრანზაქციათა იდენტიფიცირების შეუძლებლობას. არასათანადოდ კაპიტალიზირებული კორპორაციის შემთხვევაში კი, შეიძლება არც იყოს სახეზე რაიმე ტრანზაქცია.³⁶⁵ აღნიშნულის საპირისპიროდ, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინას, ფართო და მოქნილი კონსტრუქციის

³⁶⁰ *Paltimer, Corporations*, 5th edition 2006, 565-566.

³⁶¹ *Paltimer, Corporations*, 5th edition 2006, 566. ინგლისში უკვე მე-17 საუკუნის დასაწყისიდან ეხვდებით, სასამართლო პრეცედენტს, რომელიც ეფუძნებოდა გადახდისუუნარობისას თაღლითური გარიგებების აკრძალვის ზოგად პრინციპებს; იხ. *Twyne's case* (1601)76 ER 809.

³⁶² UFTA, Section 7(a).

³⁶³ *Paltimer, Corporations*, 5th edition 2006, 566.

³⁶⁴ *Paltimer, Corporations*, 5th edition 2006, 566.

³⁶⁵ *Paltimer, Corporations*, 5th edition 2006, 567.

ხარჯზე, აქვს უნარი მოიცვას შემთხვევაში ფართო წრე. ამდენად, გაკოტრების დროს თვალთმაქცური ტრანზაქციების შეცილების უფლება, ვერ ფარავს იმ შემთხვევებს, რომელიც შეიძლება მოიცვას გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინამ.

მიიხნევა, რომ UFTA სათანადოდ არ იცავს დელიქტისმიერ კრედიტორებს.³⁶⁶ ამის გარდა, UFTA-ს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც სასამართლო პრაქტიკაშიც აისახა, გულისხმობს, რომ კრედიტორის მოთხოვნა, იმისათვის, რომ დაექვემდებაროს UFTA-ს წესებს, უნდა წარმოიშვას თაღლითურ ტრანსფერამდე.³⁶⁷ შესაბამისად, UFTA-ს რეგულირების მიღმა რჩება ისეთი შემთხვევაც, როდესაც თაღლითური ტრანსფერები წინ უსწრებს კრედიტორის ვადამოსულ მოთხოვნას, მიუხედავად იმისა, რომ თავად, მოთხოვნის წარმომშობი გარიგება შეიძლება დადებულიყო თაღლითური ტრანსფერის განხორციელებამდე.

1.1.4.2 CERLCA - ყოვლისმომცველი ეკოლოგიური ზიანის, კომპენსაციისა და პასუხისმგებლობის აქტი

CERLCA მიღებულ იქნა 1980 წელს.³⁶⁸ იგი არეგულირებს გარემოში მანვე ნარჩენების დაშვების გამო დამდგარ ეკოლოგიურ ზიანზე საპასუხო ქმედებებს, ხოლო კომპანიებს გარკვეულ ფინანსურ ვალდებულებებს აკისრებს დაბინძურების აღმოფხვრის მოსაკრებლების გადახდის ფორმით.³⁶⁹

აქტის მიღებიდან განჩნდა პრეცედენტები, როცა CERLCA-ს შესრულებისგან თავის არიდების მიზნით კომპანიები ქმნიდნენ რთულ კორპორაციულ სტრუქტურას, რომლის ფარგლებშიც პასუხისმგებლობა დგებოდა მხოლოდ ერთი კომპანიისთვის.³⁷⁰ ამდენად, სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშვა პრობლემა CERLCA-ს მიზნებისთვის გადაეწყვიტათ მაკონტროლებელი პარტნიორის პასუხისმგებლობის საკითხი. სასამართლო პრეცედენტები ცხადყოფენ, რომ დედა კომპანიის პასუხისმგებლობისთვის შეიღობილის კორპორაციული საფარველის გაჭოლვაა საჭირო.³⁷¹ ასეთ დავებში, პირველ რიგში, დგინდება წესების დარღვევა, რის შემდეგაც საჭიროა რამდენიმე გარემოების დადასტურება. პირველი, გააჩნდა თუ არა დედა კომპანიას

³⁶⁶ *Mendelson*, Control-Based Approach to Shareholder Liability for Corporate Tort, *Columbia Law Review* Vol. 102:1203, 2002. 1204.

³⁶⁷ *Prairie Lakes Health Care Sys., Inc. v. Wookey*, 583 N.W.2d 405, 413 (S.D. 1998); ასევე, UFTA, Section 5(a).

³⁶⁸ Comprehensive Environmental Response, Compensation, and Liability Act of 1980, მიღებულია აშშ-ს 96-ე მოწვევის კონგრესის მიერ.

³⁶⁹ *Oswald*, Bifurcation of the Owner and Operator Analysis under CERCLA: Finding Order in the Chaos of Pervasive Control, 72 *Wash. U. L. Q.* 223, 1994, 224.

³⁷⁰ *Menell*, Liability of Parent Corporations for Hazardous Waste Cleanup and Damages, 99 *Harv. L. Rev.* 986, 1986, 1003.

³⁷¹ *Menell*, Liability of Parent Corporations for Hazardous Waste Cleanup and Damages, 99 *Harv. L. Rev.* 986, 1986, 1001.

შესაძლებლობა ეკონტროლებინა შვილობილი. მეორე, იყენებდა თუ არა დედა კომპანია ამ შესაძლებლობას.³⁷²

1.2 გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლები ინგლისში

გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გავითარებას საფუძველი დაუდო ინგლისის ლორდთა პალატის 1987 წლის ცნობილმა გადაწყვეტილებამ საქმეზე *Salomon v. A Salomon & Co.* ამ საქმეში ლორდ ჰელსბერიმ, ფიქციის თეორიაზე დაყრდნობით უარყო კორპორაციული საფარველის გაჭოლვის შესაძლებლობა. გადაწყვეტილება ეფუძნება იმ ლოგიკას, რომ რადგანაც კომპანია დაფუძნდა კანონმდებლობის (იგულისხმება *Company Act 1862*) მოთხოვნათა დაცვით, სამართლის თვალში კომპანია, თავისი ხელოვნურობის მიუხედავად, იქცა წევრებისგან დამოუკიდებელ და განცალკევებულ სუბიექტად.

დოქტრინის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მოსამართლე ლორდ დენინგს.³⁷³ სწორედ მის სახელს უკავშირდება ერთიანი ეკონომიკური ელემენტის (*Single Economic Unit*) თეორიის ჩამოყალიბება. საქმეში *DHN Food Distributors Ltd. V Tower Hamlets London Borough Council* ლორდმა დენინგმა სამი კომპანიის ურთიერთკავშირი დაახასიათა ერთიან ეკონომიკურ კავშირად. მისი მოსაზრებით ასეთი ტიპის კავშირი, თავისი ბუნებით ამხანაგობის მსგავსია. ამ კავშირში შემავალი პარტნიორები სამართალმა არ უნდა განიხილოს სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტებად.³⁷⁴

სასამართლოები კორპორაციული საფარველის ჩამოხსნის მიზნით ასევე იყენებენ ე.წ. „აგენტის“ (მიდნობილი პირის) თეორიას. ამ თეორიის ძალით შეიძლება დადგეს ჩრდილოვანი მარწმუნებლის პასუხისმგებლობა მისი რწმუნებულის ქმედებისათვის.³⁷⁵ თაღლითობა ასევე მნიშვნელოვანი ელემენტია პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის. ინგლისის სასამართლოები მისდევენ პოზიციას, რომლის მიხედვითაც, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა დაიშვება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში. მოსამართლეები აღიარებენ, რომ დოქტრინა ანიჭებს მათ ერთგვარ ძალაუფლებას, რომელიც გამოყენებულ უნდა იყოს სამართლიანობის აღსადგენად. ამის საპირისპიროდ, მოსამართლის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს უსამართლობა.³⁷⁶ ამ პოზიციის გათვალისწინებით, თაღლითობის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოები უარს ამბობენ კორპორაციული საფარველის გაჭოლვაზე.³⁷⁷

³⁷² *Oswald.*, Bifurcation of the Owner and Operator Analysis Under CERCLA: Finding Order in the Chaos of Pervasive Control, 72 Wash. U. L. Q. 223, 1994, 260.

³⁷³ *Cheng*, A Comparative Study of The English and The U.S. Corporate Veil Doctrine, Boston Collage International and Comparative Law Review, Vol.34, 2011, 334.

³⁷⁴ "[t]his group is virtually the same as a partnership in which all the three companies are partners. They should not be treated separately so as to be defeated on a technical point." *DHN Food Distributors Ltd v Tower Hamlets London Borough Council* [1976] 1 WLR 852.

³⁷⁵ *Presser*, Piercing the Corporate Veil, 2011 Edition, 1389.

³⁷⁶ *Presser*, Piercing the Corporate Veil, 2011 Edition, 1389.1390.

³⁷⁷ აშშ-ს სასამართლოების მიდგომა განსხვავდება. ზოგიერთ შტატში, კორპორაციული საფარველის გაჭოლვისთვის საკმარისია ე.წ. "constructive fraud", რომელიც ზოგადი მორალური ვალდებულებების დარღვევას გულისხმობს და არღვევს საჯარო ინტერესს.

1.2.1 გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის თანამედროვე ტენდენციები

ინგლისში კორპორაციული საფარველის გაჭოლვის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი *lifting the corporate veil*. თუმცა ინგლისის უზენაესი სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილებით დადგინდა რომ ტერმინები *lifting* და *piercing* არ არის იდენტური.³⁷⁸ სასამართლოს განმარტებით, კორპორაციული საფარველის *ჩამოხრის* – *lifting*-ის შემთხვევაში არ ხდება პარტნიორისა და კორპორაციის განცალკევებულობის უგულებელყოფა. სასამართლო მიაწერს ქმედებას ან ქონებას კორპორაციის მაკონტროლებელ პირს, ის არ ახდენს დამოუკიდებელი და განცალკევებული სამართალსუბიექტობის იგნორირებას. აღნიშნულისგან განსხვავებით კი *piercing* – *გაჭოლვა* შეიძლება დადგეს მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა კორპორაციის განცალკევებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება, არამართლზომიერი მიზნების მისაღწევად.

ამდენად, ინგლისის უახლესი პრეცედენტ ასხვავებს ორ შემთხვევას. ერთი, როდესაც საჭირო ხდება დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის უგულებელყოფა იმისათვის, რათა მიღწეულ იქნეს კორპორაციული მოსახსამის მიღმა (ორგანიზაციული ფორმის ბოროტად გამოყენების შემთხვევა) მოქმედი პირის პასუხისმგებლობა და მეორე, როდესაც არ არის სახეზე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება, თუმცა სხვა გარემოებების გათვალისწინებით, როგორცაა მაგალითად, პარტნიორის მიერ კორპორაციაზე კონტროლის განხორციელება, თუმცა არა იმ ხარისხით, რომ გადალახოს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის პრინციპი, შესაძლებელი ხდება პარტნიორის პასუხისმგებლობის განსაზღვრა ან პირიქით კორპორაციის პასუხისმგებლობის განსაზღვრა პარტნიორის ვალდებულებებისათვის.

თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ ზემოაღნიშნული დიფერენციაცია მხოლოდ სამართლებრივ მეტაფორებზე დაეხსნება, რადგანაც *lifting* და *piercing* ძალიან ხშირად ერთიდაიგივე ფაქტობრივ გარემოებებს ემყარება და საკითხის ამგვარად დაყოფა უფრო ბუნდოვანს ხდის კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დოქტრინის გამოყენებას.³⁷⁹

ზემოაღნიშნულის გარდა, ინგლისის სამართალში შეიძლება კორპორაციული მოსახსამის გაჭოლვის ორი მექანიზმის გამოყოფა: სასამართლოსმიერი და საკანონმდებლო. საკანონმდებლო მექანიზმმა აქტუალობა მოიპოვა გასული საუკუნის 80-იანი წლებში გაკოტრების სამართლის რეფორმის შედეგად, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად

ინგლისის დოქტრინა ეფუძნება რეალურ თადღითობას ე.წ. “actual fraud”; *Gakundi*, The Interpretation of the Doctrine of Piercing the Corporate Veil by the UK Courts is More Successful Than by the US Courts, 3 King’s Student L. Rev. 211 2011-2012, 222.

³⁷⁸ *Prest v Petrodel Resources Ltd* [2013] UKSC.

³⁷⁹ სამართლებრივი მეტაფორები ვიწრო გაგებით უნდა იქნეს განმარტებული. ორიგინალში: “Metaphors in law are to be narrowly watched, for starting as devices to liberate thought they end often by enslaving it”, იხ. მოსამართლე კარდოზოს მსჯელობა საქმეში: *Berkey v Third Avenue Ry.* 244 N.Y. 84, 94, 155 N.E. 58, 61, (1926) 50 ALR 599, 604.

დაედო გაკოტრების სამართლისა და პრაქტიკის განმხილველი კომიტეტის 1982 წლის ანგარიში.³⁸⁰

სასამართლოსმიერი მექანიზმი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სტატუტი ან ხელშეკრულება, რომლის მონაწილაც არის კორპორაცია, ითვალისწინებს კორპორაციული საფარველის გაჭოლვის შესაძლებლობას.³⁸¹

1.2.2 ერთი ეკონომიკური ელემენტის თეორია – ინგლისის სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომა

ერთი ეკონომიკური ელემენტის თეორია საშუალებას იძლევა უგულებელყოფილ იქნას კორპორაციული ჯგუფის ცალკეული წევრების დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება კორპორაციული ჯგუფის წევრების განხილვა ერთ ელემენტად. თეორია წარმოადგენს კორპორაციული მოსახსნამის გაჭოლვის საფუძველს, თუმცა პირველი საქმე, რომლითაც მოხდა თეორიის ჩამოყალიბება და დავის გადაწყვეტა მოსარჩელის სასარგებლოდ, ეხებოდა არა კრედიტორების არამედ თავად პარტნიორების დაცვას. საუბარია DHN Food Distributors v. Towler Hamlets London Borough Council საქმეზე, რომელსაც დიდი კრიტიკა მოჰყვა, როგორც სასამართლოს, ასევე მკველვარების მხრიდან. საქმეში სასამართლომ ერთი ეკონომიკური ელემენტის თეორიის საფუძველზე მოახდინა კორპორაციული საფარველის ჩამოხსნა. საქმე ეხებოდა სამ კორპორაციას. დედა კორპორაცია DHN Food Distributors, სრულად ფლობდა ორ შვილობილ კომპანიას: Bronze, რომლის საკუთრებაშიც იყო მთელი უძრავ ქონება, და Transport, რომელიც ფლობდა სატრანსპორტო საშუალებებს. ორივე შვილობილს ჰყავდა საერთო დირექტორი. Towler Hamlets London Borough Council-მა მოახდინა Bronze ქონების ექსპროპრიაცია, რასაც შედეგად მოჰყვა სამივე კორპორაციის ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია, რადგანაც არ გააჩნდათ ალტერნატიული უძრავი ქონება, რომელიც აუცილებელი იყო მათი სამეწარმეო საქმიანობის გასაგრძელებლად. Towler Hamlets London Borough Council-ს კანონმდებლობით (Lord Compensation Act 1961) დადგენილი წესით უნდა გადაეხადა ექსპროპრირებული ქონების ღირებულება Bronze-სთვის, თუმცა უარს აცხადებდა ექსპროპრიაციის შედეგად DHN Food Distributors მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის, რამდენადაც Bronze იყო იყო მხოლოდ ქონების და არა მთლიანი ბიზნესის მესაკუთრე. მოცემულ საქმეში სასამართლომ კორპორაციული ჯგუფი განიხილა ერთ ელემენტად. მსჯელობაში სასამართლო უთითებს, რომ წილთა 100%-იანი საკუთრების შემთხვევაში დედა კომპანია სრულად აკონტროლებს შვილობილის ყველა ნაბიჯს. შვილობილები წარმოადგენენ დედა კომპანიის მიერ საკუთარი მიზნის მიღწევის საშუალებას და აკეთებენ მხოლოდ იმას, რასაც დედა კომპანია გადაწყვეტს. სწორედ ამ გარემოების გამო ესეთი კომპანიები არ უნდა იქნენ განხილულნი განცალკევებულად. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ

³⁸⁰ *Davies, Principles of Modern Company Law*, 8th ed. 2008, 219.

³⁸¹ *Davies, Principles of Modern Company Law*, 8th ed. 2008, 220.

ჩათვალა, რომ დედა კომპანიას ჰქონდა კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

ზემოთ მოყვანილი საქმე ერთ-ერთი გახმაურებული შემთხვევაა, რომელშიც სასამართლომ ერთი ეკონომიკური ელემენტის თეორიის საფუძველზე დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. შემდგომ საქმეებში, სასამართლო ახდენდა დოქტრინის უგულებელყოფას. მაგალითად, *Woolfson v. Strathclyde Regional Council* საქმეში სასამართლომ უარყო კორპორაციული ჯგუფის ერთ სუბიექტად განხილვის შესაძლებლობა. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ბატონი ვულსონი და მისი მეუღლე ფლობდნენ წილს *M&L Campell and Solfred* ჰოლდინგში. ბატონი ვულსონი ჰოლდინგთან ერთად თანასაკუთრებაში ფლობდა მიწის ხუთ ნაკვეთს, რომელზეც *M&L Campell* ახორციელებდა საქმიანობას. *Strathclyde Regional Council*–მა მოახდინა მიწის ნაკვეთების ექსპროპრიაცია. ვულსონმა და *Solfred* ჰოლდინგმა მოითხოვეს როგორც ჩამორთმეული ქონების კომპენსაცია, ასევე იმ ზიანი ანაზღაურება, რომელიც მიადგა *M&L Campell* –ს. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მეორე მოთხოვნა, იმ საფუძველზე, რომ კონტროლი, რომელიც *DHN Food Distributors v. Towler Hamlets London Borough Council* საქმეში იყო გადამწყვეტი, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა.

ინგლისის სასამართლოს შემდგომი წლების პრაქტიკის თანახმად, კორპორაციული სტრუქტურის საერთო გამოყენება, პასუხისმგებლობის შეზღუდვის, კორპორაციული საქმიანობის ორგანიზების ან შემოსავლების გაზრდის მიზნით, არ არის საკმარისი გარემოება ჯგუფის რომელიმე წევრი ფასადურ კორპორაციად მიჩნევისათვის.³⁸²

1.2.3 თაღლითობის ცნება გამჭოლი პასუხისმგებლობის კონტექსტში ინგლისის სამართლის მიხედვით

ინგლისის სამართალში თაღლითობა განიხილება გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ძირითად ელემენტად.³⁸³ შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მოხდეს თაღლითობის ცნების განსაზღვრა. ინგლისის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ თაღლითობა ფასდება მაღალი სტანდარტით, რადგანაც თაღლითობად მიიჩნევა, როგორც განზრახი ქმედება, ასევე სათანადო გულისხმიერების გამოჩენების გარეშე კრედიტორის შეცდომაში შეყვანა. კერძოდ, თაღლითობა დადასტურებულად ჩაითვლება, თუ კრედიტორის შეცდომაში შეყვანა ხდება გაცნობიერებულად ან იმ რწმენის გარეშე, რომ გარემოებები ნამდვილია, ასევე დაუფიქრებლად და გარემოებების ნადვილობაში დარწმუნებისა და სათანადო ზრუნვის გამოჩენის გარეშე.³⁸⁴ სასამართლო განმარტების თანახმად, შეცდომაში შეყვანა სათანადო ზრუნვის გამოჩენის გარეშე შეიძლება გამოყენებულ იქნეს თაღლითობის დასამტკიცებლად, თუმცა სავალდებულოდ არ უდრის

³⁸² *Re Rolly Pech International Plc (in Administration) (No.3)*, [1998] All ER (D) 194.

³⁸³ *Presser*, *Piercing the Corporate Veil*, 2011, 1390; *Cheng*, *A Comparative Study of The English and The U.S. Corporate Veil Doctrine*, *Boston Collage International and Comparative Law Review*, Vol.34, 2011, 358.

³⁸⁴ *Derry v Peek* (1889) LR 14 App Cas 337; მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სტანდარტი შემუშავებულ იქნა მე-19 საუკუნის ბოლოს, ის დღემდე გამოიყენება, *Cartwright*, *Misrepresentation, Mistake and Non-disclosure*, 2012, 247.

თაღლითობას. შეცდომაში შეყვანა, თუ ის არის იმ რწმენის შედეგი, რომ მცდარი გარემოება არის ჭეშმარიტი, არ წარმოადგენს თაღლითობას, და შესაბამისად, პირს არ უნდა დაეკისროს მის გამო პასუხისმგებლობა.³⁸⁵

ამავდროულად, ინგლისის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გამჭოლი პასუხისმგებლობის კონტექსტში თაღლითობის ცნება განიმარტება ფართოდ, და მოიცავს შეცდომაში განზრახ შეყვანას. გამჭოლი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ წამყვან საქმეში³⁸⁶ გამოყენებულ იქნა ეს მიდგომა. ამ საქმეში კომპანიის დამფუძნებლებმა ინვესტორების მოსაზიდად შექმნეს საჯარო წარმოდგენა, რომ სამეწარმეო საქმიანობა ხორციელდება ბაზარზე მყარი ფინანსური მდგომარეობის მქონე კომპანიის მიერ, როცა სინამდვილეში, საქმიანობას ახორციელებდნენ თავად.³⁸⁷ სასამართლომ ეს ქმედება ჩათვალია, ისეთ ქმედებად, რომელიც მართალია წარმოადგენდა შეცდომაში შეყვანას, თუმცა ამავდროულად ქმნიდა თაღლითობის ფაქტს.³⁸⁸

1.2.3.1 ინგლისის სასამართლოს მიდგომა შეცდომაში შეყვანის, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლის შესახებ

ინგლისის უზენაესმა სასამართლომ 2013 წელს განიხილა საქმე, *VTB Capital plc v Nutritek International Corp and others*. რომლითაც შეიცვალა მიდგომა გამჭოლი პასუხისმგებლობის ფარგლებში შეცდომაში შეყვანის, როგორც პასუხისმგებლობის ძირითადი ფაქტორი მიმართ.³⁸⁹ მოცემულ

³⁸⁵ Derry v Peek (1889) LR 14 App Cas 337.

³⁸⁶ Re Darby, ex parte Brougham [1911] 1 KB 95.

³⁸⁷ ორიგინალში: “what they did through the corporation they did themselves and represented it to have been done by a corporation of some standing and position.” Re Darby, ex parte Brougham [1911] 1 KB 95. იხ., ასევე, *Sealy, Worthington*, Cases and Materials in Company Law, 8th Ed. 2008, 61.

³⁸⁸ Re Darby, ex parte Brougham [1911] 1 KB 95; იხ., ასევე *Seale, Worthington*, Cases and Materials in Company Law 8th ed, 2008, 61.

³⁸⁹ *VTB Capital plc v Nutritek International Corp and others* [2012] EWCA Civ 808; ფაქტები: ვითიბი კაპიტალი წარმოადგენს საინვესტიციო ბანკს, რომლის წილაც ფლობს და აკონტროლებს რუსული ბანკი ვითიბი მოსკოვი. დავა წარმოიშვა, ვითიბი კაპიტალსა და რუსულ კომპანიას შპს რუსაგროპრომ-ს (მაკონტროლებელი პარტნიორი კონსტანტინ მალოფეევი) შორის 2007 წელს გაფორმებული სესხის ხელშეკრულებიდან. ხელშეკრულების ძალით, ვითიბი კაპიტალმა უზრუნველყო კომპანია სესხით 225 მილიონი დოლარის ოდენობით. სესხის ხელშეკრულება იყო მიზნობრივი. კერძოდ, შპს “რუსაგროპრომს” უნდა შეეძინა კომპანია “ნუტრიტეკისგან” რძის მწარმოებელი ექვსი სხვადასხვა კომპანია და სამი შვილობილი კომპანია. ტრანზაქციის დასრულების შემდეგ, ვითიბი კაპიტალისთვის ნათელი გახდა, რომ რუსაგროპრომი ვერ დაფარავდა კრედიტს, რის გამოც, ვითიბი კაპიტალმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვნა კომპანიის მიერ შექმნილი აქტივებიდან მოთხოვნის დაკმაყოფილება. ბანკი უთითებდა, რომ სესხის ხელშეკრულების დადების მიზნით, მოპასუხემ ბანკი შეიყვანა განზრახ შეცდომაში, შესაძენი კომპანიების ნამდვილი ღირებულების შესახებ. ბანკის მითითებით შექმნილი აქტივების რეალური ღირებულება იყო დაახლოებით 32-40 მილიონი აშშ დოლარი, რაც ბევრად უფრო ნაკლები იყო ვიდრე სესხის ოდენობა. მოსარჩელე ასევე უთითებდა, რომ ნუტრიტეკმა განზრახ მიაწოდა ცრუ ინფორმაცია, არამხოლოდ შესაძენი კომპანიების ღირებულების შესახებ, ასევე იმის შესახებაც, რომ “რუსაგროპრომი” და “ნუტრიტეკი” არ იყვნენ დაკავშირებული კომპანიები. მოსარჩელის განცხადებით, რუსაგროპრომის მაკონტროლებელი პარტნიორი კონსტანტინ მალოფეევი, ამავდროულად იყო კრედიტის თანხის რეალური მიმღები, საბოლოო მესაკუთრე და კონტროლის განმახორციელებელი, როგორც ნუტრიტეკზე, ასევე დანარჩენ კომპანიებზე. იმის გათვალისწინებით, რომ არცერთი მოპასუხე არ იყო დიდი ბრიტანეთის რეზიდენტი, და მოსარჩელის პოზიცია მოთხოვნის სახელშეკრულებო საფუძვლის

საქმეში საინვესტიციო ბანკი VTB Capital ითხოვდა კონტრაქტი კომპანიის მაკონტროლებელი პარტნიორის, პირად პასუხისმგებლობას, იმ საფუძველით, რომ ამ უკანასკნელის მიერ შექმნილი მცდარი შთაბეჭდილებები დაედო საფუძველად კომპანიასა და ბანკს შორის სესხის ხელშეკრულებას. სამართლომ ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში გამჭოლი პასუხისმგებლობის მექანიზმის გამოყენება იქნება გაუმართლებელი და წინააღმდეგობაში მოვიდოდა ინგლისის სამართალში დამკვიდრებულ პრინციპებთან. სასამართლომ ასევე ჩათვალა, რომ მოცემულ საქმეში გამჭოლი პასუხისმგებლობა არ იყო კრედიტორის დაცვის ადეკვატური მექანიზმი. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე დაადასტურებდა, რომ მისი მხრიდან სესხის ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა მაკონტროლებელი პარტნიორის მიერ შექმნილი მცდარი შთაბეჭდილებები, ბანკი უფლებამოსილი გახდებოდა ზიანი აენაზღაურებინა დელიქტური სარჩელით. თუმცა სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეში დელიქტური მოთხოვნისათვის სათანადო ფორუმი იყო რუსეთის და არა ინგლისის სასამართლო. უზენაეს სასამართლოს, საქმის განხილვის ფორმიდან გამომდინარე, არ განუმარტავს მოახდენს თუ არა სასამართლო კორპორაციული საფარველის გაჭოლვა თაღლითობის სხვა შემთხვევებში.

სასამართლოს უარი გამჭოლ პასუხისმგებლობის მექანიზმის გამოყენებაზე ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: 1. კორპორაციული საფარველის გაჭოლვა გამოყენება წინააღმდეგობაში მოვიდოდა განცალკევებულ კორპორაციულ სამართალსუბიექტობასთან, როგორც ფუნდამენტურ პრინციპთან, რომელიც დადგენილ იქნა 1897 წლის პრეცედენტით, საქმეზე *Salomon v A Salomon & Co Ltd*³⁹⁰; 2. სამართალი ისედაც ითვალისწინებს ბანკის ინტერესთა დაცვის მექანიზმის დელიქტური სარჩელის საფუძველზე და შესაბამისად, გამჭოლი პასუხისმგებლობის საჭიროება არ არსებობდა; 3. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები არ ადასტურებდნენ, რომ კორპორაცია გამოიყენებოდა ნამდვილი ფაქტების გადასაფარად. პარტნიორის ქცევა არ იძლეოდა ისეთი შთაბეჭდილების შექმნის საფუძველს, რომ იგი თავად იღებდა პასუხისმგებლობას ხელშეკრულებიდან გამომდინარე. შესაბამისად, არცერთ მხარეს არ ჰქონდა ლეგიტიმური საფუძველი ევარაუდა, რომ ხელშეკრულება იღებოდა პარტნიორთან.³⁹¹ მოცემულ საქმეში, უზენაესი სასამართლო დაეყრდნო სხვა საქმეზე შემუშავებულ ტესტს, რომლის მიხედვითაც, კორპორაციული საფარველის გაჭოლვისათვის საჭიროა, 1. კონტროლი და 2. დარღვევა, რაც გამოიხატება კომპანიის ფასადად გამოყენებაში.³⁹²

მომდევნო საქმეში ინგლისის უზენაესმა სასამართლომ მოახდინა დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ფუნდამენტური პრინციპის უკუგდება და პარტნიორის ვალდებულების შესრულების მიზნით დაუშვა

შესახებ სასამართლომ არ გაიზიარა, საბოლოოდ დადგინდა, რომ ინგლისის სასამართლო არ იყო საქმის განსახილველად სათანადო ფორუმი, რადგანაც საქმე უნდა გადაწყვეტილიყო დელიქტური ნორმებით.

³⁹⁰ *Salomon v A Salomon & Co Ltd* [1897] AC 22.

³⁹¹ *VTB Capital plc v Nutritek International Corp and others*[2012] EWCA Civ 808.

³⁹² *Hashem V. Shayif and Anotehr* [2008] EWHC 2380.

კომპანიის კუთვნილი ქონების გადაცემა მოსარჩელისთვის.³⁹³ მართალია აღნიშნული საქმე ეხებოდა მეუღლეებს შორის ქონებრივ დავას, და სწორედ ამ კონტექსტში მოხდა კორპორაციული საფარველის ჩამოხსნა თუმცა აღნიშნული საქმე ასევე მნიშვნელოვანია კორპორაციულსამართლებრივი კუთხითაც.³⁹⁴ მოცემულ საქმეში სასამართლო შეეცადა განესხვაებინა საფარველის გაჭოლვა (piercing) და საფარველის ჩამოხსნა (lifting) და დაესაბუთებინა, რომ ისინი არ არიან იდენტური მექანიზმები. კერძოდ, სასამართლოს მოსაზრებით გაჭოლვა მოითხოვს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ფუნდამენტური პრინციპის უკუგდებას, ხოლო კორპორაციული საფარველის მოხსნა, კი ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედება და საკუთრება მიეწერება პირს, რომელიც აკონტროლებს კომპანია ისე, რომ არ ხდება დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის უკუგდება. ამავე საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ კორპორაციული საფარველის გაჭოლვა ერთადერთ შემთხვევაში დაიშვება, როდესაც ხდება კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობით ბოროტად სარგებლობა.

1.2.4 კორპორაციული საფარველის გაჭოლვა სპეციალური რეგულირების საფუძველზე

1.2.4.1 წინარე ვაჭრობა

ინგლისის Company Act 2006-ის თანახმად, საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია არ არის უფლებამოსილი განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, სანამ არ მოიპოვებს კომპანიათა რეესტრის სერტიფიკატს იმის შესახებ, რომ მან დააკმაყოფილა დაფუძნებასთან დაკავშირებით აქტის ყველა მოთხოვნა (მაგ. შეავსო საწესდებო კაპიტალი). თუკი ამ წესის დარღვევით კორპორაცია განახორციელებს რაიმე მოქმედებას, კორპორაციას და მის დირექტორებს ეკისრებათ ჯარიმები, ასევე იმ შემთხვევაში თუ კორპორაცია ვერ შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს მოთხოვნიდან 21 დღის განმავლობაში, მაშინ კომპანიის დირექტორები სოლიდარულად აგებენ პასუხს, კორპორაციის სახელით განხორციელებული ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის.³⁹⁵

1.2.4.2 თაღლითური ვაჭრობა და არამართლზომიერი ვაჭრობა

არამართლზომიერი ვაჭრობა (*wrongful trading*) გაკოტრების 1986 წლის აქტის თანახმად, ეხება იმ კორპორაციებს, რომლებიც აგრძელებენ ყოველდღიურ კომერციულ საქმიანობას მიუხედავად იმისა, რომ კორპორაცია ფაქტობრივად არის ვალაუვალი. არამართლზომიერ

³⁹³ *Prest v Petrodel Resources Limited and Others* [2013] UKSC 34; ამ საქმეში კომპანია პეტროდელის პარტნიორის ბატონი პრესტის მეუღლე, განქორწინების შედეგად ითხოვდა ქონების გაყოფას. ქონების რეგისტრირებული მესაკუთრე იყო კომპანია, თუმცა სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმის შესახებ, რომ რეალურ მესაკუთრეს წარმოადგენდა პრესტი, და კომპანია გამოიყენებოდა მხოლოდ ფასადად.

³⁹⁴ *McArdle, Jones, Prest v. Petrodel Resources and Tvb Capital v. Nutritek: a Rebut Corporate Veil*, *Business Law International* Vol. 14 No 2, 2013, 295.

³⁹⁵ *Company Act 2006, Art., 767 - Consequences of doing business etc without a trading certificate, para (3);*

ვაჭრობის შემთხვევაში არ არის სახეზე პარტნიორების ან და ხელმძღვანელების მხრიდან კრედიტორების მოტყუების განზრახვა. თაღლითური ვაჭრობის (*fraudulent trading*) შემთხვევაში კი გადამწყვეტი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა კომერციული საქმიანობის გაცნობიერებულად გაგრძელება ვალდებულებათა შეუსრულებლობის განზრახვის გარეშე. მტკიცების თვალსაზრისით, თაღლითური ვაჭრობა უფრო რთული დასადასტურებელია, ვიდრე არამართლზომიერი ვაჭრობა.

არამართლზომიერი ისევე, როგორც თაღლითური ვაჭრობის შემთხვევაში შეიძლება დადგეს როგორც დირექტორის, ასევე ჩრდილოვანი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაც.³⁹⁶ აღნიშნული წესების ჩრდილოვანი ხელმძღვანელზე გავრცელება საშუალებას იძლევა, რომ პასუხისმგებლობა შეეფარდოს პარტნიორს.

1.3 გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლები გერმანიაში

გერმანიაში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა – *“Durchgriffshaftung”* განვითარებულია სასამართლოს მიერ. *“Durchgriffshaftung”*-ის განმსაზღვრელი ფაქტორები იგივეა, რაც *piercing the corporate veil*-ის შემთხვევაში. კერძოდ, ქონებათა აღრევა, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა, არასათანადო კაპიტალიზაცია. ერთი კორპორაციის მიერ მეორე კორპორაციაზე დომინირების შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი საკონცერნო სამართლით რეგულირდება.³⁹⁷ აშშ-ს მსგავსად, სადაც პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს დახურული ტიპის კორპორაციისა (*close corporation*) და შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაში (*LLC*), გერმანიაშიც კორპორაციული საფარველის გაჭოლვა უფრო ხშირად დგება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან (*GmbH*) მიმართებით.³⁹⁸ იმ შემთხვევაში, თუ გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი დადგა კომპანიათა ჯგუფის ფარგლებში, დედა კომპანიის პასუხისმგებლობის საფუძველი ხდება კონცერნის მარეგულირებელ იმპერატიულ ნორმები, რომლებიც გათვალისწინებულია გერმანიის სააქციო კანონში.³⁹⁹ ამდენად, გერმანიაში პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის საფუძველია, ერთის მხრივ, სასამართლოს მიერ განვითარებული დოქტრინა - *“Durechgriffshaftung”* და, მეორე მხრივ, ე.წ. საკონცერნო სამართალი - კონცერნის მარეგულირებელი იმპერატიულ ნორმები. მიუხედავად იმისა, რომ იმპერატიული ნორმები მოცემულია სააქციო კანონში, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ განავითარა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში მათი ანალოგიის წესით გამოყენების პრაქტიკა.⁴⁰⁰ თუმცა, 2001 და მომდევნო წლებში უზენაესმა სასამართლომ შეცვალა ეს პრაქტიკა. ახალი მიდგომის მიხედვით, სააქციო კანონით გათვალისწინებული საკონცერნო ნორმები არ უნდა გავრცელდეს შპს-ზე. შპს-ს ფარგლებში კორპორაციული საფარველის

³⁹⁶ Insolvency Act, Art. 213- 214.

³⁹⁷ Presser, Piercing the Corporate Veil, 2011 Edition, 1392-83.

³⁹⁸ Joint Stock Corporation Act, Norton Rose Traslation as at 1 December 2011, §291-328.

³⁹⁹ Presser, Piercing the Corporate Veil, 2011 Edition, 1392-83.

⁴⁰⁰ Presser, Piercing the Corporate Veil, 2011 Edition, 1392-83.

გაჭოლვა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ორგანიზაციული ფორმის ბოროტად გამოყენება.

1.3.1 კორპორაციული საფარველის გაჭოლვის (“Durchgriffshaftung”) დოქტრინა

როგორც ზემოთ აღინიშნა, *“Durchgriffshaftung”*-ის დოქტრინა კორპორაციული საფარველის გაჭოლვის ფაქტობრივ საფუძველად ითვალისწინებს ქონებათა აღრევას, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობასა და არასათანადო კაპიტალიზაციას. ფედერალური უზენაესი სასამართლო, ინდივიდუალური პარტნიორის გამჭოლ პასუხისმგებლობას, როგორც წესი, ადგენს მხოლოდ გაკოტრების საქმეებში.⁴⁰¹

ქონებათა აღევა - *“vermoegensvermischung”* შეიძლება გახდეს გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველი, მხოლოდ იმ შემთხვევაში როცა, საბუღალტრო წიგნები იმგვარად არის წარმოებული, რომ შეუძლებელია საზოგადოების ქონების იდენტიფიკაცია. გერმანიის სასამართლოები გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის არ თვლიან საკმარისად მხოლოდ იმ ფაქტს, რომ საზოგადოებასა და პარტნიორს შორის მოხდა ქონების გადაცემა. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ეს ფაქტი არ არის სათანადოდ ასახული დოკუმენტაციაში, შეიძლება დადგეს გამჭოლი პასუხისმგებლობა.⁴⁰²

კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა - *“sphaerenvermischung”* ასევე არის გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველი. თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდება, რომ ამ დარღვევის შედეგად კრედიტორი მოკლებული იყოს შესაძლებლობას მოეხდინა კონტრაქტის იდენტიფიკაცია. მაგალითად, როცა აფილირებული კომპანიები იყენებენ ერთ მისამართს ან საფირმო სახელწოდებას.⁴⁰³

გერმანიაში, აშშ-ს მსგავსად აღიარებულია, რომ არასათანადო კაპიტალიზაცია წარმოადგენს კორპორაციული საფარველის გაჭოლვის ერთ-ერთ საფუძველს.⁴⁰⁴ თუმცა, აშშ-გან განსხვავებით, გერმანული საკორპორაციო სამართალი ითვალისწინებს თავდაპირველი კაპიტალის სავალდებულობას.

კაპიტალის მინიმალური ოდენობა, რომელიც ადეკვატური იქნება კონკრეტული სამეწარმეო საქმიანობისთვის წინასწარ ვერ განისაზღვრება. ამის გათვალისწინებით, იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ნომინალურ და მატერიალურ კაპიტალიზაციის ცნებებს. ნომინალური კაპიტალიზაცია სახეზეა, როცა დაცულია კანონით გათვალისწინებული მინიმალური თავდაპირველი კაპიტალის ოდენობა. მატერიალური არასათანადო კაპიტალიზაცია გულისხმობს შემთხვევას, როცა პარტნიორები, ნომინალური კაპიტალიზაციის მიღმა, არ ახდენენ

⁴⁰¹ *Atling*, Piercing the Corporate Veil, In American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. 7 Int’l L. 187, 1995, 198.

⁴⁰² *Atlin*, Piercing the Corporate Veil, In American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. 7 Int’l L. 187, 1995, 198.

⁴⁰³ *Atling*, Piercing the Corporate Veil, In American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. 7 Int’l L. 187, 1995, 198.

⁴⁰⁴ *Graefe*, Changing Paradigms: The Liability of Corporate Groups in Germany, 37 Connecticut law Review 785, 2005, 809.

ადეკვატურ ინვესტირებას საქმიანობაში.⁴⁰⁵ ამდენად, ნომინალური კაპიტალიზაციის მოთხოვნის დაცვა, აპრიორი არ არის იმის გარანტი, რომ არასათანადო კაპიტალიზაციის საფუძველით გამჭოლი პასუხისმგებლობა არ დადგება.

არასათანადო მატერიალური კაპიტალიზაცია განისაზღვრება ერთგვარი ფორმულის მიხედვით. ამ ფორმულის თანახმად, არასათანადო მატერიალური კაპიტალიზაცია სახეზეა, როცა კორპორაციის ფინანსური ბერკეტები კონკრეტულ საქმიანობასთან მიმართებით არაადეკვატურია. თუკი ამ საფუძველით ხდება კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, ივარაუდება, რომ ყველა პარტნიორი სოლიდარულად არის პასუხისმგებელი, რაც ასევე განსხვავდება ამერიკული სამართლის მიდგომისგან, რომლის მიხედვითაც, შემდგომი არათანადო კაპიტალიზაციის შემთხვევაში, მხოლოდ აქტიური პარტნიორია პასუხისმგებელი.⁴⁰⁶

1.3.2 საკონცერნო სამართალი

საკონცერნო სამართალი, სხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს დაკავშირებული საწარმოების პასუხისმგებლობის საკითხს კრედიტორების წინაშე. მაკონტროლებელი და კონტროლირებადი საწარმოები მიიჩნევა “სამეურნეო ერთიანობად.”⁴⁰⁷

კონცერნი იქმნება, როდესაც, ერთი მხრივ, სახეზეა მაკონტროლებელი, და, მეორე მხრივ, ერთი ან მეტი კონტროლირებადი კომპანია. კონტროლი გამოიხატება წილთა უმრავლესობის საკუთრებით. მაკონტროლარი პარტნიორის არარსებობისას, კონტროლად ითვლება შემთხვევა, რ როდესაც უმცირესობა ახორციელებს პირდაპირ ზეგავლენას ხელშეკრულების ან სამეთვალყურეო საბჭოში მნიშვნელოვანი წარმომადგენლობის საფუძველზე.⁴⁰⁸

1.3.2.1 სახელშეკრულებო კონცერნი (“*Vertragskonzern*”)

კონცერნის ერთ-ერთი სახეზეა სახელშეკრულებო კონცერნი. ხელშეკრულების ყველაზე გავრცელებული ფორმებია ე.წ. დომინირების (“*Beherrschungsvertrag*”) და მოგების გადაცემის ხელშეკრულებები. დომირების ხელშეკრულება მაკონტროლებელ კომპანიას ანიჭებს უფლებას მითითებები მისცეს კონტროლირებადი კომპანიის მენეჯმენტს. მოგების გადაცემის ხელშეკრულება ავალდებულებს დაქვემდებარებულ

⁴⁰⁵ *Altig.*, Piercing the Corporate Veil, In American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 *Tulsa J. Comp. 7 Int’l L.* 187, 1995, 198.

⁴⁰⁶ *Altig.*, Piercing the Corporate Veil, In American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 *Tulsa J. Comp. 7 International Law* 187, 1995, 210.

⁴⁰⁷ *ჯუდელი*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, 78.

⁴⁰⁸ *Miller*, Piercing the Corporate Veil Among Affiliated Companies in the European Community and the U.S. : a Comparative Analysis of U.S., German, and U.K. Veil-Piercing Approaches, 36 *Am. Bus. Law Journal* 73, 1998, 101.

კომპანიას გადასცეს თავისი მოგება სხვა კომპანიას.⁴⁰⁹ ორივე ხელშეკრულების შემთხვევაში, მაკონტროლებელი ვალდებულია აუნაზღაუროს კონტროლირებად კომპანიას წლიური ზარალი. სახელშეკრულებო კონცერნის მარეგულირებელი იმპერატიული წესები იცავენ კრედიტორს სხვადასხვა მიმართულებით. კონტროლირებადი კომპანიის ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, მაკონტროლებელი კომპანია ვალდებულია შექმანს სახსრების რეზერვი; ხელშეკრულება უნდა დარეგისტრირდეს და საჯაროდ ხელმისაწვდომი იყოს კომერციულ რეესტრში, რათა კრედიტორს ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია ხელშეკრულების შესახებ. ხელშეკრულების შეწყვეტა ასევე ექვემდებარება რეგისტრაციას. შეწყვეტის შემთხვევაში მაკონტროლებელმა კომპანიამ, კონტროლირებადის კრედიტორებს, რომელთაც მოთხოვნა წარმოეშვათ ხელშეკრულების მოქმედების პირობებში, უნდა მისცეს მოთხოვნის უზრუნველყოფა ან გარანტია. კრედიტორები დაცულნი არიან ხელმძღვანელ პირთა მოვალეობათა დაცვის სტანდარტით. დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები სოლიდარულად აგებენ პასუხს სათანადო გულისხმიერების სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში. სათანადო გულისხმიერების დაცვის მოვალეობა ასევე ვრცელდება მაკონტროლებელი კომპანიის მენეჯმენტის მიერ კონტროლირებადი კომპანიის მენეჯმენტისთვის მითითებების მიცემაზე.⁴¹⁰

1.3.2.2 დე-ფაქტო კონცერნი ("Faktischer Konzern")

სააქციო კანონის იმპერატიული წესები ასევე არეგულირებს დე-ფაქტო კონცერნს და ავალდებულებს მაკონტროლებელ საწარმოს აუნაზღაუროს დაქვემდებარებულ საწარმოს ნებისმიერი არახელსაყრელი ტრანზაქცია.⁴¹¹ ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში მაკონტროლებელი კომპანიის დირექტორატს ეკისრება აფილირებულ კომპანიებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა, რომელშიც უნდა აისახოს აფილირებულთან ურთიერთობაში განხორციელებული ყველა ტრანზაქცია. ტრანზაქციებთან მიმართებით უნდა ახსნას, იყო თუ არა ის არახელსაყრელი დაქვემდებარებული კომპანიისთვის. თუ მაკონტროლებელი კომპანია ექვემდებარება სააუდიტორო შემოწმებას, ტრანზაქციები ასევე უნდა აისახოს სააუდიტო ანგარიშებსა და ფინანსურ დოკუმენტაციაში.⁴¹² სახელშეკრულებო კონცერნისგან განსხვავებით, დე-ფაქტო კონცერნის წევრების უფლებები და მოვალეობები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. კონტროლირებადმა

⁴⁰⁹ *Singhof*, Equity Holders' Liability for Limited Liabilities Companies' Unrecoverable Debts-Reflections on Piercing the Corporate Veil under German Law, 22 *Loyola of Los Angeles Int. & Comp. Law* 143. 1999, 165.

⁴¹⁰ *Miller*, Piercing the Corporate Veil Among Affiliated Companies in the European Community and the U.S. : a Comparative Analysis of U.S., German, and U.K. Veil-Piercing Approaches, 36 *Am. Bus. L.J.* 73, 1998, .102-104.

⁴¹¹ *Atling*, Piercing the Corporate Veil, In *American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View*, 2 *Tulsa J. Comp. 7 Int. L.* 187, 238-39.

⁴¹² *Atling*, Piercing the Corporate Veil, In *American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View*, 2 *Tulsa J. Comp. 7 Int. L.* 187, 238-39.

საწარმომ უნდა დაასაბუთოს, რომ მაკონტროლებელმა ჩააყენა არახელსაყრელ პირობებში. ასევე უნდა იყოს დადასტურებული ზიანი, რომლის მტკიცების ტვირთიც ეკისრებათ კონტროლირებადი კომპანიის წევრებს.⁴¹³

1.3.2.3 კვალიფიციური დე-ფაქტო კონცერნი ("Qualifiziert Faktischer Konzern")

გერმანიის სასამართლომ გასული საუკუნის 70-იან წლებში საკონცერნო სამართლის ფარგლებში ჩამოაყალიბა კვალიფიციური - დე-ფაქტო კონცერნის დამოუკიდებელი დოქტრინა. კვალიფიციური დე-ფაქტო კონცერნის სტატუსის „მინიჭება“ ხდებოდა სასამართლოს მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის. თუ კონტროლირებადი საწარმო პერმანენტულად განიცდის სამეწარმეო საქმიანობაში ჩარევას კონტროლირებადი საწარმოს მხრიდან, ურთიერთობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს დე-ფაქტო კონცერნად. ამ შემთხვევაში მაკონტროლირებელი პარტნიორი ვალდებული იქნება კონტროლირებადი შპს-ს კრედიტორების წინაშე, ისე როგორც ეს ხდება კანონით სს-ს შემთხვევაში.⁴¹⁴ ამდენად კვალიფიციური კონცერნი „იქმნებოდა“ *post factum*.

დე-ფაქტო კონცერნისგან განსხვავებით, რომელთან მიმართებითაც პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის არ არის საჭირო სპეციფიკური ტრანზაქციების არსებობის მტკიცება, კვალიფიციური კონცერნის დროს ყურადღება ექცეოდა იმას, ახორციელებდა თუ არა პარტნიორი ექსპლიციტურ კონტროლს.⁴¹⁵ მნიშვნელოვანი ზეგავლენა და კონტროლი ქმნიდა პრეზუმფციას, რომ მისი გამოყენება აპრიორი ზიანის მომტანი იყო, ამ პრეზუმფციის ფარგლებში სპეციფიკური ზიანის დადასტურების აუცილებლობა არ არსებობს.⁴¹⁶ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკით დაშვებული იყო დე-ფაქტო კონცერნის წესების *post factum* გავცელება შპს-ს ინდივიდუალურ პარტნიორებზე.⁴¹⁷

⁴¹³ *Atling*, Piercing the Corporate Veil, In American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. 7 Int. L. 187, 238-39.

⁴¹⁴ *Singhof*, Equity Holder's Liability for Limited Liability Companies' Unrecoverable Debts – Reflections on Piercing the Corporate Veil Under German Law, 22 Loy. L.A. Int. & Comp. L. Rev. 143, 1999-2000, 167.

⁴¹⁵ *Graefe*, Changing Paradigms: The Liability of Corporate Groups in Germany, 37 Conn. L. Rev. 785, 2005, 790.

⁴¹⁶ *Autokran*-ის საქმეში ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ ძირითადი საწარმო ვალდებული იყო კონტროლირებადი საწარმოს მეიჯარის წინაშე იჯარის თანხის გადახდაზე. მეიჯარეს კონტროლირებად შპს-ზე იჯარით ჰქონდა გადაცემული ამწე კრანი. იჯარის გადახდის ვალდებულება ეკისრა შპს-ს. შპს-ს მიერ ვალდებულების დარღვევის გამო მეიჯარემ შეიტანა სარჩელი და მოიპოვა სასამართლოს გადაწყვეტილება იჯარის გადაუხდელობაზე. თუმცა მისი აღსრულება ვერ შეძლო შპს-ს არასათანადო კაპიტალიზაციის გამო. უზენაესმა სასამართლომ ამ საქმეზე გამჭოლი პასუხისმგებლობის დავაზე დაადგინა, რომ მოპასუხე ძირითადი საწარმო ახორციელებდა იმგვარ კონტროლს, რომ სამართალურითობა მათ შორის აკმაყოფილებდა დე-ფაქტო კონცერნის წესებს და მოპასუხის პასუხისმგებლობაც ამის მიხედვით უნდა დამდგარიყო. იხ. 1985 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, BGH II. Zivilsenat, BGHZ 95 (1986) ციტირებულია: *Miller*, Piercing the Corporate Veil Among Affiliated Companies in the European Community and the U.S. : a Comparative Analysis of U.S., German, and U.K. Veil-Piercing Approaches, 36 Am. Bus. L.J. 73, 1998, 106.

⁴¹⁷ მაგ. "Video Case" ციტირებულია: *Weber-Rey*, Insolvency of a German Limited Liability Company: De Facto Shareholder, Group Liability for Individual Shareholders, 7 Pace Int. L. Rev. 523, 1995, 527.

კვალიფიციური დე-ფაქტო კონცერნის დოქტრინა გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ 2001 წელს მოულოდნელად გააუქმა და კომპანიათა ჯგუფის პასუხისმგებლობის შესახებ მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომელიც *Bremer Vulkan* ის სახელით არის ცნობილი.⁴¹⁸ მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმის ფაქტობრივი გარემოებები იძლეოდა კვალიფიციური დე-ფაქტო კონცერნის დოქტრინის გამოყენების შესაძლებლობას, სასამართლომ ექსპლიციტურად შეცვალა პრაქტიკა და დაადგინა, რომ კონტროლირებად შპს-ზე აღარ უნდა მოხდეს იმ იმპერატიული ნორმების ანალოგიით გავრცელება, რომელიც გათვალისწინებულია სააქციო კანონში. ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ შეცვალა ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომელიც 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა გერმანიაში. 2002 წელს, მომდევნო ორ გადაწყვეტილებაში (*Bremer Vulkan II* და *KBV*) ფედერალურმა სასამართლომ განამტკიცა ახალი მიდგომა, რომლის მიხედვითაც დედა კომპანიის პასუხისმგებლობა შვილობილის კრედიტორების წინაშე დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დედა კომპანიის ჩარევა არღვევს შვილობილის ავტონომიურ არსებობას – გამანადგურებელი ჩარევა ("*existenzvernichtender Eingriff*"); ამდენად, დედა კომპანიის პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ზეგავლენის შედეგად, შვილობილი ხდება გადახდისუნარო.⁴¹⁹ *KBV-ის* გადაწყვეტილებაში კი სასამართლომ დაადასტურა, რომ კრედიტორებს აქვთ პირდაპირი მოთხოვნის უფლება პარტნიორებისგან, როდესაც მოთხოვნის დაკმაყოფილება კორპორაციისგან შეუძლებელია.⁴²⁰ სასამართლოს მიდგომის გამართლება ეფუძნება კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენების (*Mifbrauch der Rechtsform der GmbH*) დაუშვებლობას.⁴²¹

2007 წელს *Trihotel* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ კვლავ შეცვალა მიდგომა და პარტნიორის მხრიდან გამადგურებელი ჩარევის შედეგად კომპანიის ქონებისაგან დაცარიელება განიხილა დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძვლად (მოთხოვნის საფუძვლად განიხილება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე მუხლი).⁴²² ამასთან მოთხოვნის უფლება ეკუთვნის თავად კორპორაციას. კრედიტორი ვერ წაუყენებს მოთხოვნას პარტნიორს დამოუკიდებლად, რადგანაც სასამართლოს მოსაზრებით ზიანი ადგება კორპორაციას და არა კრედიტორს. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში კრედიტორი უფლებამოსილია ედავოს მხოლოდ კორპორაციას, ხოლო კორპორაციის ვალდებულების მართლზომიერების დადასტურების შემთხვევაში, მოთხოვოს კომპანიას აინაზღაუროს პარტნიორის მიერ მიყენებული ზიანი. სასამართლო პრაქტიკის ცვლილება მიუთითებს გამჭოლი პასუხისმგებლობის საგამონაკლისო ხასიათზე და მიმართულია

⁴¹⁸ *Graefe*, Changing Paradigms: The Liability of Corporate Groups in Germany, 37 Connecticut L. Rev. 785, 2005, 800.

⁴¹⁹ *Graefe*, Changing Paradigms: The Liability of Corporate Groups in Germany, 37 Connecticut L. Rev. 785, 2005, 801.

⁴²⁰ *Vandekerckrove*, Piercing the Corporate Veil, *Kluwer Law International*, 2007, 65.

⁴²¹ *Graefe*, Changing Paradigms: The Liability of Corporate Groups in Germany, 37 Conn. L. Rev. 785, 2005, 801.

⁴²² *Zhen Qu, Ahl*, Lowering the Corporate Veil in Germany: a case note on BGH 16 July 2007 (*Trihotel*), *Oxford U. Comparative L. Forum* 4, 2008, 5.

იმისკენ, რომ არ დაუშვას კორპორაციული საფარველის გაჭოლვა ისეთ შემთხვევებში, როდესაც კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება შეიძლება მოხდეს სხვა საფუძვლებით.⁴²³

შეჯამისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მშობელ-შვილობილი კომპანიების ჭრილში, გერმანული სამართალი ითვალისწინებს იმპერატიულ ნორმებს, რომლებზე დაყრდნობითაც, ზემოთ განხილული სათანადო გარემოებების არსებობისას, კონტროლირებადი კომპანიის კრედიტორები უფლებამოსილი არიან მოთხოვნა წაუყენონ მაკონტროლირებელ საწარმოს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ კონცერნის წესების *post factum* გავრცელება მაკონტროლირებელ შპს-ზე გავრცელების პრაქტიკა შეცვალა. ამდენად გერმანიაში, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა რეგულირდება დუალისტურად. პირველი, ეს არის სასამართლოს დოქტრინა, ხოლო მეორე საკონცერნო სამართალი, რომელიც ამჟამად გამოიყენება მხოლოდ სს-ს მიმართ.

1.4 გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლები საფრანგეთში

საფრანგეთში, ზემოთ განხილული იურისდიქციების მსგავსად პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი წარმოადგენს ძირითად წესს. ამის მიუხედავად, შესაძლებელია დადგეს კორპორაციული საფარველით დაცული პირის პირადი პასუხისმგებლობა კორპორაციის კრედიტორების წინაშე. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა პარტნიორის არასათანადო ქმედება უთანაბრდება თაღლითობას ან ასეთმა ქმედებამ კორპორაცია მიიყვანა გაკოტრებამდე.⁴²⁴ საფრანგეთში ამერიკისგან განსხვავებით, არ არის ყოვლისმომცველი სამართლებრივი დოქტრინა. გამჭოლი პასუხისმგებლობის ნორმატიული საფუძვლები გათვალისწინებულია, ერთი მხრივ, გაკოტრების წესებში, ხოლო მეორე მხრივ სასამართლო პრაქტიკით განვითარებულ ორ ძირითად დოქტრინაში: ფიქტიური კომპანიის დოქტრინა (*“societe fictive”*) და ქონებათა აღრევის დოქტრინა (*“confusion des patrimoines”*).⁴²⁵

აღსანიშნავია, რომ გერმანიისგან განსხვავებით, კორპორაციულ ჯგუფებთან მიმართებით საფრანგეთმა აირჩია ე.წ. *ad hoc* მიდგომა, კერძოდ, არ არსებობს კორპორაციულ ჯგუფების მომწერიგებელი საკანონმდებლო ბაზა. საკითხი, ყოველკონკრეტულ შემთხვევაში წყდება სასამართლოს შეფასებით.

ფრანგული საკორპორაციო სამართლის მოდერნიზაციის ეტაპზე, დღის წესრიგში დადგა კორპორაციულ ჯგუფების მოწესრიგების საკითხიც. თუმცა საბოლოოდ უარი ითქვა კორპორაციის ჯგუფების მარეგულირებელი წესების ინკორპორაციაზე, რადგანაც აღნიშნული წარმოადგენდა ფრანგული სამართლისათვის სრულიად ახალ ინსტიტუტს და მას მოყვებოდა სხვა კომპლექსური საკითხების მოწესრიგების საჭიროებაც. შედეგად, 1966 წლის რეფორმა დასრულდა

⁴²³ *Zhen Qu, Ahl, Lowering the Corporate Veil in Germany: a case note on BGH 16 July 2007 (Trihotel), Oxford U. Comparative L. Forum 4, 2008, 6.*

⁴²⁴ *Dobson, “Lifting the Veil in Four Countries: the Law of Argentina, England, France and the United States, International and Comparative Law Quarterly, Vol. 35. No.4 1986, 839.*

⁴²⁵ *Presser, Piercing the Corporate Veil, 2011 Edition, 1391.*

ისე, რომ კორპორაციული ჯგუფების მომწესრიგებელი ნორმების ასახვა არ მომხდარა კანონმდებლობაში.⁴²⁶ 1970 და 1978 წლებში პარლამენტს წარედგინა საკანონმდებლო წინადადებები კორპორაციული ჯგუფების შესახებ. აღნიშნული წინადადებები არ წარმოადგენდა ყოვლისმომცველ რეგულაციებს, და შემოიფარგლებოდა მხოლოდ მაჟორიტარ პარტნიორსა და კრედიტორებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებით. პირველი საკანონმდებლო წინადადება ითვალისწინებდა „დომინანტი“ კორპორაციის სოლიდარულ პასუხისმგებლობას დამოკიდებული კორპორაციის ვალებისათვის და მის ვალდებულებას დაეფარა დამოკიდებული კორპორაციის ზარალი, სანაცვლოდ დომინანტ კორპორაციას მიენიჭა დამოკიდებული კორპორაციის ინსტრუქტირების უფლება. აღნიშნული წესები გაერცვლდებოდა იმ შემთხვევაში, როცა კორპორაციები გაერთიანებულნი იქნებოდნენ საერთო მენეჯმენტის ქვეშ. მეორე საკანონმდებლო წინადადებამ შეზღუდა აღნიშნული რეგულირების ფარგლები დაკავშირებულ ჯგუფებთან მიმართებით. კერძოდ, კომპანიათა ჯგუფი, რომელთაც არ ჰქონდათ გაფორმებული აფილირების ხელშეკრულება (*“contract d’affiliation”*) აღარ დაქვემდებარებოდნენ პირველი საკანონმდებლო წინადადებით გათვალისწინებულ რეგულაციას. აღნიშნულმა გამოიწვია ფართო დებატები კორპორაციათა ჯგუფების საკანონმდებლო დონეზე რეგულირების საჭიროების შესახებ. აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა ცვლილებათა საჭიროება. სპეციალისტთა აზრით, კორპორაციებს შორის აფილირება საზიანო იყო დაქვემდებარებული კორპორაციისთვის, თუმცა სპეციალისტთა ნაწილი თვლიდა, რომ აფილირება დაქვემდებარებული კორპორაციისთვის უფრო სარგებლის მომტანი იყო, ვიდრე ზიანის. აღნიშნული აზრთა სხვადასხვაობის შედეგად, საკანონმდებლო წინადადებებს არ ეყარა კენჭი.⁴²⁷ შეიძლება ითქვას, რომ ფრანგულმა საკორპორაციო სამართლმა კანონზომიერი საპასუხო რეაქცია მისცა საკანონმდებლო რეგულირების არარასებობას. სასამართლო პრაქტიკაში განვითარდა წესი, რომელის თანახმადაც აფილირებული კორპორაციის ინტერესი გადაწონის მთლიანი ჯგუფის ინტერესს (ე.წ. *“Rozenblum doctrine”*), რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

მიუხედავად კორპორაციათა ჯგუფების მარეგულირებელი ერთიანი საკანონმდებლო ბაზის არარსებობისა, კორპორაციული საფარველის გაჭოლვის არაერთი ასპექტი მოწესრიგებულია კანონმდებლობით, კერძოდ სავაჭრო კოდექსითა და საწარმოთა რეორგანიზაციისა და სასამართლოს მიერ იძულებითი ლიკვიდაციის შესახებ 1985 წლის 25 იანვრის კანონით (შემდგომ „გაკოტრების სტატუტი“).⁴²⁸ საფრანგეთის

⁴²⁶ Vandekerckrove, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 39.

⁴²⁷ Vandekerckrove, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 40.

⁴²⁸ Loi n° 85-98 du 25 janvier 1985 relative au redressement et à la liquidation judiciaires des entreprises (ტექსტი იხ., <http://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=JORFTEXT00000693911>); კანონი ძალაშია 1986 წლის 1 იანვრიდან. კანონში კორპორაციულ საფარველის გაჭოლვასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი შეიცვალა კორპორაციული დაცვის შესახებ 2005 წლის 26 ივლისის კანონით (*“Loi de sauvegarde des entreprises”*) კანონის ტექსტი იხ., <http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000005634379>). 2005 წლის კანონმა, ასევე შეიტანა ცვლილებები საფრანგეთის სავაჭრო კოდექსში, კერძოდ კი, L 621-2 მუხლში აისახა ფიქტიური კორპორაციებისა და ქონებათა აღვეის დოქტრინა, რეორგანიზაციის პროცესის კონტექსტში (საფრანგეთის სავაჭრო კოდექსი იხ.; <http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000005634379>)

სავაჭრო კოდექსის 233-3 მუხლის თანახმად, კონტროლის პრეზუმცია არსებობს, როდესაც სახეზეა ხმის უფლების მქონე აქციათა 40%-ზე მეტის კონცენტრაცია და ამავდროულად არ არსებობს სხვა პარტნიორი უფრო მეტი წილობრივი მონაწილეობით.⁴²⁹

1.4.1 კორპორაციული საფარველის გაჭოლვის ნორმატიული საფუძველი

გაკოტრების სტატუსი ითვალისწინებს კრედიტორის დაცვის რამდენიმე მექანიზმს.

პირველი მექანიზმი გულისხმობს სასამართლო წარმოებას კორპორაციული საფარველით მოცული პირის წინააღმდეგ არასაკმარისი ქონების შემთხვევაში (*“action pour insuffisance d’actif”*).⁴³⁰ უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული წესი ვრცელდება მხოლოდ დე-ფაქტო დირექტორზე. შესაბამისად, დედა კომპანიის ჩართვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი მოქმედებდა როგორც შვილობილი კომპანიის დე-ფაქტო დირექტორი. ეს მექანიზმი გამოიყენება, როცა გაკოტრების გეგმა არ სრულდება, ან სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა კორპორაციის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება. ასეთ დროს კრედიტორს უჩნდება მოთხოვნა იმ დირექტორის წინააღმდეგ, რომლის არასათანადო ქმედებამაც (*“faute de gestion”*) გამოიწვია გაკოტრება.⁴³¹ სარჩელი შეიძლება აღიძრას გაკოტრების შესახებ საქმის წარმოების დროს, როდესაც ქონება არ არის საკმარისი გადახდის უნარო საწარმოს ყველა ვალის დასაფარად. 2005 წლის კორპორაციული დაცვის შესახებ კანონით საფრანგეთის სავაჭრო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ კი ანალოგიური სარჩელის აღძვრა ასევე შეიძლება რეორგანიზაციის დროსაც.⁴³² კომენტატორების მიერ აღიარებულია, რომ *“faute de gestion”* - არასათანადო ქმედება უნდა განიმარტოს ფართოდ და მოიცვას როგორც გადაცდომა, ასევე გულგრილობაც. თავის მხრივ, სასამართლოს მიერ *“action pour insuffisance d’actif”* კონტექსტში არასათანადო ქმედებად დაკვალიფიცირდა გათვიცნობიერებულად, არასწორი ფინანსური ანგარიშგება (ფიქტიური ანგარიშების შექმნა, კორპორაციის ფინანსური დოკუმენტაციის გადამალვა ან ფინანსური წიგნების წარმოების წესების დარღვევა).⁴³³ აღნიშნულის გარდა, დე-ფაქტო დირექტორის წინააღმდეგ ასევე შეიძლება მიქცეულ იქნეს სამოქალაქო პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალებისათვის თუკი: ა) ისე განაგებდა კორპორაციის ქონებას, როგორც საკუთარს; ბ) პირადი სარგებლისათვის ახორციელებდა

⁴²⁹ <http://www.legifrance.gouv.fr/affichCodeArticle.do?idArticle=LEGIARTI000006229190&cidTexte=LEGITEXT000005634379>. შეად. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, კონტროლად მიიჩნევა ვითარება, როდესაც პირი ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა წრე საწარმოში ფლობს წილთა 10-ზე მეტს, ან სხვაგვარად შეუძლია გააკონტროლოს საწარმო. ხოლო კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, კი კონტროლად მიიჩნევა შემთხვევა, როდესაც პირს შეუძლია პირდაპირ ან არაპირდაპირ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სამეწარმეო საქმიანობის განმსხორციელებელ პირზე (ეკონომიკურ აგენტზე).

⁴³⁰ Presser, Piercing the Corporate Veil, 2011 Edition 1392.

⁴³¹ Presser, Piercing the Corporate Veil, 2011 Edition 1393.

⁴³² იბ., <http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000005634379> Code de Commerce art. L651-2 (V).

⁴³³ Presser, Piercing the Corporate Veil, 2011 Edition 1393.

კომერციულ საქმიანობას კორპორაციის სახელით; გ) იყენებდა კორპორაციის ქონებას ან კრედიტს, კორპორაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ, პირადი ან სხვა ისეთი კორპორაციის ინტერესებისათვის, რომელშიც მას ჰქონდა პირადი ან არაპირადი ინტერესი.⁴³⁴

აღნიშნულ წესში ცვლილებები შეიტანა 2005 წლის კორპორაციული დაცვის კანონმა, რომელიც ითვალისწინებს *“action en obligation aux dettes sociales”* კორპორაციის ვალების გადახდის ვალდებულებას ფორმალური ან დე-ფაქტო დირექტორის მიერ. აღნიშნული რეგულირებით დირექტორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისთვის დგება იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა კორპორაციის ქონების განკარგვა პირადი მიზნებით, კორპორაციის სახელით გარიგების დადება პირადი ინტერესით, კორპორაციის ქონების გამოყენება კორპორაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ, ან სხვა კომპანიის სასარგებლოდ, რომელშიც მას გააჩნია პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერესი, კორპორაციის პასუხისმგებლობის მოცულობის განზრახ გაზრდა.⁴³⁵ დასახელებული საფუძვლები ანალოგიური ზემოთ მითითებული საფუძვლებისა გარდა ფიქტიური ანგარიშების წარმოებისა, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი გარემოება ამოღებულ იქნა სავაჭრო კოდექსიდან. წარმოების დროს კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს მიზეზშედევობრივი კავშირი ზემოთ დასახელებულ ერთ-ერთ ქმედებასა და კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების გაჭიანურებას შორის (მიზეზშედევობრივი კავშირი ქმედებას და ვალის ოდენობას შორის მტკიცებას არ საჭიროებს).⁴³⁶

გაკოტრების კონტექსტში, გამჭოლი პასუხისმგებლობის მოთხოვნით სარგებლობენ მხოლოდ ის კრედიტორები, რომლებიც რეგისტრირებულ იყვნენ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებისას.⁴³⁷

აღსანიშნავია, რომ ორივე ამ საფუძვლით შესაძლებელია იმ პარტნიორის პასუხისმგებლობაც დადგეს, რომელიც წარმოადგენს *de facto* ან *de jure* დირექტორს. მიუხედავად იმისა, რომ ნორმატიულ დონეზე არ არსებობს განსხვავება *de facto* ან *de jure* დირექტორებს შორის, სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულია რამდენიმე მახასიათებელი, რომელიც იძლევა განსხვავების საშუალებას. *De facto* – ხელმძღვანელად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პირი, რომელიც ახორციელებს მენეჯერულ საქმიანობას თავისი დისკრეციით და პარტნიორის დომინანტური მდგომარეობა, როგორც წესი აპრიორი არ არის დე-ფაქტო დირექტორად კვალიფიკაციისთვის საკმარისი გარემოება.⁴³⁸ საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს ბოლო ათწლეულის პრაქტიკა ადასტურებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ დედა კომპანია 99%-ით ფლობს შვილობილ კომპანიას, არ არსებობს იმის პრეზუმფცია, რომ მოხდება დედა კომპანიის დე-ფაქტო დირექტორად კვალიფიკაცია. თუმცა, აღნიშნულის პარალელურად ასევე არსებობს სასამართლო

⁴³⁴ იხ. <http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000005634379> Code de Commerce, Art. L653-4

⁴³⁵ Vandekerckrove, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 41.

⁴³⁶ Presser, *Piercing the Corporate Veil*, 2011 Edition 1398.

⁴³⁷ Presser, *Piercing the Corporate Veil*, 2011 Edition 1393.

⁴³⁸ Vandekerckrove, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 43.

პრეცედენტები, როცა სათანადო გარემოებების არსებობისას შვილობილ კომპანიაზე (და შესაბამისად მის დირექტორატზე) კონტროლის განმახორციელებელი დედა კომპანია მიჩნეულ იქნა შვილობილი კომპანიის დე-ფაქტო დირექტორად.⁴³⁹ სათანადო გარემოებების წრე მოიცავს შემთხვევებს, როცა დედა კომპანიის არასათანადო ქმედებამ გამოიწვია გადახდისუუნარობა ან გადახდის გაჭიანურება.

1.4.2 კორპორაციული საფარველის გაჭოლვა სასამართლო დოქტრინის მიხედვით

კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დამატებითი საფუძვლები, განვითარებულია სასამართლო პრაქტიკით ჩამოყალიბებული რამდენიმე დოქტრინითა და თეორიით ფიქტიური კომპანიის დოქტრინა (*“societe fictive”*), ქონებათა აღევის დოქტრინა (*“confusion des patrimoines”*) და ცრუ წარმოდგენების თეორია (*“theorie de l'apparence”*).⁴⁴⁰

სასამართლოს მიერ კორპორაცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს ფიქტიურად, იმისდა მიუხედავად, რომ დაცული იყოს დაფუძნებისთვის დადგენილი კანონმდებლობის მოთხოვნები.⁴⁴¹ ფიქტიური კორპორაციის ძირითადი ნიშანია რეალური საქმიანობის განუხორციელებლობა, როცა კორპორაციის ერთდერთი მიზანია ემსახურის კორპორაციული საფარველის მიღმა მოქმედ სუბიექტს (ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს). კორპორაცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს ფიქტიურად დაფუძნების მომენტიდან ან საქმიანობის შემდეგომ ეტაპზე.⁴⁴²

ფიქტიურ კორპორაციას მიმართებით მნიშვნელოვანი გარემოებაა ის, რომ არ არსებობს პარტნიორების ნება ითანამშრომლონ საერთო მიზნების მიღწევისთვის – *affection societatis*.⁴⁴³ ასეთი კორპორაცია, როგორც წესი იქმნება თაღლითური მიზნებისთვის მაკონტროლირებელი პირის მიერ. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ფიქტიური კორპორაციის თეორია ეფუძნება „სიმულაციის“ თეორიას, რომელიც გამომდინარეობს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1321-ე მუხლიდან.⁴⁴⁴ აღნიშნული თეორიის მიხედვით, მესამე პირების შეცდომაში შესაყვანად პარტნიორები ქმნიან “კვაზი რეალობას”, რომელმაც შეიძლება მიიღოს ორი ფორმა. პარტნიორთა შეთანხმება წარმოადგენს არა სადამფუძნებლო შეთანხმებას, არამედ სხვა ტიპის გარიგებას, ანდა შეთანხმება ჩრდილში აქცევს ერთ კონკრეტულ პირს – *“maitre d’ affairs”*.⁴⁴⁵ ასეთ შემთხვევაში, კორპორაციული საფარველის გაჭოლვის მიზნით, საფრანგეთის სასამართლოები განსაზღვრავენ დასადგენ გარემოებათა წრეს, რომელიც მოიცავს ორგანულობისა და ფუნქციონირების ელემენტებს.⁴⁴⁶ ორგანულობის ელემენტი აერთიანებს კაპიტალის სტრუქტურას, პარტნიორებს შორის ნათესაურ თუ სხვა

⁴³⁹ Vandekerckrove, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 43.

⁴⁴⁰ Presser, *Piercing the Corporate Veil*, 2011 Edition, 1402.

⁴⁴¹ Vandekerckrove, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 434.

⁴⁴² Presser, *Piercing the Corporate Veil*, 2011 Edition 1399.

⁴⁴³ Dobson, “Lifting the Veil in Four Countries: the Law of Argentina, England, France and the United States, *International and Comparative Law QUARTERLY*, Vol. 35. No.4 1986, 839.

⁴⁴⁴ Vandekerckrove, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 434.

⁴⁴⁵ Presser, *Piercing the Corporate Veil*, 2011 Edition, 1398.

⁴⁴⁶ Presser, *Piercing the Corporate Veil*, 2011 Edition, 1399.

სახის კავშირის არსებობას, მშობელ-შვილობილ კომპანიების დროს კი დირექტორატის იდენტურობას. ფუნქციური ელემენტის ფარგლებში, თავის მხრივ, დგინდება კორპორაციის რეალური “არსებობა”, რა დროსაც ყურადღება ექცევა პარტნიორთა კრებების ჩატარებას, რეალური სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებელი მენეჯმენტის არსებობას. საფრანგეთის სასამართლოები ამერიკული სასამართლოების მსგავსად, რომლებიც ცდილობენ ფორმის მიღმა სუბსტანციის დადგენას, უფრო დიდ მნიშვნელობას ფუნქციურ ელემენტებს ანიჭებენ.⁴⁴⁷

აღნიშნული ფუნქციური ელემენტები საერთოა ქონებათა აღრევის დოქტრინისთვისაც (“*confusion des patrimoines*”).⁴⁴⁸ ქონებათა აღრევის თეორია ეფუძნება კორპორაციისა და პარტნიორის პირადი ქონებისა და ამ ქონებას მიბმულ ვალდებულებათა აღრევას, იმგვარად, რომ კვალიფიციური ფინანსისტიც ვერ შეძლებს გამოიჯნოს ვალდებულებები სუბიექტების მიხედვით. ამ თეორიის ფარგლებში დომინანტური კონტროლი, ისევე როგორც საერთო დირექტორატი, არ არის საკმარისი კორპორაციული საფარველის გაჭოლვისთვის. სახეზე უნდა იყოს ფინანსური ანგარიშების გაერთიანებული წარმოება და ანგარიშგების სპეციალური წესების დარღვევა.⁴⁴⁹ ქონების აღრევა შეიძლება გამოიწვიოს ნაღდი ფულის ნაკადის ე.წ. *cash flows* დიდი ოდენობით გადინებამ კორპორაციიდან. საფრანგეთის სასამართლოებმა შეიმუშავეს რამდენიმე კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც შეიძლება დიდი ოდენობით ნაღდი ფულის ნაკადის განსაზღვრა. კერძოდ, ნაღდი ფულის ნაკადის გადინებისას სახეზე არ უნდა იყოს კორპორაციის ინტერესი და შემხვედრი კომპენსაცია, ხოლო ოდენობა უნდა აღემატებოდეს კორპორაციის ფინანსურ შესაძლებლობებს.⁴⁵⁰

ზემოთგანხილული ორივე დოქტრინა პარტნიორის პირადი ქონების კორპორაციის ქონებასთან გაერთიანების საშუალებას იძლევა გაკოტრების საქმის წარმოების დროს, რის შედეგადაც შესაძლებელია კრედიტორის დაკმაყოფილება მოხდეს პარტნიორის პირადი ქონებიდან.⁴⁵¹

უნდა აღინიშნოს, რომ სიმულაციის თეორია ახლოს დგას კორპორაციული თაღლითობის (“*fraud*”) და შეცდომაში შეყვანის (“*misleading*”) ამერიკულ კონცეფციასთან. თეორიას ნორმატიული საფუძველი ქართულ სამართალშიც მოექმნება. კერძოდ, სკ-ს 56-ე მუხლში, რომლიც აღგენს თვალთმაქცური გარიგების ბათილობას.

გაკოტრების საქმისწარმოების გარდა, შესაძლებელია დირექტორის პასუხისმგებლობა თავად კორპორაციის ან მესამე მხარის წინაშე, კანონმდებლობის ან კორპორაციის წესდების დარღვევის შემთხვევაში. აღნიშნული ეხება მხოლოდ დანიშნულ დირექტორს და არ ვრცელდება დე-ფაქტო დირექტორზე. გადახდისუუნარობის შემთხვევაში აღნიშნული საფუძველი არ გამოიყენება “*action pour insuffisance d’actif*”-თან კომბინაციაში.

⁴⁴⁷ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 43, 434-435.

⁴⁴⁸ Dobson, “Lifting the Veil in Four Countries: the Law of Argentina, England, France and the United States, International and Comparative Law Quarterly, Vol. 35. No.4 1986, 839.

⁴⁴⁹ Dobson, “Lifting the Veil in Four Countries: the Law of Argentina, England, France and the United States, International and Comparative Law Quarterly, Vol. 35. No.4 1986, 839.

⁴⁵⁰ Presser, Piercing the Corporate Veil, 2011 Edition, 1396.

⁴⁵¹ Presser, Piercing the Corporate Veil, 2011 Edition, 1396.

ცრუ წარმოდგენების თეორიის (*“theorie de l'apparence”*) თანახმად, კეთილსინდისიერ მხარეს, თუკი იგი მოქმედებდა იმ წარმოდგენის შესაბამისად, რომელიც მას შეუქმნეს, უფლება აქვს, სათანადო გარემოებების არსებობისას, დაერყდნოს ამ წარმოდგენას, როგორც რეალობას. ცრუ წარმოდგენას სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მხარისათვის არ არის ნათელი, თუ ვისი სახელით მოქმედებს კორპორაციის წარმომადგენელი.⁴⁵²

1.5 გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლები საქართველოში

კორპორაციული საფარველის გარღვევის ნორმატიული საფუძველი გათვალისწინებულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში, რომლის თანახმადაც, პასუხისმგებლობა შეზღუდულ პარტნიორს (იგულისხმება, კომანდიტი, შპს-ს პარტნიორი და სს-ს აქციონერი) დაეკისრება პირადი პასუხისმგებლობა თუ ის ბოროტად გამოიყენებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს. უნდა აღინიშნოს, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის პირველი რედაქცია იძლეოდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების განმარტების შესაძლებლობას. კერძოდ, ბოროტად გამოყენებად ითვლებოდა “უწინარეს ყოვლისა საზოგადოებოს ქონების შერევა სხვა ქონებასთან ან საწარმოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კაპიტალის არასრული ფორმირება”.⁴⁵³ ამდენად, კანონის ტერმინოლოგიიდან გამომდინარე, ბოროტად გამოყენებას შეიძლება ჰქონოდა სხვა გამოვლინებებიც. 1999 წლის ცვლილებების შედეგად, ტერმინოლოგია შეიცვალა და ბოროტად გამოყენებად ექსპლიციტურად ჩაითვალა საბუღალტრო წიგნების წარმოების წესების ისეთი დარღვევა, რომელიც შედეგად შეუძლებელს ხდის იმის დადგენას თუ ვის ეკუთვნის ქონება და რა ვალდებულებები აკისრია საზოგადოებას.⁴⁵⁴ 2008 წლის ცვლილებების შედეგად ბოროტად გამოყენების განმარტება ამოღებულ იქნა. რეგულირების ეს მეთოდი გამართლებულია, რადგანაც შეუძლებელია კანონით მოხდეს ყველა შემთხვევის ამომწურავად გაწერა. ცნების კონკრეტიზაციის გარეშე დაწესება კი, სასამართლოს ანიჭებს შესაძლებლობას მოქნილად განმარტოს და ყოველი შემთხვევის სპეციფიკან გამომდინარე განსაჯოს თუ რა არის ბოროტად გამოყენება.

ამდენად, ბოროტად გამოყენების ისტორიული განმარტება, ფარავს გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინით გათვალისწინებულ შემთხვევათა ნაწილს.

1.5.1 დომინანტისა და უმცირესობაში მყოფი პარტნიორს შორის პასუხისმგებლობის განაწილების შესახებ

დომინანტი და მინორიტარი პარტნიორისგან შემდგარი საზოგადოების კონტექსტში გამჭოლი პასუხისმგებლობა წარმოშობს

⁴⁵² სსკ-ის 104.2.

⁴⁵³ “მეწარმეთა შესახებ” კანონი, 3.4 მუხლი.

⁴⁵⁴ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, 1999 წლის 9 ივნისი №2073–III, 3.4 მუხლი.

კითხვას, თუ რომელ პარტნიორს უნდა დაეკისროს პირადი პასუხისმგებლობა.

გამომდინარე იქიდან, რომ პარტნიორის მხრიდან კონტროლი და არამართლზომიერი დომინირება წარმოადგენს პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის საფუძვლეს, ისმის კითხვა, როგორც უნდა გადაწყდეს პასუხისმგებლობის საკითხი დახურული ტიპის საზოგადოებაში, სადაც შეიძლება სახეზე იყო ასევე უმცირესობაში მყოფი პასიური პარტნიორი. კერძოდ, პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის არის თუ არა მნიშვნელოვანი უმცირესობაში მყოფი პარტნიორი ნებაყოფლობით არის პასიური თუ ობიექტურად მოკლებულია მოქმედების შესაძლებლობას. მოქმედებაში იგულისხმება მაგალითად, უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლება ფიდუციური მოვალეობების⁴⁵⁵ დარღვევის გამო დააყენოს დომინანტი პარტნიორის პასუხისმგებლობის საკითხი. აშშ-ში ასეთ დროს ყურადღება ექცევა თაღლითურ და უსამართლო ქმედებას. სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ პასუხისმგებლობას და პასუხისმგებლობის სუბიექტს. თუ თაღლითური და უსამართლო ქმედება მხოლოდ დომინანტი პარტნიორის მიერ განხორციელდა, ხოლო პასიური პარტნიორის მხრიდან გამორიცხულია რაიმე სახის “არასწორი” (wrong) ქმედება, მაშინ გამჭოლი პასუხისმგებლობა დადგება მხოლოდ დომინანტი პარტნიორის მიმართ.⁴⁵⁶ ამდენად, საინტერესოა რა პროპორციულობით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ პასუხისმგებლობის გადანაწილებისას: წილების მიხედვით თუ ორივეს ბრალის თანაზომიერების მიხედვით? რა თქმა უნდა, სასამართლოს აქვს ექსკლუზიური დისკრეცია განსაზღვროს თუ რა ჩაითვლება არასწორ ქმედებად, თუმცა ამის მიუხედავად, მაინც არსებობს მოცემულობა, რომელიც შეიძლება ვერ გადაფაროს სასამართლოს მიერ უმცირესობაში მყოფი პარტნიორის ქმედების შეფასებამ მხოლოდ “არასწორი” ფაქტორით. ეს მოცემულობა ძალიან პიპოთეტურია და გულისხმობს, შემთხვევას, როდესაც უმცირესობაში მყოფი პარტნიორი არ იყენებს, დომინანტის მიერ ფიდუციური მოვალეობის დარღვევიდან წარმოშობილ უფლებებს, როგორცაა, მაგალითად, პარტნიორის გარიცხვის უფლება. გარიცხვის ინსტიტუტი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობა, რომ ეს უფლება გამოყენებულ იყოს მინორიტარი პარტნიორის მიერ დომინანტი პარტნიორის წინააღმდეგ. უმცირესობაში მყოფი პარტნიორი უფლებამოსილია მოიწვიოს კრება, გადაწყვეტილების მიღებისას კი კრებაზე იმ პარტნიორს, რომელთან მიმართაც დავას ეხება გადასაწყვეტი საკითხი არ აქვს ხმის უფლება. სწორედ ეს უზრუნველყოფს გარიცხვის უფლების პრაქტიკულ გამოყენებას, მათ შორის უმცირესობაში მყოფი პარტნიორისთვის. ფიდუციური მოვალეობების დაცვის ობიექტია საზოგადოება. იგი ავალდებულებს პარტნიორებს პირადი ინტერესი დაუქვემდებაროს საზოგადოების ინტერესს. ანუ იმოქმედოს არა პირად, არამედ იმ საზოგადოების საუკეთესო ინტერესებში, რომლის პარტნიორიცაა. ფიდუციური მოვალეობა ფართო გაგებით განიმარტება, მოვალეობად, რომელიც კრძალავს პარტნიორის მიერ

⁴⁵⁵ *ზუბიტაშვილი*, პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან, საკორპორაციო სამართლის კრებული, რედ. ბურდული, ტომი II, 2014, 152-163.

⁴⁵⁶ *Gevurtz, Corporation Law*, 2nd edition, 2010, 78.

საზოგადოებისთვის ზიანის მომტანი არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებას. ვიწრო გაგებით, იგი კონკრეტულა ცალკეული მოვალეობების, მაგალითად, ერთგულების მოვალეობის სახით. ფილუციური მოვალეობების დარღვევა, არაკეთილსინდისიერი ზიანის მომტანი ქმედების ჩადენის სახით, შეიძლება გახდეს პარტნიორის გარიცხვის მატერიალური საფუძველი, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით ავიწროვებს კანონმდებლობა ფილუციური მოვალეობის ზოგად კონცეფციას.⁴⁵⁷ გაჭოლვის კონტექსტში, ძნელი წარმოსადგენია შემთხვევა, როდესაც დომინანტი პარტნიორის მიერ საზოგადოებაზე კონტროლის განხორციელება ამავდროულად არ არღვევდეს ფილუციურ მოვალეობას ფართო გაგებით. გაჭოლვის კუთხით, დომინანტის მიერ საზოგადოებაზე ისეთი ხარისხის კონტროლი, რომელიც ამ უკანასკნელის სამართალსუბიექტობას ეჭვ ქვეშ აყენებს, იმთავითვე გამორიცხავს საზოგადოების ინტერესების უპირატობას. ეხლა, რომ წარმოდვიდვინოთ შემდეგი ჰიპოთეტური მოცემულობა: საზოგადოება x-ს ჰყავს ორი პარტნიორი – ა და ბ. წილთა უმრავლესობა არის ა პარტნიორის საკუთრებაში. საერთო კრებაზე, ა პარტნიორი თავის უმრავლესობის ხარჯზე ყოველთვის დადებითად წყვეტს სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის საზოგადოების სახელით ხელშეკრულებების დადების საკითხს, რომელიც საზოგადოებისათვის არახელსაყრელია, პირდაპირ ან ირიბად ა პარტნიორის პერსონალურ ინტერესებს ატარებს. ბ, რომელიც ყოველთვის მონაწილეობს კრებაზე, არ ეთანხმება ა-ს გადაწყვეტილებებს, რაც ფიქსირდება კრების ოქმებში. ბ პარტნიორი თვლის, რომ ა-ს ქმედება არაკეთილსინდისიერია და ზიანის მომტანია საზოგადოებისთვის. ერთადერთი საკითხი, რომელსაც ორივე პარტნიორი უჭერს მხარს და 100%-იანი უმრავლესობით მიიღება არის მოგების განაწილება და დივიდენდების გაცემა. გარკვეული პერიოდის შემდეგ საზოგადოებას უგროვდება ვალდებულებათა ისეთი ოდენობა, რომელთაც შესრულებისთვის არ გააჩნია სახრები. საბოლოო ჯამში, საზოგადოების ვალაუვალობა გამოიწვევს მის გაკოტრებას, რაც დასრულდება საზოგადოების ლიკვიდაციით. ამ მოცემულობის პრობლემა მდგომარეობს შემდგომში: მიუხედავად იმისა, რომ ბ პარტნიორს “არასწორი” ქმედება არ ჩაუდენია, ხომ არ შეიძლება დადგეს მისი პირადი პასუხისმგებლობის საკითხი. ეს პრობლემა ბადებს კითხვას: ხომ არ წარმოადგენს ბ პარტნიორის უფლება, ა პარტნიორის მიერ საზოგადოებისა და კრედიტორებისათვის ზიანის მომტანი არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო, მოეწვია საერთო კრება და კენჭისყრაში ა-ს მონაწილეობის გარეშე გადაეწყვიტა მისი გარიცხვის საკითხი, ვალდებულებას? კითხვაზე დადებითი პასუხის დასაბუთება შესაძლებელია. პარტნიორსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ბუნებას განსაზღვრავს ფილუციური მოვალეობები, რომელიც ამ ურთიერთობას სამართლებრივად “ჯანსაღ” ფარგლებში აქცევს. ამის საპირისპიროდ, გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება მაშინ, როცა პარტნიორსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა სცდება

⁴⁵⁷ მაგ. მეწარმეთა შესახებ კანონი საერთოდ არ ავიწროვებს. გამოიყენება ფარტო განმარტება, რომელიც კეთილსინდისიერების მასშტაბით ფასდება. *ზუბიტაშვილი*, პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან, საკორპორაციო სამართლის კრებული, რედ. ბურდული, ტომი II, 2014, გვ.157-162.

სამართლით დაშვებულ საზღვრებს. ფიდუციური მოვალეობა თითოეულ პარტნიორს ავალდებულებს იმოქმედოს საზოგადოების საუკეთესო ინტერესებში. როცა ერთი პარტნიორი უმოქმედობს, იმ პირობებში, როცა მეორე პარტნიორი ზიანს აყენებს საზოგადოებას, ამით თავადაც არღვევს საზოგადოების ინტერესებს, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედების პირდაპირი ვალდებულება არ აკისრია. ამ პირობებში მინორიტარის მიერ გარიცხვის უფლების გამოყენება საზოგადოების ინტერესებში მოქმედების ტოლფასია. მსჯელობის ლოგიკური ჯაჭვის მიდევნებით, მივიღებთ დასკვნამდე, რომ უმცირესობაში მყოფ პარტნიორს გარიცხვის უფლების გამოყენებას ფიდუციური მოვალეობა ავალდებულებს. გასარიცხი პარტნიორის მიერ საზოგადოების გადახდისუნარიობამდე მიყვანის თავიდან ასაცილებლად, რა დროსაც, საზოგადოების ინტერესის გარდა, ჩართულია მესამე პირთა ინტერესებიც, სასამართლომ გარიცხვის უფლება უნდა განიხილოს მოვალეობად და მინორიტარი პარტნიორის ქმედებები ამ მიმართულებებით შეაფასოს.

1.5.2 გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ელემენტები სხვა რეგულაციებში

საქართველოს საგადასახადო კოდექსი შეიცავს სუსტი კაპიტალიზაციის ცნებას, რომლის თანახმადაც, პირის მიერ აღებული ვალის თანაფარდობა პირის კაპიტალთან, როდესაც ამ პირის ვალის შეფარდება მისივე კაპიტალთან 3/1-ზე მეტია ითვლება სუსტ კაპიტალიზაციად.⁴⁵⁸ თუმცა მისი სამართლებრივი შედეგები არ არის დაკავშირებული კორპორაციული საფარველის გარღვევასთან. არასათანადო კაპიტალიზაციის საგადასახადო სამართლებრივი გაგემა მორგებულია სპეფიციკურ სამართალურთიერთობაზე და პირდაპირ შინაარსით არ უნდა გავრცელდეს არასათანადო კაპიტალიზაციის საკორპორაციოსამართლებრივ შემთხვევებზე.

კორპორაციული საფარველს ინტერვენციის გარეშე ტოვებს საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ. კანონი ითვალისწინებს “კონცენტრაციის” ცნებას, რომლის ერთერთი გამოვლინებაც, კონცერნის ფორმით ხდება.⁴⁵⁹ აღნიშნულის მიუხედავად, კანონი გარკვეულ სანქციებს ითვალისწინებს კონცენტრაციის შესახებ შესაბამის უწყებაში შეუტყობინებლობის შემთხვევაში. შეუტყობინებლობაზე როგორც ნორმის ბუნდოვანი ფორმულირებიდან უნდა ვივარაუდოთ სანქციის დაკისრება ხდება კონცენტრაციაში ჩართულ თითოეულ აგენტზე, და არა უშუალოდ მაკონტოლებელ აგენტზე.

კორპორაციული საფარველოს გარღვევა ასევე სადაოა გადახდისუნარიობის შესახებ კანონშიც. ერთადერთი მექანიზმი, რომელიც კრედიტორს აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ეჭვი, საზოგადოების განზარახ გადახდისუნარიობამდე მიყვანის შემთხვევაში,

⁴⁵⁸ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 132-ე მუხლი.

⁴⁵⁹ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტი. ფასიანი ქაღალდების ან აქტივების წილის შექმნით, ხელშეკრულებით ან სხვა საშუალებით ეკონომიკურ აგენტზე ან მისი ბიზნესის ნაწილზე პირდაპირი ან ირიბი კონტროლის მოპოვებას იმ პირის მიერ, რომელიც უკვე აკონტროლებს სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს;

არის გარიგების შეცილების უფლება.⁴⁶⁰ კერძოდ, კანონი კრედიტორს ანიჭებს სადაო ტრანზაქციების გასაჩივრების უფლებას. მაგალითად, თუ საზოგადოებამ გადახდისუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეატანამდე არაუმეტეს 6 თვით ადრე დადო გარიგება, რომელსაც შედეგად მოჰყვა სამეურნეო ქონების გაუფასურება, კრედიტორს უფლება აქვს გაასაჩივროს ეს გარიგება. თუკი გარიგება ცნობილი იქნება ბათილად (ბათილობის იმ საფუძველებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობაში), მოხდება რესტიტუცია და მოვალეს დაუბრუნდება ის ქონება, რომელიც გადასცა მეორე მხარეს. ლოგიკურად ეს ქონება უნდა ჩაითვალოს გაკოტრების მასაში და შესაბამისად, კრედიტორების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობაც გაიზრდება.

1.5.3 კორპორაციული ჯგუფი რეგულირების გარეშე

მეწარმეთა შესახებ კანონის პირველი რედაქცია, გერმანიის სააქციო კანონის მსგავსად, ითვალისწინებდა კონცერნის მარეგულირებელ წესებს. თანდათანობით ქართული საკორპორაციო სამართალი ამერიკულ მიდგომებზე გადავიდა. ამის პარალელურად, რამდენჯერმე დავიწროვდა კონცერნის რეგულირების სფერო, რაც საბოლოოდ, 2008 წელს მისი გაუქმებით დასრულდა. პირველი რეგულაციის ყველაზე მნიშვნელოვანი წესი იყო ის, რომ ერთი საწარმოს 50%-იანი მონაწილეობა მეორე საწარმოში წარმოშობდა ძირითადი საწარმოს გარკვეულ ფინანსურ ვალდებულებებს. პირველ რიგში, ძირითადი საწარმო ანაზღაურებდა არასაძირითადი საწარმოს წლიურ ზარალს. ამის გარდა, არაძირითადი საწარმოსთვის ძირითად საწარმოს უნდა აენაზღაურებინა მისი გარიგებებიდან ან სხვა ღონისძიებებიდან წარმოშობილი ქონებრივი დანაკლისები და მიეცა კომპენსაცია “გარეშე” პარტნიორებისთვის.⁴⁶¹ კანონი არ განსაზღვრავდა თუ ვინ იგულისხმებოდა გარეშე პარტნიორებში. 75%-ანი მონაწილეობის შემთხვევაში კი, ძირითადი საწარმო პასუხს აგებდა როგორც არაძირითადი საწარმოს, ასევე მესამე პირების (კრედიტორების) წინაშე. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა იყო სოლიდარული, კერძოდ ძირითადი საწარმოს ხელმძღვანელები საწარმოსთან ერთად აგებდნენ პასუხს. ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი აირიდებდა პასუხისმგებლობა თუ გულმოდგინების იმ სტანდარტით იმოქმედებდა, რომელსაც კანონის იმდროინდელი რედაქცია ითვალისწინებდა.⁴⁶²

აღსანიშნავია, რომ მეწარმეთა შესახებ კანონი არ აკონკრეტებდა ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას, რომელზეც ვცრედილებოდა კონცერნის რეგულირებები. კონცერნში გარეთიანებული საწარმოების აღსანიშნავად კი გამოყენებული იყო “შეკავშირე საწარმოების” ტერმინი.⁴⁶³

⁴⁶⁰ გადახდისუნარობის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 35. მუხლის კომენტარი წიგნში: *მიგრიაული, შტინგერი*, გადახდისუნარობის საქართველოს კანონი, 2011, 59-63.

⁴⁶¹ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის 28 ოქტომბრის რედაქცია, მუხლი 17.3.

⁴⁶² „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის 28 ოქტომბრის რედაქცია, მუხლი 17.4.

⁴⁶³ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის 28 ოქტომბრის რედაქცია, მუხლი 17.

არსებითი ცვლილება ამ მუხლში შევიდა 1999 წელს, რომლითაც ძირითადი საწარმოს ფინანსური ვალდებულებების მოცულობა შემცირდა და მხოლოდ 75%-იანი მონაწილეობის შემთხვევაში განისაზღვრა განზრახ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არაძირითადი საწარმოსთვის.⁴⁶⁴

2008 წელს მეწარმეთა შესახებ კანონის მასშტაბური რეფორმის შედეგად მე-17 მუხლი გაუქმდა. ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელშიც ერთი საწარმოს მიერ მეორეზე დომინირების შედეგად მესამე პირებისთვის დგება უარყოფითი შედეგი, რეგულირების გარეშე დარჩა.

კონცერნის მარეგულირებელი ნორმები, პშსფ-ს ბოროტად გამოყენების შემთხვევების გარკვეულ ნაწილს გადაფარვდა. მისი გაუქმებით, საწარმოთა ურთიერთკავშირის შედეგად წარმოშობილ ურთიერთობაში ჩართულ მესამე პირთა ინტერესების დაცვა მთლიანად მიდნობილია მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტზე.

1.6 ღია ტიპის კორპორაციის მიმართ გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობა

დახურული ტიპის კორპორაციას, ღია ტიპის კორპორაციის ორგანიზაციული ფორმის განვითარებდნე, ეკავა დომინანტური პოზიცია ბაზარზე. ამდენად, სწორედ დახურული ტიპის კორპორაციის ძირითადი მახასიათებლები, როგორცაა მჭიდრო საკუთრება და მენეჯმენტი, ასევე ინვესტიციების დივერსიფიკაციის დაბალი ხარისხი, იყო კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დოქტრინის თეორიული თუ სამართლებრივი შეფასების ქვაკუთხედი. აღნიშნულმა მახასიათებლებმა განაპირობა დოქტრინის მთავარი არგუმენტის დასაბუთება, რომლის თანახმად, ზარალის რისკი უნდა იტვირთოს დამფუძნებელმა პარტნიორმა და არა კეთილსინდისიერმა კრედიტორმა.

აშშ-ში პროფესორ ტომპსონის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ემპირიული დაკვირვების შედეგად, წარმოჩინდა რომ 1992 წლამდე არ არსებობდა კორპორაციული საფარველის ღია ტიპის კორპორაციაში გაჭოლვის პრეცედენტი.⁴⁶⁵

შედარებით ახალმა ემპირიულმა კვლევამ დაადასტურა ტომპსონის კვლევის შედეგები. ამ კვლევის მიხედვით, 1996 წლიდან 2005 წლამდე პერიოდში გამჭოლი პასუხისმგებლობის 232 საქმიდან არცერთში არ იყო მოპასუხე ღია კორპორაცია.⁴⁶⁶ მიიჩნევა, რომ სასამართლოსთვის ღია ტიპის კორპორაციათა შემთხვევაში გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება მნიშვნელოვნად შემცირებდა ინვესტიციებს.⁴⁶⁷ თუმცა რეალურად, დოქტრინის ფარგლებში არ არსებობს საკმარისად დასაბუთებული არგუმენტაცია, თუ რატომ არის აპრიორი გამორიცხული ღია ტიპის კორპორაციაში გამჭოლი პასუხისმგებლობა. მითითება

⁴⁶⁴ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1999 წლის 9 ივნისის რედაქცია, მუხლი 17.3.

⁴⁶⁵ *Thompson Piercing the Corporate Veil: An Empirical Study*, 76 *Cornell Law Review* 1036, 1991, 1063.

⁴⁶⁶ *McPherson, Raja*, *An Empirical Study of Piercing Rates and Factors Courts Consider when Piercing the Corporate Veil*, 45 *Wake Forest Law Review* 931, 2010, 967.

⁴⁶⁷ *McPherson, Raja*, *An Empirical Study of Piercing Rates and Factors Courts Consider when Piercing the Corporate Veil*, 45 *Wake Forest Law Review* 931, 2010, 967.

ემპირიულ კვლევებზე მხოლოდ ცხადყოფს იმას, რომ დასახელებული ემპირიული კვლევების სამიზნე პერიოდებში გამჭოლი პასუხისმგებლობის საქმეში არ იყო ჩართული ღია კორპორაცია მოპასუხედ. გამჭოლი პასუხისმგებლობის მიმართ ლიტერატურაში ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით გავრცელებული პოზიცია ღია ტიპის კორპორაციაში გამჭოლი პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

ღია ტიპის კორპორაციის განვითარებამ და გავრცელებამ განაპირობა კორპორაციული საფარველის გაჭოლვის კონცეფციის სხვადასხვა ასპექტის განხილვის საჭიროება უკვე ღია ტიპის კორპორაციის მახასიათებლების ჭრილში. კერძოდ, პასიური პარტნიორების მრავალრიცხოვნება, აქციათა ბაზარი, მნიშვნელოვანი კაპიტალი, და ამაგდროულად დელიქტური პასუხისმგებლობის პოტენციური რისკი, რომელიც სრულად დაზღვევადი ვერ იქნება და მოცულობით შეიძლება გადააჭარბოს კორპორაციის ქონებას. თუმცა ამისდა მიუხედავად, აშშ-ში გამჭოლი პასუხისმგებლობა გვხვდება მხოლოდ დახურული ტიპის კორპორაციების მიმართ.⁴⁶⁸ ამდენად, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინაში მნიშვნელოვანია მოხდეს იმის განმარტება წარმოდგენს თუ არა კორპორაციის “ღია” ორგანიზაციულ სამართლებრივი მოწყობა გამჭოლი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას.

პარტნიორის პასიური როლი კორპორაციის საქმიანობაში, რომელსაც სთავაზობს ღია ტიპის კორპორაცია თავის აქციონერებს, გამორიცხავს ასეთი პასიური პარტნიორის მხრიდან შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენებას. მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ისიც, რომ პასიური პარტნიორი, თავისი ფაქტობრივი მდგომარეობით, ჰგავს უფრო კრედიტორს, ვიდრე პარტნიორს. პასიური პარტნიორის კორპორაციაში არსებობა განპირობებულია ორივე მხარის თანმხვედრი ინტერესებით. ერთი მხრივ, კორპორაცია, რომელსაც სურს კაპიტალის მოზიდვა ახალი აქციების გამოშვებით, რომლის შედეგსაც წარმოადგენს ზუსტად პასიური პარტნიორის შესვლა კორპორაციაში და მეორე მხრივ, თავად პასიური პარტნიორის ეკონომიკური ინტერესი, მიიღოს წილი მოგება, შესაძლო რისკების აქციაში გადახდილი საფასურით შეზღუდვით. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ღია კორპორაციაში როგორც წესი წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი პასიური აქციონერები, რომელთა ჯამური გავლენა კაპიტალში წილის პროპორციულად ძალიან დაბალია. ასეთი აქციონერების პარალელურად, როგორც წესი ღია ტიპის კორპორაციაშიც ვხვდებით მსხვილ აქციონერებსაც, რომელთაც დომინანტური მდგომარეობის გარდა აქტიური როლი უკავიათ კორპორაციის მართვის პროცესში, უშუალოდ მენეჯერული პოზიციის ანდა დირექტორატთან პირადი კავშირების სახით. შესაბამისად, ღია ტიპის კორპორაციების მიმართ გამჭოლი პასუხისმგებლობის გამორიცხვისთვის საკმარის არგუმენტად არ უნდა იქნეს განხილული აქციონერთა სიმრავლე. ნებისმიერ შემთხვევაში და მათ შორის დახურულ კორპორაციაში, პასუხისმგებლობა ეკისრება პარტნიორს ან პარტნიორებს, რომელმაც ბოროტად გამოიყენა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი.

⁴⁶⁸Thompson, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, 76 Cornell Law Review 1036, 1991, 1063.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-გან განსხვავებით, ინგლისის სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ეხება ღია შეზღუდულ კომპანიების პარტნიორების კორპორაციული საფარველის გაჭოლვას, აქცენტს აკეთებს გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობების კონკრეტული ღია ტიპის კორპორაციების შემთხვევებში არ არსებობაზე, და არ მსჯელობს თავად, ღია კომპანიების მიმართ გამოყენების შეუძლებლობაზე. მაგალითად, საქმეში *Adams v Cape Industries plc*,⁴⁶⁹ სასამართლომ აღნიშნა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველი არ არსებობდა რადგანაც: 1. კომპანია არ იყო ერთიანი ეკონომიკური კავშირის შემადგენლობაში; 2. შვილობილები არ წარმოადგენდნენ ფასადურ კომპანიებს; 3. არ იყო სახეზე აგენტ-პრინციპალის ურთიერთობა;

ამდენად, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა იძლება იმის დასაბუთების შესაძლებლობას, რომ ღია ტიპის კორპორაციაშიც იქნეს გამოყენებული გამჭოლი პასუხისმგებლობა. პირველ რიგში, იმიტომ რომ ღია ტიპის კორპორაციაშიც შესაძლებელია კონტროლის კონცენტრაცია ერთ ან რამდენიმე ერთად მოქმედ პარტნიორთა ხელში. არ არის გამორიცხული კონტროლის არამართლზომიერი გამოყენება, კორპორაციის ქონების მითვისება, არასანქცირებული ტრანზაქციები კორპორაციასა და პარტნიორს შორის. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში, მხოლოდ ის ფაქტი, რომ სახეზე ღია ტიპის კორპორაცია, არ უნდა იცვას გამჭოლი პასუხისმგებლობის დამაბრკოლებელ გარემოებად. მითუმეტეს, რომ პასიური პარტნიორებისთვის პასუხისმგებლობის შეფარდების საკითხი არც დგას. როგორც ზემოთ აღინიშნა, პასუხს აგებს მხოლოდ ის, ვინც კორპორაციის ორგანიზაციული ფორმა გამოყენება არამართლზომიერად.⁴⁷⁰

2. კორპორაციული ჯგუფების რეგულირება და იდენტიფიკაციის პრინციპი საერთაშორისო დონეზე

კამათს არ იწვევს ფაქტი, რომ კორპორაციული ჯგუფები წარმოადგენენ სპეციფიკური რისკის მატარებელ გაერთიანებებს, რომელმაც სხვადასხვა დონეზე შეიძლება მოახდინოს გავლენა არამხოლოდ კრედიტორებზე, არამედ თავად პარტნიორებზეც.⁴⁷¹ იმავედროულად, თანამედროვე სამყაროში აქტიურად იზრდება მულტინაციონალური კორპორაციების როლი. სწორედ ამ რეალობამ განაპირობა ის, რომ საერთაშორისო დონეზე, მათ შორის ევროპის კავშირის ფარგლებშიც, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო კორპორაციული ჯგუფების მარეგულირებელი უნიფიცირებული წესების შექმნის მცდელობები, ხოლო საერთაშორისო სასამართლოებში შეიქმნა კორპორაციულ ჯგუფში პასუხისმგებლობის შეფარდების ცალკეული საკითხების განმარტების პრაქტიკა.

2.1 ევროპის კავშირი

⁴⁶⁹ *Adams v Cape Industries plc* [1990] Ch 433.

⁴⁷⁰ *Gevurtz*, Corporation Law, 2nd edition, 2010, 78.

⁴⁷¹ Report of High Level Group of Company Law Experts on a Modern Regulatory Framework for Company Law in Europe, Brussels, 4 November 2002, 94.

კორპორაციული ჯგუფების რეგულირების პირველი მცდელობა, რომელსაც ბიბი გერმანული საკონცერნო სამართლის ადრეულმა განვითარება მისცა, იყო ევროპის კომპანიის სტატუტის 1970 წელს წარგენილი პირველი პროექტი. აღნიშნული სტატუტის მე-7 თავი ეხებოდა კორპორაციულ ჯგუფებს. იგი განსაზღვრავდა მაკონტროლებელი კორპორაციისთვის პასუხისმგებლობას დამოკიდებული კორპორაციის ვალდებულებებისათვის ამ უკანასკნელისთვის მითითებებისა და ინსტრუქციების მიცემის უფლების სანაცვლოდ. თუმცა ამ რეგულაციაზე საბოლოოდ უარი ითქვა და სტატუტის მიღება მოხდა კორპორაციული ჯგუფის მომწესრიგებელი ნორმების გარეშე.⁴⁷²

1982 წელს ევროპის კომისიამ მოამზადა კორპორაციული ჯგუფების შესახებ მე-9 საკორპორაციო დირექტივის წინარე პროექტი, რომლის თანახმად, პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა ხდებოდა სახელშეკრულებო და დე-ფაქტო ჯგუფების გამიჯვნის საფუძველზე.⁴⁷³ სახელშეკრულებო ჯგუფის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო მაკონტროლებელი კორპორაციის სოლიდარული პასუხისმგებლობა და კორპორაციული ჯგუფის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში კომპენსაციის ვალდებულება. დე-ფაქტო ჯგუფის შემთხვევაში დედა კომპანიას პასუხისმგებლობა დადებოდა თუ იგი წარმოადგენდა ჩრდილოვან ხელმძღვანელს, ხოლო ვალდებულება წარმოიშვა არასწორი ხელმძღვანელობის შედეგად.⁴⁷⁴ თუმცა, საკორპორაციო სამართლის ექსპერტთა მაღალი დონის ჯგუფის 2002 წლის ანგარიშში დაფიქსირდა პოზიცია, რომ მე-9 საკორპორაციო დირექტივის ამოქმედების ნაცვლად უმჯობესი იქნებოდა არსებულ რეგულაციების დახვეწა, განსაკუთრებით კი კორპორაციული ჯგუფების სტრუქტურისა და ურთიერთობების გამჭვირვალობის ნაწილში.⁴⁷⁵ საბოლოოდ კი, საკორპორაციო სამართლის 2003 წლის სამოქმედო გეგმაში ევროპის კომისიამ დაადასტურა შეთანხმებული პოზიცია იმის შესახებ, რომ მე-9 საკორპორაციო დირექტივის ამოქმედების საჭიროება არ არსებობდა.⁴⁷⁶ შედეგად, მე-9 საკორპორაციო დირექტივა დღემდე პროექტის სტატუსით არსებობს.

EU-ის ფარგლებში კორპორაციული ჯგუფების რეგულირების კიდევ ერთ მცდელობას წამოადგენდა ევროპის მასშტაბით ექსპერტთა დამოუკიდებელი ჯგუფის (“Forum Europeum Konzernrecht”) მიერ წინადადების შემუშავება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული მოდელი გულისხმობდა ფრანგული *Rozenmblum*-ის კრიტერიუმისა და ინგლისის სამართალში დამკვიდრებული არამართლზომიერი ვაჭრობის წესებს. ამასთან ერთად, დედა კომპანიის პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს დამოკიდებულების გაცხადება, რა შემთხვევაშიც, შვილობილის გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეუსრულებელი

⁴⁷² იხ. Council Regulation (EC) No 2157/2001 of 8 October 2001 on the Statute for a European Company

⁴⁷³ *Bohlhoff, Budde, Company Groups -The EEC Proposal for a Ninth Directive in the Light of the Legal Situation in the Federal Republic of Germany Journal of International Law, Vol. 6, Iss. 2, 1984, 173.*

⁴⁷⁴ *Bohlhoff, Budde, Company Groups -The EEC Proposal for a Ninth Directive in the Light of the Legal Situation in the Federal Republic of Germany Journal of International Law, Vol. 6, Iss. 2, 1984, 173.*

⁴⁷⁵ Report of High Level Group of Company Law Experts on a Modern Regulatory Framework for Company Law in Europe, Brussels, 4 November 2002, 100.

⁴⁷⁶ Modernising Company Law and Enhancing Corporate Governance in the European Union - A Plan to Move Forward, COM (2003) 284 final of 21 May 2003, 18.

ვალდებულებების მიმართ დადგება დედა კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი.⁴⁷⁷

2.2 ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო

ECJ-ის პრაქტიკის მიხედვით დედა კომპანია შვილობილის ქმედებებისთვის პასუხს აგებს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევისათვის, იმ შემთხვევაში თუ დედა კომპანია ახორციელებს კონტროლს შვილობილის საქმიანობაზე.⁴⁷⁸ კორპორაციული ჯგუფის წევრები რიგ შემთხვევებში მიიჩნევიან ერთიან ეკონომიკურ გაერთიანებად. დომინანტური პოზიციის განსაზღვრისათვის პრეზუმციის სახით მოქმედებს წილთა უმეტესობის ფლობის ფაქტი.⁴⁷⁹ თუმცა ეს არ მიიჩნევა საკმარის გარემოებად. გადამწყვეტი ფაქტორია დედა კომპანიის მხრიდან ეფექტური კონტროლის განხორციელება შვილობილის საქმიანობაზე.⁴⁸⁰ შესაბამისად, დედა კომპანია პასუხისმგებლობას აირიდებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეძლებს დაადასტუროს, რომ იგი არ ახდენდა შვილობილის საბაზრო ქცევაზე ზემოქმედებას.⁴⁸¹

2.3 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან დაკავშირებული რეგულაციები ასევე შეიმუშავა UN-მაც, რომელიც ცნობილია ტრანსნაციონალური კორპორაციების ქცევის კოდექსის პროექტის სახელით. კოდექსის თანახმად, ტრანსნაციონალურ კორპორაციას წარმოადგენს ნებისმიერი საწარმო, რომელსაც ჰყავს დაკავშირებული იურიდიული პირები ორ ან მეტ ქვეყანაში, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის და საქმიანობისა, რომელიც მოქმედებს გადაწყვეტილების მიღების საერთო სისტემის, ერთიანი პოლიტიკისა და საერთო სტრატეგიის შესაბამისად.⁴⁸² თუმცა UN-ის ქცევის კოდექსით გათვალისწინებული რეგულაციები უფრო საერთაშორისო სამართლის და ადამიანის უფლებათა დაცვას ეხება, ვიდრე წმინდა კორპორაციულ სამართლებრივ ურთიერთობებს. მაგალითად, კოდექსის თანახმად, ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა პატივი უნდა სცენ იმ სახელმწიფოების სუვერენიტეტს, სადაც

⁴⁷⁷ *Vandekerckrove*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 547.

⁴⁷⁸ ECJ, Cases T-65/89 BPB Industries plc v Commission /1993/ ECL II-139; *Amino Acids* OJ, 2001 L, 152/24, 2001 5 CMLR, 322.

⁴⁷⁹ *Prokopieva*, Parent Company Liability in Case of Subsidiary Insolvency - Time to Rethink Liability of Corporate Shareholders? College of Europe, 2004, 38.

⁴⁸⁰ Case 6/73 *Instituto Chemioterapico Spa and Commercial Solvents Corporation v. Commission* Para 37

⁴⁸¹ Case C-97/08, *AKZO* judgment of 10 September 2009; ამ საქმეში ECJ-იმ დაადასტურა, რომ ევროპის კონკურენციის სამართლით, დედა კომპანიას შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, შვილობილის ქმედებებისთვის, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა ამ ქმედებების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ შვილობილი დამოუკიდებლად არ განსაზღვრავს თავის ქცევას ბაზარზე.

⁴⁸² Draft United Nations Code of Conduct on Transnational Corporations, 23 I.L.M. 626 1984. Art. 1 (a).

ახორციელებენ საქმიანობს, არ უნდა შელახონ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები.⁴⁸³

2.4 ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

OECD-ს 1976 წლის 21 ივნისის დეკლარაცია საერთაშორისო ინვესტიციებისა და მულტინაციონალური საწარმოების შესახებ გახდა მოგვიანებით შემუშავებული მულტინაციონალური კორპორაციების შესახებ გაიდლაინების ნაწილი.⁴⁸⁴ გაიდლაინები შეიცავს ზოგადი ბუნების რეკომენდაციებს, კონკურენციის, შრომით, ინფორმაციის გასაჯაროების, ფინანსებისა და გადასახადების, მომხარებელთა დაცვისა და სხვა სფეროებში პასუხისმგებლობის შესახებ. გაიდლაინებს არ აქვთ სავალდებულო ძალა და წარმოადგენენ „რბილ“ სამართალს. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მის შემუშავებაში მონაწილეობენ OECD-ს წევრი და არაწევრი სახელმწიფოები,⁴⁸⁵ იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს კორპორაციული ჯგუფების მარეგულირებელ უნიფიცირებულ წესებს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე. აღსანიშნავია, რომ სასამართლოები OECD-ს გაიდლაინების გამოყენებისას, ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, ჰქონდა თუ არა ეს წესები დაშვებული თავის საქმიანობაში და განიხილავდა თუ არა მათ კარგი მენეჯმენტის პრაქტიკის ნაწილად თავად კორპორაცია.⁴⁸⁶

აღსანიშნავია, რომ OECD-ს გაიდლაინებით დაკავშირებულ ანგარიშში ასახვა ჰპოვა გამჭოლი პასუხისმგებლობის შესახებ გახმაურებულმა 1977 წლის Badger-ის ქეისმა.⁴⁸⁷ Badger company-ს ჰყვავდა ბელგიაში დაფუძნებული შვილობილი SA Badger Belgium NV. დედა კომპანიამ გადაწყვიტა შვილობილის ლიკვიდაცია. სტრუქტურული თვალსაზრისით, ბედგერის კომპანია სრულად იყო ინტეგრირებული ბედგერის ჯგუფში, ხოლო მისი ხელმძღვანელები მოქმედებდნენ დედა კორპორაციის ინსტრუქციების შესაბამისად. ბელგიური ბედგერი გამოცხადდა გაკოტრებულად, მისმა დასაქმებულებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ ძირითად კრედიტორებს, კი დაიწყეს დავა ამერიკული კორპორაციის წინააღმდეგ. საქმის მიმართ არსებული დიდი საზოგადოებრივი ინტერესის გამო ბელგიის რეგიონალური ეკონომიკის სახელმწიფო მდივანმა OECD-ს მიმართა თხოვნით, მოეხდინა გაიდლაინების რელევანტური დებულებების ინტერპრეტაცია. ბელგიის მთავრობის პოზიციის თანახმად, კორპორაციული ჯგუფის პასუხისმგებლობა იწვევს დედა კორპორაციის პასუხისმგებლობასაც შვილობილის ვალდებულებებისათვის.⁴⁸⁸ მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულმა კორპორაციამ და ბელგიური კორპორაციის დასაქმებულებმა

⁴⁸³ Draft United Nations Code of Conduct on Transnational Corporations, 23 I.L.M. 626 1984. Art. 6.

⁴⁸⁴ OECD Guidelines for Multinational Enterprises 2011.

⁴⁸⁵ მაგ. 2010 წლის ცვლილებების შედეგად უახლესი რედაქციის შექმნაში მონაწილეობდა 42 წევრი და არა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლები; OECD Guidelines for Multinational Enterprises 2011, 4.

⁴⁸⁶ ამსტერდამის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება “Batco”-ს საქმეზე, იხ. Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 551.

⁴⁸⁷ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 548.

⁴⁸⁸ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 549.

მიადწიეს მორიგებას, რომლის მიხედვითაც, ამერიკული მხარე დასაქმებულებებს გადაუხდიდა კომპენსაციებს, OECD-ს საერთაშორისო ინვესტიციებისა და მულტინაციონალური კორპორაციის კომიტეტმა თავის მომდევნო ანგარიშში მაინც მოახდინა გაიდლაინების განმარტება კორპორაციული ჯგუფის პასუხისმგებლობის კონტექსტში. კომიტეტმა განმარტა, რომ გაიდლაინების ბუნებიდან გამომდინარე, ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივი ძალის მქონე ნორმებად, რომელიც დაიქვემდებარებს ნაციონალურ კანონმდებლობას. შესაბამისად, დედა კორპორაციის პასუხისმგებლობის სამართლებრივად დასაბუთების გარეშე, კომიტეტმა დედა კორპორაციის მიერ შვილობილის ვალდებულებების ნებაყოფლობით შესრულება განხილა კარგი ხელმძღვანელობის მაგალითად.⁴⁸⁹

2.5 საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი

მულტინაციონალური საწარმოებისა და მათი წევრი კომპანიების ვალდებულებების შესახებ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის (IIL) 1995 წლის 1 სექტემბრის რეზოლუცია ითვალისწინებს პარტნიორთა პასუხისმგებლობა შვილობილი კორპორაციების ვალდებულებებისათვის.⁴⁹⁰ კერძოდ, პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, როდესაც: დედა კორპორაცია ჩართული იყო შვილობილის მიერ დადებული ხელშეკრულების მოლაპარაკებებში, შესრულებას ან შეწყვეტაში, რითაც კონტრაქტს მოსარჩელეს შეექმნა ცრუ წარმოდგენები; ასევე თაღლითობის შემთხვევაში, მშვილობის საქმიანობის შეწყვეტა, მისი სოციალური ვალდებულებების შეუსრულებლად დატოვებით, ასევე ისეთი სპეციფიკური დელიქტების შემთხვევაში, როგორცაა მასობრივი კატასტროფები. სხვა ისეთი დაკავშირებული კომპანიების, როგორც არიან ერთი მშობელი კორპორაციის მიერ დაფუძნებული კომპანიები, პასუხისმგებლობა ერთმანეთის ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი მონაწილეობდნენ იმ საქმიანობაში, რომელიდანაც წარმოიშვა დავა, ან როდესაც მიიღეს პირდაპირი ეკონომიკური სარგებელი ამ საქმიანობიდან.⁴⁹¹

2.5 იდენტიფიკაციის პრინციპი საერთაშორისო სასამართლოებში

იდენტიფიკაციის პრინციპი გულისხმობს პარტნიორის იდენტიფიკაციას კორპორაციასთან, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება პარტნიორის მიერ კორპორაციის უფლებების განხორციელება. საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკაში იდენტიფიკაცია არ ხდება გამჭოლი პასუხისმგებლობის, როგორც კრედიტორთა ინტერესების დაცვის მიზნებისთვის. პირიქით, იგი უკავშირდება პარტნიორის

⁴⁸⁹ Vandekerckhove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 550.

⁴⁹⁰ IIL, Obligations of Multinational Enterprises and Their Member Companies, 1 Sep. 1995 .

⁴⁹¹ IIL, Obligations of Multinational Enterprises and heir Member Companies, 1 Sep. 1995; 6. უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტი ასევე განმარტავს კონტროლს როგორც გადაწყვეტი კონტროლის გამოყენების ძალაუფლებას კომპანიის საქმიანობაზე, კონტროლის განმახორციელებელი სავალდებულო არაა იყოს მულტინაციონალური საწარმოს დედა კომპანია.

ინტერესების დაცვას. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ იდენტიფიკაცია შეუძლებელია კორპორაციულ საფარველისა და დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის პრინციპის უკუგდების გარეშე, იდენტიფიკაციის პრინციპთან დაკავშირებული მიდგომა საინტერესო პარტნიორის პასუხისმგებლობის კონტექსტში, კერძოდ, შეიძლება თუ არა მოექმნოს გამოყენება, იდენტიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტს პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის.

2.5.1 იდენტიფიკაციის პრინციპის მოდელი მართალმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

მართალმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკაში იდენტიფიკაციის პრინციპის გამოყენების საკითხი წარმოშვა ბელგიასა და ესპანეთს შორის დავაში, რომელიც ცნობილია ბარსელონა ტრექშენის სახელწოდებით.⁴⁹²

სახელმწიფოები პარტნიორების კორპორაციასთან იდენტიფიკაციის განსაზღვრის მიზნით იყენებდნენ კონტროლის თეორიას. კონტროლის თანახმად, კორპორაცია მიეკუთვნება იმ ქვეყანას, რომელსაც მიეკუთვნებიან მისი მაკონტროლებელი პირები – პარტნიორები. კონტროლის თეორიასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საქმეა ინგლისის დაიმლერის საქმე Daimler Co Ltd v Continental Tyre and Rubber Co (Great Britain) Ltd.⁴⁹³ კომპანია Continental Tyre and Rubber დაფუძნებული იყო ინგლისში, ინგლისის სამართლის მიხედვით, თუმცა მისი პარტნიორების უმეტესობა იყვნენ გერმანელები. დავა წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც სხვა ინგლისურმა კორპორაციამ Daimler Company LTD უარი განაცხადა მისთვის ვალის გადახდაზე. დაიმლერმა განაცხადა, რომ კონტინენტალი მხოლოდ ფორმალურად წარმოადგენდა ინგლისურ კომპანიას და სინამდვილეში იყო გერმანული, და შესაბამისად, მტრული კორპორაცია. რის გამოც მისთვის თანხის გადახდა დაარღვევდა ინგლისის ვაჭრობისა და მტრების შესახებ 1904 წლის აქტს. ინგლისის სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა დაიმლერის პოზიცია, ხოლო ლორდთა პალატამ კი განაცხადა, რომ კორპორაცია, რომელიც დაფუძნებულია და საქმიანობას ახორციელებს ინგლისში, იმ წარმომადგენლების მიერ, რომლებიც ასევე ცხოვრობენ ინგლისში ან ნეიტრალურ ქვეყნაში, უნდა ჩაითვალოს მეგობრულ კომპანიად.⁴⁹⁴

ICJ-იმ საერთაშორისო დონეზე მოახდინა კონტროლის თეორიის უარყოფა ბელგიის მიერ ესპანეთის წინააღმდეგ კორპორაციის დიპლომატიური დაცვის შესახებ აღძრულ საქმეში.⁴⁹⁵ კანადის სამართლის შესაბამისად დაფუძნებული ჰოლდინგური კომპანია Barcelona Traction Light and Power Company LTD ფლობდა თოთხმეტი სხვა კორპორაციის წილებს. ჰოლდინგში შემავალი კომპანიებიდან 11 დაფუძნებული იყო ესპანეთში, ესპანური კანონმდებლობის მიხედვით. დაფუძნებიდან რამდენიმე წელიწადში Barcelona Traction-ის წილები გადავიდა ბელგიელი პარტნიორების საკუთრებაში. ესპანეთის მთავრობის

⁴⁹² Case Concerning Barcelona Traction, Light, and Power Company, Ltd, Belgium v. Spain, [1970] ICJ.

⁴⁹³ Daimler Co Ltd v Continental Tyre and Rubber Co (Great Britain) Ltd [1916].

⁴⁹⁴ Daimler Co Ltd v Continental Tyre and Rubber Co (Great Britain) Ltd [1916].

⁴⁹⁵ Case Concerning Barcelona Traction, Light, and Power Company, Ltd, Belgium v. Spain, [1970] ICJ.

მიერ მიღებული რეგულაციით, აკრძალა ესპანეთიდან უცხოური ვალუტის გატანა, რის გამოც, კომპანიამ ვერ შეასრულა ფულადი ვალდებულებები. მალე კომპანია გამოცხადდა გაკოტრებულად ესპანეთის სასამართლოს მიერ, რის შესახებაც კომპანიას ეცნობა პრესაში გამოქვეყნების გზით. ესპანეთში არაერთი დავის უშედეგოდ დასრულების შემდეგ ბელგიის სახელმწიფომ გადაწყვიტა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში ესპანეთის წინააღმდეგ სარჩელის შეტანა, იმ საფუძველით, რომ Barcelona Traction-ის გაკოტრებით არაპირდაპირ შეილახა ბელგიელი პარტნიორების ინვეტრესები. ესპანეთი თავის მხრივ, აპელირებდა იმ გარემოებაზე, რომ ბელგიას არ გააჩნდა დავის უფლება (*ius standi in iudicio*), რამდენადაც მხოლოდ თავად კორპორაციას, როგორც უფლებებისა და მოვალეობების დამოუკიდებელ მატარებელს, შეეძლო მოთხოვნის დაცვა.

ICJ-ის მოსაზრებით, მხოლოდ ის, რომ კანადურ კორპორაციას ჰყავდა ბელგიელი პარტნიორები, არ არ არის საკმარისი ბელგიელი პარტნიორების კომპანიასთან იდენტიფიცირებისთვის, კორპორაცია და პარტნიორი წარმოადგენენ განცალკევებულ სუბიექტებს განსხვავებული უფლება-მოვალეობებით. შესაბამისად, ბელგიის სახელმწიფოს არ გააჩნდა მოთხოვნა და მხოლოდ კანადურ კომპანიას შეიძლება მოეთხოვა კომპენსაცია.⁴⁹⁶

2.5.2 იდენტიფიკაციის პრინციპი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში რამდენჯერმე წარმოიშვა იდენტიფიკაციის პრინციპის გამოყენების საკითხი. საქმეში Agrotexim Hellas SA and Others v. Greece⁴⁹⁷ მოსარჩელები იყვნენ კომპანია Karolos Fix Brewery-ის პარტნიორები - ექვსი დამოუკიდებელი კომპანია, რომლებიც ერთობლივად ფლობდნენ Fix-ის აქციათა 51%-ს. აღნიშნული კომპანიის საბერძნეთის ნაციონალური ბანკის მიმართ არსებული დიდი დავალიანების გამო, აქციონერთა საერთო კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კომპანიის ლიკვიდაციის შესახებ. ლიკვიდაციის პროცესში დაინიშნა ორი ლიკვიდატორი, ძირითადი კრედიტორის საბერძნეთის ნაციონალური ბანკი წარმომადგენელი და თავად კომპანიის წარმომადგენელი. სარჩელი ეფუძნებოდა საკუთრების უფლების ხელყოფას, რასაც მოსარჩელები ადასტურებდნენ იმ გარემოებით, რომ ლიკვიდაციის პროცესში მოხდა კომპანიის კუთვნილი ორი ქარხნის დე-ფაქტო ექსპროპრიაცია სახელმწიფოს მხრიდან.⁴⁹⁸ მოცემულ საქმეში, სადავო საკითხს წარმოადგენდა ის, იცავდა თუ არა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენცია პარტნიორებს მოცემულ შემთხვევაში, იმისათვის, რომ დაცვის საკითხი გადაწყვეტილიყო დადებითად, საჭირო იყო იმის დასაბუთება, რომ კორპორაციის საკუთრების უფლების ხელყოფა ავტომატურად გულისხმობდა პარტნიორების საკუთრების უფლების ხელყოფას. შესაბამისად, საჭირო იყო პარტნიორების

⁴⁹⁶ Case Concerning Barcelona Traction, Light, and Power Company, Ltd, Belgium v. Spain, [1970] ICJ.

⁴⁹⁷ Agrotexim Hellas SA and Others v. Greece, ECHR Judgment 24 October 1995.

⁴⁹⁸ Agrotexim Hellas SA and Others v. Greece, ECHR Judgment 24 October 1995.

იდენტიფიკაცია კომპანიასთან. სასამართლომ არ გაიზიარა ეს პოზიცია და აღნიშნა, რომ კორპორაციული მოსახამის გაჭოლვა და დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის პრინციპის უკუგდება, გამართლებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ მაშინ, როდესაც კომპანიას წესდებით გათვალისწინებული წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით არ შეუძლია უფლების დაცვა, ხოლო ლიკვიდაციის პროცესში ლიკვიდატორების მეშვეობით.⁴⁹⁹ აღსანიშნავია, რომ აგროტექსიმის საქმედგე განხილულ სხვა საქმეში სასამართლომ იდენტიფიკაციის საფუძვლად გამოიყენა კომპანიის ინსტრუმენტალური გაგება (ორიგინაში “vehicle”).⁵⁰⁰ საქმეში მოსარჩელეს წარმოადგენდა კომპანია - pine valley მისი ერთადერთი პარტნიორი კომპანია healy holding და ამ პოლდინგის ერთადერთი პარტნიორი ფიზიკური პირი. სასამართლომ მოახდინა იდენტიფიკაცია იმ საფუძვლით, რომ ორივე კომპანია იყო მხოლოდ ინსტრუმენტი, ფიზიკური პირი პარტნიორის შემთხვევაში, რისი მეშვეობითაც ის ახორციელებდა საქმიანობას.⁵⁰¹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა გულისხმობს კომპანიისთვის, როგორც ეკონომიკური მოთამაშისთვის კორპორაციული საფარველის მნიშვნელობის აღიარებას და აღნიშნული დიდი მნიშვნელობის კონტექსტში უნდა იქნეს გაგებული სასამართლოს მიერ იდენტიფიკაციის პრინციპის გამოყენების შეზღუდვა.⁵⁰²

3. გამჭოლი პასუხისმგებლობა საერთაშორისო კერძო სამართალსა და საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართალში

3.1 გამჭოლი პასუხისმგებლობის პრობლემა საერთაშორისო კერძო სამართალში

თანამედროვე ეკონომიკის გლობალიზაციის კვალობაზე სულ უფრო ხშირია ბიზნესის წარმოება რამდენიმე იურისდიქციაში. შესაბამისად, ერთი და იგივე კორპორაციული ჯგუფი შეიძლება იყოს

⁴⁹⁹ ორიგინალში: “the piercing of the “corporate veil” or the disregarding of a company’s legal personality will be justified only in exceptional circumstances, in particular where it is clearly established that it is impossible for the company to apply to the Convention institutions through the organs set up under its articles of incorporation or - in the event of liquidation - through its liquidators” judgment 24 October 1995, Series A 330-A

⁵⁰⁰ Pine Valley Developments Ltd and Others v. Ireland, judgment 29 November 1991.

⁵⁰¹ ორიგინალში: “Pine Valley and Healy Holdings were no more than vehicles through which Mr Healy proposed to implement the development for which outline planning permission had been granted. On this ground alone it would be artificial to draw distinctions between the three applicants as regards their entitlement to claim to be “victims” of a violation,” Pine Valley Developments Ltd and Others v. Ireland, judgment 29 November 1991.

⁵⁰² *Emberland*, The Corporate Veil in the Case Law of the European Court of Human Rights, Zeitschrift für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht (ZaöRV) Zeitschrift für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht, Vol. 63, No. 4, 2003, 969.

აქტიური მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში. მშობელი და შვილობილი კორპორაციები შეიძლება იყვნენ მიმოფანტული სხვადასხვა სახელმწიფოებში. ამასთან, სხვადასხვა გარემოებების ცვლილების კვალობაზე კორპორაციები შეიძლება იცვლიდნენ იურისდიქციებს. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სულ უფრო ხშირად არის საჭირო საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების გამოყენება იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი ქვეყნის სამართლით უნდა დარეგულირდეს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა. ხსენებული დებულება ასევე ნამდვილია გამჭოლი პასუხისმგებლობის პრობლემის მიმართაც.

როგორც სხვადასხვა ქვეყნების მატერიალური სამართლის შესწავლიდან დავინახეთ, აქციონერთა პასუხისმგებლობის დასაყენებლად სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები იყენებენ სხვადასხვა სამართლებრივ ტექნიკას. თუმცა მიუხედავად ამისა, ყველა ტექნიკას აქვს საერთო მახასიათებელი: გამჭოლი პასუხისმგებლობა ემიჯნება სამართლის სხვადასხვა დისციპლინებს, რაც მოიცავს საკორპორაციო სამართალს, დელიქტებს (torts), სახელშეკრულებო სამართალს, შრომის სამართალსა და გადახდისუუნარობის სამართალს.⁵⁰³

გამჭოლი პასუხისმგებლობის დასადგენად გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისას გამოიყენება ორი მიდგომა. ტრანსნაციონალური გამჭოლი პასუხისმგებლობის დადგენისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ რამდენიმე სამართლებრივ სისტემას მხარეთა ურთიერთობასთან აქვს იმდენად ახლო კავშირი, რომ შეიძლება მათი მატერიალური კანონმდებლობის გამოყენება დასარეგულირებლად. როდესაც ასეთი სისტემებიდან ერთ-ერთში არსებობს სპეციალური კანონმდებლობა (group law), პირველი მეთოდის მიხედვით უნდა მოხდეს იმის განსაზღვრა, თუ რა ტერიტორიული გავრცელება (იურისდიქცია) გააჩნია ამ კანონმდებლობას. ფუნდამენტურად განსხვავებული მეთოდოლოგია გამოიყენება მაშინ, როდესაც გამჭოლი პასუხისმგებლობის დასადგენად უნდა იქნეს გამოყენებული საკორპორაციო სამართალი, სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი ან გადახდისუუნარობის სამართალი. ამ დროს საკითხი უნდა გადაწყდეს იმ სამართლებრივი სისტემის მიერ, რომელსაც ყველაზე უფრო ახლო კავშირი აქვს ურთიერთობასთან, როგორც ეს განისაზღვრება საერთაშორისო კერძო სამართლის ტრადიციული მიდგომით.⁵⁰⁴

3.1.1 სპეციალური კანონმდებლობის გავრცელების ტერიტორიული იურისდიქცია

როგორც წესი, მატერიალური კანონმდებლობა თავად განსაზღვრავს საკუთარი მოქმედების არეალს. თუმცა შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მატერიალური კანონმდებლობის მიხედვით რამდენიმე სამართლებრივი სისტემის კანონმდებლობა ითხოვდეს საკუთარი წესების გამოყენებას.

⁵⁰³ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 559.

⁵⁰⁴ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 559-560.

ყველაზე მეტად გავრცელებული მიდგომის მიხედვით, კონკრეტული ქვეყნის სპეციალური კანონმდებლობა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ურთიერთობის მონაწილე შვილობილი კორპორაციის ადგილსამყოფელი მოცემულ ქვეყანაშია. ეს მიდგომა ლიტერატურაში დასაბუთებულია შვილობილი კომპანიის უმცირესობაში მყოფი აქციონერებისა და კრედიტორების ინტერესების დაცვის აუცილებლობით.⁵⁰⁵ ამის საპირისპიროდ, როდესაც აუცილებელია დედა-კომპანიის კრედიტორებისა და აქციონერების ინტერესების დაცვა, სწორედ დედა-კომპანიის ადგილსამყოფელის მიხედვით განისაზღვრება გამოსაყენებელი სამართალი.

ზემოსხენებული ზოგადი წესი საკმაოდ ართულებს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს, ვინაიდან შვილობილი კომპანიის ქვეყანაში ამავე ქვეყნის კანონმდებლობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება დედა-კომპანიის ქვეყანაში შესაძლებელია მხოლოდ ამ ქვეყნის სასამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების ცნობის შემდეგ, რაც წარმოშობს სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის რისკს.⁵⁰⁶

იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის დამფუძნებლებს შორის ურთიერთობა ფაქტობრივად წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობას, საინტერესოა საკითხი, რამდენად შეიძლება სახელშეკრულებო სამართლის მიმართ არსებული საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების გამოყენება გამჭოლი პასუხისმგებლობის მიმართ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1980 წლის რომის კონვენცია სახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ,⁵⁰⁷ რომლის 1.2-ე პუნქტის თანახმად, კონვენციის დებულებები არ ვრცელდება საკორპორაციო სამართლის საკითხებზე. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკორპორაციო ურთიერთობები სპეციფიკურია და მათ მიმართ არ შეიძლება იმ ზოგადი წესების პირდაპირო გზით გამოყენება, რომლებიც გამოიყენება სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ.

3.1.2 საერთაშორისო კერძო სამართლის ტრადიციული მეთოდი

კანონმდებლობათა კონფლიქტის გადაწყვეტის ტრადიციული გზა, რომელიც ფრიდრიხ კარლ ფონ სავინმა დაამკვიდრა, გულისხმობს სამართლებრივი ურთიერთობის ადგილსამყოფელის იდენტიფიკაციას, რათა განისაზღვროს გამოსაყენებელი სამართალი.⁵⁰⁸ ამ დროს ხდება სამართლებრივ ურთიერთობასთან ყველაზე უფრო ახლო კავშირის მქონე ქვეყნის გამორჩევა და მისი მატერიალური კანონმდებლობის გამოყენება.⁵⁰⁹

გამჭოლი პასუხისმგებლობის დასადგენად ტრადიციული მეთოდის გამოყენება წარმოშობს პრაქტიკული ხასიათის პრობლემებს, რაც გულისხმობს:

⁵⁰⁵ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 561-562.

⁵⁰⁶ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 565.

⁵⁰⁷ 1980 Rome Convention on the Law Applicable to Contractual Obligations.

⁵⁰⁸ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 565.

⁵⁰⁹ ამავე მიდგომას იზიარებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მთელი რიგი დებულებები.

- სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების მიერ გამჭოლი პასუხისმგებლობის კლასიფიკაციის განსხვავებულობას;
- სხვადასხვა დამაკავშირებელი ფაქტორების გამოყენებას სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების მიერ;
- სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მატერიალურ კანონმდებლობას შორის არსებული განსხვავებები.⁵¹⁰

ყველა სამართლებრივ სისტემაში სამართლებრივი ურთიერთობის კლასიფიკაციის პროცესი მიმდინარეობს ადგილობრივი მატერიალური კანონმდებლობის შესაბამისად. კლასიფიკაციის პრობლემა წარმოიშობა, როდესაც ადგილობრივი კოლიზიური სამართალი მიუთითებს სხვა ისეთი ქვეყნის მატერიალური ნორმების გამოყენებაზე, სადაც ურთიერთობა განსხვავებულად რეგულირდება.⁵¹¹

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გამჭოლი პასუხისმგებლობა შეიძლება გამომდინარეობდეს კანონმდებლობის სხვადასხვა დარგისაგან. მაგალითისათვის, თუ გერმანიის სასამართლოში გერმანული კომპანიის მიმართ განიხილება გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი, რომლის საფუძველიც არის ამ კომპანიის არასათანადოდ კაპიტალიზირებული და გაკოტრებული ფრანგული შვილობილი კომპანიის ვალდებულებები, გერმანიის კოლიზიური სამართლის მიხედვით, გამოყენებული უნდა იქნეს საფრანგეთის სამართალი. თუმცა პრობლემას წარმოადგენს ის, რომ საფრანგეთის გაკოტრების სამართლის გამოყენება გერმანული დედა კომპანიის მიმართ, რომელიც არ გაკოტრებულა, უადგილოა. ამასთან, უცხო ქვეყნის გადახდისუნარიობის კანონმდებლობის გამოყენება სხვა ქვეყანაში შეუძლებელია. შესაბამისად, გამჭოლი პასუხისმგებლობის შეფარდებისას ვიდებთ სამართლებრივ ვაკუუმს.⁵¹²

მეორე ტიპის პრობლემა, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს კლასიფიკაციის საკითხმა, არის ერთ ქვეყანაში მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შეუძლებლობა სხვა ქვეყანაში. მაგალითად, ფრანგული სამართლის მიხედვით, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გადაწყვეტილება შესაბამისობაშია საფრანგეთის კანონმდებლობასთან.⁵¹³ დაახლოებით ანალოგიურ წინაპირობას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობაც, რომლის მიხედვითაც უცხო ქვეყნის სასამართლის გადაწყვეტილების ცნობა საქართველოში არ ხდება, თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.⁵¹⁴

თუმცა კლასიფიკაციის პრობლემის გადაჭრა ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკითხის მოგვარებას. შესაბამისი მატერიალური სამართლის არჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფაქტორებს იყენებს ამა თუ იმ ქვეყნის კოლიზიური სამართალი ურთიერთობის შესაბამის ქვეყანასთან დასაკავშირებლად. კოლიზიური ნორმების მიხედვით სახელმწიფოს

⁵¹⁰ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 566.

⁵¹¹ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 566.

⁵¹² Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 566-567.

⁵¹³ ეს მოთხოვნა ფორმულირებული იქნა საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს 1964 წლის 7 იანვრის გადაწყვეტილებაში ე.წ. მუნცერის საქმეზე (საქმე №13590). იხ. Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 566.

⁵¹⁴ საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, მუხლი 68, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ზ“.

კავშირი სამართალურთიერთობასთან შეიძლება განსაზღვრებოდეს კომპანიის იურიდიული მისამართის მიხედვით ან ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით.⁵¹⁵ მაგალითად, თუ კომპანიას ერთ სახელმწიფოში აქვს იურიდიული მისამართი, ხოლო მეორე სახელმწიფოში ფაქტიური ადგილსამყოფელი, და პირველი სახელმწიფოს კოლიზიური სამართლის მიხედვით კავშირის განმსაზღვრელია იურიდიული მისამართი, ხოლო მეორე სახელმწიფოს კოლიზიური სამართლის მიხედვით კავშირის განმსაზღვრელია ფაქტიური ადგილსამყოფელი, მაშინ გამოსაყენებელი იქნება ორივე ქვეყნის სამართალი. ამასთან, თუ პირველი სახელმწიფოს კოლიზიური სამართლის მიხედვით კავშირის განმსაზღვრელია ფაქტიური ადგილსამყოფელი, ხოლო მეორე სახელმწიფო კოლიზიური სამართლის მიხედვით კავშირის განმსაზღვრელია იურიდიული მისამართი, მაშინ შეუძლებელი იქნება გამოსაყენებელი სამართლის დადგენა. ასეთ დროს მიზანშეწონილია საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ უკუშეზღვევების მიღება და საქმის განხილვა ადგილობრივი კანონმდებლობით (ე.წ. *single renvoi*).⁵¹⁶

დამაკავშირებელი ფაქტორების კონტექსტში ასევე პრობლემურია საკითხი, რომელი ქვეყნის კანონმდებლობას უნდა მიენიჭოს უპირატესობა გამჭოლი პასუხისმგებლობის დროს – დედა-კომპანიის ქვეყნის თუ შვილობილი კომპანიის ქვეყნის. ერთგვარი პასუხი აქაც არ არსებობს, თუმცა გავრცელებული მოსაზრებით, აუცილებელია ამ სფეროში მოქმედი მატერიალური სამართლის უნიფიცირება.⁵¹⁷

3.1.3 ალტერნატიული მეთოდები

იმის გათვალისწინებით, რომ ხშირია ისეთი ქვეყნის სამართალზე მითითება, სადაც არ არის დამკვიდრებული გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი და დგება დაზარალებული კრედიტორისთვის უარყოფითი შედეგი, საჭიროა სამართლებრივი სისტემების კონფლიქტის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება.

ასეთ ალტერნატიულ მეთოდებს შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვეყნოთ სახელმწიფოს ინტერესის მეთოდი, რაც გულისხმობს იმ ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებას, რომელსაც ყველაზე მეტი ინტერესი აქვს საკითხის გადაწყვეტის მიმართ. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ეს როგორც წესი არის შვილობილი კომპანიის ქვეყანა.⁵¹⁸ უნდა აღნიშნოს, რომ ამ მეთოდს სასამართლოები იყენებენ როგორც გამოსაყენებელი სამართლის ასარჩევად, ისე სასამართლოს იურისდიქციის განსაზღვრისათვის. მაგალითად, ე.წ. ბჰოპალის კატასტროფის საქმეზე, რომელშიც მოსარჩელე – ინდოეთის სახელმწიფო ითხოვდა ბჰოპალის ქარხნის მფლობელი კომპანიისათვის – იუნიონ კარბიდისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპების შესაბამისად, ნიუ იორკის ფედერალურმა საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ ინდოეთის

⁵¹⁵ *Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 573.*

⁵¹⁶ ეს პრინციპი განმტკიცებულია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში.

⁵¹⁷ *Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 566-573.*

⁵¹⁸ *Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 575;*

სახელმწიფოს უფრო მეტი ინტერესი ჰქონდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ, ვიდრე აშშ-ის სახელმწიფოს. ამ მოტივით სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მას არ ჰქონდა საქმეზე იურისდიქცია და სარჩელი ინდოეთის სასამართლოში უნდა შეტანილიყო.⁵¹⁹

ალტერნატიულ მეთოდებს შორის ასევე გამოიყენება „უკეთესი სამართლის“ მეთოდი. ამ დროს სასამართლო ირჩევს იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომლითაც ყველაზე უკეთ მიიღწევა ის შედეგი, რომლის დადგომაც სურს სასამართლოს. შესაბამისად, კრედიტორს აქვს არჩევანი *lex speacilis* და *lex causaes* შორის.⁵²⁰

3.2 კორპორაციული საფარველის პრობლემა საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში

საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენება რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული. უმეტეს შემთხვევებში, საერთაშორისო კომერციული ტრიბუნალები იყენებენ მხარეთა მიერ შეთანხმებულ კონკრეტულ ნაციონალურ სამართალს. გამჭოლი პასუხისმგებლობის კონცეფცია კი, ნაციონალურ დონეზე, სამართლებრივი პლურალიზმის საგანია. მიდგომათა მრავალფეროვნება გამორიცხავს დოქტრინის ერთიან და თანმიმდევრულ აპლიკაციას. აღნიშნულის გარდა, ასევე პრობლემურია იურისდიქციის საკითხიც. როგორც წესი, ტრიბუნალი პირველ ეტაპზე ახდენს მხარის იდენტიფიცირებას. ამ ეტაპზე, იურისდიქციასთან მიმართებით, შესაძლებელია გამოვლინდეს ორი პრობლემა. პირველ შემთხვევაში, შესაძლებელია მხარე არ იყოს საარბიტრაჟო შეთანხმების ხელმომწერი, თუმცა აცხადებდეს თანხმობას მონაწილეობაზე. მაგალითად, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლომ საქმეში *Dow Chemical v. Isover St. Gobain*⁵²¹ ერთიანი ეკონომიკური კავშირის თეორიის საფუძველზე და თანხმობის არსებობის პირობებში მოსარჩელე მხარედ ჩართო დედა კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილე იყო შვილობილი კომპანია. ტრიბუნალმა დაადგინა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს რეალობა, რომელშიც კომპანიათა ჯგუფი, მასში შემავალი თითოეული ცალკეული კომპანიის სტატუსის მიუხედავად, ქმნის ერთიან ეკონომიკურ კავშირს.⁵²² მეორე შემთხვევაში, შეიძლება სახეზე იყოს მხარე, რომელიც არ არის შეთანხმების ხელმომწერი და არც თანხმობას აცხადებს მონაწილეობაზე. ასეთ დროს ტრიბუნალმა უნდა იმსჯელოს კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის პრინციპზე, რათა დაადგინოს სამართალურთიერთობის ნამდვილი მხარე. სათანადო ფაქტობრივი გარემოებების ძალით შესაძლებელია დამოუკიდებელი

⁵¹⁹ *Vandekerckrove*, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 575-576.

⁵²⁰ *Vandekerckrove*, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 577.

⁵²¹ *Dow Chemical v. Isover St. Gobain*, ICC Case No. 4131, Interim Award of September 23, 1982, in: IX Yearbook of Commercial Arbitration, ICCA, 131, 1984.

⁵²² *Redfren, Hunder*, *Law and the Practice of International Arbitration*, 4th Ed, 2004, 149.

სამართალსუბიექტობის უკუგდების ხარჯზე კორპორაციული საფარველის გაჭოლვა.⁵²³

არბიტრაჟის კონტექსტში კორპორაციული საფარველის გაჭოლვა გულისხმობს იმ მხარის პასუხისმგებლობას, რომელიც არ იყო საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილე. ეს გარემოება კი უკვე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის ეტაპზე წარმოშობს პრობლემას. უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების შესახებ ნიუ-იორკის კონვენცია ითვალისწინებს რამდენიმე გარემოებას, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს ნაციონალური სასამართლო, უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის შემთხვევაში.⁵²⁴ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა იმ მხარის წინააღმდეგ, რომელიც არ იყო საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილე შეიძლება სადაო გახდეს ამ წინაპირობათა ჭრილში. უნდა აღინიშნოს, რომ UNCITRAL-ის სამუშაო ჯგუფის მიერ 2000 წლის ანგარიშის მიხედვით, ერთიანი ეკონომიკური კავშირის თეორიის გამოყენება შესაძლებელია, თუკი დადასტურდება სამი გარემოება: 1. სახეზეა იურიდიულად განცალკევებული კორპორაცია, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეა, იმ ჯგუფის ნაწილია, რომელიც ქმნის ერთ ეკონომიკურ კავშირს; 2. კორპორაცია აქტიურად მონაწილეობდა იმ ხელშეკრულების დადებასა და შესრულებაში, რომლიდან გამომდინარეც წარმოიშვა დავა. 3. კორპორაციის ჩართვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ასახავს მხარეთა საერთო განზრახვას.⁵²⁵ სამუშაო ჯგუფის ამ პოზიციის მიუხედავად, საარბიტრაჟო შეთანხმების მოქმედების გაგრძელება არახელმომწერი მხარის მიმართ კვალავ საკამათო საკითხად რჩება.

3.3 კორპორაციული საფარველის პრობლემა საერთაშორისო საინვესტიციო დავებში

საერთაშორისო კომერციული ტრიბუნალების გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით, რომლებიც აღსრულებამდე საჭიროებენ სავალდებულო ცნობას, საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრის გადაწყვეტილებები ავტომატურ რეჟიმში (კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში ცნობის პროცედურის გავლის გარეშე) ექვემდებარებიან აღსრულებას.⁵²⁶ საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრის გადაწყვეტილებების

⁵²³ Krivoy, Piercing the Corporate Veil in International Arbitration, Global Business Law Review, Vol.1, 2011, 174.

⁵²⁴ Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, 1958, მაგ., მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უარის თმის საფუძველია ის გარემოება, როცა მხარე, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული გადაწყვეტილება არ იყო ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო წარმოების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მონაწილეა 149 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, და შესაბამისად, ინკორპორირებულია ყველა მონაწილის ნაციონალურ კანონმდებლობაში. იხ. ასევე „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 22.

⁵²⁵ Report of the Secretary General on Possible Uniform Rules on Certain Issues Concerning Settlement of Commercial Disputes: Conciliation, Interim Measures of Protection, Written Form for Arbitration Agreement, U.N. Doc. A/CN.9/WG.II/WP.108/Add. 1 2000.

⁵²⁶ Convention on the Settlement of Investment Disputes between States and Nationals of Other States, 1966, 575 U.N.T.S. 159, მუხლი 53(1).

აღსრულება წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო საჯარო ვალდებულებას.⁵²⁷

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ნაციონალური სამართლის მიხედვით, პირი არ არის უფლებამოსილი პარტნიორის სტატუსით იდაოს კორპორაციის სახელით, აღიარებულია, რომ ინვესტიციათა დაცვის ორმხრივი ხელშეკრულებებით დადგენილი წესები, რომლებიც რელევანტურია პარტნიორთა მოთხოვნების მიმართ, კონკრეტული დავის ფარგლებში არის *lex specialis*.⁵²⁸ თუმცა საინვესტიციო ტრიბუნალების უმეტესობა საერთოდ არ იზიარებს იურიდიქციის გავრცელებას იმ მხარეზე, რომელიც არ იყო ტრიბუნალისთვის დავის გადაცემის შესახებ შეთანხმების მონაწილე. მაგალითად, საქმეში *Zhinvali Development Ltd. v. Republic of Georgia*, ინვესტორმა დააყენა მოთხოვნა, როგორც თავისი, ასევე მისი სამი სხვა პარტნიორის სახელით.⁵²⁹ საინვესტიციო ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ სახეზე არ იყო მშობელ-შვილობილი კომპანია, ხოლო ეს სამი პარტნიორი არ იყო რეგისტრირებული მოსარჩელედ. კონვენცია კი, ისევე როგორც საარბიტრაჟო წესები არ ითვალისწინებენ პირის უფლებას იდაონ არამონაწილე მხარის სახელით. ასეთი უფლებით სარგებლობა საჭიროებს მოპასუხე მონაწილე სახელმწიფოსთან შეთანხმებას ან თანხმობას. შესაბამისად, ამ საქმეში ინვესტორს არ მიენიჭა უფლება ედავა თავისი პარტნიორების სახელით.⁵³⁰

ზოგადად, საინვესტიციო ტრიბუნალების პრაქტიკაში კორპორაციული საფარველის გაჭოლვა წარმოადგენს არა მოსარჩელე ინვესტორი მხარის დაცვის მექანიზმს, არამედ მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტს, იმისთვის რომ გააბათილოს ტრიბუნალის იურისდიქცია კონკრეტულ დავაზე. ასეთ დროს, მოპასუხე სახელმწიფო ცდილობს დაასაბუთოს, რომ მოსარჩელე კორპორაციას არ აქვს დავის უფლება, რადგანაც სამართალსუბიექტობის რეალური მხარე არის არა მოსარჩელე, არამედ კორპორაციული საფარველის მიღმა მოქმედი სუბიექტი, რომელიც, თავის მხრივ, ან არ იყო ტრიბუნალისთვის დავის გადაცემის შესახებ შეთანხმების მონაწილე.⁵³¹

შეჯამების მიზნით, საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში მოპასუხე კორპორაციის პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, თუ მოსარჩელე დაადასტურებს იმ გარემოებას, რომ პარტნიორის კონტროლის ხარისხი მოპასუხე კორპორაციის მიმართ, იმდენად მაღალია, რომ არ არსებობს არგუმენტი მოპასუხე კორპორაციის დამოუკიდებელ სამართალსუბიექტად განხილვის სასარგებლოდ. თუმცა ასეთ, შემთხვევაში მოსარჩელე კისრულობს იმის რისკს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დარჩეს აღუსრულებელი.

⁵²⁷ საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპია, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია დაყრდნობა შიდა სამართალს საერთაშორისო ვალდებულების შესრულებისგან თავის ასარიდებლად, Vienna Convention on the Law of Treaties, 1969, 1155 U.N.T.S. 331, მუხლი 27.

⁵²⁸ *Krivoy, Piercing the Corporate Veil in International Arbitration*, *Global Business Law Review*, Vol.1, 2011, 174.

⁵²⁹ *Zhinvali Development Ltd. v. Republic of Georgia*, ICSID Case No. ARB/84/3, 2003, 392- 405.

⁵³⁰ *Zhinvali Development Ltd. v. Republic of Georgia*, ICSID Case No. ARB/84/3, 2003, 392- 405.

⁵³¹ *მაგ., Telekom A.S. v. Republic of Kazakhstan*, ICSID Case No. ARB/05/16, Award (July 29, 2008); ტრიბუნალმა ცალსახად აღნიშნა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპის გამოყენებას არახელმომწერი მხარის მიმართ, სამართლებრივი საფუძველი არ აქვს კონვენციის ფარგლებში.

გარანტია, რომ ნაციონალური სასამართლო მოახდენს იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობას, რომელიც გამოტანილია საარბიტრაჟო შეთანხმების არამონაწილე მხარის მიმართ არ არსებობს.

4 შუალედური დასკვნა

ნაშრომის მესამე თავის პირველი ნაწილის შეჯამების მიზნით შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი თეზისი. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დოქტრინა განიხილება სამართლიანობის მექანიზმად, რომლის გამოყენების შედეგადაც მიიღწევა პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა. საკითხის რეგულირების მეთოდების სისტემატიზაცია შეიძლება მოხდეს ორ ჯგუფად სასამართლო და საკანონმდებლო რეგულირების მეთოდი. პირველ შემთხვევაში პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის გამოიყენება გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა. სხვაგვარად რომ ითქვას, ამ დროს სასამართლოს მიერ პასუხისმგებლობის შეფარდება ხდება დოქტრინის საფუძველზე. შესაბამისად, სასამართლო თავად ახდენს სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრას. სასამართლო რეგულირება განსხვავებულია იურისდიქციების მიხედვით.

აშშ-ში კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დოქტრინა ფარავს პარტნიორის პასუხისმგებლობის უმეტეს შემთხვევებს. ამ დროს სასამართლო ახდენს პრაქტიკით გამოკვეთილი გარემოებების მექანიკურ მისადაგებას კონკრეტული სამართლებრივი გარემოებისათვის, და ხშირია სამართლებრივი მეტაფორების გამოყენებაც, რაც ხშირად გაკრიტიკებულია იურიდიულ ლიტერატურაში.

აშშ-გან განსხვავებით ინგლისის სამართლაში დოქტრინის გამოყენება წარმოადგენს უფრო საგამონაკლისო მექანიზმს. 2013 წლამდე მიიჩნეოდა, რომ დოქტრინის გამოყენების აბსოლუტური წინაპირობა იყო თაღლითობის სამართლებრივი მოცემულობა. თუმცა 2013 წლის პრეცედენტმა VTB Capital-ის საქმეზე ცხადყო, რომ თაღლითობის შემთხვევაშიც კი სასამართლო აპრიორი არ ეყრდნობა დოქტრინას, რადგანაც პასუხისმგებლობის მიღწევის ალტერნატიულ შესაძლებლობად განიხილვას კრედიტორის მიერ დელიქტური მოთხოვნის განხორციელებას.

გერმანიაში, სასამართლოს მიერ პირადი პასუხისმგებლობის შეფარდება დოქტრინის საფუძველზე ხდება ერთადერთ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა პარტნიორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება. რაც შეეხება საკანონმდებლო რეგულირებას, ამ შემთხვევაში სახეზეა კონკრეტული სამართალურთიერთობის მოწესრიგება ნორმატიულ დონეზე. აშშ-ში ხდება თაღლითური ტრანსფერებისა და გარემოსაცვითი საკითხების საკანონმდებლო რეგულირება, რის შედეგად კანონმდებლობით დადგენილი წინაპირობების არსებობისას შესაძლებელია პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის დადგენა. ინგლისში საკანონმდებლო დონეზე, პასუხისმგებლობის რეგულირება ხდება თაღლითური და არამართლზომიერი ვაჭრობის წესების შესაბამისად, რაც ინკორპორირებულია გადახდისუნარობის შესახებ აქტში.

გერმანიაში პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის დიდი ნაწილი, კერძოდ კი პასუხისმგებლობა კორპორაციული ჯგუფის

ფარგლებში წესრიგდება საკონცერნო სამართლით. ხოლო საფრანგეთში, გადახდისუნარობის წესებით, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა დადგეს დე-ფაქტო პარტნიორის პასუხისმგებლობაც.

ნაშრომის მესამე თავის მეორე ნაწილთან დაკავშირებით დასკვნის სახით შეიძლება უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სამყაროში მულტინაციონალური კორპორაციების როლი დღითიდღე იზრდება. მულტინაციონალური კორპორაციების რეგულირებას ვხვდებით როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ე.წ. "რბილ" სამართალში, ასევე საერთაშორისო სასამართლოებსა და ევროპის რეგიონალური ორგანიზაციების სასამართლოებში, კერძოდ კი მართლსაჯულების ევროპულ სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში.

V. გამჭოლი პასუხისმგებლობის ცალკეული წინაპირობების ანალიზი

წინამდებარე თავში განხილულია ალტერ ეგოს თეორია და ინსტრუმენტალურობის წესი, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის ძირითადი სამართლებრივი საფუძველი. ასევე გაანალიზებულია გამჭოლი პასუხისმგებლობის ძირითადი ფაქტორები: არასთანადო კაპიტალიზაცია, ქონებათა აღრევა და ტრანსფერი, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა და სხვა. ნაშრომის მოცემული ნაწილის ძირითადი თეზისია, რომ დასახელებული ფაქტორები წარმოადგენენ პასუხისმგებლობის გამამართლებელ ფაქტორებზე გარემოებებს და დამოუკიდებლად და ცალცალკე არ უნდა იქნეს განხილული პასუხისმგებლობის საკმარის საფუძველად. გამჭოლი პასუხისმგებლობა უნდა დაეფუძნოს ალტერ ეგოს თეორიას ან ინსტრუმენტალურ წესს, რომელთა მეშეობითაც შესაძლებელი ხდება კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენების დადასტურება.

1. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის პირველი საფეხური

1.1 ალტერ ეგოს თეორია

პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის გამართლების მიზნით სასამართლოები სხვადასხვა მეტაფორებს მიმართავენ, რომელთაგან უმეტესობა პარტნიორის არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე აკეთებს აქცენტს.⁵³² ხშირად, ფაქტორები, რომლებსაც სასამართლო უთითებს გამჭოლი პასუხისმგებლობის დასაბუთებულობისთვის პირდაპირ გულისხმობს არაკეთილსინდისიერ საქციელს.⁵³³ მაგალითად,

⁵³² მაგ., ხშირად გამოიყენება შემდეგი მეტაფორები: "cloak," "creature," "sham," "shell," and "snare," და სხვ. მეტაფორების ენა იურიდიულ ლიტერატურაში გაკრიტიკებულია, რამდენადაც არ იძლევა არგუმენტაციას, უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს სასამართლოების მიერ პასუხისმგებლობის დაკისრების სისტემური ანალიზი იშვიათია და სასამართლოთა უმეტესობაც, პასუხისმგებლობის, გასამართლებლად აგრძელებს მეტაფორების გამოყენებას, იხ. *Hamilton, The Corporate Entity*, 49 *Texas Law Review*, 979, 1971, 979.

⁵³³ *Design Assoc., Inc. v. Welch*, 224 *Cal. App. 2d* 165, 36 *cal. Rptr.* 341 (1964); კორპორაციის გამოყენება უკანონო ტრანზაქციების განსახორციელებლად წარმოადგენს

ერთ-ერთ შემთხვევაში სასამართლომ არაკეთილსინდისიერ ქმედებად მიიჩნია შემთხვევა, როდესაც არასათანადოდ კაპიტალიზირებული კორპორაციის პარტნიორს შეცდომაში შეჰყავს კონტრაქტი იმ ფაქტის შესახებ, რომ ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს თავად ის და არა კორპორაცია.⁵³⁴ პარტნიორის მოვალეობა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, სამართლებრივად გამართლებულია, რადგანაც შედეგი, რომელსაც ემსახურება პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი, ეფუძნება კეთილსინდისიერ ქცევას. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეზღუდული პასუხისმგებლობის ეკონომიკური უპირატესობა (კორპორაციის კონტროლის ხარჯების შემცირება, ინვესტიციების წახალისება, რისკების დივერსიფიკაცია), რომელიც ამართლებს მის არსებობას, რადგანაც საბოლოო ჯამში, დადებითად ისახება ეკონომიკაზე, ვერ მიიღწევა არაკეთილსინდისიერების პირობებში. არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ზრდის კრედიტორის წაგების რისკის ალბათობას. შესაბამისად, ერთ მხარეზე პარტნიორის ხარჯების შემცირება მეორე მხარეს ზრდის კრედიტორის ხარჯებს. ამ ხარჯების ურთიერთშეფარდება და საბოლოო გავლენა ეკონომიკაზე შესწავლილი არ არის, თუმცა ცალსახაა, რომ „შედეგი“, რაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპით კეთილსინდისიერად სარგებლობით უნდა იქნეს მიღწეული, არ დადგება ამ პრინციპის არაკეთილსინდისიერად გამოყენების პირობებში.

1.2 ინსტრუმენტალურობის წესი

ინსტრუმენტალურობის წესი, ალტერ ეგოს თეორიის ალტერნატივაა და არსებითად იგივე მიზანს ემსახურება. კერძოდ, გამოიყენება პარტნიორის მხრიდან კორპორაციის არამართლზომიერი გამოყენების დასადასტურებლად. სასამართლო იყენებს ინსტრუმენტალურობის წესს, რათა შეაფასოს შემდეგი გარემოებები: ა) პარტნიორის მხრიდან კორპორაციის კონტროლი, რომელიც იმდენად ყოველისმომცველია, რომ გულისხმობს, როგორც ფინანსების, ზოგადი პოლიტიკის და კონკრეტული საქმიანობის კონტროლს, რომელიც გამორიცხავს კორპორაციის განცალკევებულ არსებობას და ნებას. ბ) ყოველისმომცველი კონტროლი გამოიყენება თაღლითობის, უკანონობის ან სხვა სამართალდარღვევის ჩასადენად. გ) კონტროლი და დარღვევა

არაკეთილსინდისიერ ქმედებას, *Arnold v. Browne*, 27 Cal. App. 3d 386, 395, 103 Cal. Rptr. 775, 782 (1972).

⁵³⁴ Cf. *Harris v. Curtis*, 8 Cal. App. 3d 837, 843, 87 Cal. Rptr. 614, 619 (1970) (სასამართლო უარი თქვა კორპორაციული საფარველის გაჭოლვაზე არასათანადო კაპიტალიზაციის ფაქტის მიუხედავად, რადგანაც ჩათვალა რომ მოპასუხეს არ შეუქმნია ცრუ წარმოდგენები კონტრაქტის შესახებ); *Carlesimo v. Schwebel*, 87 Cal. App. 2d 482, 490, 197 P.2d 167, 172 (1948) (სასამართლომ არ დააკმაყოფილა გამჭოლი პასუხისმგებლობის მოთხოვნა, იმ საფუძველზე, რომ მოსარჩელისთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების მეორე მხარე, რომელსაც წარმოადგენდა კორპორაცია და არა კონკრეტული ინდივიდი); თუკი მოპასუხის მხრიდან არ არის სახეზე არაკეთილსინდისიერი ქმედება, მხოლოდ არასათანადო კაპიტალიზაცია არ არის საკმარისი კორპორაციული საფარველის გაჭოლვის სამართლებრივი დასაბუთებულობისთვის. ანალოგიურად, თუკი კორპორაციულ ფორმალბათა დარღვევას არ ახდდა არაკეთილსინდისიერი მიზანი, მაშინ პასუხისმგებლობის საკითხი არ გადაწყდება კრედიტორის სასარგებლოდ. იხ., *Associated Vendors, Inc. v. Oakland Meat Co.*, 210 Cal. App. 2d 825, 26 Cal. Rptr. 806 (1962); *Luis v. Orcutt Town Water Co.*, 204 Cal. App. 2d 433, 22 Cal. Rptr. 389 (1948).

წარმოადგენდა ზიანის გამომწვევ უშუალო ქმედებას.⁵³⁵ ამდენად, ინსტრუმენტალურობის წესის სტანდარტი, გამორიცხავს მხოლოდ კონტროლის, როგორც დამოუკიდებელი გარემოების საკმარისობას.

2. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის მეორე საფეხური: პასუხისმგებლობის ფაქტობრივი წინაპირობები

წინამდებარე ქვეთავი ეხება გამჭოლი პასუხისმგებლობის ფაქტობრივი წინაპირობების სამართლებრივ შეფასებას. განხილულია არასათანადო კაპიტალიზაცია, ქონების ტრანსფერი და აღრევა, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა, ზარალის მომტანი საქმიანობის გათვიცნობიერებულად გაგრძელება, ცრუ წარმოდგენების შექმნა. ამ გარემოების ანალიზის შედეგად, შესაძლებელი ხდება იმის იდენტიფიცირება თუ რომელი გარემოება და რა კუთხით არის რელევანტური გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის.

2.1 არასათანადო კაპიტალიზაცია

არასათანადო კაპიტალიზაცია, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველი, პრობლემურია კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნების კონტექსტში. კერძოდ, კითხვის ნიშანს ბადეს, არასათანადო კაპიტალიზაციის გამო პასუხისმგებლობის დაკისრება, იმ პირობებში, როცა სათანადო კაპიტალიზაცია არ წარმოადგენს კანონმდებლობით პირდაპირ გაწერილ მოვალეობას. მაგალითად, აშშ-ის საკორპორაციო სამართლი არ ითვალისწინებს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორთა ინტერესების დაცვას კორპორაციის ფინანსური კრიზისის შემთხვევაში. ანალოგიური მდგომარეობაა ქართულ კანონმდებლობაშიც - საწესდებო კაპიტალის სარეზერვო და ხელშეუხებელი ხასიათი საქართველოს კანონმდებლობიდან არ იკვეთება. რაც შეეხება ინგლისის კანონმდებლობას, მეორე საკორპორაციო დირექტივის⁵³⁶ იმპლემენტაციის შედეგად დადგენილია კაპიტალის მოთხოვნა ღია ტიპის კორპორაციების მიმართ.⁵³⁷ აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, პრობლემურია სამართლებრივად რამდენად გამართლებულია პარტნიორის პასუხისმგებლობა იმ გარემოების გამო, რომელიც არ წარმოადგენს იმპერატიული ხასიათის ვალდებულებას.

კორპორაციათა არასათანადო კაპიტალიზაცია საკანონმდებლო დონეზე საფრანგეთშიც არ არის რეგულირებული. კაპიტალის სავალდებულო მინიმუმის გარდა არ არსებობს ნორმა, რომელიც დაავალდებულებდა პარტნიორს მოეხდინა გონიერი პროპორციის დაცვა კორპორაციის კაპიტალის ოდენობასა და კორპორაციის სამიზნე საქმიანობის სპეციფიკას შორის.⁵³⁸ აღნიშნულის გამო, მიიჩნევა, რომ არასათანადო კაპიტალიზაცია წარმოადგენს არა იმდენად

⁵³⁵ *Bainbridge*, Abolishing Veil Piercing, 26 Iowa Journal of Corporation Law 479, 2001, 508.

⁵³⁶ Council Directive 77/91/EC, 1977.

⁵³⁷ Company Act 2006, 763-e მუხლის თანახმად, კაპიტალის ოდენობა შეადგენს 50,000 ფუნტს. *Davis*, Principles of Modern Company Law, 8th ed, 2008, 259;

⁵³⁸ მაგ., SA-თვის დადგენილი კაპიტალის ოდენობა შეადგენს 37 000 ევროს, ხოლო აქციათა საჯაროდ ვაჭრობის შემთხვევაში - 225 000.

დამოუკიდებელ კორპორაციულსამართლებრივი ვალდებულების დარღვევას, რამდენადაც არასწორი მენეჯმენტის პირდაპირ შედეგს.⁵³⁹

გერმანულ სამართალში პარტნიორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება იწვევს მის პასუხისმგებლობას, არასათანადო კაპიტალიზაციის კონტექსტში, როდესაც სახეზეა უფლების ბოროტად გამოყენება. უფლების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენს შემთხვევა, როცა კაპიტალი იმდენად მცირეა, რომ კრიზისის შემთხვევაში იგი ვერ შეასრულებს გარანტიის ფუნქციას.⁵⁴⁰

საფრანგეთის მსგავსად, არც გერმანიაში არსებობს სავალდებულო ნორმა, რომელიც განსაზღვრავდა კაპიტალისა და ვალის პროპორციულობას.⁵⁴¹ გერმანული სამართლის მიხედვით, კორპორაციის არასათანადო კაპიტალიზაცია სახეზეა, როდესაც არსებული კაპიტალი არ არის საკმარისი განსახორციელებელი საქმიანობისათვის, დაფინანსების მეთოდების გათვალისწინებით.⁵⁴² ამასთან მიიჩნევა, რომ დაფინანსება არ უნდა მოხდეს საშუალო ან გრძელვადიანი კრედიტების ხარჯზე.⁵⁴³ თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული პოზიციაც გვხვდება. რიგი მეცნიერები არ აღიარებენ არასათანადო კაპიტალიზაციას, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველს. ამ პოზიციის მიმდევრები თვლიან, რომ კრედიტორებს არ სჭირდებათ დაცვა, რადგანაც ისინი ისედაც ფლობენ ინფორმაციას კორპორაციის კაპიტალიზაციის შესახებ.⁵⁴⁴ ამ პოზიციის სასარგებლოდ მოქმედებს არგუმენტი, რომ შეუძლებელია ისეთი ობიექტური კრიტერიუმის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავდა კაპიტალიზაციის სათანადოობას.

განსხვავებულია მიდგომა შპს-თან მიმართებით. კერძოდ, გერმანიაში შპს-ს არასათანადო კაპიტალიზაციისას კრედიტორის სასარგებლოდ პარტნიორის გამჭოლ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მიდგომა შეიცვალა 2007 წლიდან. გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით, კორპორაციიდან ქონების გადინების შემთხვევაში, გამორიცხულია პარტნიორის კორპორაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ თავად კორპორაციისთვის განზრახ ზიანის მიყენების გამო.⁵⁴⁵ სასამართლომ ასევე უარყო მატერიალური არასათანადო კაპიტალიზაციის შემთხვევაში შპს-ს პარტნიორის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე.⁵⁴⁶

⁵³⁹ *Vandekerckrove*, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 235.

⁵⁴⁰ *Vandekerckrove*, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 243.

⁵⁴¹ *Vandekerckrove*, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 243.

⁵⁴² *Vandekerckrove*, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 240.

⁵⁴³ *Presser*, *Piercing the Corporate Veil*, 2011 Ed. 1410.

⁵⁴⁴ *Vandekerckrove*, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 240.

⁵⁴⁵ *Knappke*, *No Liability of Shareholder for Material Undercapitalization of a GmbH*, in: *Newsletter Corporate Law*, 2008, 6.

⁵⁴⁶ აღნიშნულიდან გამომდინარე, კრედიტორის სასარგებლოდ შპს-ს პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა გამართლებულია მხოლოდ განცალკევებულობის პრინციპის დარღვევის შემთხვევაში; *Knappke*, *No Liability of Shareholder for Material Undercapitalization of a GmbH*, in: *Newsletter Corporate Law*, 2008, 6.

2.1.1 არასათანადო კაპიტალიზაცია, როგორც მენეჯერული პასუხისმგებლობა და ჩრდილოვანი დირექტორის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს პოზიცია, რომ კორპორაციაში ფინანსური დეფიციტის არსებობა წარმოადგენს არასწორი მენეჯმენტის შედეგს. აღნიშნულის ჭრილში, შესაძლებელია არასათანადო კაპიტალიზაციის გამო დადგეს კორპორაციის დე-ფაქტო დირექტორის პასუხისმგებლობა. ეს პოზიცია გაზიარებულია საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, რუანის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ არასათანადო კაპიტალიზაციის შედეგად კორპორაციისა და მისი კრედიტორებისათვის მიყენებული ზიანი არასწორი მენეჯმენტის პირდაპირი შედეგი იყო.⁵⁴⁷ ამ საქმეში, კორპორაცას საქმიანობის დაწყებიდან მალევე დაუგროვდა მნიშვნელოვანი ზარალი, რომელიც ოთხჯერ აღემატებოდა მის კაპიტალს. სასამართლომ დაადგინა, რომ გარდა ფორმალური დარღვევებისა, კერძოდ საბუღალტო წიგნების არასწორი წარმოების, კორპორაცია განიცდიდა ქონების მნიშვნელოვან დეფიციტს. აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ კორპორაციის დაფუძნება არასერიოზული კაპიტალით იმთავითვე შეიცავს პრობლემების საფუძველს (*“portant en elle-même le germe des difficultés”*).⁵⁴⁸

არასწორი მენეჯმენტის მიერ გამოწვეული ფინანსური დეფიციტი ასევე შეიძლება გახდეს ჩრდილოვანი დირექტორის პასუხისმგებლობის საფუძველი.⁵⁴⁹ ლიტერატურაში არ არის განხილული ფიზიკური პირი პარტნიორის ჩრდილოვან ხელმძღვანელად კვალიფიკაციის შესაძლებლობა. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ჩრდილოვანი ხელმძღვანელის მთავარი მახასიათებელია კონტროლის გამოყენება, და ასევე ისიც, რომ რთული სტრუქტურული აგებულების მიუხედავად, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა კომპანიათა ჯგუფის ფარგლებში იგივე მიზანს ემსახურება, როგორც ფიზიკური პირი პარტნიორის შემთხვევაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ფიზიკური პირი პარტნიორი ისევე შეიძლება იყოს მიჩნეული ჩრდილოვან დირექტორად, როგორც კორპორაციათა ჯგუფის შემთხვევაში დედა კომპანია.

მენეჯერულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია. კიდევ ერთი შემთხვევა. კერძოდ, პარტნიორის მიერ კორპორაციისთვის გადაცემული აქტივების უკან დაბრუნების მოთხოვნა, იმ პირობებში, როცა დაბრუნება საფრთხეს უქმნის გადახდის უზუნარიანობას. სასამართლოები დედა კომპანიის მიერ შვილობილისთვის გადაცემული აქტივების უკან დაბრუნების მოთხოვნა, ასევე წარმოადგენს მენეჯერული პასუხისმგებლობის საფუძველს, თუ აღნიშნული ქმედება ზიანს აყენებს კომპანიის სხვა კრედიტორებს.⁵⁵⁰

⁵⁴⁷Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 234.

⁵⁴⁸Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 234. ასევე კაპიტალის სერიოზულობაზე იხ. ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, 121.

⁵⁴⁹Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 235.

⁵⁵⁰Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 235. ix.

2.1.2 პასუხისმგებლობა არასათანადო კაპიტალიზაციისათვის დელიქტური სამართლის საფუძველზე

იურიდიულ ლიტერატურაში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე პარაგრაფი მიიჩნევა მატერიალური არასათანადო კაპიტალიზაციისათვის პასუხისმგებლობის საფუძველად.⁵⁵¹ 826-ე პარაგრაფის თანახმად: პირი, რომელიც ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ განზრახ აყენებს ზიანს სხვა ადამიანს ვალდებულია აუნაზღაუროს მას ამით მიყენებული ზიანი.⁵⁵²

აღნიშნული პარაგრაფი აწესებს პასუხისმგებლობას დელიქტური ზიანისათვის, რომელიც დადგა განზრახ, ზნეობის/მორალის ნორმების დარღვევის შედეგად. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მითითება მორალის ნორმების დარღვევაზე გულისხმობს ქმედებას, რომელიც არღვევს ეკონომიკურ ან სამართლებრივ წესრიგს.⁵⁵³

აღნიშნულის გარდა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, ისეთი ქმედებისათვის, რომელიც არღვევს სხვა პირის ინტერესების დაცვისკენ მიმართულ კანონს.

დელიქტური პასუხისმგებლობისათვის მორალის ნორმების დარღვევა არ არის საკმარისი. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს განზრახვის არსებობაც. თუმცა განზრახვა ამ კატეგორიის საქმეებში არ გამოიყენება კლასიკური გაგებით. სასამართლომ შეიძლება შეამცრიოს ამ გარემოების მტკიცების ტვირთი ობიექტური ფაქტების მითითებების ხარჯზე. სასამართლო ასევე საკმარის მტკიცებულებად იღებს ე.წ. პირობითი განზრახვის (*dolus eventualis*) დამადასტურებელ მტკიცებულებასაც, რა დროსაც პასუხისმგებლობა დგება, როდესაც მოსარჩელე ამტკიცებს რომ დედა კომპანიამ გაცნობიერებულად დაუშვა რისკი, რომ მესამე პირს (კრედიტორს) მიაღებოდა ზიანი. სხვა გარემოებები, რომლებიც მიიღება მხედველობაში 832-ე პარაგრაფის გამოყენებისათვის, არის კორპორაციის დამოუკიდებულობის ხარისხი და მოქმედებდა თუ არა პარტნიორი საკუთარ ინტერესებში.

თუკი დელიქტური მოთხოვნა დაკმაყოფილდა, კრედიტორის წინაშე ყველა პარტნიორი სოლიდარულად აგებს პასუხს. თუმცა შიდასამართლებრივ ურთიერთობაში შესაძლებელია ვალდებულების გადანაწილება კორპორაციაში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად. შიდასამართლებრივ ურთიერთობაში შესაძლებელია, რომ პასუხისმგებლობის გადანაწილება დამოკიდებული იყოს ურთიერთშეთანხმებაზე და არა წილობრივ მონაწილეობაზე.

სასამართლო პრაქტიკის თანახმად, კორპორაციის კაპიტალსა და სამიზნე საქმიანობას შორის აშკარა შეუსაბამობა არღვევს მორალის ნორმებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე ან 823-ე პარაგრაფის მეორე ნაწილის მიზნებისათვის.

⁵⁵¹ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 141.

⁵⁵² კროპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014, 649.

⁵⁵³ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 141.

დელიქტური ნორმის საფუძველზე მოთხოვნის უფლება ეკუთვნის პირს, რომელსაც უშუალოდ მიაღება ზიანი. პასუხისმგებლობა გაკოტრების საქმის წარმოების დროს მოთხოვნის უფლება უნდა განხორციელდეს ადმინისტრატორის ან ინდივიდუალური კრედიტორის მიერ, იმის მიხედვით სახეზეა კოლექტიური თუ ინდივიდუალური ზიანი.

საფრანგეთში დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, პირის ნებისმიერი ქმედება, რომელმაც გამოიწვია ზიანი, წარმოშობს ამ პირის ვალდებულებას აანაზღაუროს ეს ზიანი.⁵⁵⁴

საქმეში *Enterprise Jean Lefebvre v. Planson*⁵⁵⁵ ექს-ან პროვანსის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა დედა კომპანიის პასუხისმგებლობა შემდეგ შემთხვევაში: არასათანადო კაპიტალიზაციის გარდა, დედა კომპანიის წინააღმდეგ მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული ის, რომ იგი შვილობილ კომპანიას აძლევდა საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როცა საქმიანობას არ მოჰქონდა მოგება და შესაბამისად, ხდებოდა მხოლოდ პასივების აკუმულირება. აღნიშნულ საქმეში, კომპანია ლეფებრემ დაარსდა შპს-ს, ქვეკონტრაქტების შესასრულებლად. მინიმალური კანონისმიერი კაპიტალის მოთხოვნა იყო დაცული, თუმცა კომპანიას არ გააჩნდა სხვა ქონება. ამასთან მას არ გააჩნდა დამოუკიდებელი საქმიანობის უნარი და როგორც სასამართლომ აღნიშნა, არც ნამდვილი პიროვნულობა. საზოგადოების თვალში იგი წარმოადგენდა მშობელი კომპანიის ემანაციას. საქმიანობის ორი წლის თავზე კომპანია გამოცხადდა გაკოტრებულად. კრედიტორი ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას დელიქტური ნორმების საფუძველზე. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, ის რომ კომპანია ლეფებრემ თავიდანვე იცოდა, რომ შვილობილი იყო უუნარო დაეკმაყოფილებინა კრედიტორები. იგი თავად ახდენდა შვილობილის მიმწოდებლებთან ანაზღაურებას. ამგავრად, შვილობილმა დააგროვა დიდი ვალდებულება, რომლის შესრულებაც მას არ შეეძლო. კორპორაცია ლეფებრემ გაიგო რა ვალის ოდენობის შესახებ, უარი თქვა ჩარევაზე, რითაც შვილობილი კომპანია აიძულა დაეწყო გაკოტრების წარმოება. სასამართლოს პოზიციით, დედა კომპანიამ უნდა მიიღოს საჭირო ზომები, რათა დაიცვას შვილობილის კრედიტორები. კერძოდ, ამ შემთხვევაში დედა კომპანიას უნდა გაეკონტროლებინა, რომ შვილობილ კომპანიას არ დაგროვებოდა ვალდებულების ისეთი მოცულობა, რომლის დაფარვის შესაძლებლობა არ ჰქონდა, ან თავად უნდა დაეფარა ეს ვალდებულებები. ამ მოვალეობის შეუსრულებლობით კომპანია ლეფებრემ განახორციელა დელიქტი შვილობილი კომპანიის კრედიტორების წინააღმდეგ. შედეგად, დედა კომპანიას დაეკისრა შვილობილის შეუსრულებელი ვალდებულების გადახდა.⁵⁵⁶

⁵⁵⁴ ორიგინალში: “Tout fait quelconque de l'homme, qui cause à autrui un dommage, oblige celui par la faute duquel il est arrivé à le réparer”, Code Civil Version consolidée au 19 août 2015.

⁵⁵⁵ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 137.

⁵⁵⁶ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, 2007, 137-138 ეს საქმე სასამართლომ განიხილა გაკოტრების შესახებ ახალი სტატუტის მიღებამდე. იმის გათვალისწინებით, რომ სტატუტის მიღების შემდეგ საფრანგეთის უზენაესმა სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ გაკოტრების შესახებ კანონის 180-ე მუხლი და საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლები ურთიერთგამომრიცხავი ნორმებია, მსგავსი ქეისები წყდება უკვე არა დელიქტური ნორმების მიხედვით, არამედ გაკოტრების შესახებ კანონის 180-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ამჟამად მოქცეულია სავაჭრო

როგორც საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლიდან გამომდინარეობს, დელიქტური ნორმის საფუძველზე მოთხოვნის უფლება გააჩნია პირს, ვისაც უშუალოდ მიაღვა ზიანი პარტნიორის ქმედების შედეგად. გაკოტრების სამართლის ზოგადი წესის თანახმად კი, გაკოტრების საქმის ადმინისტრატორს გააჩნია ექსკლუზიური უფლებამოსილება აღძრას კოლექტიური სარჩელი ყველა კრედიტორის სასარგებლოდ, თუმცა ამავდროულად, ინდივიდუალურ კრედიტორებს რჩებათ უფლება პერსონალურად აღძრან სარჩელი თუ მათ პირადად მიაღვათ ზიანი.⁵⁵⁷

2.1.3 პარტნიორი, როგორც კრედიტორი, კორპორაციის ფინანსური სტაბილურობის ჭრილში

კორპორაციის ფინანსური სტაბილურობისთვის საფრთხის შექმნა, პარტნიორის მიერ საკუთარი ინვეტრესებისათვის უპირატესობის მინიჭებისას, განიხილება მისი მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებად.⁵⁵⁸ ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნების, როგორც პარტნიორის ერთ-ერთ მოვალეობის ჭრილში, საინტერესოა, თუ როგორ უნდა შეფასდეს პარტნიორის ქმედება, როდესაც პარტნიორი, კორპორაციის კრედიტორის სტატუსით ახორციელებს კორპორაციის სტაბილურობისთვის საფრთხის შექმნელ ქმედებას.

აქს ენ პროვანსის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დაადგინა, რომ პარტნიორის ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმის კორპორაციის ფინანსურ სტაბილურობას, რა მოტივითაც არ უნდა იყოს განპირობებული, წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.⁵⁵⁹ ამ საქმეში კორპორაციის კაპიტალი შეადგენდა 100 000 ფრანკს, ხოლო აქციონერთა მიერ კორპორაციისთვის გაცემული კრედიტი კი - 283.000 ფრანკს. ერთ-ერთი აქციონერი კორპორაციისგან ითხოვდა სესხის დაბრუნებას. მიუხედავად იმისა, რომ კორპორაცია ვერ ასრულებდა მოთხოვნას ამ პარტნიორის წინაშე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა გაკოტრების წარმოების დაწყების მოთხოვნა, იმ საფუძველით, რომ კომპანია აგრძელებდა სხვა ვალების გადახდას. სასამართლომ კომპანიას ვალდებულების შესასრულებლად განუსაზღვრა საშეღავათო გონივრული პერიოდი საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1244-ე მუხლის შესაბამისად.⁵⁶⁰ აქციონერს, როგორც კრედიტორს აქვს უფლება განახორციელოს მოთხოვნა კომპანიის წინააღმდეგ, თუმცა არ არსებობს ნორმა, რომელიც აქციონერს მიენიჭებდა სხვა კრედიტორებისგან განსხვავებით რაიმე უპირატესობას. პირიქით, აქციონერის მოულოდნელი მოთხოვნა სესხის სრულად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ დაფარვის

კოდექსის L624-5 მუხლებში; Code Civil, Art 1382: <http://www.legifrance.gouv.fr/affichCodeArticle.do?idArticle=LEGIARTI000006438819&cidTexte=LEGITEXT000006070721> შეად., Code de Commerce, Art. L624-5: <http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000005634379>

⁵⁵⁷ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 138.

⁵⁵⁸ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 139.

⁵⁵⁹ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 139.

⁵⁶⁰ <http://www.legifrance.gouv.fr/affichCodeArticle.do?idArticle=LEGIARTI000006438819&cidTexte=LEGITEXT000006070721> (Code Civil Art. 1244)

შესახებ შეიძლება გახდეს აქციონერის პასუხისმგებლობის წინაპირობა, უფლების ბოროტად გამოყენების საფუძველით.⁵⁶¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 627-ე მუხლის თანახმად, გამსესხებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალის დაუყოვნებლივ დაბრუნება, თუკი მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა მკვეთრად უარესდება, რითაც საფრთხე ექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას.⁵⁶² ცალსახაა, რომ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში აქციონერს, რომელიც ამავედროულად წარმოადგენს კრედიტორს, არ უნდა მიენიჭოს რაიმე უპირატესობა. თუმცა ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იგი სარგებლობს კრედიტორისათვის მინიჭებული უფლებებით სრულად, იმ პირობებში, როცა აქციონერ-კრედიტორისათვის ინფორმაცია კორპორაციის ფინანსურ მდგომარეობაზე უფრო ადვილი ხელმისაწვდომია, ვიდრე გარე კრედიტორისათვის. აღნიშნული რეალობა, ანუ პარტნიორის მდგომარეობა, თავისთავად ისედაც ქმნის აქციონერ-კრედიტორის უპირატესობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა იქნეს თუ არა აქციონერისა და კორპორაციის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა განხილული კორპორაციულსამართლებრივი ურთიერთობისგან იზოლირებულად. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა რიგი გარემოებების გათვალისწინება. უნდა შეფასდეს აქციონერი-კრედიტორის კორპორაციაზე კონტროლის ხარისხი, სესხის მიზანი და პირობები, კორპორაციისა და თავად აქციონერის ფინანსური მდგომარეობა, აქციონერის შესატანი და ამ შესატანის ეფექტი ნომინალური კაპიტალის ფირმირებაზე. ასევე უნდა დადგინდეს ნომინალური კაპიტალის მიმართება, კონკრეტული სამეწარმეო საქმიანობის რისკების მხედველობაში მიღებით, ადეკვატურ კაპიტალთან, და ბოლოს, აქციონერის ფინანსური ინტერესი კორპორაციის მოგებაში. აქციონერის პასუხისმგებლობას უფლების ბოროტად გამოყენებისათვის, სამართლებრივად გამართლებული იქნება, თუკი სახეზე იქნება შემდეგი გარემოებები: აქციონერი კორპორაციაზე ახორციელებდა მნიშვნელოვან კონტროლს, სესხის მიზანი და პირობები აქციონერის ინტერესებს ემსახურებოდა, აქციონერს არ ჰქონდა განხორციელებული შესატანი, ან მის მიერ განხორციელებული შესატანი ფორმით ანდა მოცულობით აშკარა შეუსაბამოსაბაში იყო იმ სარგებელსა თუ უფლებრივ მდგომარეობასთან, რომელსაც აქციონერი-კრედიტორი იღებდა კორპორაციისგან; აქციონერი, კორპორაციის არასათანადო კაპიტალიზაციისა და ფინანსური დეფიციტის მიუხედავად, იღებდა სარგებელს კორპორაციისგან. დასახელებული გარემოებების თანხვედრა არაა სავალდებულო. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორმა სესხის გაცემით გზით მოახდინა კორპორაციის კაპიტალიზაცია, და სხვა რეალური კონტრიბუცია არ განუხორციელებელია, მაშინ სესხის უკან დაბრუნება, განხილულ უნდა იქნეს უფლების ბოროტად გამოყენებად. ამდენად, რომ შევაჯამოთ, აქციონერ-კრედიტორისა და კორპორაციის ის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კორპორაციის სხვა კრედიტორებზე, განხილული

⁵⁶¹ *Vandekerckrove*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 140.

⁵⁶² “გამსესხებელს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება, თუ მსესხებლის მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე ექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას;” სსკ-ის 627-ე მუხლი.

უნდა იქნეს კორპორაციულსამართლებრივ ურთიერთობის ხასიათთან კომბინაციაში.

ფრანგულ სამართალში უფლების ან კორპორაციის პიროვნულობის ბოროტად გამოყენება უკავშირდება გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინას. ზოგადად, უფლების ბოროტად გამოყენება სახეზეა, როდესაც კორპორაცია იქმნება იმ მიზნით, რომ ჩრდილში მოექცეს პირი, რომელიც მოქმედებს კორპორაციის მიღმა. კორპორაციას არ გააჩნია ჭეშმარიტი პიროვნულობა, და გამოიყენება მხოლოდ იმისთვის რომ კორპორაციული საფარველის მიღმა მოქმედმა პირმა (*“maître de l’affaire”*) განახორციელოს ქმედებები.⁵⁶³ თუმცა, კორპორაციის პიროვნულობის ბოროტად გამოყენება თავის თავად არ იწვევს აქციონერის პასუხისმგებლობას. როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია განხილული, პასუხისმგებლობა ამ საფუძველით დგება. პარტნიორის მხრიდან თადლითობისას. თუმცა ესეთ დროს შეიძლება არც იყოს სახეზე ფიქტიური საზოგადოების ნიშნები და ქონებათა აღრევის ფაქტი.⁵⁶⁴

2.2 ქონების ტრანსფერი და აღრევა

ქონებათა ტრანსფერი შეიძლება განხორციელდეს ორ ფორმით: პირდაპირ და არაპირდაპირი გზით.⁵⁶⁵

კორპორაციის გადახდისუუნარობის დადგომამდე პარტნიორს შეუძლია, დაიწყოს კორპორაციიდან ქონების გადინება. მაგალითად, ფულადი სახსრების გახარჯვა მოახდინოს ხელფასის ან ნებისმიერი სახის ანაზღაურების, როგორცაა სხვადასხვა ხელშეკრულებების საფუძველზე გადასახდელი თანხების, საიჯარო ქირის, მომსახურების ანაზღაურების ფორმით. ქონების გადინება შესაძლებელია მოხდეს კორპორაციის მიერ პარტნიორისთვის სესხის გაცემითაც. კორპორაციულ ჯგუფებს შორის ქონების ტრანსფერი შესაძლებელია უფრო მარტივად განხორციელდეს ვიდრე სხვა შემთხვევებში, რადგანაც კორპორაციული ჯგუფები, როგორც წესი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი არამხოლოდ კორპორაციული მოწყობის, არამედ ფინანსური კუთხით, და ხშირად, ლიკვიდური ქონება თავისუფლად გადაადგილდება კორპორაციულ ჯგუფს შორის. ამდენად, ქონებათა ტრანსფერი, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის შესაძლო საფუძველი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს კორპორაციული ჯგუფებში. ამასთან ცალკეული წევრები შეიძლება გამოყენებულ იქნენ მთლიანი ჯგუფის ფინანსური ვალდებულების უზრუნველსაყოფად.⁵⁶⁶

2.2.1 ქონების არაპირდაპირი ტრანსფერი

ქონების არაპირდაპირი ტრანსფერი შესაძლებელია მოხდეს მომგებიანი კომერციული შესაძლებლობების ცალკეულ წევრებს შორის

⁵⁶³ *Presser, Piercing the Corporate Veil*, 2011 ed., 1398.

⁵⁶⁴ *Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 139.

⁵⁶⁵ *Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 178.

⁵⁶⁶ *Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 178.

გადანაწილებითა და შესაბამისად, კორპორაციულ ჯგუფში შემავალი გარკვეული ჯგუფების ბიზნესს შესაძლებლობის გარეშე დატოვებით.⁵⁶⁷ არაპირდაპირ ტრანსფერს ადგილი აქვს, როდესაც კორპორაციული ჯგუფი იწვებს ახალი და რისკის შემცველ საქმიანობას ხოლო საქმიანობასთან დაკავშირებულ შესწავლითი და თუ სხვა ხარჯები გადახდება ჯგუფის კონკრეტულ წევრს. ასევე შესაძლებელია ცალკეული წევრის პროდუქციის წარმოების შემცირება ან შეწყვეტა, რათა მოხდეს სხვა წევრის ან წევრების წარმოების მოცულობის სრული გამოყენება ან რეალიზაცია. კორპორაციული ჯგუფის ფარგლებში ერთი კომპანიის კუთვნილი ნოუ-ჰაუს გაგრძელება სხვა წევრებში მაღალ ფასად. ზოგადად, შესაძლებელია არაპირდაპირი ტრანსფერი მოხდეს კორპორაციული ჯგუფის ცალკეული წევრის მიერ ისეთი ხელშეკრულების დადებით, რომლის პირობები კონკრეტულად მისთვის არ არის ხელსაყრელი, თუმცა სარგებლის მომტანი იქნება სხვა წევრებისთვის. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ არაპირდაპირი ტრანსფერის დროს, როგორც წესი არ არის სახეზე უშუალოდ შვილობილი კომპანიის კრედიტორებისთვის ზიანი მიყენების განზრახვა. თუმცა ზიანის რისკი ცხადია.⁵⁶⁸ ამ გარემოებასთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად გამჭოლი პასუხისმგებლობის კონტექსტში კრედიტორისათვის ზიანის მიყენების განზრახვა არ უნდა იქნეს გაგებულ პირდაპირ. გამჭოლი პასუხისმგებლობის დროს, ყურადღება უნდა მიექცეს არა იმას, რომ პარტნიორი მოქმედებდა მხოლოდ და მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ზიანი მიეყენებინა კრედიტორებისათვის, არამედ იმას, რომ პარტნიორი პირადი სარგებლის მიღების მიზნით უშვებდა, რომ კორპორაციის კრედიტორებს მიადგებოდათ ზიანი და გაცნობიერებულად აკისრებდა კორპორაციას გადახდისუნარიობის რისკს. პარტნიორის ესეთი დამოკიდებულება ამართლებს გამჭოლ პასუხისმგებლობას, როგორც კრედიტორის დაცვის სამართლებრივ მექანიზმს, რადგანაც, პარტნიორის კორპორაციული საფარველის გაჭოლვა უნდა მოხდეს სწორედ იმის გამო, რომ მან არამართლზომიერად დააკისრა კორპორაციას ის რისკი, რომელიც მას, როგორც ქმედების განმახორციელებელს, თავად უნდა ეკისრა.

იურიდიულ ლიტერატურაში განხილული ქონების არაპირდაპირი ტრანსფერი მაგალითების განზოგადების შედეგად, შესაძლებელი ხდება ამ ქმედების არსის განსაზღვრა. არაპირდაპირი ტრანსფერი გულისხმობს სარგებლის იმგვარი ფორმით მიღებას, რომელიც არ არის გამოხატული უშუალოდ კონკრეტული ქონების გადაცემით, თუმცა მის შედეგად, ცალკეულ პარტნიორი ან კორპორაციული ჯგუფის წევრი იღებს ქონებრივ სარგებელს სხვა წევრის, ან თავად კორპორაციის ზარალის ხარჯზე.⁵⁶⁹

⁵⁶⁷ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 179.

⁵⁶⁸ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 178.

⁵⁶⁹ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 179.

2.2.1.1 კორპორაციული შესაძლებლობების დოქტრინის გამოყენება ქონების არაპირდაპირი ტრანსფერის დადგენის დროს

კორპორაციული შესაძლებლობების დოქტრინა იცავს კორპორაციას მისი ხელმძღვანელის მხრიდან მომგებიანი კომერციული შანსის მისაკუთრებისგან. დოქტრინის რამდენიმე მოდიფიკაცია არსებობს, თუმცა ყველა მათგანი ფოკუსირებულია იმ ძირითადი გარემოების დადგენაზე, რომლის შედეგად პასუხის გაეცემა მთავარ კითხვას: ჰქონდა თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი კომერციული შანსის მისაკუთრებას. მართალია, კორპორაციული შესაძლებლობების დოქტრინა, გამოიყენება დირექტორების მიმართ, თუმცა პარტნიორის მხრიდან კომერციული შანსების მისაკუთრების შემთხვევაში, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს პარტნიორის მიმართაც მხოლოდ და მხოლოდ ამ გარემოების სამართლებრივი შეფასების მიზნით.

კომერციული შესაძლებლობების დოქტრინის თანამედროვე მოდელს წარმოადგენს ამერიკის სამართლის ინსტიტუტის (ALI) მიერ მეოცე საუკუნის ბოლოს განხორციელებული კოდიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს დოქტრინის კლასიკური მოდელი, გუთსი კორპორაცია ლოფტის წინააღმდეგ საქმეზე გამოყენებული „საქმიანობის სფეროს“ ტესტის სახით.⁵⁷⁰ აღნიშნული ტესტი შედგება ხუთი კომპონენტისგან, რომელიც ცნობილია „საქმიანობის სფეროს“ ტესტის (“line of business” test) სახელით. ტესტის მიხედვით, კორპორაციული შესაძლებლობა არის ისეთი შესაძლებლობა: 1. რომლის გამოყენებაც კორპორაციას ფინანსურად ხელეწიფება; 2. თავისი ბუნებით კორპორაციის საქმიანობის სფეროში ექცევა; 3. შესაძლებელია პრაქტიკული უპირატესობა (მოგება) მოუტანოს კორპორაციას; 4. რომლის მიმართაც კორპორაციას გააჩნია ინტერესი და გონივრული მოლოდინი; და 5. რომლის მითვისებითაც დირექტორის პირადი ინტერესი წინააღმდეგობაში მოექცევა კორპორაციის საუკეთესო ინტერესებთან.⁵⁷¹

ALI-ის დოქტრინამ, თავის მხრივ, მოახდინა ახალი კომპონენტის დამატება, ეს კომპონენტი ინფორმაციის გამჟღავნების მოვალეობა. კერძოდ: კომერციული შესაძლებლობის მისაკუთრება არ იქნება სახეზე თუ დადასტურდა სამი გარემოება: პირველი, ხელმძღვანელი კომერციულ შესაძლებლობას ჯერ შესთავაზებს კორპორაციას და გაუმჟღავნებს მას ინფორმაციას ინტერესთა კონფლიქტის შესახებ; მეორე, კორპორაცია უარს იტყვის შესაძლებლობაზე; მესამე, კორპორაციის უარი, თავის მხრივ, დააკმაყოფილებს სამ მოთხოვნას: 1. უარი სამართლიანია კორპორაციისათვის; 2. გადაწყვეტილება უარის შესახებ მიღებულ იქნა არადაინტერესებული (ობიექტური) დირექტორების მიერ, სრული

⁵⁷⁰ Guth v Loft Inc 5 A2d 503 (Del Ch 1939). ტესტის მიხედვით, კორპორაციული შესაძლებლობა არის ისეთი შესაძლებლობა: 1. რომლის გამოყენებაც კორპორაციას ფინანსურად ხელეწიფება; 2. თავისი ბუნებით კორპორაციის საქმიანობის სფეროში ექცევა; 3. შესაძლებელია პრაქტიკული უპირატესობა (მოგება) მოუტანოს კორპორაციას; 4. რომლის მიმართაც კორპორაციას აქვს ინტერესი და გონივრული მოლოდინი; და 5. რომლის მითვისებითაც დირექტორის პირადი ინტერესი წინააღმდეგობაში მოექცევა კორპორაციის საუკეთესო ინტერესებთან, იხ. *ხუბიტაშვილი*, კორპორაციული შესაძლებლობების დოქტრინა ამერიკულ და ქართულ სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2013, 46. ასევე, *Talley, Turning Servile Opportunities to Gold: A Strategic Analysis of the Corporate Opportunities Doctrine*, 108 Yale Law Journal 279, 1998, 297.

⁵⁷¹ *Davis, Corporate Opportunity and Comparative Advantage*, 84 Iowa L. Rev. 211, 1999, 237.

ინფორმაციის გაცნობის საფუძველზე (ან აღმასრულებელი მენეჯერის შემთხვევაში სამეწარმეო განსჯის წესის სტანდარტების დაცვით); 3. თავის მხრივ, დირექტორის უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება უარის შესახებ მინიჭებული აქვს არადაინტერესებული აქციონერების მიერ ან შემდეგ მოწონებულია მათ მიერ.⁵⁷²

აღნიშნული ტესტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კორპორაციულ ჯგუფში კომერციული შანსის მისაკუთრების, როგორც ქონების არაპირდაპირი ტრანსფერის შემთხვევების, შეფასების სტანდარტი. თუკი კორპორაციულ ჯგუფში კომერციული შანსის მისაკუთრება არ დააკმაყოფილებს ზემოთდასახელებულ პირობებს და ამასთან დადასტურდება ცალკეული წევრისთვის ქონებრივი ზიანის მიყენების ხარჯზე სხვა წევრების მიერ სარგებლის მიღება, დაზარალებული წევრის გადახდისუნარიობის შემთხვევაში, მისი კრედიტორების სასარგებლოდ უნდა დადგეს კორპორაციული ჯგუფის იმ წევრების პასუხისმგებლობა, რომელთაც მიიღეს სარგებელი გადახდისუნარიობამდე მიყვანის ხარჯზე. ამ პროცესში კორპორაციული შესაძლებლობების დოქტრინა, ზიანის მომტანი ქმედების შესაფასების მიზნით ითამაშებს გადამწყვეტ როლს. მართალია, დოქტრინა შემუშავებულ იქნა და სტანდარტულ პირობებში, მოქმედებს არაკეთილსინდისიერი დირექტორებისგან კორპორაციის დასაცავად, თუმცა საერთო ჯამში, იგი იმავე მიზანს ემსახურება, რაც კორპორაციულ ჯგუფის ფარგლებში ცალკეული წევრების და მასთან დაკავშირებული მესამე პირების - მათი კრედიტორების დაცვაც.

2.2.2 ქონების ტრანსფერი კორპორაციულ ჯგუფებს შორის და “Rozenblum”-ის დოქტრინა

კორპორაციულ ჯგუფებს შორის ქონების ტრანსფერის შეფასების სტანდარტი განსხვავებულია იურისდიქციების მიხედვით.

საფრანგეთში კორპორაციული ჯგუფის ფარგლებში ქონების ტრანსფერის მართლზომიერების შეფასების კრიტერიუმი გამომდინარეობს საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს მიერ როზენბლუმის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებიდან.⁵⁷³ მიუხედავად იმისა, რომ როზენბლუმის საქმეზე დადგა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი ფართოდ გავრცელდა საფრანგეთის საკორპორაციო სამართალში. აღნიშნულ საქმეში როზენბლუმი და ალუჩი იყვნენ სხვადასხვა კორპორაციების დე-ფაქტო დირექტორები. აღნიშნული კორპორაციები საქმიანობდნენ ისეთ სფეროებში, როგორცაა მშენებლობა, უძრავი ქონება, ტურიზმი, და ა.შ. სამშენებლო და უძრავი ქონების სფეროში მოქმედი კორპორაციები, მათ მიერ აღებული კრედიტის ხარჯზე დანარჩენ კომპანიებს უზრუნველყოფდნენ ფულადი სახრებით, სესხის, ავანსის და გარანტიების

⁵⁷² American Law Institute (ALI), Principles of Corporate Governance §5.05, 1994, § 5.05(a)(1-2).

⁵⁷³ *Herting, Kanda*, Creditor Protection, in: *The Anatomy of Corporate Law, A Comparative and Functional Approach*, 2004, 86; *Prokopenieva*, Parent Company Liability in Case of Subsidiary Insolvency - Time to Rethink Liability of Corporate Shareholders? College of Europe, 2004, 34; როზენბლუმის დოქტრინა აისახა ევროპის მოდელური კომპანიების აქტის მე-16 თავშიც, რომლითაც დარეგულირებულია კორპორაციული ჯგუფები; *European Model Company Act*, Chapter 6, Corporate Groups, 2013, 6.

გადაცემის გზით. როზენბლუმის ჯგუფის წინააღმდეგ საქმე მიმდინარეობდა კორპორაციული ქონების არამართხომიერი განკარგვის საფუძველზე. როზენბლუმის ჯგუფი, თავის მხრივ, უთითებდა რომ სადავო ტრანზაქციები გამართლებული იყო, რამდენაც კორპორაციული ჯგუფი წარმოადგენდა ფინანსურ და ეკონომიკურ ერთიანობას. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო ნამდვილი „ჭეშმარიტი“ კორპორაციული ჯგუფი, რამდენაც არ არსებობდა ლოგიკური კავშირი იმ კომერციულ აქტივობებს შორის, რომლებსაც ახორციელებდა კორპორაციულ ჯგუფში შემავალი ცალკეული კომპანიები. ამასთან არ არსებობდა კორპორაციული ჯგუფისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი სტრუქტურა. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა სამ კომპონენტიანი ტესტი, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, ცალკეული შვილობილების ინდივიდუალური ინტერესი შეიძლება გადაწონოს ჯგუფის საერთო ინტერესებმა. აღნიშნული ტესტის თანახმად: 1. სახეზე უნდა იყოს სტრუქტურულად ჩამოყალიბებული კორპორაციული ჯგუფი. 2. ქმედებები უნდა ხორციელდებოდეს ჯგუფის საერთო ინტერესში და შესაბამისად, შესაბამისობაში უნდა იყოს საერთო პოლიტიკასთან 3. შენარჩუნებულ უნდა იქნეს ფინანსური ბალანსი ჯგუფში შემავალ კომპანიებს შორის მაგალითად, იმ შვილობილის სასარგებლოდ, რომელსაც მიაღვა ზიანი საერთო ინტერესში შემავალი ქმედების განხორციელების მიმართ, გაცემულ უნდა იქნეს კომპენსაცია.⁵⁷⁴

ამდენად, როზენბლუმის საქმეზე შემუშავებული კრიტერიუმი, რომელმაც შეიძლება მოახდინოს კორპორაციული ჯგუფის ფარგლებში ქონების ტრანსფერის გამართლება, გულისხმობს ჯგუფის საერთო პოლიტიკასა და ინტერესის არსებობას. საერთო ინტერესი გულისხმობს ჯგუფის გლობალური სარგებლის უპირატესობას კონკრეტული წევრების დამოუკიდებელი სარგებლის მიმართ. კერძოდ, საფრანგეთის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, საერთო ინტერესის არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნება კორპორაციული ჯგუფის ფარგლებში ცალკეული წევრებისათვის უპირატესობის მინიჭების გამართლება.⁵⁷⁵

საფრანგეთის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავს შემხვევებში კრედიტორებს არ აქვთ ინდივიდუალური სარჩელის აღძვრის უფლება, რადგანაც უშუალო ზიანი ადგება არა კრედიტორს, არამედ კორპორაციული ჯგუფის ცალკეულ კომპანიებს. შესაბამისად, სამოქალაქო სარჩელის უფლება ეკუთვნის დაზარალებულ კორპორაციებს. თუმცა, კომენტატორები არ იზიარებენ სასამართლოს მიდგომას.⁵⁷⁶ მსგავს შემთხვევებში აუცილებელია კრედიტორებისთვისაც არსებობდეს მოთხოვნის დაკმაყოფილების მექანიზმი. პირველ რიგში, ასეთ შემთხვევაში ისევე არის შესაძლებელი კრედიტორისთვის ზიანის მიყენების დადასტურება, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის სხვა კლასიკურ შემთხვევებში. თუკი კორპორაციული ჯგუფის ფარგლებში მაკონტროლებელი კომპანია სარგებლის მიღების ხარჯზე ზიანს აყენებს სხვა კომპანიებს და დგება ამ კომპანიების ფაქტობრივი გადახდის უუნარობა, სახეზეა გამჭოლი პასუხისმგებლობის კლასიკური

⁵⁷⁴ Prokopiaeva, Parent Company Liability in Case of Subsidiary Insolvency - Time to Rethink Liability of Corporate Shareholders? College of Europe, 2004, 34;

⁵⁷⁵ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 227.

⁵⁷⁶ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 227.

ფორმულა. შესაბამისად, აღნიშნული კავშირურთიერთობა უნდა განაპირობებდეს დაზარალებული კომპანიის კრედიტორების მოთხოვნის უფლებას.

კომენტატორების მოსაზრებით, როზენბლუმის დოქტრინის მიდგომა ეფუძნება გონივრულ მიდგომას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ კორპორაციულ ჯგუფებს შორის ტრანზაქციების არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ორი მარტივი გარემოება: 1. თუ ტრანზაქციის შედეგად ხდება უპირატესობის მინიჭება, სახეზე უნდა იყოს სანაცვლო შესრულება; 2. თუ ხდება კომპანიის კრედიტით უზრუნველყოფა, გამცემი მხარე უნდა დარწმუნდეს, რომ მიმღები კომპანია შეძლებს კრედიტის დაბრუნებას. შესაბამისად, თუ არსებობს საპირისპირო ვარაუდი, კრედიტის გაცემა არ უნდა მოხდეს.⁵⁷⁷

2.2.3 ქონების აღრევა

ქონებათა აღრევის შემთხვევაში სახეზეა პარტნიორისა და კორპორაციის ქონებათა იმგვარად აღრევა, რომ შეუძლებელია იმის დადგენა თუ ვის ეკუთვნის კონკრეტული ქონება.⁵⁷⁸ ქონებათა აღრევას ასევე ხშირად ახლავს კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა, ფინანსური წიგნებისა და ანგარიშების წესების წარმოების დარღვევა. ქონების აღრევა, ქონების ტრანსფერისგან განსხვავებით გულისხმობს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ბოროტად გამოყენებას. კერძოდ, როდესაც სახეზეა პარტნიორისა და კორპორაციის ქონებათა ისეთი აღრევა, რომ შეუძლებელია იმის დადგენა თუ ვის ეკუთვნის კონკრეტული ქონება.⁵⁷⁹ იურიდიულ ლიტერატურაში ქონებათა აღრევა და ქონების ტრანსფერი ხშირად განიხილება და განიმარტება ერთობლიობაში. თუმცა ამგვარი მიდგომა არ არის გამართლებული რამდენიმე გარემოების გამო. პირველ რიგში, ქონების ტრანსფერი გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ხდება კორპორაციის დაცარიელება ქონებისგან. ამ დროს კორპორაციის სამართალსუბიექტობა, რომელიც ემყარება პარტნიორისა და კორპორაციის განცალკევებულობის კონცეფციას არ დგება ეჭვ ქვეშ. სახეზეა არამართლზომიერი, სტრატეგიულად გაუმართლებელი ანდა მოცემული კორპორაციისათვის ზიანის მომტანი ტრანსფერი.

აღნიშნულისგან განსხვავებით, ქონების აღრევის დროს იკარგება ზღვარი კორპორაციის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის ნორმატიულ კონსტრუქციასა და პარტნიორს, როგორც განცალკევებულ სუბიექტს შორის. ორივე შემთხვევა განიხილება პარტნიორის პასუხისმგებლობის გამოწვევ ქმედებად, თუმცა შინაარსობრივი განსხვავების გამო, მიზანშეწონილია მათი განხილვა გამჭოლი პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ საფუძველებად.

ქონებათა აღრევა, გამჭოლი პასუხისმგებლობის საკმარის საფუძველად განიხილება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელი ხდება კორპორაციის ან შვილობილი კორპორაციის ქონების გამოჯვნა პარტნიორის, დედა კორპორაციის ანდა სხვა აფილირებული

⁵⁷⁷ *Geens, Hopt, The European Company Law Action Plan Revisited: Reassessment of the 2003 Priorities of the European Commission*, 2010, 349.

⁵⁷⁸ *Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 179.

⁵⁷⁹ *Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 243.

კორპორაციის ქონებისგან. იმის გამო, რომ კორპორაცია არ იცავს ქონებრივი განცალკევებულობის პრინციპს, იგი კარგავს სამართლებრივ დამოუკიდებლობას, რის გამოც კორპორაცია და პარტნიორი განიხილებიან ერთ სუბიექტად.⁵⁸⁰

საფრანგეთში ქონებათა აღევა (*confusion de patrimones*) თეორიის საფუძველზე პარტნიორის პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც, სახეზეა მთლიანი ქონებრივი მასის აღრევა. თუკი ქონების მხოლოდ ნაწილია აღრეული, მაშინ გამოიყენება გაკოტრების სტატუტის 182-ე მუხლი. სასამართლოები ფრთხილად უდგებიან მთლიანი ქონებისა და მხოლოდ ნაწილის აღრევის გამიჯვნას. ისინი ყურადღებას აქცევენ ისეთ გარემოებებს, როგორცაა კორპორაციის წიგნების არარასრულყოფილი წარმოება, საბანკო ანგარიშებზე გაუმართლებელი წვდომა. ამასთან დედა კორპორაცია ანდა პარტნიორი უნდა ახდენდეს კორპორაციის საქმიანობაში აშკარა ჩარევას.

გერმანიაში Bremer Vulkan და kvb გადაწყვეტილებამდე ქონებათა აღრევა მიიჩნეოდა კვალიფიციური ფაქტობრივი კონცერნის მაკვალიფიცირებელ გარემოებად.⁵⁸¹ Tbb საქმეში კი კორპორაციულ ჯგუფში ხდებოდა ფინანსების ცენტრალური მენეჯმენტი, ხოლო ერთერთი შვილობილის ქონება გამოიყენებოდა სხვა წევრების სარგებელისათვის.⁵⁸² გერმანიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ დედა კორპორაციის პასუხისმგებლობა დადგებოდა იმ შემთხვევაში, თუ კორპორაციების წიგნებით დამტკიცდებოდა, რომ Tbb-მ გადაიხადა ჯგუფის ვალების იმაზე მეტი ოდენობა, ვიდრე მისი კაპიტალი იყო, რის შედეგადაც დამდგარი ზიანის მოცულობის გადალახვა tbb-თვის შეუძლებელი გახდებოდა. ქონებათა აღრევის საკითხს ასევე ეხებოდა Autokran-ის საქმე.⁵⁸³ ჰეიდემან ჯგუფის კორპორაციამ ქირით გადასცა სხვა წევრებს ამწე კრანები, რომლებსაც დანარჩენი წევრები იყენებდნენ საჭიროებების მიხედვით, ქირის გადახდის გარეშე. მოცემულ საქმეში მოსარჩელე გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის საფუძველზე უთითდება ქონებათა აღრევაზე, თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელი იყო კვალიფიციური დე-ფაქტო კონცერნის წესების გამოყენება, რის გამოც ქონებათა აღრევის, როგორც პასუხისმგებლობის საფუძვლის განხილვის საჭიროება აღარ დადგა.⁵⁸⁴ თუმცა, ზემოთ როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლომ დაასრულა კვალიფიციური - თ კონცერნის წესების გავრცელების პრაქტიკა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების მიმართ. შესაბამისად, ლეგიტიმურია კითხვა, თუ რა მოცულობის აღრევა შეიძლება ჩაითვალოს საკმარის საფუძვლად? გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მხოლოდ ხანგძლივი კონტროლი არ არის

⁵⁸⁰ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 242.

⁵⁸¹ Graefe, Changing Paradigms: The Liability of Corporate Groups in Germany, 37 Connecticut. Law Review. 785, 2005, 799, 801.

⁵⁸² Altling, Piercing the Corporate Veil, In American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View, 2 Tulsa J. Comp. 7 Int'l L. 187, 1995, 200.

⁵⁸³ Hofstetter, Parent Responsibility for Subsidiary Corporations, Evaluating European Trends, 39 International and Comparative Law Quarterly, 576, 1990, 593.

⁵⁸⁴ Hofstetter, Parent Responsibility for Subsidiary Corporations, Evaluating European Trends, 39 International and Comparative Law Quarterly, 576, 1990, 593.

საკმარისი, და სახეზე უნდა იყოს კონკრეტული, ინდეტიფიცირებადი ხელმოწერილი ქმედებები.⁵⁸⁵

გერმანიის სასამართლო პრაქტიკა ადგენს პარტნიორის მხრიდან კორპორაციის კრედიტორებისათვის ზიანის მიყენების განზრახვის არსებობის დადასტურების აუცილებლობასაც. უახლეს სასამართლო პრაქტიკაში სასამართლომ ერთგვარად შეამსუბუქა განზრახვის ხარისხი, დაადგინა, რა რომ ქონებათა აღრევის საფუძველით პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, როდესაც კორპორაციის წიგნები არასწორად ან არასრულყოფილად არის წარმოებული.⁵⁸⁶ მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებლობას ამართლებს ის გარემოება, რომ შეუძლებელია იმის დადასტურება ხდებოდა თუ არა კაპიტალის დაცვისა და შენარჩუნების მოთხოვნების შესრულება. ქონების დინამიკა, რომელიც ასახულია კორპორაციის წიგნებში, არ შეიძლება გახდეს პარტნიორის პასუხისმგებლობის საფუძველი.

ამდენად, თუკი პარტნიორი არ იცავს ქონებრივ განცალკევებულობას, მას აღარ გააჩნია ლეგიტიმური საფუძველი დაიცვას თავი შეზღუდული პასუხისმგებლობით მესამე პირების წინაშე. შედეგად, მან პირადად უნდა აგოს პასუხი ქონებათა აღრევის გამო. პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საჭირო ოდენობით.

გერმანიაში დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ხელყოფის თეორია წარმოადგენს პარტნიორის პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მექანიზმს. დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ხელყოფის თეორია მოქმედებას იწყებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა კაპიტალის დაცვის წესებთან შეუსაბამობა. კორპორაციულ ჯგუფებს შორის ფინანსების მენეჯმენტის კონტექსტში, 2005 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებაში მიუნხენის უმაღლესმა რეგიონალურმა სასამართლომ დაადგინა კაპიტალის დაცვის წესებთან შესაბამისობის დადგენის აუცილებლობა ქონებათა აღრევის დროს კორპორაციულ ჯგუფებს შორის ფინანსების მენეჯმენტის კონტექსტში.⁵⁸⁷ აღსანიშნავია, ისიც რომ კორპორაციულ ჯგუფს შორის ნაღდი ფულის მენეჯმენტის შესახებ შეთანხმების არსებობა არ აუქმებს კაპიტალის დაცვის წესების ბოჭვის ეფექტს. აღნიშნული საქმეში უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ქონებათა აღრევის საფუძველით პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე პარაგრაფით, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას დელიქტური ქმედების გამო. მიიჩნევა, რომ პარტნიორი სჩადის დელიქტს, როდესაც კორპორაციის დირექტორს აძლევს საშუალებას განახორციელოს ქონებათა აღრევა პარტნიორის სასარგებლოდ. მოცემულ საქმეზე გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ პარტნიორის წინააღმდეგ სარჩელზე ექსკლუზიური უფლება ეკუთვნის გაკოტრების ადმინისტრატორს.⁵⁸⁸

⁵⁸⁵ *Vandekerckrove*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 262.

⁵⁸⁶ *Vandekerckrove*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 263.

⁵⁸⁷ *Vandekerckrove*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 252.

⁵⁸⁸ *Vandekerckrove*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 264.

2.3 ზარალის მომტანი საქმიანობის გაგრძელება

თუკი კორპორაცია არის გადახდისუუნარო, სტანდარტული წესი, რომელიც იმპლემენტირებულია როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყნების კანონმდებლობაშიც, ავალდებულებს კორპორაციის ხელმძღვანელს გაჭიანურების გარეშე დაიწყოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება. მაგალითად, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტი; ასევე GmbHG §48-იც ადგენს მხოლოდ ფიზიკური პირი დირექტორის პასუხისმგებლობას გადახდისუუნარობის დროს შესაბამისი ქმედებების განხორციელებლობის გამო.⁵⁸⁹ ამდენად, ეს მოვალეობა წარმოადგენს ხელმძღვანელის მოვალეობას და იწვევს სწორედ მის პასუხისმგებლობას. აქედან გამომდინარე, გადახდისუუნარობის საქმის გაჭიანურების გარეშე დაწყების მოვალეობა არ განიხილება პარტნიორის პასუხისმგებლობის გაჭოლვის პირდაპირ საფუძველად. თუმცა სადავოა შეიძლება თუ არა ამ მოვალეობის გავრცელება დე-ფაქტო დირექტორებზე, და შესაბამისად, გამოიწვევს თუ არა დე-ფაქტო ხელმძღვანელების კორპორაციულ საფარველის გაჭოლვას? აღნიშნული კითხვა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს კორპორაციული ჯგუფების კონტექსტში, რადგანაც ასეთ სტრუქტურულ გაერთიანებაში დედა კორპორაცია ხშირად ასრულებს დე-ფაქტო დირექტორის როლს. იურიდიულ ლიტერატურაში დიდი ხანია დაფიქსირდა ერთგვარი პრეზუმფცია იმის შესახებ, რომ დედა კორპორაცია უნდა ჩაითვალოს შვილობილი კორპორაციის დე-ფაქტო ხელმძღვანელად ყველა იმ შემთხვევაში, როცა ამ უკანასკნელის ტრანზაქციების მიზანშეწონილობის დადგენა შესაძლებელი ხდება.⁵⁹⁰ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ესაა შემთხვევები, როცა შვილობილი კორპორაციის ტრანზაქციებში იკვეთება დედა კორპორაციის როლი და ატარებს სწორედ მის ინტერესებს.

გამომდინარე იქიდან, რომ კორპორაციულსამართლებრივ რეჟიმში გადახდისუუნარობის საქმის დაწყების გაჭიანურება უკავშირდება დირექტორატს, სპეციალურ კანონმდებლობაში იმპლემენტირებული მოვალეობის გავრცელების შესაძლებლობა დე-ფაქტო დირექტორების მიმართ კი ბუნდოვანია, საჭირო ხდება ამ მოვალეობის დარღვევის გამო დე-ფაქტო დირექტორის პასუხისმგებლობისთვის სხვა სამართლებრივი საფუძველის მოძებნა. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-1383-ე მუხლები წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველს. აღიარებულია, რომ აღნიშნულმა ნორმებმა შეიძლება გამოიწვიოს დე-ფაქტო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა. მაგალითად, საქმეში *Enterprise Jean Lefebvre v. Planson*, სასამართლომ დაადგინა დედა კორპორაციის, როგორც დე-ფაქტო დირექტორის პასუხისმგებლობა.⁵⁹¹ შვილობილმა დააგროვა ვალი დედა კორპორაციის წინაშე, რადგანაც დედა კორპორაცია ახდენდა შვილობილის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის კრედიტორების წინაშე ვალდებულებების შესრულებას. მას შემდეგ, რაც შვილობილი კორპორაცია გახდა ვალაუვალი, გააცნობიერა რა მისი ფაქტობრივი გადახდისუუნარობა, დედა კორპორაციამ შეწყვიტა შვილობილის

⁵⁸⁹ *Vandekerckrove*, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 341.

⁵⁹⁰ *Presser*, *Piercing the Corporate Veil*, 2011 Ed. 1408.

⁵⁹¹ *Vandekerckrove*, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 341.

საქმიანობაში ჩარევა. სასამართლოს აზრით, Lefebvre ვალდებული იყო მიეღო ზომები შვილობილი კორპორაციის კრედიტორების დასაცავად. ასეთ ზომად სასამართლომ მიიჩნია შემდეგი: დედა კორპორაციას არ უნდა დაეშვა შვილობილის მიერ ისეთი ვალდებულებების აღება, რომლის შესრულების უნარიც მას არ გააჩნდა. აღნიშნულის დაშვებით, Lefebvre-მ ჩაიდინა დელიქტი შვილობილის კრედიტორების წინაშე. შედეგად, სასამართლომ დედა კორპორაციას დააკისრა შვილობილის ვალდებულებების შესრულება. საქმეში Montifebre Spa, იტალიური კორპორაციის ფრანგული შვილობილის დასაქმებულები ითხოვდნენ დედა კორპორაციის პასუხისმგებლობას, ფრანგული შვილობილის ზარალის მომტანი საქმიანობის გამო, რომელიც გახდა ამ უკანაგულის გადახდისუუნარობის საფუძველი. სასამართლომ მოცემულ საქმეში უარყო დედა კორპორაციის პასუხისმგებლობა, რადგანაც დადგინდა, რომ მას შემდეგ, რაც შვილობილის საქმიანობა გახდა ზარალის მომტანი მან განახორციელა შვილობილის რეკაპიტალიზაცია.

დე-ფაქტო დირექტორებთან მიმართ განსხვავებული რეგულაციაა გერმანიაში. გერმანული სამართალი საერთოდ არ იყენებს დე-ფაქტო ხელმძღვანელის ინსტიტუტს პასუხისმგებლობის გაჭოლვის მიზნით. იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს კორპორაციის ფაქტობრივი დირექტორი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წესი დიდი ხნის განმავლობაში იყო კრიტიკის საგანი, გერმანიის უზენაესმა სასამართლომ სწორედ ამ წესის კონტექსტში დაადგინა, რომ იურიდიული პირის დე-ფაქტო დირექტორად მიჩნევა დაუშვებელია.⁵⁹² შესაბამისად, გერმანიაში დედა კორპორაცია არ განიხილება იმ მოვალეობების სუბიექტად, რაც აკისრია დირექტორს, მაშინაც კი როდესაც სახეზეა დედა კომპანიის მიერ შვილობილის ფაქტობრივი ხელმძღვანელობა.

ამდენად, თუკი საფრანგეთში, ზარალის მომტანი საქმიანობის გაგარძელების გამო იწვევს - თ დირექტორის როგორც პარტნიორის პირად პასუხისმგებლობას, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინისგან დამოუკიდებლად, გერმანიაში მსგავსი შემთხვევა რეგულირდება გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინით.

დელიქტური ნორმებით დე-ფაქტო ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა ზარალის მომტანი საქმიანობის გაგარძელების გამო ამარტივებს მოთხოვნის სუბიექტის განსაზღვრას. დელიქტის შედეგად მოთხოვნის უფლება ეკუთვნის პირს, რომელსაც მიაღვა ზიანი დელიქტური ქმედების შედეგად. შესაბამისად, ზარალის მომტანი საქმიანობის გაგარძელების დაუშვებლობა, დე-ფაქტო დირექტორის მოვალეობის კონტექსტში, წარმოშობს კრედიტორების მოთხოვნის უფლებას დე-ფაქტო დირექტორის წინააღმდეგ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-1383-ე მუხლების საფუძველზე.⁵⁹³

გერმანიაში პარტნიორის პასუხისმგებლობა, საფრანგეთის მსგავსად შეიძლება დადგეს დელიქტური ნორმების საფუძველზე. პარტნიორს დაეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ უშვებს კორპორაციის საქმიანობის გაგარძელებას, მიუხედავად იმისა, რომ

⁵⁹² *Vandekerckrove*, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 353.

⁵⁹³ Code de Civil, Art. 1382-83

<http://www.legifrance.gouv.fr/affichCodeArticle.do?idArticle=LEGIARTI000006438819&cidTexte=LEGITEXT000006070721>

კორპორაცია აღარ არის გადახდისუნარიანი. კორპორაციული ჯგუფის კონტექსტში, გერმანიის უზენაესმა სასამართლომ Herstatt Bank საქმეში განსაზღვრა პარტნიორი დედა კორპორაციის ქმედების სტანდარტი, როდესაც სახეზეა შვილობილის გადახდისუნარობა. სასამართლოს აზრით, თუკი დედა კორპორაცია ახორციელებს მნიშვნელოვან ქმედებებს, რათა შეინარჩუნოს შვილობილის გადახდისუნარიანობა, მას არ დაეკისრება დელიქტური პასუხისმგებლობა. პარტნიორის დელიქტური პასუხისმგებლობის მოთხოვნის უფლება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §826-ე მუხლის საფუძველზე ეკუთვნის ინდივიდუალურ კრედიტორს, რომელსაც მიაღება ზიანი, კორპორაციის ზარალის მომტანი საქმიანობის დროს პარტნიორის უმოქმედობის შედეგად. პარტნიორის დელიქტური პასუხისმგებლობა დაკავშირებულია განზრახვის პრობლემასთან. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დედა კორპორაციის მიერ შვილობილის გადახდისუნარობის შესახებ ამ უკანასკნელის კრედიტორებისთვის ინფორმაციის არმიწოდება არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარის მტკიცებულებად. აღნიშნულის გამო, პარტნიორის დელიქტური პასუხისმგებლობა ზარალის მომტანი საქმიანობის დროს უმოქმედობის გამო წარმოადგენს უკიდურეს შემთხვევას.⁵⁹⁴

ზემოთ განხილულ მართლწესრიგებისგან განსხვავებით, ინგლისურ სამართალში არ გვხვდება კანონმდებლობით დადგენილი მოვალეობა, რომელიც დაავალდებულებდა დირექტორს ვალაუვალობის დადგომიდან გარკვეულ პერიოდში დაეწყო გადახდისუნარობის საქმის წარმოება. თუმცა მსგავს სიტუაციაში, შესაძლებელია დადგეს დირექტორის პასუხისმგებლობა უკანონი ვაჭრობის საფუძველით. აღნიშნული ვრცელდება, როგორც ფორმალურ ასევე - თ დირექტორებზე და შესაბამისად, ასევე ვრცელდება კორპორაციული ჯგუფის ფარგლებში დედა კორპორაციაზე. ინგლისის გადახდისუნარობის აქტის 251-ე მუხლის მიხედვით დე-ფაქტო დირექტორად მიიჩნევა პირი, რომლის მითითებისა და რეკომენდაციების საფუძველზე მოქმედებს ფორმალური დირექტორი.⁵⁹⁵

2.4 წარმოადგენს თუ არა კორპორაციულ ფორმლობათა დაუცველობა გამჭოლი პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ წინაპირობას?

კორპორაციულ ფორმლობათა დაუცველობა, როგორც პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის საფუძველი, ხშირად ფიგურირებს გამჭოლი პასუხისმგებლობის პრეცედენტებში.⁵⁹⁶ თუმცა აღნიშნული გარემოების ფორმალური ხასიათის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა თუ რა მოიაზრება კორპორაციულ ფორმლობებში და რა შემთხვევაში შეიძლება იქნეს განხილული გამჭოლი პასუხისმგებლობის საკმარის საფუძველად.

აშშ-ის პრეცედენტულ სამართალში აღიარებულია მოსაზრება, რომ ყოველგვარი ფორმლობების დაუცველობა არ წარმოადგენს გამჭოლი

⁵⁹⁴ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 353.

⁵⁹⁵ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 361.

⁵⁹⁶ Thompson, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, 76 Cornell Law Review 1036, 1991, 1063.

პასუხისმგებლობის საფუძველს. აშშ-ის სასამართლოს მიდგომაა, რომ დახურული ტიპის კორპორაციაში, პარტნიორს, იმუნიტეტის მოსაპოვებლად, არ მოეთხოვება ყველა კორპორაციული ფორმალობის მკაცრად დაცვა.⁵⁹⁷ ამდენად, გამჭოლი პასუხისმგებლობა არ დადგება მხოლოდ იმის გამო, რომ დადასტურდებდა ფორმალობების დაუცველობა. კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობად იქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფორმალობათა დაუცველობის შედეგად კორპორაციას ვეღარ განვიხილავთ განცალკევებულ სუბიექტად. ამდენად, კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა თამაშობს ერთ-ერთ როლს ალტერ ეგოს დადგენის ნაწილში. დამოუკიდებლად, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობას, როგორც ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობას, არავითარი გავლენა არ აქვს გამჭოლი პასუხისმგებლობაზე. აღნიშნულის გარდა, ის ფორმალობები, რომლებიც ყველაზე ხშირად სახელდება გამჭოლი პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან გარემოებად, როგორც ქვემოთ ვნახავთ, წარმოადგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან გარემოებას არა იმიტომ, რომ კორპორაციულ ფორმალობების დაუცველობა სახეზე, არამედ იმიტომ, რომ ასაბუთებს სხვა უფრო მნიშვნელოვან გარემოებებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასამართლო არ განიხილავს კორპორაციულ ფორმალობებს გამჭოლი პასუხისმგებლობისთვის გადამწვევტ გარემოებად, თუკი არ დასტურდება, რომ ფორმალობათა დაუცველობამ გავლენა მოახდინა მოსარჩელეზე.⁵⁹⁸

2.4.1 კორპორაციული ფორმალობების არსი

იურიდიულ ლიტერატურაში დაფიქსირებულია პოზიცია, რომ კორპორაციული ფორმალობების დიდი ნაწილი არის ჩვეულების შედეგად დამკვიდრებული წესები.⁵⁹⁹ ამდენად, კორპორაციული ფორმალობები გარკვეულწილად არის ხანგძლივი პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებული მოთხოვნები.

კორპორაციული ფორმალობებია: დამოუკიდებელი საბანკო ანგარიშები ქონა, დამოუკიდებელი საბუღალტრო წიგნების წარმოება,⁶⁰⁰ ან სხვა სახის ანგარიშების დამოუკიდებლად წარმოება.⁶⁰¹

მშობელ-შვილობილ კორპორაციების შემთხვევაში კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობად ითვლება დირექტორთა და პარტნიორთა კრებების დამოუკიდებლად ჩატარების მოთხოვნათა დარღვევა, მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩარევა, შვილობილის ადმინისტრაციული ან ფინანსური დამოკიდებულება

⁵⁹⁷ Crane v. Green & Freedman Baking Co., Inc., 134 F.3d 17, 25 (1st Cir. 1998).

⁵⁹⁸ Preston Farm & Ranch Supply, Inc. v. Bio-Zyme Enters., 615 S.W.2d 258, 262-63 (Tex. Civ.App. 1981).

⁵⁹⁹ *Miguens*, Liability of a Parent Corporation for the obligations of an Insolvent Subsidiary, under American Case Law and Argentinian Law, 10 American Bankruptcy Institute Law Review 217, 2002, 288.

⁶⁰⁰ *Rands*, Domination of a Subsidiary by a Parent, Indiana Law Review, Vol. 32:421, 1999, 442.

⁶⁰¹ *Dobson*, Lifting the Veil in Four Countries: the Law of Argentina, England, France and the United States, International and Comparative Law Quarterly, Vol. 35. No.4 1986, 863.

კორპორაციული ჯგუფზე, ჯგუფის სავაჭრო ნიშნების, ლოგოტიპებისა და გარანტიების გამოყენება.⁶⁰²

კორპორაციულ ფორმალობათა ისეთი დაუცველობა, რომელსაც არ მოჰყოლია კრედიტორისთვის უარყოფითი შედეგი, არ წარმოადგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობას.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად, შეიძლება გამოიყოს კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობის სხვა შემთხვევები, კერძოდ, აქციების არ გამოშვება;⁶⁰³ საერთო კრების არ ჩატარება დირექტორის ასარჩევად, დირექტორთა კრებების არ ჩატარება, ან ოქმების არ შედგენა;⁶⁰⁴ კორპორაციასა და პარტნიორს შორის ხელშეკრულებების არასათანადო ფორმით გაფორმება, ან მათ შორის ტრანზაქციების დოკუმენტალურად არასრული ასახვა,⁶⁰⁵ რაც გაშლილი ხელის პრინციპის დაუცველობადაც აღიქმება.⁶⁰⁶

ახალი აქციების არ გამოშვება გავლენას ახდენს კრედიტორებზე, რადგანაც სწორედ აქციების გამოშვების შედეგად ხდება კორპორაციის კაპიტალის გაზრდა.⁶⁰⁷ თუმცა, როგორც ვხედავთ, ეს დარღვევა უფრო მეტად დაკავშირებულია კაპიტალიზაციასთან, ვიდრე მხოლოდ კორპორაციულ ფორმალობების დაუცველობასთან. აღნიშნულის გარდა, აქციათა არ გამოშვება ასევე უკავშირდება სხვა საკითხსაც. კერძოდ, უნდა განვიხილოთ თუ არა პირი აქციონერად, თუკი დაფუძნების მიუხედავად, არ მომხდარა აქციების გამოშვება? მოცემულ შემთხვევაში გამჭოლი პასუხისმგებლობის გამართლება მდგომარეობს იმაში, რომ პირს, რომელიც არამართლზომიერი კონტროლის მეშვეობით იყენებს კორპორაციას პირადი ინტერესებისათვის, არ უნდა მიეცეს უფლება აირიდოს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმის გამო, რომ ფორმალურად არ გახდა პარტნიორი.⁶⁰⁸

პარტნიორსა და კორპორაციას შორის ტრანზაქციების დოკუმენტურად ასახვა წარმოადგენს ფორმალურ მოთხოვნას. თუმცა ეს გარემოება მნიშვნელობას იძენს არა იმიტომ, რომ ფორმალობის დარღვევას აქვს ადგილი, არამედ იმის გამო, რომ ადგილი აქვს უსამართლო ან არაკეთილსინდისიერ გარიგებებს კორპორაციასა და პარტნიორს შორის, რომლის შედეგადაც ხდება კრედიტორებისგან ქონების გადამაღვა.⁶⁰⁹ ასეთ ვითარებაში დოკუმენტაციის არარასებობა ასრულებს ერთგვარი მტკიცებულების როლს უსამართლო გარიგებების არსებობის დასადასტურებლად. თუმცა აღნიშნულიც შეფასების საგანია და აპრიორი არ განიხილება სათანადო გარემოებად.

რაც შეეხება კრებების ჩატარებას და ოქმების შედგენას, ძნელია მათი კავშირის დადასტურება გამჭოლ პასუხისმგებლობასთან. კერძოდ,

⁶⁰² *Miguens*, Liability of a Parent Corporation for the obligations of an Insolvent Subsidiary, under American Case Law and Argentinian Law, 10 American Bankruptcy Institute Law Review 217, 2002, 288.

⁶⁰³ *Kinney Shoe Corp. v. Polan*, 939 F.2d 209, 210, 212 (4th Cir. 1991).

⁶⁰⁴ *Sea-Land Servs., Inc. v. Pepper Source*, 941 F.2d 519, 521 (7th Cir. 1991).

⁶⁰⁵ *DeWitt Truck Brokers v. W. Ray Flemming Fruit Co.*, 540 F.2d 681 (4th Cir. 1976).

⁶⁰⁶ *Marcantel*, Because Judges Are Not Angels Either? Limiting Judicial Discretion by Introducing Objectivity into Piercing Doctrine, 59 Kansas Law Review 191, 2010-2011, 225.

⁶⁰⁷ *Gevurtz*, An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, 76 Oregon Law Review 853, 1997, 868.

⁶⁰⁸ *Minton v. Cavaney*, 364 P.2d 473 (Cal. 1961).

⁶⁰⁹ *Gevurtz*, An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, 76 Oregon Law Review 853, 1997, 868.

კითხვის ნიშანს იწვევს ის, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს კონკრეტულად ამ ფორმალობათა დარღვევას კრედიტორზე? თუ პარტნიორს სურს, ისარგებლოს იმ პრივილეგიით, რასაც გათვალისწინებულია სტატუტით (კანონმდებლობით) ე.ი. შეზღუდული პასუხისმგებლობით, მაშინ მან უნდა დაიცვას სტატუტით დადგენილი ფორმალობებიც.⁶¹⁰ წესდებით კი, როგორც წესი, ყოველთვის არის გათვალისწინებული წლიური კრებების ჩატარება.⁶¹¹ სხვაგვარად რომ ითქვას, მოცემული საკითხის დასაბუთება მდგომარეობს იმაში, რომ თუკი პარტნიორი არ ითვალისწინებს, ანუ არაფრად მიიჩნევს კორპორაციის სამართალსუბიექტობას, არც სასამართლომ უნდა მიანიჭოს დამოუკიდებელ/განცალკევებულ სამართალსუბიექტობას გადამწვევტი მნიშვნელობა.⁶¹² კორპორაციული სტატუტები ასევე ადგენენ რიგითი კრებების ჩატარების აუცილებლობას ღირექტორთა არჩევის მიზნით.⁶¹³ ასევე დადგენილია, რომ კორპორაცია იმართება ღირექტორთა საბჭოს მიერ, რაც, როგორც წესი, ხორციელდება ღირექტორთა საბჭოს კრებების მეშვეობით.⁶¹⁴ თუმცა, კორპორაციული სტატუტებით დადგენილ მოთხოვნებს სხადასხვა მიზანი და ხასიათი აქვთ. მოცემული ფორმალობების მიზანი კი არის პარტნიორთა დაცვა.⁶¹⁵

ამდენად, კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა არ უნდა იქნეს განხილული გამჭოლი პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ საფუძველად. კორპორაციული ფორმალობების დაუცველობას, როგორც ფაქტობრივ გარემოებებს მტკიცების პროცესში შეიძლება მიენიჭოს გარკვეული ძალა, ისიც კორპორაციის განცალკევებულობის ხარისხის დასამტკიცებლად, და არა გამჭოლი პასუხისმგებლობის ექსკლუზიური წინაპირობის სახით.

2.5 ცრუ წარმოდგენების შექმნა

კორპორაციული საფარველის გაჭოლვის საფუძველად ასევე განიხილება გარემოება, როდესაც პარტნიორი კრედიტორს უქმნის მცდარ შთაბეჭდილებებს. აღნიშნული გულისხმობს შემთხვევას, როდესაც მესამე მხარე კეთილსინდისიერად მოქმედებს იმ წარმოდგენების საფუძველზე, რომლებიც არ შეესაბამება რეალობას. საფრანგეთში აღნიშნულ თეორიას საფუძველად უდევს სასამართლო პრაქტიკა.⁶¹⁶ თუმცა იგი საკმარისად დამუშავებული და არ აყალიბებს კონკრეტული გარემოებების ჯაჭვს. მიიჩნევა, რომ იგი არის სამართლიანობის მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს სასამართლოს კონკრეტულ შემთხვევაში გადაუხვიოს ზოგად

⁶¹⁰ Victoria Elevator Co. v. Meriden Grain Co., 283 N.W.2d 509, 513 (Minn. 1979).

⁶¹¹ Labadie Coal Co. v. Black, 672 F.2d 92, 96-97 (D.C. Cir. 1982).

⁶¹² *Gevurtz, An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil*, 76 Oregon Law Review 853, 1997, 868.

⁶¹³ Del. Gen. Corp. Law 211(b) (codified at Del. Code Ann. tit. 8, 211(b) (1991)).

⁶¹⁴ Del. Gen. Corp. Law 141(a), (f) (codified at Del. Code Ann. tit. 8, 141(a), (f) (1991)).

⁶¹⁵ *Gevurtz, An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil*, 76 Oregon Law Review 853, 1997, 870. ამ პოზიციას იზიარებს ასევე პროფესორი პოზნერიც, რომელიც კორპორაციულ ფორმალობებს განიხილავს “nitpicking consideration;” *Posner, Economic Analysis of Law*, 7th ed. 2007, 438-439; იხ. ასევე, *Nicholls, Piercing the Corporate Veil and The “Pure Form” of the Corporation as Financial Innovation*, *Canadian Business Law Journal* Vol 46 2008, 243.

⁶¹⁶ *Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil*, *Kluwer Law International*, 2007, 353.

კანონისმიერ დანაწესს მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ არ დაუშვას უსამართლობა. აღსანიშნავია, რომ ეს თეორია არ წარმოადგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის შემადგენელ კომპონენტს. ანუ სხვაგვარად რომ ითქვას, იგი გამჭოლი პასუხისმგებლობის მიღმა არსებული ინსტრუმენტია. შესაბამისად, მისი გამოყენებისთვის სავალდებულო არ არის საკუთრებასა და კონტროლს შორის კავშირის დადგენა. აღნიშნული საფუძვლით პასუხისმგებლობა ასევე არ არის დაკავშირებული კორპორაციის გადახდისუნარიანობასთან. შესაბამისად, საფრანგეთში იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადახდისუნარიანობის დროსაც, მაშინ როდესაც ქონებათა აღრევის თეორიის გამოყენება გადახდისუნარიანი კორპორაციების კონტექსტში არ არის ცალსახა. უნდა აღინიშნოს, რომ მცარი წარმოდგენების თეორია არც სიმულაციის თეორიის იდენტურია.

იმისათვის, რომ კრედიტორმა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს აღნიშნულ თეორია, იგი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად. ივარაუდება, რომ კრედიტორი არის კეთილსინდისიერი, სანამ არ დამტკიცდება საპირისპირო. სასამართლო აკეთებს დაშვებას, რომ რიგ შემთხვევებში ნებისმიერმა პირმა, თვით ყველაზე წინდახედულმაც კი, შეიძლება მიიღოს მცდარი გარემოებები რეალობად. აღნიშნული მიდგომა ცნობილია *“erreur commune”* (საერთო შეცდომა) სახელით.⁶¹⁷

საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში მცდარი წარმოდგენების ყველაზე გავრცელებული შემთხვევა გვხვდება კორპორაციულ ჯგუფებთან მიმართებით, როდესაც ჯგუფის ქმედებით მესამე პირს ექმნება მცდარი შთაბეჭდილება, რომ მასთან ურთიერთობაში პასუხისმგებელი იქნება მთელი ჯგუფი, მაშინ როდესაც პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ ერთ წევრს, რომელთანაც მესამე პირი შევა სახელშეკრულებო ურთიერთობაში.⁶¹⁸ აღნიშნულს შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როცა მესამე პირისთვის არ არის ნათელი თუ ვისი სახელით მოქმედებს კორპორაციის წარმომადგენელი. სასამართლო პრაქტიკაში, ასევე ხშირია შემთხვევა, როდესაც ჯგუფის წევრები საქვეყნოდ ქმნიან მცდარ წარმოდგენებს, იმის შესახებ, რომ ისინი წარმოადგენენ ერთ კორპორაციას. ესეთი მცდარი წარმოდგენები იქმნება იმის შედეგად, რომ კორპორაციული ჯგუფის წევრების განსხვავება ერთმანეთისგან შეუძლებელია. ისინი მოქმედებენ ერთი ან მსგავსი საფირმო სახელწოდებით, ახორციელებენ ერთნაირ საქმიანობას, აქვთ ერთი ადგილსამყოფელი. განზოგადებულად რომ ითქვას, არ არის სახეზე რაიმე განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც კრედიტორს აფიქრებინებდა, რომ სახეზეა დამოუკიდებელი სუბიექტები.

მცდარი შთაბეჭდილებების თეორია გვხვდება გერმანიაშიც. გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, ეს თეორია როგორც წესი გამოიყენება ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებულ დავებში. თუმცა იგი შეიძლება განხილულ იქნეს პარტნიორის პასუხისმგებლობის საფუძვლად.⁶¹⁹ ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა დადგება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მოქმედებს იმგვარად, რომ ქმნის განსხვავებას კრედიტორის მიერ აღქმულ და ჭეშმარიტ მდგომარეობას

⁶¹⁷ *Vandekerckrove*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 420.

⁶¹⁸ *Vandekerckrove*, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 420.

⁶¹⁹ *Singhof*, Equity Holders' Liability for Limited Liabilities Companies' Unrecoverable Debts- Reflections on Piercing the Corporate Veil under German Law, 22 Loy. L.A. Int'l & Comp. L. Rev. 143 1999, 158.

შორის. ამასთან სახეზე უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირი, პარტნიორის მიერ შექმნილ წარმოდგენებსა და კრედიტორის მიერ დადებულ ხელშეკრულებას შორის. სხვაგვარად რომ თქვათ, სწორედ დედა კორპორაციის მიერ შექმნილმა წარმოდგენებმა უნდა უბიძგოს კრედიტორს დადოს ხელშეკრულება. მცდარ წარმოდგენებთან მიმართებით კრედიტორი უნდა იყოს კეთილსინდისიერი. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი მოქმედებს კეთილსინდისიერების პრეზუმცია. შესაბამისად, დედა კორპორაციას აკისრია იმის მტკიცების ტვირთი, რომ კრედიტორი არ იყო კეთილსინდისიერი.

ლიტერატურაში ასევე აღნიშნულია, რომ მოპასუხეს ე.ი. დედა კომპანიას ეკისრება მტკიცების ტვირთი იმ გარემოების შესახებ, რომ არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი იმ წარმოდგენებს, რომლითაც მოქმედებდა კრედიტორი და ხელშეკრულების დადებას შორის. თუმცა ამგვარი მიდგომა, ზედმეტად დაამძიმებდა მოპასუხეს. მხარეთა საპროცესო თანასწორობის საფუძველზე უფრო გამართლებული იქნება, რომ მიზეზშედევობრივი კავშირის მტკიცების ტვირთი ყოფილიყო მოსარჩელეზე. რადგანაც ეს გარემოება მოსარჩელის მოთხოვნას ასაბუთებს.⁶²⁰

გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის მიზანშეწონილი არ არის შეცდომაში შეყვანა განიმარტოს ფართოდ, რადგანაც ეს გაუმართლებელ გასაქნას მისცემს გამჭოლი პასუხისმგებლობის მექანიზმს. კრედიტორი შეიძლება შეცდომაში შევიდეს კონტრაქტის მიერ არა გარემოებების დამახინჯებით ან განზრახ ცრუ, არარსებული გარემოებების დასახელებით, არამედ გარემოების შესახებ დუმილით, რაც კომერციულ ურთიერთობაში ხშირად ხდება და წარმოადგენს, როგორც წესი არა თაღლითობას, არამედ არაკეთილსინდისიერ მოპყრობას. მაგალითად, ნასყიდობისას გამყიდველის მიერ ნივთის ნაკლის შესახებ ფაქტის დამალვა. ხოლო საკორპორაციო ურთიერთობებში, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის არგამჟღავნება, მაშინ, როცა კრედიტორი არ ითხოვდა ამ ინფორმაციას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, რომ ხშირად კორპორაციის კრედიტორები არც აცნობიერებენ, რომ კორპორაციის ფინანსურმა მდგომარეობამ მოკლევადიან პერსპექტივაშიც კი შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში კორპორაციის დავალებულება, რომ ყოველი ახალი საქმე დაიწყოს იმაზე მითითებით, რომ მისი ფინანსური მდგომარეობა სუსტია, მაშინ როდესაც კრედიტორი არც კი ითხოვდა ამ ინფორმაციას, არაგონივრულია. ინფორმაციის მხოლოდ გაუმჟღავნებლობა არ უდრის ცრუ წარმოდგენების შექმნას.⁶²¹ ასეთ დროს კრედიტორი ვერ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ის ეყრდნობოდა მეორე მხარის მიერ განხორციელებულ მოქმედებას – ინფორმაციის გაცხადებას. ასევე, მსგავს ვითარებაში სასამართლომ უნდა გაამახვილოს ყურადღება იმაზეც, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა თავად კორპორაციის დირექტორატს და პარტნიორებს ფინანსური მდგომარეობის მიმართ. თუ მათ გააჩნდათ დასაბუთებული ვარაუდი, რომ გარკვეული მოვლენების/ქმედებების შედეგად ფინანსური მდგომარეობა

⁶²⁰ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 461.

⁶²¹ Cheng, A Comparative Study of The English and The U.S. Corporate Veil Doctrine, Boston Collage International and Comparative Law Review, Vol.34, 2011, 361.

გაუმჯობესდებოდა, მაშინ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის არ გამჟღავნება არ უნდა ჩაითვალოს შეცდომაში შეყვანად. აღნიშნული წარმოადგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის გონივრულობის მასშტაბს. გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზანი არ არის დაიცვას ყველა. კრედიტორმა, რომელმაც არ გამოიჩინა სათანადო წინადახედულება, და ამ დამოკიდებულების გამო შევიდა შეცდომაში, თავად უნდა იკისროს დანაკარგის რისკი. ზოგადად, სადავო არაა, ის რომ სამართალი უნდა ითვალისწინებდეს არაკეთილსინდისიერი ქმედების შემთხვევაში კრედიტორის დაცვის მექანიზმს, თუმცა არ არის მიზანშეწონილი გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველად მხოლოდ ისეთი გარემოების განხილვა, როგორცაა კორპორაციის მიერ ფაქტობრივი გარემოებების დამალვა. მსგავსი მიდგომაა აშშ-იც. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის არ გამჟღავნება არ იქნება განხილული გამჭოლი პასუხისმგებლობის სათანადო საფუძველად.⁶²²

6. შუალედური დასკვნა

შუალედური დასკვნის სახით შეიძლება შეჯამდეს გამჭოლი პასუხისმგებლობის ცალკეული წინაპირობების ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი თეზისები.

გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის შედარებით სამართლებრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე გარემოება, რომელიც ტრადიციულად განიხილება გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველად. ესენია, არასათანადო კაპიტალიზაცია, ქონების ტრანსფერი და აღრევა, ზარალის მომტანი საქმიანობის გაცნობიერებულად გაგრძელება, კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა და ცრუ წარმოდგენების შექმნა.

პირველი, კვლევის შედეგად შეიძლება დავასკნათ, რომ არასათანადო კაპიტალიზაცია, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველი, პრობლემურია კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნების კონტექსტში. ნომინალური კაპიტალის რეგულირების გარდა, არ არსებობს მატერიალური სათანადო კაპიტალიზაციის რეგულირების ნორმატიული საფუძველი. აღნიშნული საფუძველი ობიექტურად ვერც იარსებებს, რადგანაც ვერ მოხდება სათანადო კაპიტალიზიის ზოგადი კრიტერიუმის განსაზღვრა. კაპიტალის ადეკვატურობა შეიძლება შეფასდეს ყოველკონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, რა დროსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სამეწარმეო საქმიანობის სპეფიციკას და მასთან დაკავშირებულ რისკებს. გამოიკვეთა, რომ არასათანადო კაპიტალიზაციის მიმართ არსებობს განსხვავებული მიდგომები. კერძოდ, არასერიოზული კაპიტალით საქმიანობის დაწყება, შეიძლება განხილულ იქნეს პარტნიორის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებად. კორპორაციის ქონებრივი დეფიციტის გამოწვევა ასევე განიხილება მენეჯერულ პასუხისმგებლობად, და შესაბამისად, შეიძლება დადგეს ჩრდილოვანი დირექტორის პასუხისმგებლობა. არასათანადო კაპიტალიზაციისთვის

⁶²² Moore Moore Drilling v. White, 345 S.W.2d 550 (Tex. Civ. App. 1961).

პასუხისმგებლობის საფუძველად ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს დელიქტური ნორმები.

არასათანადო კაპიტალიზაციის ჭრილში მნიშვნელოვანია სამართლებრივი შეფასების მიცემა შემთხვევებისათვის, როდესაც პარტნიორი იმავდროულად წარმოადგენს კორპორაციის კრედიტორს. ასეთ დროს, პარტნიორის მიერ კორპორაციისგან ვალდებულების შესრულების მოულოდნელად მოთხოვნა შეიძლება დაკვალიფიცირდეს, უფლების ბოროტად გამოყენებად.

მეორე, პარტნიორის მხრიდან შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქონების გადაცემას როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ფორმით. პირდაპირი ტრანსფერი სახეზეა, როცა პარტნიორის მიერ ხდება კორპორაციის კუთვნილი უძრავია ან მოძრავი ქონების, ფულადი სახსრების განკარგვა, მაგალითად, შეუსაბამო ანაზღაურების, ხელფასების გაცემა. პირდაპირი ტრანსფერისგან განსხვავებით, პრობლემურია არაპირდაპირი ტრანსფერის კვალიფიკაცია. არაპირდაპირი ტრანსფერი ეხება კორპორაციულ ჯგუფში ქონებრივი სიკეთის არასამართლიან განკარგვას. მაგალითად, ერთი წევრის კომერციული შესაძლებლობების მიკუთვნება სხვა წევრისთვის, ერთი კომპანიის ნოუ-ჰაუს გავრცელება ჯგუფის სხვა წევრებში დაბალ ან პირიქით მაღალ ფასად. ამდენად, არაპირდაპირი ტრანსფერი გულისხმობს სარგებლის იმგვარი ფორმით მიღებას, რომელიც არ არის გამოხატული უშუალოდ კონკრეტული ქონების გადაცემით, თუმცა მის შედეგად, ცალკეულ პარტნიორი ან კორპორაციული ჯგუფის წევრი იღებს ქონებრივ სარგებელს სხვა წევრის, ან თავად კორპორაციის ზარალის ხარჯზე.

ქონების ტრანსფერის შეფასებისას გამოიყენება ე.წ. როზენბლუმის ტესტი, რომლის თანახმადაც, ქონების ტრანსფერი შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს თუ დადასტურდება სამი გარემოება. პირველი, სახეზეა სტრუქტურულად ჩამოყალიბებული კორპორაციული ჯგუფი. მეორე, ქმედებები ხორციელდება ჯგუფის საერთო ინტერესში და შესაბამისობაშია ჯგუფის საერთო პოლიტიკასთან 3. ჯგუფში შემავალ კომპანიებს შორის შენარჩუნებულია ფინანსური ბალანსი, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანიას უნდა მიეცეს კომპენსაცია, თუ მას, ჯგუფის ინტერესებში მოქმედების შედეგად, მიაღება ზიანი.

მესამე, ქონების ტრანსფერისგან უნდა მოხდეს ქონების აღრევის გამიჯვნა. ქონების აღრევა ხდება დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ბოროტად გამოყენების შედეგად. მოცემული გარემოების, გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობად კვალიფიკაცია ეფუძნება შემდეგ არგუმენტაციას: თუკი პარტნიორი არ იცავს ქონებრივ განცალკევებულობას, მას აღარ გააჩნია ლეგიტიმური საფუძველი დაიცვას თავი შეზღუდული პასუხისმგებლობით მესამე პირების წინაშე. შედეგად, მან პირადად უნდა აგოს პასუხი კრედიტორების წინაშე. პასუხისმგებლობის მოცულობა კი განისაზღვრება კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საჭირო ოდენობით.

მეოთხე, ზარალის მომგანი საქმიანობის გაცნობიერებულად გაგრძელება წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის გამომწვევ ქმედებას, და შეიძლება გახდეს დე-ფაქტო დირექტორის პასუხისმგებლობის საფუძველი. კორპორაციული ჯგუფის ფარგლებში, შვილობილის გადახდისუუნარობისას დედა კომპანიის ქცევის სტანდარტად განხილულ უნდა იქნეს გერმანული მიდგომა. აღნიშნული

მიდგომის თანახმად, დედა კომპანიას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ის შვილობილის გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად ახორციელებს მნიშვნელოვან ქმედებებს.

მეოთხე, კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა არ წარმოადგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ საფუძველს. მათ შეიძლება მიენიჭოთ მტკიცებულების ძალა, მხოლოდ სხვა გარემოებების დასადასტურებლად. მაგალითად, ორგანიზაციული ფორმის ბოროტად გამოყენების დასამტკიცებლად, გამოდგება ისეთი ფორმალობების დაუცველობის დადასტურება, როგორცაა საბანკო ანგარიშების, ფინანსური დოკუმენტების წარმოების წესის დარღვევა და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტნიორსა და კორპორაციას შორის ტრანზაქციების ფორმალურ მხარეს - დოკუმენტურად სრულყოფილად ასახვას. აღნიშნული ფორმალობის დარღვევა შეიძლება განხილულ იქნეს უსამართლო გარიგებების არსებობის დამადასტურებელ ფაქტად. თუმცა ამავდროულად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კორპორაციასა და პარტნიორს შორის ტრანზაქციების ფორმალური გამართულობა არ გამორიცხავს, ამ ტრანზაქციების გამო პარტნიორის პასუხისმგებლობას. დოკუმენტურად დადასტურებული ტრანზაქციები უნდა შემოწმდეს კეთილსინდისიერების იმ მასშტაბით, რომელიც შესაძლებლობა იძლევა განისაზღვროს ხომ არ იყო სახეზე პარტნიორის გაუმართლებელი უპირატესობა.

მეხუთე, მცდარი წარმოდგენების თეორია არ არის გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ნაწილი. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, ამ თეორიის გამოყენებისთვის სავალდებულო არ არის საკუთრებასა და კონტროლს შორის კავშირის დადგენა და მისი გამოყენება შეიძლება კორპორაციის გადახდისუნარიანობის დროსაც.

VI. გამჭოლი პასუხისმგებლობის პრობლემის გადაწყვეტა ზოგადსამართლებრივი პრინციპების საფუძველზე

პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის საფუძველზე. ამასთან, კორპორაციული ჯგუფის შემთხვევაში გამჭოლი პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის რამდენიმე მოდელი არსებობს. შესაძლებელია, პარტნიორის პასუხისმგებლობის დაფუძნება საკონცერნო სამართლაზე, ასევე შესაძლებელია, გაკოტრების სამართლის ნორმების გამოყენება. გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი ფიზიკური პირი პარტნიორის წინააღმდეგ, კორპორაციულ ჯგუფთან მიმართებით ნაკლებად იძლევა პასუხისმგებლობის საფუძველების სიმრავლეს. შესაბამისად, არსებობს გამჭოლი პასუხისმგებლობის შემთხვევათა ნაწილი, ფიზიკური პირი პარტნიორის მონაწილეობით, რომელიც ექვემდებარება მხოლოდ დოქტრინით რეგულირებას. დოქტრინა, თავის მხრივ, ადგენს კომპლექსურ გარემოებათა წრეს - თეორიებისა და პრინციპების ერთობლიობას. შესაბამისად, ისმის კითხვა ხომ არ შეიძლება პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას გამოყენებულ იქნეს ზოგად სამართლებრივი პრინციპები, როგორც კორპორაციული საფარველის გაჭოლვის შეფარდების უნივერსალური სტანდარტი,

რომლის მოქმედებაც თანაბრად დაფარავდა, როგორც ფიზიკურ პირი პარტნიორის შემთხვევებს, ასევე კორპორაციული ჯგუფის ფარგლებში პასუხისმგებლობასაც.

1. კეთილსინდისიერების პრინციპის როლი გამჭოლი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას

კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.⁶²³ კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედება სამართალურთიერთობაში გამოიხატება იმით, რომ მის საფუძველზე კონკრეტული სამართალურთიერთობის მონაწილეებს შეიძლება წარმოეშვათ უფლებები და ვალდებულებები, ან უარი ეთქვათ უფლების დაცვაზე.⁶²⁴ კეთილსინდისიერების პრინციპი, შეიძლება გახდეს კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. კეთილსინდისიერების პრინციპის აღნიშნული ხასიათი განსაკუთრებით კარგად ვლინდება საკორპორაციო სამართალში.⁶²⁵

წინამდებარე თავში განხილულია კეთილსინდისიერების პრინციპის მასშტაბი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კორპორაციისა და პარტნიორს შორის არსებული ურთიერთობის ბუნების დადგენაში, რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს კრედიტორთა სასარგებლოდ კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დასაბუთებაში კერძოდ, განხილულია, გაშლილი ხელის პრინციპი.

მიუხედავად იმისა, რომ გაშლილი ხელის სტანდარტი გამოიყენება სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ის შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს პარტნიორსა და კორპორაციას შორის არსებული სამართალურთიერთობა, რაც წარმოადგენს ძირითად პრობლემას გამჭოლი პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცესში.

1.1 გაშლილი ხელის პრინციპი

გაშლილი ხელის პრინციპი გულისხმობს შესაბამისობას შესრულებასა და საპასუხო შესრულებას შორის. მაგალითად, დედა კორპორაციის მიერ შვილობილისთვის გადახდილი საზღაური ამ უკანასკნელისგან საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში ჩაითვლება სამართლიანად, თუ მაგალითად, არადაკავშირებული საწარმოს შემთხვევაშიც ანაზღაურება იქნებოდა ანალოგიური. ამის დასაგენად, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საბაზრო ფასების შედარების მეთოდი.⁶²⁶ მაგალითად, თუ შვილობილ და დედა კორპორაციას შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, დედა

⁶²³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართალი, 2001, 270.

⁶²⁴ *ვაშაქიძე*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10, №1, 2007, 24.

⁶²⁵ საკორპორაციო სამართალში კეთილსინდისიერების კონცეფციის მაგალითია მეწარმეთა შესახებ კანონის 9.6 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა.

⁶²⁶ *Adler, Mann, Good Faith: R. A New Look at an Old Doctrine*, *Arkon Law Review*, 28:1, 1994, 34

კორპორაციამ, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოფს იმ პროცენტის გადახდა, რომელსაც ანალოგიურ თანხაზე დაუდგენდა საბანკო ინსტიტუტს. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიათა ჯგუფის წევრებს შორის სასესხო ურთიერთობის არსებობა ზოგადად განპირობებულია შეღავათიანი კრედიტის მიღების მოტივით, უფრო სწორი იქნება, სასამართლომ იხელმძღვანელოს საბანკო ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებულ პროცენტის ოდენობასთან არა სრული შესაბამისობის, არამედ ბანკის პროცენტთან გონივრული შესაბამისობის კრიტერიუმით.

უნდა აღინიშნოს, რომ გაშლილი ხელის პრინციპის გამოყენება ფიდუციური მოვალეობებით შებოჭილ სუბიექტებს შორის დავის საგანია, როგორც იურიდიულ ლიტარატურაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ ფიდუციური მოვალეობით შებოჭილ სუბიექტებს შორის გაშლილი ხელის პრინციპის სტანდარტით ხელშეკრულების შეფასება მცდარია, რადგანაც ფიდუციური მოვალეობის მატარებელს აკისრია ბენეფიციარის წინაშე ინფორმაციის გამჟღავნების მოვალეობა, ასევე მან უნდა იმოქმედოს ბენეფიციარის სასარგებლოდ და მის ინტერესებში.⁶²⁷ შესაბამისად, ფიდუციური მოვალეობის მატარებელსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობა უნდა შეფასდეს განსხვავებული სტანდარტით. თუმცა აღნიშნული არგუმენტი არ გამორიცხავს გაშლილი ხელის პრინციპის გამოყენებას კორპორაციასა და პარტნიორს შორის. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საკორპორაციო სამართლის ფარგლებში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპის გარდა, არ არსებობს ნორმა, რომელიც ჩამოაყალიბებდა პარტნიორსა და კორპორაციას შორის ფიდუციური ურთიერთობების ჩარჩოს. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებლობა გამორიცხავს კიდევ ამის შესაძლებლობას. მაგალითად, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სააქციო საზოგადოების პარტნიორის ერთადერთი ლეგიტიმური მოვალეობაა შენატანის განხორციელება, კანონით გაუთვალისწინებელი სხვა მოვალეობის დაკისრება კი ბათილია.⁶²⁸ დავის საგანია, კანონისმიერი დანაწესი რამდენად გულისხმობს ფიდუციური მოვალეობების დაკისრების აკრძალვას, თუმცა სიტყვასიტყვითი განმარტების პირობებში, დანაწესი გამორიცხავს აქციონერზე პარტნიორული შეთანხმებით დაკისრებულ ნებისმიერი სხვა მოვალეობის იურიდიულად სავალდებულო ძალას. მეორე, არცერთი სამართლებრივი სისტემა არ კრძალავს პარტნიორსა და კორპორაციას შორის ისეთ სახელშეკრულებო ურთიერთობას, რომელშიც პარტნიორი გამოდის კერძოსამართლებრივი ურთიერთობის დამოუკიდებელ მონაწილედ. მაგალითად, შესაძლებელია პარტნიორი იმავდროულად იყოს კორპორაციის დასაქმებული. პარტნიორისა და კორპორაციის ურთიერთობის იმ ნაწილში, სადაც ის გამოდის კერძოსამართლებრივი ურთიერთობის რიგით მონაწილედ, იგი შებოჭილი იქნება ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით. მაგალითად, შრომითი ხელშეკრულებით. პარტნიორმა, რომელიც შრომით ურთიერთობაში იმყოფება კორპორაციასთან, კეთილსინდისიერად და ჯეროვნად უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები,

⁶²⁷ *Adler, Mann, Good Faith: R. A New Look at an Old Doctrine*, *Arkon Law Review*, 28:1, 1994, 34

⁶²⁸ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ 53.1. მუხლი.

რადგანაც შრომითი ხელშეკრულება მოითხოვს ამას და არა პარტნიორის სტატუსი.⁶²⁹ არათანაზომიერი იქნება, თუკი პარტნიორს მოეთხოვება იმაზე მეტი, ვიდრე სხვა დასაქმებულებს, მხოლოდ იმის გამო, რომ იგი პარტნიორია, და მას აკისრია ფიდუციური მოვალეობები კორპორაციის წინაშე. პარტნიორი ფიდუციური მოვალეობებით იბოჭება მხოლოდ იმ სამართალურთიერთობაში, რომელშიც ის მოქმედებს, როგორც პარტნიორი და არა ზოგადად, ყველა სხვა ურთიერთობაში, რომელიც მან როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ინდივიდუალურმა სუბიექტმა შეიძლება დაამყაროს კორპორაციასთან. გაშლილი ხელის პრინციპის გამოყენება პარტნიორისა და კორპორაციას შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის განსაზღვრისას არამარტო შესაძლებელია, არამედ გამართლებულიცაა, რადგანაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ განისაზღვროს, ხომ არ ჰქონდა ადგილი პარტნიორის მხრიდან უფლებების ბოროტად გამოყენებას. ამდენად, არგუმენტი, რომ გაშლილი ხელის პრინციპის გამოყენება დაიშვება, ისეთ სამართალურთიერთობაში, რომლის მონაწილეებსაც არ გააჩნიათ სპეციალური მოვალეობები და მოქმედებენ საკუთარ ინტერესში, არ გამორიცხავს პარტნიორსა და კორპორაციას შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის შეფასების შესაძლებლობას გაშლილი ხელის პრინციპის სტანდარტით. სამართალურთიერთობა, რომელშიც პარტნიორი მოქმედებს როგორც ინდივიდუალური სუბიექტი, ის იცავს პირად ინტერესს და არ შეიძლება მოეთხოვოს ემოქმედა კორპორაციის ინტერესებში. მაგალითად, თუკი კორპორაცია პარტნიორისგან ყიდულობს მომსახურებს, პარტნიორი, ფიდუციური მოვალეობიდან გამომდინარე ვალდებული იქნებოდა უსასყიდლოდ ან შეღავათაინ ფასად განეხორციელებინა მომსახურება, რადგანაც კორპორაციის ინტერესში ნებისმიერ შემთხვევაში იქნება თანხების დაზოგვა. თუმცა, მსგავსი რეგულირება, როგორც განხილული მაგალითიდან ჩანს, მოკლებულია გონივრულობას.

გაშლილი ხელის პრინციპით სამართალურთიერთობის ხასიათის განსაზღვრისას, მხარეთა მოვალეობათა თანაბრობის კუთხით შეფასების გარდა ყურადღება ექცევა შემდეგ გარემოებებს: ხომ არ არის სახეზე მხარის იძულება, თაღლითობა, ცრუ წარმოდგენების შექმნა.

2. უფლების ბოროტად გამოყენება

უფლების ბოროტად გამოყენების ცნების მიმართ არ არის ერთგვაროვანი დამოკიდებულება, რაც განპირობებულია უფლების ბოროტად გამოყენებასა და კეთილსინდისიერების პრინციპს შორის არსებული ერთიერთდამოკიდებულებით. კერძოდ, პრობლემურია იმის განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივ ელემენტებს მოიცავს და როგორ უნდა მოხდეს უფლების ბოროტად გამოყენების კვალიფიკაცია.

რომის სამართალში უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის პრინციპი არ იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული. თუმცა რომის სამართალი იცნობდა *aequitas* და *bona fides* ცნებებს.⁶³⁰ არსებობს მოსაზრება, რომ

⁶²⁹ Adler, Mann, Good Faith: R. A New Look at an Old Doctrine, *Arkon Law Review*, 28:1, 1994, 34

⁶³⁰ Jovanović, *Aequitas and Bona Fides in the Legal Practice of the Ancient Rom and the Prohibition of the Abuse of Rights*, *Law and Politics*, Vol. 1, No 7, 2003, 764.

უფლების ბოროტად გამოყენება კრძალავს არაკეთილსინდისიერ ქმედებას, და შესაბამისად, აერთიანებს როგორც კეთილსინდისიერების, ასევე სამართლიანობის ელემენტსაც.⁶³¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის შეიცავს უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის ზოგად ფორმულირებას. აღნიშნული მუხლის თანახმად, „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, დაუშვებელია უფლების ბოროტად გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.“⁶³² მოცემული ნორმა შედგება, ორი ნაწილისგან. პირველის თანახმად, უფლების ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს უფლების არამართლზომიერი გამოყენება. ხოლო მეორე, კი უფლების ბოროტად გამოყენებად მიიჩნევა ისეთ ქმედებას, რომლის ერთადერთი მიზანიცაა სხვისთვის ზიანის მიყენება. პირველ და მეორე მახასიათებელს შორის ურთიერთკავშირი არის კუმულატიური. მეორე წარმოადგენს კონკრეტულ გამოვლინებას, პირველი კი განსაზღვრავს ქმედების მაკვალიფიცირებელ ხასიათს.

უფლების არამართლზომიერი გამოყენება გავრცელებულ უნდა იქნეს, უფლების ნორმატიული ჩარჩოების დარღვევად. კერძოდ, როდესაც პირი იყენებს უფლებას კანონით დადგენილი ფარგლების მიღმა. აღნიშნული კი ყოველთვის არ ხორციელდება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. არამართლზომიერი გამოყენება შეიძლება მიზნად ისახავდეს პირადი სარგებლის მიღებას, და სწორედ აღნიშნულის შედეგი იყოს სხვა პირისთვის დამდგარი ზიანი.⁶³³ პირმა უფლება შეიძლება ბოროტად გამოიყენოს პირადი სარგებლის მისაღებად, იმ შემთხვევაში, როცა ამავე უფლების მართლზომიერი გამოყენებით ასეთ მიზანს ვერ მიაღწევს. აღნიშნულის გამო, უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის დაცვის ობიექტი უნდა იყოს უფლების მართლზომიერი გამოყენება, და გადააწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს „მარტოდენ სხვისთვის ზიანის მიყენების მიზანს.“⁶³⁴

სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია უფლებათა განხორციელების სტანდარტი. კერძოდ, დადგენილია, რომ კეთილსინდისიერება და მართლზომიერება აუცილებლად უნდა იქნეს დაცული პირის მიერ უფლებათა განხორციელებისას. პირის მიერ მესაკუთრის უფლებების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა, გარდა იმისა, რომ

⁶³¹ Jovanović, Aequitas and Bona Fides in the Legal Practice of the Ancient Rom and the Prohibition of the Abuse of Rights, Law and Politics, Vol. 1, No 7, 2003, 767.

⁶³² იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 2002, 301.

⁶³³ სამართალი უზრუნველყოფს ინდივიდის უფლებებისა და ინტერესების დაცვას. სწორედ ამიტომ კანონმდებლობა კრძალავს ერთი პირის მიერ მეორესთვის ზიანის განზრახ მიყენებას. ქმედების და ზიანის ხასიათის მიხედვით სამართალი ითვალისწინებს ან სამოქალაქოსამართლებრივ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

⁶³⁴ აღნიშნული პოზიცია გაზიარებულია სასამართლო პრაქტიკაშიც. მაგ., 2012 წლის 21 სექტემბრის №28/2821-12 გადაწყვეტილებაში თბილისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უფლების ბოროტად გამოყენებას უთანაბრდება ის მდგომარეობაც, როდესაც პირი უფლებას არ იყენებს მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას, როცა მისი უმოქმედობა მიზნად არ ისახავს უფლების განხორციელებისათვის აუცილებლობით ნაკარნახევ ინტერესის დაცვას.

კანონმდებლობით აკრძალულ ქმედებას წარმოადგენს, ასევე მესაკუთრის ზნეობრივ მოვალეობადაც განიხილება.⁶³⁵

როგორც ზემოთ იყო განხილული, პარტნიორის პირად პასუხისმგებლობას იწვევს პარტნიორის ქმედება, რომელიც სცილდება კანონით განსაზღვრულ ჩარჩოებს. მაგალითად, ქონების აღრევა, კორპორაციის ქონების გამოყენება პირადად, იმ პირობებში, როცა სამართლებრივ ჩარჩოების ფარგლებში ქონება უნდა იყოს განცალკევებული. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის პრინციპის ზემოთ მოყვანილი დასაბუთება, შეიძლება განხილულ იქნეს პარტნიორის პასუხისმგებლობის საფუძველად.

2.1 პარტნიორი, როგორც მესაკუთრე და უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის კონცეფცია საკუთრების უფლების გამოყენების დროს

პარტნიორი არც კორპორაციის და არც კორპორაციის ქონების მესაკუთრე არ არის. მას საკუთრების უფლება გააჩნია მხოლოდ წილზე ანდა აქციაზე.⁶³⁶ წილი/აქცია არის უფლებამოვალეობათა ერთობლიობა.⁶³⁷ იგი არამხოლოდ ადასტურებს მისი მესაკუთრის უფლებებს კორპორაციაში,⁶³⁸ არამედ არის ამ უფლებების წარმოშობის საფუძველი. შესაბამისად, პარტნიორის ნებისმიერი ქმედება, რომელიც დაკავშირებულია კორპორაციასთან, უნდა ჯდებოდეს აქციით/წილიდან გამომდინარე უფლებების ფარგლებში.

საკუთრების კერძოსამართლებრივი სუბსტანცია გამორიცხავს საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენებად ითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი და არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა.⁶³⁹ პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მესაკუთრის ინტერესი, რომელმაც შეიძლება გაამართლოს უფლების ისეთი გამოყენება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ზიანი, გულისხმობს მხოლოდ კანონიერ ინტერესს. პარტნიორის ინტერესია მიიღოს მოგება. აღნიშნული ინტერესი სრულიად კანონიერია. კომერციული გაერთიანება იქმნება სწორედ იმ მიზნით, რომ განახორციელოს მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობა. საბოლოო ჯამში, კორპორაციის მოგება მისი პარტნიორების ფინანსურ კეთილდღეობაზე ისახება. თუმცა იმ შემთხვევაში, როცა პარტნიორს, წილიდან გამომდინარე უფლებათა არამართზომიერი გამოყენებით სურს ფინანსური სარგებლის ისე მიღება, რომელსაც კანონიერი მოქმედების ფარგლებში ვერ მიიღებდა, მისი როგორც მესაკუთრის ინტერესი, შეიძლება ითქვას, რომ იქნეს არაკანონიერ ხასიათს. ამდენად,

⁶³⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება №28/2821-12.

⁶³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/36-7.

⁶³⁷ მეწარმეთა შესახებ კანონი, 51.1. მუხლი

⁶³⁸ ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, 2008, 143.

⁶³⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეორე, 1999, 83-86.

იმისათვის, რომ საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა დაუკავშირდეს გამჭოლ პასუხისმგებლობას, საჭიროა, დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინით აკრძალული ქმედება პარტნიორის როგორც მესაკუთრის უფლების ბოროტად გამოყენებას. აღნიშნულის დასადაგენად, კი საჭიროა წილიდან გამომდინარე უფლებების კანონიერი ფარგლებისა და ამ უფლებათა გამოყენების გავლენის განსაზღვრა.

წილი/აქცია პარტნიორს ანიჭებს ქონებრივ და არაქონებრივი უფლებებს.⁶⁴⁰ ამ უფლებებიდან გამჭოლი პასუხისმგებლობის ჭრილში საინტერესოა ხმის უფლება და უფლება წილ მოგებაზე.

გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა ხდება საერთო კრებაზე ხმის უფლების გამოყენების გზით. ხმის უფლება ანიჭებს პარტნიორს შესაძლებლობას მიიღოს მონაწილეობა კორპორაციის მართვაში, რადგანაც დახურული ტიპის კორპორაციებში, სადაც პარტნიორს არ აკისრია პასიური როლი, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება სწორედ საერთო კრებაზე, ხმის უფლება გულისხმობს კანონითა და წესდებით დადგენილი კომპეტენციის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ თუ ქონების განკარგვა არის საერთო კრების კომპეტენცია, მაშინ აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიმღებია პარტნიორი. შესაბამისად, პარტნიორის ხმის უფლების კანონისმიერი ჩარჩო გულისხმობს მის გამოყენებას კანონითა და წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში. შესაბამისად, თუკი ქმედების ლეგიტიმაციისთვის აუცილებელია საერთო კრების გადაწყვეტილება, პარტნიორის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებას ექნება ადგილი თუ ამ ქმედებას განახორციელებს საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე. ხმის უფლება უზრუნველყოფს კორპორაციაში კონტროლს. ხმის უფლებით ბოროტად სარგებლობა სახეზე იქნება, თუკი იგი გამოიყენება პირად ინტერესებისათვის და კორპორაციის საზიანოდ.

რაც შეეხება დივიდენდზე უფლებას, იგი გულისხმობს წლიური ან შუალედური მოგების განაწილების შედეგად პარტნიორის მიერ წილი მოგების მიღებას. დივიდენდის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოების საერთო კრება დადგენილი წესით მიიღებს გადაწყვეტილებას მოგების განაწილების შესახებ.⁶⁴¹ ამდენად, დივიდენდის მოთხოვნის უფლების კანონისმიერი ფარგლები გულისხმობს: 1. მოგების არსებობას; 2. მის განაწილებაზე გადაწყვეტილების არსებობას; შესაბამისად, გამჭოლი პასუხისმგებლობის კლასიკური მაგალითი, როდესაც პარტნიორი ახდენს კორპორაციის აქტივებისგან დაცლას, მაგალითად,

⁶⁴⁰ აქციიდან გამომდინარე ქონებრივი და მმართველობითი უფლებების შესახებ იხ. ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, 2008, 177.

⁶⁴¹ სუს-მა მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა დივიდენდის სამართლებრივ ბუნებაზე საქმეზე №ას-1328-1170-2010, კერძოდ, განასხვავა დივიდენდის მიღების უფლება დივიდენდის მოთხოვნის უფლებისგან. პირველი ზოგადია უფლება და დამოკიდებულია პარტნიორად ყოფნაზე. შესაბამისად, წილისგან დამოუკიდებლად მისი გასხვისება შეუძლებელია (წილის გასხვისების შემთხვევაში კი იგი გადადის ახალ მესაკუთრეზე), დივიდენდის მოთხოვნის უფლება კი დამოუკიდებელი მოთხოვნაა, რადგანაც ამ უფლებასთან მიმართებით პარტნიორი წარმოადგენს საზოგადოების კრედიტორს, ეს სტატუსი კი მას აძლევს უფლებას განაწილებული დივიდენდის მოთხოვნის უფლება გადასცეს მესამე პირს.

დივიდენდების გაცემის გზით, შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს დივიდენდზე უფლების ბოროტად გამოყენებად.

უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ის, რომ სამოქალაქო სამართლის ერთი სუბიექტის მიერ უფლების განხორციელებამ არ უნდა ხელყოს მეორე სუბიექტის უფლებები და კანონიერი ინტერესები. სამოქალაქო უფლებათა გამოყენება უნდა ხდებოდეს კეთილსინდისიერად, აღნიშნული უფლებების კანონისმიერი შინაარსის შესაბამისად. უფლების ბოროტად გამოყენება ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილე სცილდება უფლებით მინიჭებული შესაძლებლობით სარგებლობის კანონიერ ფარგლებს. ესეთი შემთხვევა კი განიხილება განსაკუთრებულ სამოქალაქო სამართალდარღვევად. ასეთი დარღვევის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ პირი ფორმალურად ეყრდნობა მის უფლებებს, თუმცა აღნიშნული უფლებების რეალიზაციას ახდენს იმ ფორმით, რომ სცილდება დადგენილ ფარგლებს. შედეგად ირღვევა მესამე პირთა უფლებები და კანონიერი ინტერესები. საბოლოო ჯამში, პირის მიერ საკუთარი უფლებების გამოყენება იქცევა სამართალდარღვევად.⁶⁴² ამდენად, პარტნიორის მიერ წილზე საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენებას, გამჭოლი პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცესში შეიძლება მიენიჭოს სამართლებრივი დასაბუთების მნიშვნელობა.

VII. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის რეგულირების პრობლემატიკა საქართველოში

1. პარტნიორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულია რიგი შემთხვევები. მაგალითად, საწარმოს შექმნა მართლზომიერი სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე პირადი ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით,⁶⁴³ ხოლო მეწარმეთა შესახებ კანონი ითვალისწინებს საზოგადოების ვალდებულებებისთვის პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის ნორმატიულ საფუძველს, რომლის თანახმადაც, პარტნიორი ვერ დაიცავს თავს საზოგადოების კრედიტორებისგან, თუკი იგი ბოროტად იყენებდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს. კანონის დღეს მოქმედი რედაქცია არ აკეთებს არავითარ მითითებას, თუ რა შეიძლება მივიჩნიოთ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენებად. საკითხს ასევე ართულებს ის გარემოებაც, რომ გამჭოლი

⁶⁴² ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება №2160-2012.

⁶⁴³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში „სსსკ“) 193-ე მუხლი; უნდა აღსანიშნავია, რომ შემდგომი მუხლები, კერძოდ, 205-ე („უკანონო ქმედება გადახდისუუნარობისას“), 205¹-ე („ქონების გადამალვა მოჩვეულებით/ანდა თვალთმაქცური გარიგებით“ და 220-ე მუხლი („უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება“) ავიწროვებს ქმედების სუბიექტის წრეს, ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირების სახით, შესაბამისად, ამ მუხლების გამოყენება ვერ მოხდება პარტნიორის სტატუსის მქონე პირის მიმართ.

პასუხისმგებლობის დოქტრინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.⁶⁴⁴ სსსკ-ის 193-ე, მუხლის („ცრუ მეწარმეობა“) შემადგენლობა, რომლის თანახმად, დასჯადია საწარმოს შექმნა სამეწარმეო საქმიანობის განხრახვის გარეშე, კრედიტის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით, არ ფარავს გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ყველა შემთხვევას. კორპორაციული საფარველის გაჭოლვას, კორპორაციის სამართალსუბიექტობის გაუქმების, და თავად კორპორაციის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე, შესაძლებელს ხდის სისხლის სამართლის კოდექსის 205¹-ე მუხლიც,⁶⁴⁵ რომლის მიხედვითაც, პირებს რომელსაც იცავს კორპორაციული საფარველი (ხელმძღვანელები, პარტნიორები) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საზოგადოებას მიიყვანენ გადახდისუუნარობამდე. ამ დანაშაულის შემადგენლობა კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მოიცავდეს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენების გამოვლინებებსაც (არასათანადო კაპიტალიზაცია, ქონებათა აღევა და ა.შ). თუმცა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არის გამჭოლი პასუხისმგებლობის ალტერნატივა, რადგანაც ამ შემთხვევაში, კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებული სამოქალაქო წესით მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას. ამასთან ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კანონმდებლობით, სისხლისსამართლის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებას პრეიდუციული ძალა სამოქალაქო სასამართლოს საქმეზე მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ფაქტის და არა ზიანის ოდენობის ან სხვა ფაქტობრივი გარემოების ნაწილში აქვს.⁶⁴⁶ ამდენად, სისხლისსამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილი კრედიტორის სარჩელის გამო, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო ითვალისწინებს სისხლისსამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ მხოლოდ დანაშაულის – პარტნიორის მიერ საზოგადოების სახელით თაღლითობის ჩადენის ფაქტს, ხოლო თაღლითობის შედეგად დამგარი ზიანის ოდენობის მტკიცება კრედიტორს ეკისრება.

⁶⁴⁴ სუს-ის პრაქტიკაში დღემდე მხოლოდ ორი საქმე არსებობს, სადაც კასატორი უთითებდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენებაზე, თუმცა უზენაესმა სასამართლომ არცერთ შემთხვევაში არ გააკეთა რაიმე განმარტება. იხ. 2013 წლის 7 მარტის განჩინება №ას-1162-1091-2013 და 2013 წლის 13 მაისის განჩინება №ას-286-272-2013, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამ უკანასკნელ საქმეში, უზენაესი სასამართლო, საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარით, დაეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს იმ მოსაზრებას, რომ სათანადო გარემოებების შემთხვევაში შესაძლებელია კორპორაციული საფარველის გაჭოლვა.

⁶⁴⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი; იხ., ასევე სუს-ის 2010 წლის განჩინება №238-224-10, სასამართლომ მიუთითა რომ, პრეიდუციული ძალა ენიჭება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ, კანონიერ ძალაში შესულ საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დადგენილი პირის მიერ ჩადენილ ქმედებას, ხოლო ამ ქმედებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის და მათი ოდენობის მტკიცების ტვირთი, სამოქალაქო საქმეზე ეკისრება მოსარჩელე მხარეს.

2. გამჭოლი პასუხისმგებლობის ფუნდამენტური წინააღმდეგობების რეგულირების მეთოდი

აშშ-ში გამჭოლი პასუხისმგებლობა ეფუძნება სასამართლო პრაქტიკათა და იურიდიული ლიტერატურაში განვითარებულ თეორიებს, რომლებიც აყალიბებენ შეფასების სხვადასხვა ტესტებს. კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ტრადიციებზე განსწავლული იურისტის თვალსაწიერიდან პასუხისმგებლობის გაჭოლვის აშშ-ის მოდელი აღიქმება უფრო სამართლებრივ მეტაფორად, ვიდრე სამართლის იმპერატიულ წესად. გამჭოლი პასუხისმგებლობის რეგულირების ევროპული მოდელი ეფუძნება პასუხისმგებლობის ნორმატიული საფუძვლის არსებობას. თუმცა აქაც უდავოა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის ყველა შემთხვევა ვერ დარეგულირდება საკორპორაციო და სამოქალაქო სამართლის ნორმებით. სამართალი არ არის უნივერსალური, იგი ვერ დაარეგულირებს ყველა შესაძლო შემთხვევას. შესაბამისად, სასამართლო რეგულირება არ უნდა იყოს დამოკიდებული და შემოზღუდული საკანონმდებლო მოცემულობით, იმ შემთხვევაში თუკი ეს მოცემულობა გულისხმობს ნორმატიული ბაზის არ არსებობას. სასამართლო დაცვა გარანტირებულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არსებობს ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმა.⁶⁴⁷ აღნიშნულის ჭრილში, აშშ-ს მიდგომა უფრო ეფექტურია, რადგანაც იქ სადაც არ არსებობს იმპერატიულად დადგენილი სამართლებრივი ნორმა, რომელიც შექმნიდა გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველს, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სამართლებრივი მეტაფორები, როგორც რეგულირების მეთოდი და მიაღწიოს სამართლიანი ბალანსის დაცვას კონკრეტული ურთიერთობის მონაწილეებისათვის. ამ პოზიციას ოპონირებას უწევს სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფის არგუმენტი. რა თქმა უნდა უდავოა, რომ სასამართლოს როლი კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფაა. თუმცა სადაცაა რა უფრო უზრუნველყოფს სტაბილურობას, სასამართლოს მიერ ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის ინდივიდუალური სამართლიანი ბალანსის შემქნისთვის თუ მოსამართლის შებოჭვა ნორმატიული საფუძველით, რომელიც რეგულირების გარეშე ტოვებს შემთხვევათა ნაწილს.

გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინისა და ცალკეული მატერიალური წინაპირობების ანალიზის შედეგად შესაძლებელია, პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის რამდენიმე გზის იდენტიფიცირება. მაგალითად, საფარანგეთსა და ინგლისში გამჭოლი პასუხისმგებლობის შემთხვევათა მნიშვნელოვანი ნაწილი წყდება იმპერატიული კანონმდებლობით, კერძოდ გაკოტრების სამართლით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, დირექტორთა პასუხისმგებლობის ნორმები გავრცელდეს ჩრდილოვანი დირექტორებზე და ამ გზით გადაფაროს პარტნიორიც.

⁶⁴⁷ სსკ, მე-4 მუხლი;

2.1 დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის პრინციპის დაძლევა

გამჭოლი პასუხისმგებლობის პრაქტიკაში გამოყენების ძირითად პრობლემას წარმოადგენს კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის პრინციპი. ინდივიდუალური პარტნიორისგან შემდგარი კორპორაცია, ისევე როგორც კორპორაციული ჯგუფის ფარგლებში მოქმედი ცალკეული კორპორაციები, წარმოადგენენ სამართლის დამოუკიდებელ, პასუხისმგებლობაუნარიან სუბიექტებს.

კორპორაციის ნორმატიული კონსტრუქციის მიხედვით, კორპორაციის სახელით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება მიეწერება თავად კორპორაციას, და პასუხისმგებლობასაც თავად კორპორაციას ეკისრება.

ამდენად, გამჭოლი პასუხისმგებლობის, როგორც სამართლებრივი მექანიზმის გამოყენების პირველი წინააღმდეგობა დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის პრინციპია და შესაბამისად, გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების პრობლემის გადაჭრის პირველი გზა სწორედ ამ წინააღმდეგობის გადალახვაა. გამომდინარე იქიდან, რომ კორპორაციის ნორმატიული კონსტრუქცია ემსახურება სამოქალაქო ურთიერთობებში კორპორაციის სრულფასოვან მონაწილეობას, დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის პრინციპის დაძლევა არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს ამ პრინციპის გაუქმებას ან მისგან გამონაკლისების დადგენას.

ინდივიდუალური პარტნიორისგან შემდგარი კორპორაციის შემთხვევაში, პარტნიორის კორპორაციული საფარველის გაჭოლვის მიზნით, კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის გადალახვის ერთადერთი გზაა - სასამართლოს მიერ დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ფაქტობრივი ხარისხის შეფასება. ამ შემთხვევაში, დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის პრინციპის დაძლევა გულისხმობს კორპორაციის ბუნების შეფასებას, რა დროსაც სამართლებრივი კონსტრუქციის ჭრილში უნდა მოხდეს ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასება. გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა ფაქტობრივი და სამართლებრივი ნიშნები აცდენილია. კორპორაცია ინარჩუნებს იურიდიულ სტატუსს, თუმცა ფაქტობრივი დამოუკიდებლობის არარსებობის გამო ხდება კორპორაციული საფარველის გაჭოლვა. შესაბამისად, სასამართლომ უნდა დაადგინოს:

- პარტნიორის კონტროლის ხარისხი კორპორაციაზე. კერძოდ როგორ მონაწილეობს კორპორაციის ყოველდღიურ საქმიანობასა და კორპორაციის მართვაში.
- კორპორაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მართლზომიერი გამოყენება. სწორედ ამ ნაწილში უნდა დადგინდეს, სახეზეა თუ არა კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა და ან ქონებათა აღევა. რადგანაც კორპორაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მოთხოვნაა კორპორაციის ქონებრივი განცალკევებულობა და ისეთი ფორმალური საკითხების დაცვა, როგორიც არის მაგალითად, საფირმო სახელწოდება.
- პარტნიორის მხრიდან კორპორაციის კაპიტალიზაციის ხარისხი.

თუკი აღნიშნული გარემოებების შეფასების შედეგად დგინდება, რომ კორპორაციას პარტნიორისგან არ აქვს მინიჭებული საკმარისი დამოუკიდებლობა, დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის პრინციპი შეიძლება ჩაითვალოს დაძლეულად და შესაბამისად, გამოყენებულ იქნეს გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა.

განსხვავებულია მდგომარეობა კორპორაციული ჯგუფის შემთხვევაში. აღნიშნულის გარდა, დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის წინააღმდეგობის გადალახვის ნორმატიული მოდელიც არსებობს. კერძოდ, კორპორაციული ჯგუფისთვის, ნორმატიულ დონეზე დამოუკიდებელი სამართალსუბიექტის სტატუსის მინიჭება. შედეგად, კორპორაციული ჯგუფის ფარგლებში ცალკეული წევრების მიერ განხორციელებული ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის თავად ჯგუფის პასუხისმგებლობა დადგება. ანუ ფაქტობრივად მოხდება დედა/მაკონტროლებელი კომპანიის კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, თუმცა არა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის, არამედ, იმ საფუძველით, რომ მშობელ-შვილობილი ან სხვაგვარად აფილირებული კომპანიების კავშირი მიჩნეულ იქნება დამოუკიდებელ სუბიექტად. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული მიდგომა განიხილება პრობლემის მაქსიმალისტურ გადაწყვეტად, თუმცა მას არ აქვს მხარდაჭერა იურისტების მხრიდან.⁶⁴⁸ ასევე, დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის სრული მოცულობით მინიჭების ალტერნატივად შეიძლება განვიხილოთ იქნეს კორპორაციული ჯგუფისთვის პასუხისმგებლობაუნარიანობის მინიჭება.

2.2 პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის მოქმედების ფარგლების ლიმიტირება

გამჭოლი პასუხისმგებლობის მეორე წინააღმდეგობას წარმოადგენს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი. შესაბამისად, მისი დაძლევა უნდა მოხდეს ამ პრინციპის მოქმედების ლიმიტირებით. ლიმიტირება შესაძლებელია განვიხილოთ იქნეს რამდენიმე კონტექსტში:

პირველი, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის უკუგდება წილთა 100%-იანი საკუთრების, როგორც ინდივიდუალურ პარტნიორის, ასევე მშობელ-შვილობილ კორპორაცია შემთხვევაში. ამ მიდგომის გამოყენება ეფუძნება ლოგიკურ-სამართლებრივი დასაბუთების მეთოდს. კერძოდ, პარტნიორი ახორციელებს სრულ კონტროლს კორპორაციაზე და იყენებს მას, როგორც წარმომადგენელს პირადი ინტერესების მისაღწევად. ასეთ შემთხვევაში კი პარტნიორი, როგორც წარმომადგენელი პირი პასუხისმგებელია კორპორაციის ქმედებებისათვის. აღნიშნული კონსტრუქცია გამომდინარეობს ანგლო-ამერიკული პრინციპალისა და აგენტის თეორიიდან, რომლის ანალოგადაც, პარტნიორის კორპორაციული საფარველის გაჭოლვის მიზნით, ქართულ სამართლებრივ რეალობაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად, მოვალემ იმ პირთა მოქმედებებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად, ისევე უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედებების დროს.

⁶⁴⁸ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 533-544.

მეორე, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის უკუღდება დახურული ტიპის პატარა კორპორაციაში, რადგანაც კონტროლი და მენეჯმენტი არ აღწევს საკამარისი განცალკევებულობის ხარისხს. დახურული პირის კორპორაციაში კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დასაბუთება უნდა ეფუძნებოდეს პრეზუმფციას, რომ კონტროლი არის საკუთრების პროპორციული.⁶⁴⁹ შესაბამისად, მხოლოდ იმ პარტნიორის პასუხისმგებლობა დადგება, რომელიც მნიშვნელოვანი კონტროლის ხარჯზე იყენებს კორპორაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას პირადი ინტერესებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ დახურული ტიპის კორპორაციაში პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის უკუღდებისთვის საკამარის გარემოებად მიიჩნევა ასევე თაღლითობა, ქონების გადაცემა პარტნიორისთვის, რეალურზე ნაკლებ ღირებულებად, ან პარტნიორის მხრიდან ექვივალენტური ღირებულების შესრულების გარეშე, კორპორაციის ქონების განკარგვა, რომელმაც გამოიწვია კორპორაციის გადახდისუუნარობა.⁶⁵⁰

მესამე, შესაძლებელია პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის უკუღდება დელიქტურ ვალდებულებათა მიმართ, როგორც ღია, ასევე დახურულ კორპორაციაში. იმ შემთხვევაში თუ კორპორაციის ქონება არ არის საკამარისი დელიქტური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, პარტნიორს არ უნდა მიენიჭოს შეზღუდული პასუხისმგებლობა. აღნიშნული შემთხვევების რეგულირება შესაძლებელია როგორც სპეციალურ საკანონმდებლო ნორმებში, როგორცაა გარემოს დაცვა, მომხარებელთა უფლებების დაცვისა და შრომის უსაფრთხოება. მაგალითად, თუკი პარტნიორმა ნახა მოგება ტოქსიკური ნარჩენების გარემოში გაშვებით, მომხარებელთა გაფრთხილების გარეშე მანვე პროდუქტების გამოყენებით, ან იმ შემთხვევაში, როდესაც პარტნიორმა იცის რა, რომ დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაო ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის მატარებელია, დასაქმებულის ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე ახდენს მის დაშვებას სამუშაოზე. ასეთ შემთხვევაში პარტნიორი არ უნდა იყოს უფლებამოსილი დაიცვას თავი პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპით, ხოლო კრედიტორი, თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არ უნდა იყოს შეზღუდილი კორპორაციის ქონებით, იმ შემთხვევაში, როცა ეს ქონება არ არის საკამარისი, მოთხოვნის დაკმაყოფილება უნდა შეძლოს პარტნიორის ხარჯზე.⁶⁵¹ აღნიშნული მიდგომა გამართლებულია, რამდენადაც დელიქტურ ვალდებულებათა მიმართ შეუზღუდავი პასუხისმგებლობის არჩევა დიდად არ გაზრდის პარტნიორის ფინანსურ რისკს, რადგანაც მას ექნება შესაძლებლობა შეიძინოს ადეკვატური დაზღვევა.⁶⁵² უნდა აღინიშნოს, რომ პარტნიორთა მიმართ სამართლიანობის უზრუნველსაყოფად და ფინანსურად ძლიერი პარტნიორის მიმართ კრედიტორის მიერ უფლების ბოტროტად გამოყენების ასაცილებლად, გამართლებულია, რომ დელიქტურ

⁶⁴⁹ Vandekerckrove, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 462.

⁶⁵⁰ Vandekerckrove, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 462.

⁶⁵¹ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის 1995 წლის რეზოლუციის თანახმად, დედა კორპორაცია პასუხისმგებელია შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებებსა და დელიქტებზე, მასობრივი კატასტროფების დროს, როდესაც დელიქტის განმახორციელებელი შვილობილი კორპორაციის ქონება არ არის საკამარისი მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.

⁶⁵² Vandekerckrove, *Piercing the Corporate Veil*, Kluwer Law International, 2007, 461.

მოთხოვნათა მიმართ პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობა დადგეს წილთა პროპორციულად.⁶⁵³

შეუზღუდავი პასუხისმგებლობა დელიქტურ მოთხოვნათა მიმართ პრაქტიკაში ქმნის პრობლემას, თუ რომელ პარტნიორს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა, რომელიც დელიქტის მომენტში იყო პარტნიორი თუ რომელიც გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისთვის იყო პარტნიორი. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებლობა უნდა დადგეს იმ პირის მიმართ, რომელიც იყო პარტნიორი, როდესაც კორპორაციის მენეჯმენტისთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია დელიქტური სარჩელის აღძვრის შესახებ.⁶⁵⁴

გამომდინარე იქიდან, რომ სახელშეკრულებო მოთხოვნები, რომლებიც წარმოიშვა პარტნიორის მხრიდან კორპორაციის შესახებ ცრუ წარმოდგენების შექმნის შედეგად, ანალოგიურია დელიქტური მოთხოვნებისა, უფრო გამართლებულად უნდა იქნეს მიჩნეული კრედიტორთა დაყოფა არა დელიქტისმიერ და ხელშეკრულებისმიერ კრედიტორებად, არამედ კრედიტორთა გამიჯვნა იმის მიხედვით, ჰქონდათ თუ არა შესაძლებლობა ჩარევისა და ზემოქმედების გარეშე თავისუფლად აერჩიათ კონტრაქტი კორპორაცია. იურიდიულ ლიტერატურაში ასევე გავრცელებულია პოზიცია, რომ სასამართლომ, იმის ნაცვლად, რომ დელიქტისმიერ მოთხოვნათა შემთხვევაში იმსჯელოს ისეთ ცნებებზე, როგორცაა კორპორაციის განცალკევებულობა და არამართლზომიერი ქმედება, კონცენტრაცია უნდა მოახდინოს დელიქტური სამართლის ფუნდამენტურ იდეაზე, რომლის თანახმადაც, დელიქტით დაზარალებულმა კრედიტორმა ყოველთვის უნდა მიიღოს ადეკვატური ანაზღაურება.

2.3 პროცედურული გადაწყვეტა: მტკიცების ტვირთის შემსუბუქება კრედიტორის სასარგებლოდ

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დავაში მტკიცების ტვირთის მოსარჩელეზე დაკისრება აფერხებს გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებას.⁶⁵⁵ სამოქალაქო საპროცესო სამართლის ფუნდამენტური პრინციპია, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაადასტუროს ის გარემოება, რომელზეც ამყარებს მოთხოვნას (*onus probandi*). მკვლევართა აზრით, აღნიშნული პრინციპი, კორპორაციული საფარველის გაჭოლვის შემთხვევაში მოქმედებს კრედიტორის წინააღმდეგ, რადგანაც კრედიტორს, როგორც წესი, არ აქვს წვდომა, იმ შიდა ინფორმაციაზე, რომელიც აუცილებელია, მოთხოვნასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად.⁶⁵⁶ შესაბამისად, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთ პირობებში კრედიტორის შანსები მოიგოს სარჩელი მცირდება. ამდენად, მოსარჩელეს უნდა დაეკისროს მხოლოდ ფაქტზე მითითების ტვირთი, ხოლო მოპასუხეზე მთლიანად უნდა გადავიდეს მტკიცების ტვირთი. თუმცა, ესეთი გადაწყვეტა ქართულ სამართლებრივ რეალობაში, მოსარჩელისთვის ზედმეტ სამართლებრივ

⁶⁵³ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 537.

⁶⁵⁴ Presser, Piercing the Corporate Veil, 2011 Ed. 1365.

⁶⁵⁵ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 537.

⁶⁵⁶ Vandekerckrove, Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 538.

პრივილეგიად უნდა იქნეს განხილული. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლოს მიხედვით, მოსარჩელე უფლებამოსილია სასამართლოს ძალით გამოითხოვოს მტკიცებულებები, ასევე შესაძლებელია მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ინსტიტუტის გამოყენებაც, თუკი არსებობს მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე.⁶⁵⁷ ამის გარდა, მტკიცების ტვირთისგან მოსარჩელის გათავისუფლება გზას გაუხსნის უფლების ბოროტად გამოყენებას. ამდენად, ქართული სამართლის ჭრილში, გამჭოლი პასუხისმგებლობა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ცვლილებას არ მოითხოვს.

3. ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება უახლეს პრეცედენტს წარმოადგენს. აღნიშნულის გამო, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკაში გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

აღნიშნული პროცესის პირველ ეტაპად უნდა ჩაითვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება. მოცემულ ეტაპზე, შეინიშნებოდა საქართველოს უზნაესი სასამართლოს მიერ გამჭოლი პასუხისმგებლობის, როგორც სამართლებრივი მექანიზმის მიმართ, ინდიფერენტულობა. საკასაციო სასამართლომ, განმარტების გაკეთების გარეშე სააპელაციო სასამართლოს ზემოთაღნიშნული განჩინებაზე წარდგენილი საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ გასაჩივრების საფუძველების არარსებობის მოტივით, დაუშვებლად სცნო.⁶⁵⁸

გამჭოლი პასუხისმგებლობის განვითარების შემდეგ ეტაპზე, საკასაციო სასამართლო ერთვება გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხის განმარტებაში, რის შედეგადაც შეიქმნა პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის პირველი პრეცედენტები. კერძოდ, საუბარია, საქართველოს უზნაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის №ას-1307-1245-2014 გადაწყვეტილება და ამავე თარიღის გადაწყვეტილება №ას-1158-1104-2014.⁶⁵⁹ ნიშანდობლივია, რომ მოცემულ ორ შემთხვევაში პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა დადგა სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის სასარგებლოდ, კორპორაციის საგასადახლო ვალდებულებების გამო. შესაბამისად, სახელშეკრულებო და დელიქტისმიერი სხვა შემთხვევების მიმართ ჯერ-ჯერობით

⁶⁵⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 154-ე და 157-ე მუხლები.

⁶⁵⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, გასაჩივრების საფუძველებია: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზნაესი სასამართლოს მანმადე არსებული პრაქტიკისგან, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება

⁶⁵⁹ სუს, 2015 წლის 6 მაისის №ას-1307-1245-2014 გადაწყვეტილება, სუს, გადაწყვეტილება №ას-1158-1104-2014.

გაურკვეველია თუ რა სტანდარტით მოხდება პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ზემო აღნიშნული წარმოდგენს სრულიად ახალ მექანიზმს, მიზანშეწონილია დასახელებული გადაწყვეტილებებიდან იმ მნიშვნელოვანი და არსებითი ელემენტების განხილვა, რაც საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის არსს საქართველოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ეხებოდა სახელშეკრულებო მოთხოვნის მიმართ გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობას, ხოლო საკასაციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილებები კი დელიქტისმიერ ვალდებულებებს.

3.1 სახელშეკრულებო კრედიტორის სასარგებლოდ კორპორაციული საფარველის გაჭოლვის სასამართლო სტანდარტი

როგორც აღინიშნა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 იანვრის განჩინება,⁶⁶⁰ წარმოდგენს საქართველოს სასამართლოს მიერ გამჭოლი პასუხისმგებლობის მექანიზმის შეფასების პირველ პრეცედენტს. დასახელებული განჩინებით განიმარტა გამჭოლი პასუხისმგებლობის რამდენიმე ძირითადი ელემენტი. თუმცა, უმთავრეს მიღწევად, მაინც უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სასამართლომ აღიარა გამჭოლი პასუხისმგებლობის შესაძლებლობა სათანადო გარემოების არსებობისას. მართალია, მოცემულ საქმეში არ დაკმაყოფილდა აპელანტის მოთხოვნა - მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე მოვალის პარტნიორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, თუმცა აპელანტის სარჩელის წარუმატებლობა, მოცემული კონკრეტული შემთხვევაში განპირობებული იყო სათანადო ფაქტობრივი გარემოებების არ არსებობით/დაუდასაბუთებლობით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ სათანადო გარემოებების არსებობისას კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრედიტორის სასარგებლოდ. მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა მორიგების აქტის საფუძველზე მოთხოვნის დათმობით გათვალისწინებული თანხის დაკისრება. მოსარჩელე წარმოადგენდა საბანკო დაწესებულებას, რომელსაც სხვა სასამართლო დავის მორიგებით დასრულების შედეგად, მოვალემ დაუთმო მესამე პირის მიმართ არსებული მოთხოვნის უფლება. მესამე პირი, და შესაბამისად, აღნიშნულ დავაში ახალი მოვალე იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა შპს-ს ფულადი ვალდებულების დაკისრება მის 100%-იან წილის მფლობელ პარტნიორზე - სააქციო საზოგადოებაზე. იმ საფუძველით, რომ პარტნიორის მხრიდან ადგილი ჰქონდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად

⁶⁶⁰ აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 13 მაისის №ას-286-272-2013 განჩინებით არ იქნა მიღებული წარმოებაში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

გამოყენებას. პირველმა ინსტანციის სასამართლომ, ისევე როგორც სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა იყო თუ არა სახეზე პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენება. აღნიშნული მიზნით სასამართლომ განიხილა აპელანტის მიერ ამ გარემოების დასამტკიცებად მოყვანილი შემდეგი ფაქტები: სუსტი კაპიტალიზაცია, საგადასახადო კოდექსის კონტექსტში; საბუღალტრო მონაცემების წარმოების წესის დარღვევა და საგადასახადო დავალიანებები, შვილობილ კომპანიაში ზარალის აკუმულირების ხარჯზე დედა კომპანიის მიერ მოგების მიღება.

3.1.1 არასათანადო კაპიტალიზაციის სასამართლოსმიერი ინტერპრეტაცია

ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ, პირველ რიგში, იმსჯელა კაპიტალიზაციის საკითხზე.

მოცემულ შემთხვევაში მოვალეს შევსებული ჰქონდა დაფუძნების მომენტისათვის კანონმდებლობით დადგენილი კაპიტალის მინიმალური ოდენობა – 200 ლარი. სასამართლოს შეფასებით, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული კაპიტალი არ იყო საკმარისი სამეწარმეო მიზნების მისაღწევად, ხოლო მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენდა კაპიტალის მოზიდვის წესს, შესაძლებელი იყო საწარმოს მხრიდან მთელი რიგი ვალდებულებების აღება. ამასთან, ზოგიერთი სახის სამეწარმეო საქმიანობისათვის არ იყო საჭირო „განსაკუთრებულად დიდი კაპიტალის არსებობა“. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოვალის სამეწარმეო საქმიანობა – ტურისტული მომსახურების გაწევა, არ საჭიროებდა დიდ კაპიტალს. სასამართლომ დაადგინა, მეწარმეთა შესახებ კანონის საფუძველზე, ვალებისა და კაპიტალის შეფარდება არ შეიძლება გამხდარიყო საწარმოს არსებობისათვის გადამწყვეტი ფაქტორი, და მხოლოდ გადახდისუნარობის შესახებ საქართველოს კანონი ადგენდა ზოგიერთ შემთხვევაში „კრედიტორებისაგან თავის დასაცავად“ სასამართლოსთვის მიმართვის საჭიროებას.⁶⁶¹

სასამართლოს მსჯელობის ამ ნაწილთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალიზაციის საკითხთან მიმართებით სასამართლოს მიდგომა ეფუძნება კანონის ხისტ ინტერპრეტაციას. სასამართლომ იმსჯელა ნომინალურ კაპიტალიზაციაზე და სამართლიანად აღნიშნა, რომ ნომინალური კაპიტალიზაცია, წარმოადგენდა სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად არასერიოზულ ოდენობას. კამათს, არ იწვევს ის გარემოება, რომ ნომინალური კაპიტალიზაციის არაადეკვატურობა, არცერთ შემთხვევაში

⁶⁶¹ უნდა აღინიშნოს, რომ არამხოლოდ გადახდისუნარობის შესახებ კანონი აწესებს ამგვარ მოთხოვნას, არამედ მეწარმეთა შესახებ კანონიც ითვალისწინებს გადახდისუნარობის შემთხვევაში, გაჭიანურების გარეშე პროცედურის დაწყების მოვალეობას, თუმცა ეს მენეჯერულ მოვალეობას წარმოადგენს, და პარტნიორს პასუხისმგებლობის საფუძველად არ უნდა იქნეს განხილული, გარდა იმ შემთხვევისა თუ პარტნიორი დაკვალიფიცირდება ჩრდილოვან ხელმძღვანელად. ამასთან, გადახდისუნარობის პროცესი წარმოადგენს, გადახდისუნარობის დროს კრედიტორთა დაცვის სამართლებრივ ბერკეტს, და არა პირიქით, კრედიტორებისგან კორპორაციის დაცვის მექანიზმს.

არ შეიძლება გახდეს პარტნიორის პასუხისმგებლობის საფუძველი. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ემსჯელა მატერიალური კაპიტალიზაციის საკითხზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სამიზნე სამეწარმეო საქმიანობა არ საჭიროებდა დიდ კაპიტალს, ხოლო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით შესაძლებელია კაპიტალის მოზიდვა საკრედიტო ინსტრუმენტების გზით. მატერიალური კაპიტალიზაციის სტანდარტი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ვერ იქნება კანონმდებლობით დადგენილი. ეს ობიექტურად შეუძლებელი და გაუმართლებელია, რადგანაც კანონი თანაბრად ვერ დაფარავს ყველა კონკრეტულ შემთხვევას. შესაბამისად, კაპიტალიზაციის სათანადოობისა და სერიოზულობის განსაზღვრისას, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს არა კანონით, რომელიც ზოგადად არ აწესრიგებს (და ვერც მოაწესრიგებს) საკითხს, არამედ ფაქტების ლოგიკურ-სამართლებრივი განმარტებით. შესაბამისად, მატერიალური კაპიტალიზაციის განსაზღვრისას საგადასახადო კოდექსით დადგენილი სუსტი კაპიტალიზაციის ცნებას არ შეიძლება მიეცეს ანალოგიის ძალა. ამ საკითხთან მიმართებით სასამართლოს პოზიცია სწორია, თუმცა არა იმიტომ, რომ საგადასახადო კოდექსით დადგენილი ნორმები ვრცელდება მხოლოდ საგადასახადო საკითხების მოწესრიგებაზე, არამედ იმიტომ, რომ კორპორაციულსამართლებრივ ურთიერთობაში, მატერიალური კაპიტალიზაციის საკითხი შეფასების საგანია, და იგი ვერ დარეგულირდება კანონით იმპერატიულად განსაზღვრული ფორმულით.⁶⁶² სასამართლოს მითითება, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იყო საჭირო განსაკუთრებით დიდი ოდენობის კაპიტალი, არაფრის მომცემია. პირველ რიგში, გაურკვეველია დიდი ოდენობის კაპიტალში რა იგულისხმება, და მეორეც, იქნებ მოცემულ შემთხვევაში ადეკვატური კაპიტალი სულაც არც იგულისხმობდა განსაკუთრებით დიდი კაპიტალს. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ საკითხთან მიმართებით სასამართლოს უნდა დაედგინა, იყო თუ არა არსებული კაპიტალი, ადეკვატური არა მარტო საქმიანობის კონტექსტში, არამედ საწარმოს სამართლებრივ და ფინანსურ რისკებთან მიმართებითაც. აღნიშნული რისკები ყოველთვის არ უკავშირდება ჩვეულ საქმიანობას (მოცემულ შემთხვევაში ტურისტულ მომსახურებას) და შესაბამისად, ყოველთვის არ ემსახურება ძირითადი სამეწარმეო მიზნების განხორციელებას. გამჭოლი პასუხისმგებლობის ჭრილში, კაპიტალის მასის დადგენისას სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა ზოგადად საწარმოს ყველა სახის აქტივზე, და მათ ბუნებაზე. თუკი კაპიტალის უმეტესი ნაწილი არის სესხის შედეგად მოზიდული, მაშინ ასეთი კაპიტალი არ აკმაყოფილებს სათანადოობისა და ადეკვატურობის კრიტერიუმს, რადგანაც ასეთი კაპიტალის უკან დგას ვალდებულებები. ანუ სხვაგვარად, რომ ვთქვათ ასეთი კაპიტალი დატვირთულია ფინანსური ვალდებულებით, შესაბამისად, მისი საბაზრო ღირებულებაც მცირდება ამ ვალდებულებების პროპორციულად. ამდენად, კაპიტალი უნდა შეფასდეს არა განყენებულად, არამედ ყველა იმ ფინანსური რისკის ჭრილში, რომელიც უკავშირდება ამ კაპიტალს.

⁶⁶² საქართველოს საგადასახადო კოდექსის 123-ე მუხლის თანახმად, სუსტი კაპიტალიზაცია კოდექსის მიზნებისათვის სახეზეა, როდესაც პირის მიერ აღებული ვალის შეფარდება პირის კაპიტალთან 3/1-ზე მეტია.

3.1.2 კაპიტალისა და ვალების შეფარდება, როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენების ელემენტი

სასამართლომ დააფიქსირა პოზიცია, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის საფუძველზე, ვალებისა და კაპიტალის შეფარდება არ შეიძლება განხილულ იქნეს საწარმოს არსებობისათვის გადამწყვეტ ფაქტორად. პოზიცია შეიძლება ითქვას, რომ სწორია, თუმცა ამ გარემოების ინტერპრეტაცია სხვა კუთხითაც შეიძლება. კერძოდ, ვალი, როგორც ზარალის მომტანი საქმიანობის გაცნობიერებულად და ობიექტური მიზნის გარეშე გაგრძელების შედეგი. ზარალის მომტანი საქმიანობის გაცნობიერებულად გაგრძელება უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენებად. მითუმეტეს იმ პირობებში, როცა „მეწარმეთა შესახებ კანონი“, გადახდისუნარობის ან გადახდისუნარობის საშიშროების შემთხვევაში ავალდებულებს ხელმძღვანელს ბრალეული გაჭიანურების გარეშე, დაიწყოს გადახდისუნარობის პროცესი. ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით კი გადახდისუნარობის პროცესის შესახებ განცხადების შეუტანლობა წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, ასეთ დროს ბრალეული ქმედება არ იქნება სახეზე, თუ ხელმძღვანელი კეთილსინდისიერად უდგება საკითხს მეწარმეთა შესახებ მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის გაგებით. მითითება აღნიშნულ მუხლზე, გულისხმობს იმას, რომ ხელმძღვანელის ქმედება – გაჭიანურება, უნდა შეფასდეს გულმოდგინების სტანდარტით. შესაბამისად, სასამართლომ უნდა შეაფასოს, უმოქმედობა დაკავშირებულია მდგომარეობის გამოსწორების გონივრულ მოლოდინთან თუ ადგილი აქვს უმიზნო გაჭიანურებას. აღნიშნულის შეფასებისას სასამართლო უნდა დაეყრდნოს, როგორც შემოსავლების ამსახველ დოკუმენტაციას, ასევე ფინანსური ვალდებულებების მოცულობას.

კომპანიის არსებობაზე გავლენას არ ახდენს ფაქტი, რომ კომპანიის ვალები აღემატება მის კაპიტალს. თუმცა აღნიშნული შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენებად, როდესაც ფაქტობრივი გადახდიუნარობის შემთხვევაში უფლებამოსილი პირების მიერ არ იწყება გადახდისუნარობის საქმის წარმოება.

3.1.3 ზარალის მომტანი საქმიანობის გაცნობიერებულად და გაუმართლებლად გაგრძელება; პარტნიორის პასუხისმგებლობის საფუძველების შესაძლო კონკურენცია (დელიქტური თუ გამჭოლი პასუხისმგებლობა?)

მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია სახეზეა, როდესაც ერთი და იმავე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველით არის შესაძლებელი.⁶⁶³ მოცემულ შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნას წარმოადგენს პარტნიორის პირადი ქონებრივი

⁶⁶³ *ჩახავა*, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, 163.

პასუხისმგებლობა, რაც ზარალის მომტანი საქმიანობის გაცნობიერებულად გაგრძელების შემთხვევაში, უნდა დადგეს დელიქტური ნორმის საფუძველზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, გადახდისუუნარობისას შესაბამისი პროცესის დაწყება წარმოადგენს როგორც ხელმძღვანელის კორპორაციულსამართლებრივ მოვალეობას, ასევე მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს. შესაბამისად, თუკი დირექტორის უმოქმედებოს გამართლება ვერ ხდება მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით, სახეზეა სისხლის სამართლის ნიშნები. ამდენად, უნდა დადგინდეს ზარალის მომტანი საქმიანობის გაცნობიერებულად და გაუმართლებლად გაგრძელების, როგორც კორპორაციულსამართლებრივი დარღვევის მიმართება დელიქტთან და შესაბამისად, პასუხისმგებლობის სამართლებრივ საფუძველად დელიქტური ნორმების გამოყენების შესაძლებლობა.

სსკ-ს 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს, მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით აყენებს ზიანს, ვალდებულია აანაზღაუროს ეს ზიანი. შესაბამისად, იმისათვის, რომ მოხდეს განსახილველი დარღვევის (ზარალის მომტანი საქმიანობის გაცნობიერებულად გაგრძელება) დელიქტად კვალიფიკაცია, იგი უნდა შეფასდეს მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის კონტექსტში. ასევე უნდა დადგინდეს მიზეზშედევობრივი კავშირი ზიანსა და ქმედებას შორის. როგორც უკვე აღინიშნა, მეწარმეთა შესახებ კანონი ითვალისწინებს ბრალეული გაჭიანურების გარეშე გადახდისუუნარობის საშიშროების შემთხვევაში შესაბამისი პროცესის დაწყების მოვალეობას, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსი კი ამ მოვალეობის დარღვევას განიხილავს სისხლის სამართლის დანაშაულად. ამდენად, თუკი სახეზეა ზარალის მომტანი საქმიანობის გაცნობიერებულად გაგრძელება, რაც ქმნის გადახდისუუნარობის საშიშროებას, ან ასეთი საქმიანობის გაგრძელება უკვე გადახდისუუნარობის ფაქტის დადგომის შემდეგ, ცალსახად წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო განზრახ ქმედებას. რაც შეეხება მიზეზშედევობრიობას, იმ შემთხვევაში თუ ზიანის გამომწვევი ქმედება განხორციელდა მას შემდეგ, რაც კომპანიის მენეჯმენტისათვის ცნობილი გახდა ინფორმაცია გადახდისუუნარობის ან გადახდისუუნარობის საფრთხის შესახებ, კრედიტორისთვის მიყენებულ ზიანსა და ქმედებას შორის იქნება უშუალო მიზეზობრიობა.

ამდენად, განხილული დარღვევა ჯდება დელიქტური ნორმის დისპოზიციაში. პირის ქმედებაში სისხლის სამართლის ნიშნების არსებობის და სისხლის სამართლის დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში კი, პასუხისმგებლობის საფუძველია დელიქტური ნორმა. შესაბამისად, განხილული ქმედების შემთხვევაში არ არსებობს კონკურენცია სსკ-ს 992-ე მუხლსა და მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტს შორის.

ზარალის მომტანი საქმიანობის გაცნობიერებულად გაგრძელების შემთხვევაში პარტნიორის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება მისი დე-ფაქტო ან ჩრდილოვან ხელმძღვანელად იდენტიფიკაცია. ამ მიზნით დე-ფაქტო და ჩრდილოვან დირექტორთა

ანგლო-ამერიკული ცნების გარდა, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ალტერ-ეგოს თეორიაც.

3.1.4 საგადასახადო დარღვევის მიმართება პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენებასთან

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საგადასახადო დარღვევებსა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენებას შორის არ არის კავშირი. აღსანიშნავია, რომ ამ პოზიციის საპირისპიროდ, უზენაესმა სასამართლომ 2015 წლის პრეცედენტებით დაადგინდა, რომ საგადასახადო დარღვევები შეიძლება წარმოადგენდნენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ბოროტად გამოყენების ერთ-ერთ გამოვლინებას. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ სააპელაციო სასამართლოს განმარტება წინააღმდეგობაში მოდის ახალ მიდგომასთან. სახეზეა კონკრეტიზაციის ნაკლებობა, რადგანაც ყოველგვარი საგადასახადო დარღვევა ნამვილად ვერ ჩაითვლება პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენებად. თანაც, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მხრიდან, დარღვევის ხასიათის განხილვა საფუძველს მოკლებული იქნებოდა, რადგანაც საქმის მასალებით არ დასტურდებოდა რაიმე დარღვევის არსებობა.

3.1.5 პარტნიორსა და კორპორაციას შორის არსებული ხელშეკრულების შეფასების სტანდარტი

სააპელაციო სასამართლოს მოცემულ საქმეში ერთერთი სადავო გარემოება, იყო დედა კომპანიის მიერ ისეთი სამეწარმეო სქემის გამოყენება, რომლითაც საქმიანობის განხორციელების შედეგად, მოგებას იღებდა დედა კომპანია, ხოლო ვალდებულებები რჩებოდა შვილობილს. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად, მოსარჩელე მხარე უთითებდა, მშობელ-შვილობილ კომპანიას შორის ტრანზაქციების არსებობაზე.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ გარემოების მიმართ სასამართლომ ხისტი და ზედაპირული პოზიცია დაიკავა. აპელანტის მიერ წამოყენებული ამ გარემოების პასუხად სასამართლომ მიუთითა, რომ კანონმდებლობა არ კრძალავს ერთი კომპანიის მიერ სხვა კომპანიის დაფუძნებას; ყველა სამეწარმეო საქმიანობა გარკვეული სქემით ხორციელდება, და ამა თუ იმ სქემის არსებობა არ ნიშნავს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენებას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეეფასებინა პარტნიორსა და საზოგადოებას შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ხასიათი, რათა დაედგინა, ხომ არ ჰქონდა ადგილი პარტნიორის მხრიდან უსამართლო, გაუმართლებელი უპირატესობის მოპოვებას, რამაც ზიანი მიაყენა საზოგადოებას, და შესაბამისად, რა როლი ითამაშეს ამ ფაქტებმა საზოგადოების გადახდისიუნარობაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ პარტნიორსა და საზოგადოებას შორის არსებული სესხის ხელშეკრულებები არ ადასტურებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენებას. მიზაშეწონილია სასამართლოს მოეხდინა ამ ხელშეკრულებების სამართლებრივი შეფასება და მიეთითა

იმ კონკრეტულ გარემოებებზე თუ რატომ არ ჩათვალია საკმარის მტკიცებულებად. კერძოდ, იყო თუ არა სამართლიანი სესხის ხელშეკრულების პირობები, როგორ ფინანსურ მდგომარეობაში იყო შვილობილი, როდესაც გაფორმდა სესხის ხელშეკრულება. საქმის მასალებიდან გამომდინარე, სესხის დავალიანების გაქვითვა მოხდა, მოძრავი ქონების გადაცემის გზით. უნდა შეფასებულიყო ეს ტრანზაქციაც. კერძოდ, უნდა დადგენილიყო ხომ არ ჰქონდა ადგილი ღირებულების ხელოვნურ შემცირებას. ბოლოს, რა გავლენა იქონია ხელშეკრულების შეწყვეტამ შვილობილზე. მართალია, ამ გარიგების ბათილად ცნობა მოსარჩელეს არ მოუთხოვია და სასამართლო თავის მხრივ ვერ გასცდებოდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, თუმცა სასამართლოს უნდა შეეფასებინა არა ბათილობის, არამედ სახელშეკრულებო ურთიერთობის კეთილსინდისიერი ხასიათის დადგენის მიზნით. მართალია, დასახელებული გარემოებების შეფასების შედეგად შეიძლება სასამართლო პოზიცია არც შეცვლილიყო, უმთავრესად ქვემოთ განხილული ბოლო გარემოების გამო, თუმცა ფაქტობრივი გარემოებების გამჭოლი პასუხისმგებლობის ჭრილში შეფასება მეტად სიღრმისეულად უნდა მომხარყო.

3.1.6 ნებაყოფლობითობა, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის შეფარდების სტანდარტი ხელშეკრულებისმიერი კრედიტორების შემთხვევაში

განხილულ საქმეში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის ძლიერ მხარედ უნდა მივიჩნიოთ, სასამართლოს მიერ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული სამართალურთიერთობის შეფასება, განსაკუთრებით კი ამ ურთიერთობის საწყისი სტადიის.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აპელანტი წარმოადგენდა ნებაყოფლობით კრედიტორს, რომელსაც სხვა სახელშეკრულებო კრედიტორებისგან განსხვავებით შესაძლებლობა ჰქონდა წინასწარ გაეთვალისწინებინა მოპასუხის ფინანსური მდგომარეობა. ამის გარდა, ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაც, რომ მოსარჩელეზე შვილობილი კომპანიის წინააღმდეგ მოთხოვნის უფლება გადავიდა ცესიის შედეგად. მოსარჩელე წარმოადგენდა საბანკო სფეროში მოქმედ დაწესებულებას, ხოლო ასეთი დაწესებულებების ჩვეული საქმიანობა ყოველთვის ეფუძნება კონტრაქტის გულმოდგინე შემოწმობის პრინციპს, რომელსაც ბანკები ხშირად მიმართავენ. შესაბამისად, მოთხოვნის დათმობის შედეგად ახალ მოვალესთან ურთიერთობა უნდა დაწყებული „იმ რწმენით რომ ეს დათმობა ყველაზე ხელსაყრელი იყო საზოგადოების ინტერესებისათვის“. სასამართლოს საბოლოო პოზიციის თანახმად, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ აპელანტის ხელმძღვანელობამ გამოიჩინა სათანადო გულმოდგინება და წინდახედულება, კერძოდ, რომ განახორციელა ე.წ. „სამართლებრივი აუდიტი“, რაც დამახასიათებელია კეთილსინდისიერი მეწარმის გულისხმიერებით მოქმედი ხელმძღვანელისათვის.⁶⁶⁴ ამდენად, სასამართლოს არგუმენტაცია ემყარება იმას, რომ რადგანაც პირმა არ გამოიყენა მის ხელთ არსებული შესაძლებლობა, შეეფასებინა

⁶⁶⁴ სუს, 2013 წლის 13 მაისის №ას-286-272-2013 განჩინება

კონტრაქტი, მასზე სამართლიანად გადავიდა ის რისკები, რაც ფინანსურად სუსტ კომპანიასთან ნებაყოფლობით სამართალურთიერთობაში შესვლას მოჰყვება.⁶⁶⁵ შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაუსვა ხაზი გამჭოლი პასუხისმგებლობის საგამონაკლისო ხასიათს, და მისი, როგორც დაცვის მექანიზმის გამოყენებას, ისეთი კრედიტორის სასარგებლოდ, რომელიც მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის რისკს ობიექტურად ვერ გათვლიდა. ერთდერით, რისი დამატებით დასაბუთებაც სასამართლოს პოზიციას გაამყარებდა, იყო იმის შემოწმება, რამდენად რეალური იყო აპელანტის მიერ მოვალის ფინანსური მდგომარეობის წინასწარ გათვალისწინება და გათვალისწინების შემთხვევაში დადგებოდა თუ არა სხვა სამეწარმეო გადაწყვეტილება.

3.2 გამჭოლი პასუხისმგებლობის სტანდარტი საგადასახადო ვალდებულებებში

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2015 წლის 6 მაისის ორი გადაწყვეტილებით განიხილა საგადასახადო ვალდებულებებისათვის პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი და შექმნა მნიშვნელოვანი პრეცედენტი, რომლითაც უზენაესი სასამართლო პრაქტიკაში პირველად განისაზღვრა საზოგადოების ვალდებულებისათვის პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე. ორივე საქმეში მოსარჩელე იყო საქართველოს შემოსავლების სამსახური. მოსარჩელე ითხოვდა კომპანიების დირექტორების მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის (გადახდისათვის თავის არიდება) გამო, მათ პირად პასუხისმგებლობას სადავო საგადასახადო დავალიანებისა და საურავების გადახის დაკისრებას პარტნიორებსა და დირექტორებზე. შესაბამისად უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე არსებობდა მოპასუხეების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ საქმეში⁶⁶⁶ ორი დამფუძნებელი პარტნიორიდან ერთი პარტნიორი იმავდროულად იყო დირექტორი, ხოლო მეორე პარტნიორი, საწარმოს მიერ იმპორტირებული საქონლის ექსპედიტორ რეალიზატორი, რომლის ბრალეული ქმედება, გულისხმობდა დირექტორთან ერთად სავაჭრო ოპერაციების არასრულყოფილად ასახვას, რის შედეგადაც, მათ თავი აარიდეს გადასახადების გადახდას განსაკუთრებით დიდი ოდენობით.

ქვემოთ განხილულია უზენაესის სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი, მისი შესაბამისობა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინასთან და პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენების სხვა შემთხვევებზე გვარცვლებების შესაძლებლობა.

⁶⁶⁵ უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო საჩივარში, კასატორი უთითებდა, რომ ვერანაირი აუდიტის პირობებში ვერ დადასტურდებოდა მოვალის გადახდის უუნარობა, მის ანგარიშსზე ფულადი სახსრების არსებობის შემოწმების შეუძლებლობის და იმ ბრენდის გათვალისწინებით, რომლის კორპორაციულ ჯგუფშიც შედიოდა მოვალე.

⁶⁶⁶ სუს, 2015 წლის 6 მაისის №ას-1307-1245-2014 გადაწყვეტილება.

3.2.1 მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი

ზემოთ მოყვანილ ორივე საქმეში,⁶⁶⁷ სასამართლომ დაადგინა, რომ პარტნიორის პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი დანაშაულის შედეგად სამოქალაქო წესით მოთხოვნილ ზიანის ანაზღაურებაზე გამომდინარეობს არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან, არამედ მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტიდან. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული პოზიცია ემყარება სპეციალური ხასიათის სამართალურთიერთობის სპეციალური ნორმით რეგულირების პრინციპს. შესაბამისად, საკასაციო სამართლომ საქმეში არსებულ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შეცვალა რა სამართლებრივი საფუძველი, დაადგინა, რომ პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენების ისეთ შემთხვევაში, რომელიც იმავდროულად წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის საფუძველია არა დელიქტური ნორმა (სსკ-ს 992-ე მუხლი), არამედ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი.

უზენაესი სასამართლოს აღნიშნული პოზიციის საპირისპიროდ, უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც პარტნიორის ქმედება, რამაც გამოიწვია კორპორაციის ვალაუვალობა, იმავდროულად შეიცავს სისხლის სამართლის ნიშნებს და დასტურდება სისხლის სამართლის დანაშაული (როგორც მითითებულ გადაწყვეტილებებში იყო), დაზარალებული კრედიტორის მოთხოვნის საფუძველი უნდა იყოს სსკ-ს 992-ე მუხლი. რაც შეეხება მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტს, ასეთ შემთხვევაში, მისი გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეფასების მიზნით. სსკ-ს 992-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს არამართლზომიერი ქმედების შედეგად ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს და შესაბამისად, პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის მიღწევისთვის გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენების საჭიროება არ დგება.

ამდენად, მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლი მე-6 პუნქტი პარტნიორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი უნდა იყოს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენების ფაქტები არ შეიცვას სისხლის სამართლის ნიშნებს.

3.2.2 სასამართლოს პოზიცია სახელშეკრულებო კრედიტორების სასარგებლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის უკუგდების შესახებ

საკასაციო სასამართლომ ზოგადი კომენტარი გააკეთა ხელშეკრულებისმიერ და დელიქტისმიერ კრედიტორებს შორის განსხვავებაზე, რითაც ერთგვარი გაურკვეველობა შექმნა, ხელშეკრულებისმიერი კრედიტორების სასარგებლოდ გამჭოლი პასუხისმგებლობის, როგორც დაცვის მექანიზმის გამოყენების თაობაზე. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, „შეზღუდული პასუხისმგებლობა,

⁶⁶⁷ სუს, 2015 წლის 6 მაისის №ას-1307-1245-2014 გადაწყვეტილება; სუს, 2015 წლის 6 მაისის №ას-1158-1104-2014 გადაწყვეტილება.

თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მიხედვით, არ წარმოადგენს პრობლემას კომპანიის ნებაყოფლობით კრედიტორებთან მიმართებაში, რომლებსაც გააჩნიათ მოლაპარაკების საშუალება (bargaining power), რათა ხელშეკრულების მეშვეობით თავიდან აიცილონ რისკები, რომლებიც წარმოიშობა კომპანიასთან გარიგებაში შესვლის დროს.” აღნიშნულის ჭრილში, ბუნდოვანია რისკების წინასწარ შეფასების ბერკეტის არსებობის გამო, დაუშვებს თუ არა სასამართლო გამჭოლ პასუხისმგებლობას ხელშეკრულებისმიერ კრედიტორების სასარგებლოდ. სასამართლომ არ უნდა თქვას უარი კრედიტორის დაცვაზე მარტოდენ იმის გამო, რომ მას გააჩნდა შესაძლებლობა თავიდან აეცილებინა რისკები, თავად ამ შესაძლებლობის შემოწმების გარეშე. კერძოდ, სასამართლომ საკითხის შეფასებისას უნდა შეამოწმოს, რამდენად კეთილსინდისიერი იყო პარტნიორი ამ რისკების მიმართ? ხომ არ შექმნა ცრუ წარმოდგენები და შეცდომაში შეიყვანა კრედიტორი? ამის გარდა, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ გარემოებაზე, შეიცვლებოდა თუ არა სამართლებრივი შედეგი, თუკი პარტნიორი გამოიჩინდა სათანადო წინდახედულებას. იმ შემთხვევაში თუ კრედიტორმა გაცნობიერებულად იკისრა შესაძლო ფინანსური წაგების რისკი, იმ პირობებში, როდესაც რისკები მისი მხრიდან შეფასებადი იყო, მაშინ მის სასარგებლოდ არ უნდა იქნეს გამოყენებული გამჭოლი პასუხისმგებლობის მექანიზმი.

3.2.2 პასუხისმგებლობის მოცულობა

მოცემულ საქმეებში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობისგან განსხვავებით, რომლის თანახმად, ზიანს წარმოადგენდა ის შემოსავალი, რომელიც სახელმწიფომ არ მიიღო გადასახადისგან თავის არიდების გამო ე.ი. ძირითადი დავალიანება, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხეებს პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდათ საურავის ნაწილშიც. ამ ნაწილში სასამართლომ პარალელი გაავლო სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან და აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირების მექანიზმი გამოიყენება მხოლოდ შეთანხმებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მიმართ, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა. სასამართლოს პოზიციის თანახმად, საურავი მისი სამართლებრივი ბუნებით არის გადასახადის გადაუხდელობის შედეგად დარიცხული ფულადი საზღაური, მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილი ერთობლივად გადასახდელი თანხა. აღნიშნულის საფუძველზე სასამართლომ დააკმაყოფილა კასატორის მოთხოვნა და მოპასუხეებს პასუხისმგებლობა დააკისრა საურავის ნაწილშიც. შესაბამისად, ხელშეკრულებისმიერი კრედიტორის სასარგებლოდაც, თუკი საერთოდ დაშვებული იქნება გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება, მოცემული შემთხვევის ანალოგიურად, პასუხისმგებლობა დადგება როგორც ძირითადი შეუსრულებელი ვალდებულების, ასევე პირგასამტეხლოს და მიყენებული ზიანის ფარგლებში.

განხილული გადაწყვეტილებებით არ გაეცა პასუხი გამჭოლი პასუხისმგებლობის მოქმედების ფარგლებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საჭიროება, “როგორც წესი”, წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულება წარმოეშვა კომპანიას, მაგრამ იგი არ არის გადახდისუნარიანი.” სიტყვასიტყვითი განმარტებით ფრაზა “როგორც წესი” მიუთითებს სტანდარტულ წესზე, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს გამონაკლისის. სასამართლოს ლექსიკა თითქოს უშვებს გამჭოლი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას გადახდისუნარიანი კომპანიის შემთხვევაშიც. თუმცა მთლიანობაში გადაწყვეტილებები პირდაპირ არ უთითებს ასეთ შესაძლებლობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ გამჭოლ პასუხისმგებლობას მიენიჭოს საგამონაკლისო მექანიზმის სტატუსი, რომლის გამოყენებაც დაიშვება მხოლოდ და მხოლოდ კორპორაციის ფაქტობრივი გადახდისუნარიანობის დროს სათანადო გარემოების არსებობისას. სასამართლოს შეფასებაც გამჭოლი პასუხისმგებლობის ბუნების შესახებ უნდა იყოს ერთმნიშვნელოვანი.

3.2.4 გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობები და მათი რელევანტურობა საგადასახდლო ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას

სასამართლომ იმსჯელა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინით დადგენილ ისეთ წინაპირობებზე, როგორცაა არასათანადო კაპიტალიზაცია და კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა, თუმცა საგადასახდლო ვალდებულებების გამო პასუხისმგებლობის კონტექსტში მოცემული წინაპირობები, როგორც გადაწყვეტილებიდან ჩანს არ არის რელევანტური, რადგანაც პასუხისმგებლობისთვის საკმარის საფუძვლად განხილულია კორპორაციის გამოყენება ინსტრუმენტად სისხლის სამართლის კანონმდებლობით კრიმინალიზებული ქმედების განსახორციელებლად – გადასახადისათვის თავის ასარიდებლად.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, არასათანადო კაპიტალიზაცია გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლიანია და გულისხმობს შემთხვევას, როცა „კომპანიის კაპიტალი ძალიან მცირე ან შეუსაბამოა იმ კომპანიის საქმიანობისათვის და იმ რისკების დასაზღვევად, რომელსაც კომპანიის ბიზნეს საქმიანობა წარმოშობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ იგულისხმება მოსალოდნელი ეკონომიკური საჭიროებები და არა ფორმალურ-სამართლებრივი მოთხოვნები. „არაადექვატური კაპიტალიზაციის“ ელემენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასახელშეკრულებო (არანებაყოფლობით) კრედიტორებთან მიმართებაში პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისას. სასამართლო ასევე უთითებს რომ, არასათანადო კაპიტალიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დელიქტისმიერი კრედიტორების შემთხვევაში, თუმცა მოცემულ გადაწყვეტილებებში არ არის მსჯელობა იმის შესახებ თუ კონკრეტულად როგორ გამოიხატა არასათანადო კაპიტალიზაცია.

რაც შეეხება კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობას, სასამართლომ განმარტა, რომ იგი წარმოადგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ელემენტს, რომლის დარღვევაც სახეზეა „როცა არ ხდება დირექტორებისა და პარტნიორების კრებების მოწვევა და/ან ჩატარება, როცა პარტნიორებისა და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული, როცა ხდება პარტნიორებისა და კომპანიის ქონების აღრევა, როცა კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით, ან როცა არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ სწორი შეფასება მისცა კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობას, როდესაც აღნიშნა, რომ ეს არის პასუხისმგებლობის ელემენტი და არა წინაპირობა. ამ გარემოების პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ წინაპირობად განხილვა, გამოიწვევდა შეუქცევად პროცესებს. მნიშვნელოვანია, რომ კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობის კონკრეტულ ფაქტებს მიენიჭოს მხოლოდ მტკიცებულების ძალა ორგანიზაციული ფორმის ბოროტად გამოყენების დასამტკიცებლად.

შეჯამებისთვის, სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით, საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როცა კომპანიის პარტნიორების საქმიანობა მიმართულია გადასახადებისაგან თავის არიდების სქემების შექმნისაკენ და კორპორაცია გამოიყენება, როგორც გადასახადებისაგან თავის არიდების „ინსტრუმენტი“.⁶⁶⁸

3.2.5 პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენების განმარტება

სასამართლოს მიერ შემუშავებული სტანდარტის მიხედვით, მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი გულისხმობს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ორგანიზაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას, რაც გამოხატება მაგალითად, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობაში,⁶⁶⁹ „არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენებაში, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.“ მოცემული განმარტების ფარგლებში ძნელია შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაციული ფორმის ბოროტად გამოყენებისა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ბოროტად გამოყენებას შორის რაიმე სხვაობის დანახვა.

⁶⁶⁸ სუს, 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014, და ამავე თარიღის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1158-1104-2014;

⁶⁶⁹ აღნიშნულის მაგალითად მოყვანილია შემდეგი შემთხვევები: მაგ., კორპორაციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტის“ დანიშნულებით გამოყენება; „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“; კორპორაციის, როგორც პარტნიორის „ალტერ ეგოს“ არსებობა.

ლოგიკურად გამორიცხულია ორგანიზაციული ფორმის ბოროტად გამოყენება პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენების გარეშე. შესაბამისად, ასეთი სხვაობა რომც არსებობდეს, მას გამჭოლი პასუხისმგებლობის გადაწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

3.2.6 მტკიცების ტვირთის გადანაწილება

განხილული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მტკიცების ტვირთი მთლიანად ეკისრება მოსარჩელეს.⁶⁷⁰ იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე ობიექტურად მოკლებულია მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, იგი უფლებამოსილია სასამართლოს ძალით გამოითხოვოს მტკიცებულებები, ასევე შესაძლებელია მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ინსტიტუტის გამოყენებაც.

3.2.7 სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი გარემოებების ძალა გამჭოლი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას

საკასაცაიო სასამართლომ განხილული პრეცედენტებით დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მედებულ გადაწყვეტილებას პრეიდუციული ძალა არ აქვს და გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიძლება უტყუარად ჩაითვალოს დადასტურებულად. შესაბამისად, სასამართლომ უკვე გამჭოლი პასუხისმგებლობის კონტექსტში შეამოწმა პარტნიორის როლი.⁶⁷¹ აღნიშნულ ნაწილში, სასამართლომ დაიცვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლით დადგენილი სტანდარტი.

3.2.8 პასუხისმგებლობის სახე

მოცემულ საქმეებში სასამართლომ აღიარა გამჭოლი პასუხისმგებლობის სუბსიდიური ბუნება და სოლიდარული ხასიათი. თუმცა სასამართლოს არ უმსჯელია სუბსიდიური პასუხისმგებლობის

⁶⁷⁰ სუს, 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014, და ამავე თარიღის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1158-1104-2014;

⁶⁷¹ ამ საქმეში პარტნიორი იყო კომპანიის მიერ შემოტანილი საქონლის ექსპედიტორ-რეალიზატორი. იგი ახორციელებდა კომპანიის მიერ შემოტანილი საქონლის რეალიზაციას და მომწოდებლებთან ძირითად მოლაპარაკებებს, და ამავედროულად, იყო კომპანიაში შემოსული ნაგაჭრი თანხების მოძრაობის მაკონტროლებელიც. კომპანია არ აწარმოებდა ბუღალტრულ აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, კომპანიის მიერ წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვა არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. საქონლის რეალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და რეალიზებული საქონელი არ შეესაბამებოდა საღარო აპარატში ამოჭრილ მონაცემებს. კომპანიის მიერ მითითებული საქონლის სარეალიზაციო ფასები აბსოლუტურად შეუსაბამო იყო ბაზარზე ჩამოყალიბებულ ფასებთან. კომპანიას არ ჰქონდა სრულად ასახული საქონელი. იქიდან გამომდინარე, რომ სარეალიზაციო ფასები არ შეესაბამებოდა რეალობას, ადგილი ჰქონდა შემოსავლის შემცირების ფაქტს.

არსზე და სოლიდარული პასუხისმგებლობისგან განსხვავებაზე. სუბსიდიური პასუხისმგებლობა დამხარე პასუხისმგებლობაა და თავისი არსით, კორპორაციასთან ერთად თანაპასუხისმგებლობას გულისხმობს. სუბსიდიურობა გამჭოლი პასუხისმგებლობის შეფარდებისას განამტკიცებს გამჭოლი პასუხისმგებლობის საგამონაკლისო ხასიათს და ამცირებს გამჭოლი პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. კრედიტორის ერთადერთი კანონიერი ინტერესია მოთხოვნის დაკმაყოფილება და არა პარტნიორის დასჯა. შესაბამისად, თუ ვალაუვალობის მიუხედავად კორპორაციას აქვს შესაძლებლობა დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა სრულად ან ნაწილობრივ, კორპორაციული საფარველის გაჭოლვის მიზანი არ არსებობს და არც გამართლება შეიძლება მოეძებნოს. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა უნდა დადგეს სუბსიდიურად, ანუ პარტნიორის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს მოთხოვნის შეუსრულებელ ნაწილში.

გამჭოლი პასუხისმგებლობის სუბსიდიური ბუნების შემთხვევაში დგება გადახდისუუნარობის მტკიცების საკითხი. ისეთ შემთხვევებში, რომლებსაც საფუძვლად არ უდევთ სისხლის სამართლებრივი დანაშაული და გადახდისუუნარობა წარმოადგენს არსებით ელემენტს, გადახდისუუნარობის, როგორც არსებითი გარემოების მტკიცების ტვირთის ჩამოხსნა კრედიტორისთვის სასამართლო წარმოების ეტაპიდან და ამ გარემოების დადგენა აღსრულების ეტაპზე წარმოადგენს ერთ-ერთ გამოსავალს. კერძოდ, შესაძლებელია პასუხისმგებლობის ისეთი კონსტრუქციის გამოყენება, რომელიც გათვალისწინებულია მეწარმეთა შესახებ კანონით სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წინააღმდეგ სასამართლო წარმოების შემთხვევაში. კერძოდ, მოპასუხედ, როგორც კორპორაციის, ასევე პარტნიორის დასახელება და მოსარჩელის სააღსრულებო ფურცლის გაცემა, როგორც საზოგადოების ასევე პარტნიორის წინააღმდეგ. თუკი აღსრულების პროცესში დადგინდება, რომ კომპანიის ქონება არ არის საკმარისი, პარტნიორის ქონებიდან სუბსიდიურად უნდა მოხდეს აღსრულება. ამასთან, სასამართლო ვერ გადავა პარტნიორისთვის გამჭოლი პასუხისმგებლობის შეფარდებაზე, თუ პირველ რიგში არ დადასტურდა კორპორაციის მიმართ კრედიტორის მოთხოვნის მართლზომიერება. შესაბამისად, ერთი სასარჩელო წარმოების პირობებში შესაძლებელია, ერთი მხრივ, კორპორაციის მიმართ კრედიტორის მოთხოვნის უფლების დადასტურება, ხოლო მეორე მხრივ, გამჭოლი პასუხისმგებლობის განხილვა.

მეორე გამოსავალია, სასარჩელო წარმოების დროს კრედიტორის გათავისუფლება გადახდისუუნარობის მტკიცების ტვირთისგან და უკვე გადახდისუუნარიანობის მტკიცების ტვირთის პარტნიორზე გადაკისრება. კერძოდ, თუკი პარტნიორი შეძლებს კორპორაციის გადახდისუუნარიანობის დადასტურებას, მის მიმართ გამჭოლი პასუხისმგებლობის საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

4. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების რეკომენდაციები

პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების ბოროტად გამოყენების შეფასება უნდა მოხდეს იმ სტანდარტით, რომლითაც გამჭოლი პასუხისმგებლობას არ მიეცემა ფართო ინტერპრეტაცია. გაზიარებულ უნდა იქნეს წამყვანი ქვეყნების სასამართლოების მიდგომა, რომლის

თანახმადაც გამჭოლი პასუხისმგებლობა დაშვებულია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში. გამჭოლი პასუხისმგებლობის მიღწევის “გაადვილება” გამოიწვევს შეუქცევად პროცესს, რომელსაც უარყოფით ეფექტი ექნება ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

უკიდურეს შემთხვევად უნდა ჩაითვალოს კორპორაციის გადახდისუუნარობამდე მიყვანა და კორპორაციის გამოყენება პარტნიორის მიერ მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობისგან თავის ასარიდებლად. ანუ შემთხვევას, როცა პარტნიორთა “არამართლზომიერი” ქმედების შედეგად, კრედიტორი რჩება დაკმაყოფილების გარეშე. ესაა შემთხვევა, როცა საზოგადოების ვალდებულების მოცულობა აღემატება მის ფინანსურ აქტივებს იმდენად, რომ მას არ გააჩნია კრედიტუნარიანობა, რომ ფინანსური ბერკეტების (მაგ. სესხი) გამოყენებით მაინც შეასრულოს ან უზრუნველყოს კრედიტორის მოთხოვნა. კრედიტორის მდგომარეობა უნდა იყოს უალტერნატივო – სახეზე არ უნდა იყოს საზოგადოების მიმართ არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების სხვა საშუალება.

გადახდისუუნარობის მტკიცების ტვირთი უნდა დაეკისროს პარტნიორის. კერძოდ, პარტნიორს უნდა შეეძლოს აირიდოს პასუხისმგებლობა, თუკი დაადასტურებს, რომ საზოგადოებას აქვს ფინანსური რესურსი დააკმაყოფილოს კრედიტორი. კრედიტორი, რომელსაც არ მიუწვდება ხელი საზოგადოების დოკუმენტაციებზე გარდა საჯარო ინფორმაციისა) ვერ იტვირთებს საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის მტკიცების ტვირთს. შესაბამისად, პარტნიორმა, რომელიც დაინტერესებულია კორპორაციული საფარველის შენარჩუნებით უნდა დაადასტუროს, რომ საზოგადოებას გააჩნია საკმარისი სახრები, რათა შეასრულოს კრედიტორის მოთხოვნა. თუკი პარტნიორი ვერ შეძლებს ამის დადასტურებას, სასამართლო უნდა გადავიდეს გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლების შეფასებაზე.

საზოგადოების ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლომ ყუდარდლება უნდა გაამახვილოს მოპასუხის მიერ დასახელებული ქონების ბუნებაზე. მხედველობაშია მისაღები მხოლოდ ისეთი ქონება, რომელსაც გააჩნია ხანგძლივი ლიკვიდურობა. თუ პარტნიორი დაადასტურებს ამას, სასამართლომ უარი უნდა უთხრას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

მოსარჩელეს დარჩება შესაძლებლობა დავა გააგრძელოს საზოგადოების წინააღმდეგ. მართალია, ამ შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ მოსარჩელის მიერ საზოგადოებასთან დავის დაწყების მომენტისათვის ეს ქონება აღარ იქნება ხელმისაწვდომი, თუმცა იგი გამართლებულია, რადგანაც შეზღუდვას კრედიტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებას, ამასთან შეიძლება გამოყენებულ იქნეს სარჩელის წინასწარი უზრუნველყოფის მექანიზმიც.

თუ მოსაპასუხე ვერ დაადასტურებს კორპორაციის საკმარისი სახრების არსებობას, სასამართლომ უნდა შეაფასოს არის თუ არა კორპორაციული საფარველის გაჭოლვის წინაპირობა სახეზე. კერძოდ, როგორი იყო ურთიერთდამოკიდებულება საზოგადოებასა და პარტნიორს შორის, იყო თუ არა სახეზე კონტროლის იმგვარი ხარისხი, რომ საზოგადოების დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა პარტნიორის

მიერ გამოიყენებოდა “დამცავ ფარად”. ამის დადასტურება უნდა მოხდეს რამდენიმე ფაქტის ურთიერთკავშირით.

პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს იყო თუ არა საზოგადოება სათანადოდ კაპიტალიზირებული. აქ ყურადღება უნდა მიექცეს არა თავდაპირველ კაპიტალს (მითუმეტეს კანონმდებლობა საერთოდ არ ავალდებულებს პარტნიორს საწყისი კაპიტალის შექმნას), არამედ შემდგომ კაპიტალიზაციას. სათანადო კრიტერიუმით საზოგადოების კაპიტალიზაციის შეფასებისას მხედველობაშია მისაღები, სამეწარმეო საქმიანობის ბუნება. არის თუ არა კაპიტალი, რომელიც პარტნიორმა ჩადო საზოგადოებაში (ან საქმიანობის შემდგომ ეტაპზე მოიპოვა საზოგადოებამ, თუმცა პარტნიორებმა არ შეინარჩუნეს ეს კაპიტალი) ადეკვატურ შესაბამისობაში იმ შესაძლო რისკებთან, რომელიც ამ საქმიანობას ახლავს თან. სასამართლომ მიზანშეწონილობიდან გამომდინარე უნდა შეამოწმოს საზოგადოების ყოველი ტრანზაქცია (ან ზოგადად ქმედება), რომელმაც გამოიწვია კაპიტალის შემცირება. ტრანზაქციების შემოწმების სტადიაზე, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირების გულმოდგინების სტანდარტიც უნდა შეამოწმოს. კორპორაციული საფარველის გაჭოლვა უნდა მოხდეს, თუკი სახეზე იქნება არამიზნობრივი ტრანზაქციები, რომლებსაც არანაირი ლოგიკის ძალით არ აქვს გამართლება და რომელთა შედეგადაც საზოგადოება მივიდა გადახდისუუნარობამდე.

საზოგადოების ბოროტად გამოყენების შემთხვევა შეიძლება ასევე გამოვლინდეს პარტნიორისა და საზოგადოების ქონების აღრევით, რომლის მიზანიც იყო კრედიტორის შეცდომაში შეყვანა. ამ შემთხვევაშიც, პასუხისმგებლობა უნდა დადგეს იმ მოტივით, რომ ქონებათა აღრევა მოხდა ქონების არასანქცირებული მისაკუთრების მიზნით, რომელსაც შედეგად მოჰყვა საზოგადოების ვალაუვალობა.

ანალოგიური წესით, უნდა შეფასდეს კორპორაციულ ფორმალბათა დაუცველობაც, რომელიც განცალკევებულად, არამართლზომიერი განზრახვის გარეშე არ უნდა იქნეს განხილული პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ საფუძველად. ქართული სამართლის ჭრილში, გამჭოლი პასუხისმგებლობის შეფარდებისას შეიძლება გარიგების ბათილობის ნორმების (სსკ-ს 54-ე და 56-ე მუხლები - გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, თვალთმაქცური და მოჩვენებითი გარიგები) კონტექსტში პარტნიორულ ურთიერთობის შეფასება, რის შედეგადაც სამართლებრივი დასაბუთება შეიძლება მიეცეს შემდეგ შემთხვევას - კორპორაციის დაფუძნება კორპორაციის მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელების განზრახვის გარეშე და წინასწარი განზრახვით პირადი პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით. თუმცა გარიგების ბათილობის ნორმები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ დასაბუთების ნაწილში და არ უნდა მოხდეს მისი შედეგების პირდაპირი ძალით გავრცელება. წესდების ბათილობა გამოიწვევს კორპორაციის რეგისტრაციის გაუქმებას, მაშინ, როცა გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზანი არ არის კორპორაციის სამართალსუბიექტობის გაუქმება და უფრო მეტიც, არცერთი იურისდიქცია არ ითვალისწინებს გამჭოლი პასუხისმგებლობის შედეგად იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგს. შესაბამისად, ბათილობის ნორმები შეიძლება გამოყენებულ იქნეს პარტნიორთა ურთიერთობის შეფასების მიზნით,

კორპორაციული საფარველის გაჭოლვისათვის აუცილებელია პასუხისმგებლობა შეზღუდული პარტნიორები განვიხლოთ პერსონალურად პასუხისმგებელ სუბიექტებად. ამის შესაძლებლობას იძლევა თვალთმაქცური გარიგების ბათილობის პრინციპი. პარტნიორული შეთანხმება არის გარიგება. თუკი იგი ფუძნდება, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ პარტნიორებმა პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმების გამოყენებით თავი აარიდონ პასუხისმგებლობას, ამავდროულად ფაქტობრივად არ არის სახეზე სამეწარმეო საქმიანობის კანონით გათვალისწინებული ნიშნები, მაშინ პარტნიორული შეთანხმება აკმაყოფილებს თვალთმაქცური გარიგების ცნებას და შესაბამისად, მისი მხარეები (პარტნიორები) შესაძლებელია განვიხილოთ სოლიდარულ მოვალეობად. ანალოგიურად, შეიძლება პარტნიორული ურთიერთობის შეფასება მართლსაწინააღმდეგო გარიგების ბათილობის ჭრილშიც.

VIII. დასკვნა

გამჭოლი პასუხისმგებლობა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის საპირწონეა, რომელიც, სასამართლოს ანიჭებს შესაძლებლობას, სათანადო გარემოებების არსებობისას, დაძლიოს კორპორაციის, დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობისა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ურთიერთქმედება, რათა ყოველკონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსი.

პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე გამჭოლი პასუხისმგებლობა და ამ უკანასკნელის გარდა, აერთიანებს კანონმდებლობით პირდაპირ დადგენილ პასუხისმგებლობის შემთხვევებს (მაგალითად, ინგლისის შემთხვევაში – პარტნიორის პასუხისმგებლობა თაღლითური/არამართლზომიერი ვაჭრობისას, აშშ-ს შემთხვევაში – პასუხისმგებლობა გარემოსდაცვითი წესების დარღვევის გამო და ა.შ.).

პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა, ისევე, როგორც პირადი პასუხისმგებლობა ეფუძნება საერთო არგუმენტაციას - პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის არაკეთილსინდისიერად ანდა არამართლზომიერად გამოყენების შემთხვევები ადეკვატურად უნდა იქნეს დარეგულირებული საჯარო წესრიგის მიერ.

პირადი პასუხისმგებლობა წარმოადგენს საგამონაკლისო მექანიზმს, განსაკუთრებით კი პირადი პასუხისმგებლობა გამჭოლი პასუხისმგებლობის ფორმით. შესაბამისად, მისი გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც კრედიტორის მიერ კორპორაციის წინაშე მოთხოვნის განხორციელება უშედეგო იქნებოდა. ასეთ საგამონაკლისო შემთხვევას წარმოადგენს კორპორაციის ფაქტობრივი გადახდისუუნარობა. შესაბამისად, პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის საჭიროა, ერთი მხრივ, პარტნიორის ქმედებებსა და კორპორაციის გადახდისუუნარობას და, მეორე მხრივ, პარტნიორის ქმედებებსა და კრედიტორის ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

გამჭოლი პასუხისმგებლობა აერთიანებს ფაქტობრივ გარემოებათა და წინაპირობათა ფართო წრეს, რის გამოც ერთ-ერთ ყველაზე ძნელად

დასამტკიცებელ სამართლებრივ მოცემულობად მიიჩნევა. გარდა ამისა, კორპორაციული საფარველი, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის მთავარი ელემენტი, თავის მხრივ, დაკავშირებულია სხვადასხვა სამართლებრივ პრინციპთან და დოგმასთან, და შესაბამისად, სამართლის არაერთ დარგში ტოვებს თავის კვალს (მათ შორის საერთაშორისო სამართალშიც). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ნაშრომში დასმული საკითხების ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი თეზისების შეჯამება:

- გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება მხოლოდ ისეთი ტიპის საზოგადოებებში, რომლებიც სარგებლობენ სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის სტატუსით, ეფუძნებიან პარტნიორისგან განცალკევებულობის კონცეფციას, რის შედეგადაც, შესაძლებელი ხდება პარტნიორისთვის პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის სახით დაცვითი პრივილეგიის მინიჭება. იქ სადაც მოქმედებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი, ყოველთვის შეიძლება დადგეს კორპორაციული საფარველის ბოროტად გამოყენების შემთხვევა და შესაბამისად, საჭირო იყოს სხვადასხვა მექანიზმით კორპორაციული საფარველის გაჭოლვა. ასეთი აუცილებლობა სახეზეა არამხოლოდ პარტნიორის, არამედ ჩრდილოვანი ღირეპქტორის შემთხვევაშიც.
- ჩრდილოვან ღირეპქტორად მიიჩნევა მხოლოდ ის პირი, რომელიც ხანგძლივად ახდენს გავლენას ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირთა გადაწყვეტილებებზე. ეს ცნება ძირითადად გამოიყენება კორპორაციული ჯგუფის ფარგლებში პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით.
- კორპორაციული საფარველის გაჭოლვა – “*piercing*” და ჩამოხსნა – “*lifting*” განსხვავებული სემანტიკის მატარებელი ცნებებია. კორპორაციული საფარველის ჩამოხსნა, გაჭოლვისგან განსხვავებით, არ გულისხმობს გადახდისუნარო კორპორაციის ვალდებულებისათვის პარტნიორის პასუხისმგებლობას. ამ შემთხვევაში ჩამოხსნა ხდება მხოლოდ იმ მიზნით, რომ ქონება ან ქმედება მიეწეროს პარტნიორს.
- ინდივიდუალური პარტნიორის ისევე, როგორც კორპორაციულ ჯგუფში გაერთიანებული ამათუ იმ სუბიექტის, პასუხისმგებლობა დაკავშირებულია მნიშვნელოვანი კონტროლის განხორციელებასთან. კონტროლი, გამჭოლი პასუხისმგებლობის კონტექსტში, მოიცავს სამ ფაქტორს: - პარტნიორის დომინირება, რომელიც გამოხატული უნდა იყოს ფართო გაგებით და არამხოლოდ წილთა/ხმათა უმრავლესობით; - კონტროლის გამოყენება თაღლითობის, არამართლზომიერი ან არაკეთილსინდისიერი ქმედებისთვის; - მიზეზშედეგობრივი კავშირი კონტროლის გამოყენებასა და კრედიტორისთვის მიყენებულ ზიანს შორის. გამჭოლი პასუხისმგებლობისთვის კონტროლის საკმარისი ხარისხის განსასაზღვრად, ე.ი. მნიშვნელოვანი კონტროლის დასადგენად სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს ფაქტობრივ გარემოებათა ფართო

წრეს. მაგალითად, საერთო დირექტორატი, პარტნიორის მიერ კორპორაციის ქონების პირადად გამოყენება და სხვა.

- კორპორაციის დამოუკიდებელი და განცალკევებული სამართალსუბიექტობისა და პარტნიორის პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ურთიერთქმედება, თავისი არსით ეწინააღმდეგება და არ უშვებს გამჭოლი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას. მეორე მხრივ, კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა ავალდებულებს პარტნიორს შეინარჩუნოს განცალკევებულობა. პარტნიორის მიერ კორპორაციაზე კონტროლის განხორციელება, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან გამომდინარე პრივილეგიით ბოროტად სარგებლობა არღვევს განცალკევებულობას და შესაბამისად, ფაქტობრივად აუქმებს კორპორაციის დამოუკიდებლობას. დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ურთიერთქმედება მხოლოდ კორპორაციის ნორმატიულ კონსტრუქციაში ე.ი. მის კლასიკურ მოდელში გამორიცხავს პირად პასუხისმგებლობას. იმ მომენტიდან, როდესაც ფაქტობრივ მოცემულობაში შემოდის პარტნიორის არამართლზომიერი ანდა არაკეთილსინდისიერი ქმედება, კორპორაციის კლასიკური მოდელი, რომელიც ეფუძნება, განცალკევებულობას და პასუხისმგებლობის შეზღუდვას, ქრება. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება. ამდენად, ასეთ ვითარებაში აღარ არის სახეზე გამჭოლ პასუხისმგებლობასა და დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას/პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპს შორის კოლიზია.
- პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი საჯარო წესრიგის ნაწილია, თუმცა ამავედროულად, იგივე საჯარო წესრიგი ზღუდავს ამ პრინციპის ბოროტად გამოყენების შემთხვევებში პარტნიორისთვის იმუნიტეტის მინიჭებას.
- პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ეკონომიკური ეფექტი გამოიხატება პარტნიორთა მიერ კორპორაციის კონტროლსა და მონიტორინგზე გასაწევი ხარჯების დაზოგვით. ხარჯების დაზოგვა საშუალებას იძლევა, რომ თავად კორპორაციაში მოხდეს დოვლათის აკუმულირება. თუმცა, ეს დადებითი ეფექტი, არ ახდენს სახელშეკრულებო კრედიტორებისათვის გამჭოლი პასუხისმგებლობის მექანიზმის ჩამორთვის გამართლებას, რადგანაც, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი, დადებით ეკონომიკურ ეფექტს აღწევს, მხოლოდ კეთილსინდისიერების პირობებში.
- ინსტრუმენტალური თეორია საშუალებას იძლევა შეფასდეს კორპორაციის სამართალბრივი ბუნება. აღნიშნული თეორია სამ გარემოებას ეფუძნება: - კონტროლი, არა მხოლოდ წილთა უმრავლესობის ხარჯზე, არამედ დომინირება, რომელიც ვლინდება, როგორც ფინანსების კონტროლით, ასევე პოლიტიკის და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრით, რაც გამორიცხავს კორპორაციის დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას; - ასეთი კონტროლი და დომინირება პარტნიორის მიერ ხორციელდება თაღლითობის ჩასადენად, კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ვალდებულებებისგან თავის

ასარიდებლად და უთანაბრდება უსამართლო და არამართლზომიერ ქმედებას მოსარჩელის უფლებების მიმართ; - კონტროლსა და ქმედებას შორის უნდა არსებობდეს მიზეზშედევობრიობა.

- ინსტრუმენტალურობის თეორიის მსგავსად, ალტერ ეგოს თეორიის მიზანია შეაფასოს კორპორაციის ბუნება. ამ თეორიის თანახმად, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა უნდა მოხდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა შემდეგი გარემოებები: - კორპორაციასა და მაკონტროლებელ პარტნიორს შორის საკუთრება და ინტერესი იმდენად არის დაკავშირებული, რომ კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა შეუძლებელია არსებობდეს; - კორპორაციისა და მაკონტროლებელი პარტნიორის დამოუკიდებელ სუბიექტად განხილვა გამოიწვევს უსამართლო შედეგს.
- ერთი ეკონომიკური ელემენტის თეორია გულისხმობს პარტნიორისა და კორპორაციის ისეთ ურთიერთკავშირს, რომლის ფარგლებშიც პარტნიორი სრულად აკონტროლებს კორპორაციის ყველა ნაბიჯს, და ეს უკანასკნელი წარმოადგენს პარტნიორის მიერ საკუთარი მიზნის მიღწევის საშუალებას. ამდენად, ერთი ეკონომიკური ელემენტის თეორია ასეთ კორპორაციას განიხილავს ამხანაგობის მსგავსად. ერთი ეკონომიკური ელემენტის თეორია საშუალებას იძლევა უგულებელყოფილ იქნას კორპორაციული ჯგუფის ცალკეული წევრების დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება კორპორაციული ჯგუფის წევრების განხილვა ერთ ელემენტად.
- კორპორაციული საფარველის გაჭოლვა დაიშვება შემდეგ შემთხვევებში: არასათანადო კაპიტალიზაცია, ქონებათა აღრევა, კორპორაციულ ფორმლობათა დაუცველობა, ცრუ წარმოდგენების შექმნა (კრედიტორის შეცდომაში შეყვანა). ამ შემთხვევათა თანაარსებობა ამყარებს გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებას, მაშინ როცა ერთ-ერთი არსებობა, შეიძლება არც ჩაითვალოს პასუხისმგებლობისთვის საკმარის მოცემულობად.
- განსხვავდება არასათანადო ნომინალური და არასათანადო მატერიალური კაპიტალიზაცია. არასათანადო ნომინალური კაპიტალიზაცია სახეზეა, როდესაც არ არის შევსებული კანონმდებლობით/ან წესდებით დადგენილი მინიმალური კაპიტალი. გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის ნომინალური არასათანადო კაპიტალიზაციას არ უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა. აღნიშნულისგან განსხვავებით, არასათანადო მატერიალური კაპიტალიზაცია განისაზღვრება ერთგვარი ფორმულის მიხედვით, რომლის თანახმად, ეს გარემოება სახეზეა, როცა კორპორაციის ფინანსური ბერკეტები კონკრეტულ საქმიანობასთან მიმართებით არაადეკვატურია.
- არასათანადო კაპიტალიზაციის საგადასახადო სამართლებრივი გაგება ე.წ. „სუსტი კაპიტალიზაცია“ მორგებულია სპეფიციკურ სამართალურთიერთობაზე და თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ვერ გავრცელდება არასათანადო კაპიტალიზაციის საკორპორაციოსამართლებრივ შემთხვევებზე.

- კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველი არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დადასტურდება, რომ ფორმალობათა დაუცველობის შედეგად კრედიტორი მოკლებული იყოს შესაძლებლობას მოეხდინა კონტრაქტის იდენტიფიკაცია. სხვაგვარად რომ ითქვას, კორპორაციული ფორმალობები გამოიყენება კრედიტორის შეცდომაში შესაყვანად (მაგალითად, როცა აფილირებული კომპანიები იყენებენ ერთ მისამართს ან სახელწოდებას). კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა არ უნდა იქნეს განხილული გამჭოლი პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ საფუძველად. კორპორაციული ფორმალობების დაუცველობას, ფაქტობრივ გარემოებებს მტკიცების პროცესში უნდა მიენიჭოს მტკიცებულების ძალა, მხოლოდ კორპორაციის განცალკევებულობის ხარისხის მტკიცების ნაწილში და არ უნდა იყოს განხილული გამჭოლი პასუხისმგებლობის ექსკლუზიურ საფუძველად. ამდენად, კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძველი არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ამ დარღვევის შედეგად კრედიტორი მოკლებული იყოს შესაძლებლობას მოეხდინა კონტრაქტის იდენტიფიკაცია. მაგალითად, როცა აფილირებული კომპანიები იყენებენ ერთ მისამართს ან სახელწოდებას.
- ქონებათა აღრევა გამჭოლი პასუხისმგებლობის საკმარის საფუძველად განიხილება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელი ხდება კორპორაციის ან შვილობილი კორპორაციის ქონების გამიჯვნა პარტნიორის, დედა კორპორაციის ანდა სხვა აფილირებული კორპორაციის ქონებისგან.
- კორპორაციულ ჯგუფებს შორის ქონების ტრანსფერის შეფასების სტანდარტი ეფუძნება ინტერესთა შორის შესაბამისობას. კერძოდ, შვილობილის ინდივიდუალური ინტერესი შეიძლება გადაწონოს ჯგუფის საერთო ინტერესმა, როდესაც: - სახეზეა სტრუქტურულად ჩამოყალიბებული კორპორაციული ჯგუფი; - ქმედებები ხორციელდება ჯგუფის საერთო ინტერესში და ამდენად, შესაბამისობაშია საერთო პოლიტიკასთან; - შენარჩუნებულია ფინანსური ბალანსი ჯგუფში შემავალ კომპანიებს შორის. მაგალითად, შვილობილის, რომელსაც მიაღმა ზიანი საერთო ინტერესში შემავალი ქმედების განხორციელების შედეგად, მიეცა ადეკვატური კომპენსაცია. ასეთ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ სახეზეა ინდივიდუალურ და ჯგუფის ინტერესებს შორის ბალანსი, შესაბამისად, არ ხდება მაკონტროლებელი კომპანიის კორპორაციული საფარველის გაჭოლვა.
- ქონებათა ტრანსფერი შეიძლება განხორციელდეს ორი ფორმით: პირდაპირი და არაპირდაპირი გზით. ქონების არაპირდაპირი ტრანსფერი შესაძლებელია მოხდეს მომგებიანი კომერციული შესაძლებლობების ცალკეულ წევრებს შორის გადანაწილებითა და შესაბამისად, კორპორაციულ ჯგუფში შემავალი გარკვეული ჯგუფების ბიზნეს შესაძლებლობის გარეშე დატოვებით. ასევე კორპორაციული ჯგუფის მიერ ახალი და რისკის შემცველ საქმიანობის დაწყების შემთხვევაში, როდესაც საქმიანობასთან დაკავშირებულ შესწავლითი და თუ სხვა ხარჯების გადაკისრება

ხდება კორპორაციული ჯგუფის კონკრეტული წევრზე. არაპირდაპირი ტრანსფერად ასევე განიხილება შემთხვევა, როდესაც ხდება კორპორაციული ჯგუფის ცალკეული წევრის წარმოების შემცირება ან შეწყვეტა, რათა მოხდეს სხვა წევრის ან წევრების წარმოების მოცულობის სრული გამოყენება ან რეალიზაცია.

- ქონების ტრანსფერისგან განსხვავებით ქონებათა აღრევა გულისხმობს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ბოროტად გამოყენებას. სახეზეა პარტნიორისა და კორპორაციის ქონებათა იმგავარად აღრევა, რომ შეუძლებელია იმის დადგენა თუ ვის ეკუთვნის კონკრეტული ქონება. ქონებათა აღრევა, გამჭოლი პასუხისმგებლობის საკმარის საფუძვლად განიხილება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელი ხდება კორპორაციის ან შვილობილი კორპორაციის ქონების გამიჯვნა პარტნიორის, დედა კორპორაციის ანდა სხვა აფილირებული კორპორაციის ქონებისგან. მოცემულ შემთხვევაში გამჭოლი პასუხისმგებლობის გამართლება მდგომარეობს შემდეგში: როდესაც კორპორაცია არ იცავს ქონებრივ განცალკევებულობას იგი კარგავს სამართლებრივ დამოუკიდებლობას, რის გამოც კორპორაცია და პარტნიორი განხილულ უნდა იქნენ ერთ სუბიექტად.
- კორპორაციული საფარველის გაჭოლვის საფუძვლად ასევე განიხილება გარემოება, როდესაც პარტნიორი კრედიტორს უქმნის მცდარ წარმოდგენებს. აღნიშნული გულისხმობს შემთხვევას, როდესაც მეორე მხარე კეთილსინდისიერად მოქმედებს იმ წარმოდგენების საფუძველზე, რომლებიც არ შეესაბამება რეალობას. მცდარი წარმოდგენების ყველაზე გავრცელებული შემთხვევა გვხვდება კორპორაციულ ჯგუფებთან მიმართებით, როდესაც ჯგუფის ქმედებით კონტრაქტს ექმნება მცდარი შთაბეჭდილება, რომ მასთან ურთიერთობაში პასუხისმგებელი იქნება მთელი ჯგუფი, მაშინ როდესაც სამართლებრივად პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ ერთ წევრს, რომელთან პირი შევა სახელშეკრულებო ურთიერთობაში.
- გაშლილი ხელის პრინციპის მიზანია განსაზღვროს შესრულებასა და საპასუხო შესრულებას შორის შესაბამისობა. ეს პრინციპი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კორპორაციისა და პარტნიორის ურთიერთობის შესაფასებლად. მაგალითად, დედა კორპორაციის მიერ შვილობილისთვის გადახდილი საზღაური ამ უკანასკნელისგან საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში ჩაითვლება სამართლიანად, თუ არადაკავშირებული საწარმოს შემთხვევაშიც ანაზღაურება იქნებოდა ანალოგიური. აღნიშნულის დასაგენად, შესაძლებელია საბაზრო ფასების შედარების მეთოდის გამოყენება.
- გაშლილი ხელის პრინციპის კონტექსტში თაღლითობის შინაარსი გულისხმობს მატერიალური ფაქტის განზრახ არასწორად წარმოჩენას, ხოლო ცრუ წარმოდგენების შექმნა კი გულისხმობს შეცდომაში შეყვანას, რომელიც არ არის დაკავშირებული არსებულ ფაქტებთან, მაგალითად, შეცდომაში შემყვანი განცხადებების გაკეთება, ან ფაქტების დამალვა.

- უფლების არამართლზომიერი გამოყენება გაგებულ უნდა იქნეს, უფლების ნორმატიული ჩარჩოების დარღვევად. კერძოდ, როდესაც პირი იყენებს უფლებას კანონით დადგენილი ფარგლების მიღმა. აღნიშნული კი ყოველთვის არ ხორციელდება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. არამართლზომიერი გამოყენება შეიძლება მიზნად ისახავდეს პირადი სარგებლის მიღებას, და სწორედ აღნიშნულის თანმდევი შედეგი იყოს სხვა პირისთვის ზიანის მიყენება.
- პარტნიორი არც კორპორაციის და არც კორპორაციის ქონების მესაკუთრე არ არის, მას საკუთრების უფლება გააჩნია მხოლოდ წილზე ან და აქციაზე. აქცია შეიძლება განვიხილოთ უფლება-მოვალეობათა ერთობლიობად. შესაბამისად, პარტნიორის ნებისმიერი ქმედება, რომელიც დაკავშირებულია კორპორაციასთან, უნდა ჯდებოდეს აქციით/წილიდან გამომდინარე უფლებების შინაარსის ფარგლებში.
- სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენებად ითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი და არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა. მესაკუთრის ინტერესი, რომელიც ამართლებს უფლების იმგვარად გამოყენებას, რაც უკუეფექტად იწვევს სხვისთვის ზიანის მიყენებას, გულისხმობს მხოლოდ კანონიერ ინტერესს.
- პარტნიორის ინტერესი კორპორაციაში გაერთიანებით ყოველთვის განპირობებულია მოგების მიღების მოტივით. აღნიშნული ინტერესი სრულიად კანონიერია, რადგანაც კომერციული გაერთიანება იქმნება სწორედ იმ მიზნით, რომ განახორციელოს მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობა. საბოლოო ჯამში, კორპორაციის მოგება მისი პარტნიორების ფინანსურ კეთილდღეობაზე ისახება. თუმცა იმ შემთხვევაში, როცა პარტნიორს სურს ფინანსური სარგებლის ისე მიღება, რასაც კანონიერი მოქმედების ფარგლებში ვერ მიიღებდა, მისი როგორც მესაკუთრის ინტერესი, იძენს არაკანონიერ ხასიათს. შესაბამისად, უფლების ბოროტად გამოყენებას ექნება ადგილი, როდესაც პარტნიორი, როგორც წილის მესაკუთრე, წილიდან გამომდინარე უფლებების გამოყენებისას სცდება ამ უფლებების სამართლებრივ ჩარჩოებს.
- პარტნიორის პასიური როლი, რომელსაც სთავაზობს ღია ტიპის კორპორაცია თავის აქციონერებს, გამორიცხავს ასეთი პასიური პარტნიორის მხრიდან შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენებას. პასიური პარტნიორი, თავისი ფაქტობრივი მდგომარეობით, ჰგავს უფრო კრედიტორს, ვიდრე პარტნიორს. ღია კორპორაციაში გამჭოლი პასუხისმგებლობის პრეცედენტის არარსებობის ფაქტი, განპირობებულია საკუთრებისა და კონტროლის გამიჯვნით. ღია კორპორაციაში როგორც წესი წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი პასიური აქციონერები, რომელთა ჯამური გავლენა კაპიტალში წილის პროპორციულად ძალიან დაბალია. თუმცა, ასეთი აქციონერების პარალელურად, ღია ტიპის კორპორაციაში შეიძლება

წარმოდგენილი იყოს მსხვილი აქციონერიც. ასეთ აქციონერს, წილობრივად დომინანტური მდგომარეობის გარდა, შეიძლება აქტიური როლი ეკავოს კორპორაციის მართვის პროცესში. თუკი მსგავს შემთხვევაში იკარგება საკუთრებასა და კონტროლს შორის განცალკევებულობა, ხოლო კორპორაციული საფარველი გამოიყენება ბოროტად (კონტროლის არამართლზომიერი გამოყენება, კორპორაციის ქონების მითვისება, არასანქცირებული ტრანზაქციები კორპორაციასა და პარტნიორის შორის), კორპორაციის ორგანიზაციულ მოწყობას არ უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა. პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ქმედების განმახორციელებელ პირს, შესაბამისად, პასიური მცირე აქციონერის პასუხისმგებლობა გამორიცხულია. ღია ტიპის კორპორაციაში, კორპორაციული საფარველის ბოროტად გამოყენების დროს, დაცვას საჭიროებს არამხოლოდ კრედიტორი, არამედ მცირე აქციონერიც, რომელსაც ასეთ ვითარებაში, ისევე ადგება ზიანი, როგორც სხვა კრედიტორებს.

დასასრულს, გამჭოლი პასუხისმგებლობა წარმოადგენს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან გამომდინარე იმუნიტეტის ბოროტად გამოყენების საპასუხო და საგამონაკლისო მექანიზმს. გამჭოლი პასუხისმგებლობის არსი შეიძლება ძალიან მარტივად ჩამოყალიბდეს, ესაა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სამართლიანი ბალანსის შენარჩუნების მექანიზმი, რომლის მიზანიცაა კონკრეტული სამართალურთიერთობის მონაწილეთა იმ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა, რომელიც იარსებებდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის ბოროტად გამოყენება რომ არ მომხდარიყო. გამჭოლი პასუხისმგებლობის არსის სიმარტივის მიუხედავად, სამართალშეფარდების პროცესში ამ სამართლებრივი მექანიზმის გამოყენება განსაკუთრებით რთულ ამოცანას წარმოადგენს. ამ სირთულის დაძლევისთვის კი აუცილებელია, დოქტრინის უწყვეტი განვითარება როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში.

ბიბლიოგრაფია

- ბურდული*, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, 2008.
- ბურდული*, სამეწარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში, 2007.
- ბურდული*, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009.
- გარიშვილი*, *ხოფერია*, რომის სამართალი, 2013.
- გულაშვილი*, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კორპორაციათა ურთიერთობის კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), საკორპორაციო სამართლის კრებულში, რედ. ბურდული ი., 2011.
- ზოიძე*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005.
- ზოიძე*, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, 2007, 115.
- ზუბიტაშვილი*, კორპორაციული შესაძლებლობების დოქტრინა ამერიკულ დაქართულ სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2013, 46.
- ზუბიტაშვილი*, პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან, საკორპორაციო სამართლის კრებული, რედ. ბურდული, ტომი II, 2014.
- კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009.
- კროპოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014, 649.
- ლაზარაშვილი*, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგულირების ისტორია, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნ., აღმანახი №5, 1998.
- მაჭავარიანი*, კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015.
- მახარობლიშვილი*, მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2011.
- მეტრეველი*, რომის სამართლის საფუძვლები, 2005.
- მივრიაული*, *შტინგერი*, გადახდისუნარობის საქართველოს კანონი, 2011.
- ქირია*, საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, სტატიათა კრებულში: საკორპორაციო სამართლის კრებული, რედ. ბურდული ი., 2011.
- ქოქრაშვილი*, სამეწარმეო სამართალი, 2007.

დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, 1993.
 რომის სამართლის ძეგლები, 2002.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეორე, 1999, 83-86.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართალი, 2001.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 2002.

ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით-აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10, №1, 2007.

ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015.

ჭანტურია, კანონის მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, ს. ჯორბენაძის 70წ. საიუბილეო კრებული, 1996.

ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006.

ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის შესავალი ნაწილი, 2011.

ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000.

ჯუღელი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010.

უცხოურ ენებზე:

Adler, Mann, Good Faith: R. A New Look at an Old Doctrine, *Arkon Law Review*, 28:1, 1994.

Alting, Piercing the Corporate Veil, In *American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View*, 2 *Tulsa J. Comp. 7 Int'l L.* 187, 1995.

American Law Reports 2d, Disregarding Corporate Entity in Settling Accounts between Close Corporation and its Stockholder or Stockholders, 100 *A.L.R.2d* 385, West Group 2008, 2.

Anderson, Tollison, The Myth of the Corporation as a Creation of the State, 3 *International Review of Law and Economics*, 1983.

Armour, Hansman, Krakmaan, The Essential Elements of A Corporate Law: What is Corporate Law, Discussion Paper No. 643, 7/2009.

Armour, Herting Kanda, Transactions with Creditors in: *The Anatomy of Corporate Law*, 2nd ed., 2009.

Ashburner, *The Rodian Sea-Law*, 1909.

Bainbridge, Abolishing Veil Piercing, 26 *Iowa Journal of Corporation Law* 479, 2001.

Bainbridge, Gulati, How Do Judges Maximize? (The Same Way Everybody Else Does - Boundedly): Rules of Thumb in Securities Fraud Opinions, 51 Emory Law Journal 83, 2002.

Bainbridge, In Defense of the Shareholder Wealth Maximization Norm: A Reply to Professor Green, 50 Washington and Lee Law Review, 1993.

Bendremer, Delaware LLC's and Veil Piercing: Limited Liability Has its Limitations, 10 Fordham Journal of Corporate & Financial Law 385, 2005, 390.

Bevans, Business Organizations and Corporate Law, 2007.

Black's Law Dictionary 7th ed., 1999.

Blanc-Jouvan, Worldwide Influence of the French Civil Code of 1804, on the Occasion of its Bicentennial Celebration, Cornell Law School Berger International Speaker Papers, Paper 3, 2004.

Blumberg, Limited Liability and Corporate Groups, 11 Journal of Corporation Law, 1986.

Blumberg, The Law of Corporate Groups: Problems of Parent Subsidiary Corporations under Statutory Law of General Application, 1989.

Bohlhoff, Budde, Company Groups -The EEC Proposal for a Ninth Directive in the Light of the Legal Situation in the Federal Republic of Germany Journal of International Law, Vol. 6, Iss. 2, 1984.

Braudel, Civilization and Capitalism 15th-18th Century: The Wheels of Commerce, 1982.

Brundage, Medieval Canon Law, 2014.

Buckland, A text Book of Roman Law from Augustus to Justinian, 3ed Ed. 1963.

Budrick, The Principles of Roman Law, and Their Relation to Modern Law, 2004.

Carney, Limited Liability, in: Encyclopedia of Law and Economics, 1998.

Cartwright, Misrepresentation, Mistake and Non-disclosure, 2012.

Cheng, A Comparative Study of The English and The U.S. Corporate Veil Doctrine, Boston Collage International and Comparative Law Review, Vol.34, 2011,

Cheng, Form and Substance of the Doctrine of Piercing the Corporate Veil, Missisipi Law Journal, Vol.82:2, 2010.

Coase, "The Nature of the Firm", 4 Economic 386, 1937.

Cox, Hazan, Business Organizations Law, 3th edition, 2011.

Dainow, The Civil Law and the Common Law: Some Points of Comparison, The American Journal of Comparative Law, Vol. 15, No. 3, 1967.

Davies, Principles of Modern Company Law, 8th ed. 2008.

Dewey, The Historic Background of Corporate Personality, 35 Yale L.J 655, 1925-1926.

Diamond, Corporate Personality and Limited Liability, in Tony Orhnaile (ed.), Limited Liability and the Corporation, London and Canberra, Croom Helm, 1982.

Dobson, “Lifting the Veil in Four Countries: the Law of Argentina, England, France and the United States, *International and Comparative Law Quarterly*, Vol. 35. No.4 1986.

Dodd, For Whom Are Corporate Managers Trustees?, 45 *Harvard Law Review*, 1145 (1932).

Dodd, The Evolution of Limited Liability in American Industries, 61 *Harv. L. Rev.* 1372-1373, 1948.

Douglas W., Insulation from Liability through Subsidiary Corporations, *Yale Law Journal*, Vol.39, 1929.

Douglas, Piercing the Corporate Veil in Regulated Industries, *Brigham Young University Law Review*,. 1165, 2008.

Easterbrook, Fischel, Limited Liability and the Corporation, *University of Chicago Law Review* 1985.

Emberland, The Corporate Veil in the Case Law of the European Court of Human Rights, *Zeitschrift für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht (ZaöRV)* *Zeitschrift für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht*, Vol. 63, No. 4, 2003.

Figueroa, Comparative Aspects of Piercing the Corporate Veil in the United States and Latin America, 50 *Duquesne Law Review* 683, 2012.

Franks, Mayer, Wagner, The Origins of the German Corporation – Finance, Ownership and Control, *Review of Finance* 10 (4), 2006.

Friedmann, *Legal Theory*, 1967, 556.

Gaertner, Reverse Piercing the Corporate Veil: Should Corporation Owners have it Both Ways? 30 *William & Mary Law Review* 667, 1989.

Gakundi, The Interpretation of the Doctrine of Piercing the Corporate Veil by the UK Courts is More Successful Than by the US Courts, 3 *King’s Student L. Rev.* 211 2011-2012.

Garrett, The Corporation as Sovereign, 60 *Maine Law Review* 129, 2008.

Geens, Hopt, The European Company Law Action Plan Revisited: Reassessment of the 2003 Priorities of the European Commission, 2010.

Gelb H., Limited Liability Policy and Veil Piercing, 9 *Wyoming Law Review* 551, 2009.

Gevurtz, An Attempt to Lift the Veil of Confusion Surrounding the Doctrine of Piercing the Corporate Veil, 76 *Oregon Law Review* 853, 1997.

Gevurtz, *Corporation Law*, 2nd edition, 2010.

Graefe, Changing Paradigms: The Liability of Corporate Groups in Germany, 37 *Connecticut law Review* 785, 2005.

Halpern, Trebilcock, Turnbull, An Economic Analysis of Limited Liability in Corporation Law, 30 *University of Toronto Law Journal*.117, 1980.

Hamilton, The Corporate Entity, 49 *Texas Law Review*, 979, 1971.

Hansman, Kraakman, The Essential Role of Organizational Law, *The Yale Law Journal* Vol. 110, No.3 2000.

Hansmann, Kraakman, Squire, Law and Rise of the Firm, Harvard Law Review, Vol. 119, No 5, 2006.

Hansmann, Kraakman, Squire, The New Business Entities in Evolutionary Perspective, University of Illinois Law Review, Vol.1, 2005.

Hasanuzzaman, Limited Liability of Shareholders: An Islamic Perspective, 28 Islamic Studies, 1989.

Hayden, Bodie, The Uncorporation and the Unraveling of “Nexus of Contract” Theory, Michigan Law Review, Vol. 109, 2011, 1127.

Herting, Kanda, Creditor Protection, in: The Anatomy of Corporate Law, A Comparative and Functional Approach, 2004.

Hillman, Limited Liability in Historical Perspective, Washington and Lee Law Review, Volume 54, 1997.

Hodge, Sachs, Empirical Study: Piercing the Mist: Bringing the Thompson Study into the 1990s, 43 Wake Forest Law Review 341, 2008;

Hofstetter, Parent Responsibility for Subsidiary Corporations, Evaluating European Trends, 39 International and Comparative Law Quarterly, 576, 1990.

Horowitz, Santa Clara Revisited: The Development of Corporate Theory, 88 West Virginia Law Review, 1985-86.

Hovenkamp, Enterprise and American Law 1836-1937, Harvard University Press, 1991.

Jensen, Meckling, The Theory of the Firm, Managerial Behavior, Agency Costs and Ownership Structure, Journal of Financial Economics, October, V. 3, No. 4, 1976.

Jones, A Corporation as a Distinct Entity, 2 Counselor 78, 1892-1983.

Jovanović, Aequitas and Bona Fides in the Legal Practice of the Ancient Roman and the Prohibition of the Abuse of Rights, Law and Politics, Vol. 1, No 7, 2003.

Knappke, No Liability of Shareholder for Material Undercapitalization of a GmbH, in: Newsletter Corporate Law, 2008.

Krendl, Krendl, Piercing The Corporate Veil:Focusing The Inquiry, Denver Law Journal, Vol. 55, No.1, 1978.

Krivoy, Piercing the Corporate Veil in International Arbitration, Global Business Law Review, Vol.1, 2011, 174.

Kuhn, A Comparative Study of the Law of Corporations: with Particular Reference to the Protection of Creditor and Shareholder, 1912, 65.

Kyd, Treatise on Law of Corporations, 1793.

Lew, European Community Competition Law, Is the Corporate Veil Lifted Too Often? Journal of Transnational Law and Policy, Vol 2:19, 1993.

Liew, Three Steps Forward, Three Steps Back: Why the Supreme Court decision in *Prest v Petrodel Resources Ltd* leads us nowhere, The King’s Student Law Review, Vol. 5, No. 2, 2014.

Lopez, Raymond, Medieval Trade in the Mediterranean World, 1955.

Lopucki, The Death of Liability, 106 Yale L.J.1, 1996.

Lutz, Babylonian Partnership, 4 J. Econ. Hist. & Bus. 552, 1931.

Machen, Corporate Personality (II), Harvard Law Review, Vol. 24, No. 5 (Mar., 1911).

Maizes, Limited Liability Companies: A Critique, St. John's Law Review: Vol. 70: Iss. 3, Article 3, 1996.

Manning, "There's a Change in the Status Quo": Corporate Veil Piercing in Ohio After *Dombrovski v. Wellpoint*, 15 *Entrepreneur Bus. L.J.* 315, 2010, 335.

Marcantel, Because Judges Are Not Angels Either? Limiting Judicial Discretion by Introducing Objectivity into Piercing Doctrine, 59 *Kansas Law Review* 191, 2010-2011.

Matheson, The Limitations of Limited Liability: Lessons for Entrepreneurs (and Their Attorneys), *The Limitations of Limited Liability: Lessons for Entrepreneurs (and Their Attorneys)*, 2 *Minnesota Journal Business Law & Entrepreneurship* 1, 2003.

Matheson, Why Courts Pierce: An Empirical Study of Piercing the Corporate Veil, 7 *Berkeley Business Law Journal* 1, 2010;

Mayson, French, Ryan, Company Law, 31st ed. 2014-2015.

McArdle, Jones, *Prest v. Petrodel Resources and Tvb Capital v. Nutritek: a Rebut Corporate Veil*, *Business Law International* Vol. 14 No 2, 2013.

McPherson, Raja, An Empirical Study of Piercing Rates and Factors Courts Consider when Piercing the Corporate Veil, 45 *Wake Forest Law Review* 931, 2010.

McPherson, Raja, An Empirical Study of Piercing Rates and Factors Courts Consider when Piercing the Corporate Veil, 45 *Wake Forest Law Review* 931, 2010.

Mendelson, Control-Based Approach to Shareholder Liability for Corporate Tort, *Columbia Law Review* Vol. 102:1203, 2002.

Menell, Liability of Parent Corporations for Hazardous Waste Cleanup and Damages, 99 *Harv. L. Rev.* 986, 1986.

Merkt, Spindler, Limited Liability of Controlling Parties (Piercing the Corporate Veil) and Related Legal Constellations, in: *Legal Capital in Europe*, 2006.

Miguens, Liability of a Parent Corporation for the obligations of an Insolvent Subsidiary, under American Case Law and Argentinean Law, 10 *American Bankruptcy Institute Law Review* 217, 2002.

Miller, Piercing the Corporate Veil Among Affiliated Companies in the European Community and the U.S.: a Comparative Analysis of U.S., German, and U.K. Veil-Piercing Approaches, 36 *Am. Bus. Law Journal* 73, 1998.

Millon, *Theories of the Corporation*, 1990 *Duke L.J.* 201, 1990.

Minchinton, Chartered Companies and Limited Liability, in: *Limited Liability and the Corporation* 154 *Tony Orhnlial ed.*, 1982.

Modernising Company Law and Enhancing Corporate Governance in the European Union - A Plan to Move Forward, COM (2003) 284 final of 21 May 2003.

Morey, *Outlines of Roman Law, Comprising its Historical Growth and General Principles*, 1914.

Morrissey, Piercing All the Veils: Applying an Established Doctrine to a New Business Order, 32 *Iowa Journal of Corporate Law* 529, 2007.

Muchlinski, The Development of German Corporate Law to 1990: An Historical Reappraisal, *German Law Journal*, Vol.14 No.02, 2013.

Nicholas, Separate Legal Personality: Legal Reality and Metaphor, *Bond Law Review*, Vol.5: Issue 2, Article 6, 1993.

Nicholls, Piercing the Corporate Veil and The “pure Form” of the Corporation as Financial Innovation, *Canadian Business Law Journal* Vol 46 2008.

Oldham, Piercing the Corporate Veil: Recent Developments in Texas Law, 32 *HOUS. LAW*.33, 1995.

Oswald, Bifurcation of the Owner and Operator Analysis under CERCLA: Finding Order in the Chaos of Pervasive Control, 72 *Wash. U. L. Q.* 223, 1994.

Ottolenghy S, From Peeping Behind the Corporate Veil, to Ignoring it Completely, *The Modern Law Review*, Vol. 53, 1990.

Owen, *The Corporation Under Russian Law, 1800-1917, A Study in Tsarist Economic Policy*, Cambridge University Press 2002,

Paltimer, *Corporations*, 5th edition 2006.

Posner, *Economic Analysis of Law*, 7th ed. 2007.

Posner, The Rights of Creditors of Affiliated Corporations, *The University of Chicago Law Review*, Vol. 43, No.3, 1976.

Presser, Limited Liability Democracy and Economics, 87 *Northwestern University Law Review* 148, 154.1992.

Presser, *Piercing the Corporate Veil*, 2011 Edition.

Prokopenva, Parent Company Liability in Case of Subsidiary Insolvency - Time to Rethink Liability of Corporate Shareholders? *College of Europe*, 2004, 38.

Rands, Domination of a Subsidiary by a Parent, *Indiana Law Review*, Vol. 32:421, 1999.

Rapp, Preserving LLC Veil Piercing: A Response to Bainbridge, *The Journal of Corporation Law*, 31 *Iowa J. Corp. L.* 1063, 2006.

Rayner, *The Theory of Contracts in Islamic Law*, 1991.

Redfren, Hunder, *Law and the Practice of International Arbitration*, 4th Ed, 2004, 149.

Report of High Level Group of Company Law Experts on a Modern Regulatory Framework for Company Law in Europe, Brussels, 4 November 2002, 94.

Report of High Level Group of Company Law Experts on a Modern Regulatory Framework for Company Law in Europe, Brussels, 4 November 2002/

Report of the Secretary General on Possible Uniform Rules on Certain Issues Concerning Settlement of Commercial Disputes: Conciliation, Interim Measures of Protection, Written Form for Arbitration Agreement, U.N. Doc. A/CN.9/WG.II/WP.108/Add. 1 2000.

Ribstain, Limited Liability and the Theories of Corporation, 50 *Maryland Law Review* 80, 1991, 122.

Richardson, The Helter Skelter Application of Reverse Piercing Doctrine, *University of Cincinnati Law Review*, Vol. 79, Issue 4, Art. 9, 2011.

Schane, The Corporation Is A Legal Person: The Language of A legal Fiction, 61 *Tul. L. Rev.* 653, 1986-1987.

Sealy, Worthington, Cases and Materials in Company Law, 8th Ed. 2008.

Shannon, The Coming of General Limited Liability, 2 Economic History, 1931.

Singhof, Equity Holders' Liability for Limited Liabilities Companies' Unrecoverable Debts- Reflections on Piercing the Corporate Veil under German Law, 22 Loyola of Los Angeles Int. & Comp. Law 143. 1999.

Smith, Legal Personality, The Yale Law Journal, Vol. 37, No. 3 1928.

Sommer, Subsidiary: Doctrine without a Cause? Fordham Law Review, Vol.59, Issue 2, Art. 2, 1990.

Strasser, Piercing the Veil in Corporate Groups, 37 Connecticut L. Rev. 637, 2005.

Talley, Turning Servile Opportunities to Gold: A Strategic Analysis of the Corporate Opportunities Doctrine, 108 Yale Law Journal 279, 1998.

Team, Glenn v. Wagner: Instrumentality Rule Versus the Balancing Test in Piercing the Corporate Veil, 64 North Carolina Law Review 1265, 1986.

The Cambridge Economic History of Europe, M. Postan ed. 1963.

Thompson, Piercing the Corporate Veil: An Empirical Study, 76 Cornell Law Review 1036, 1991.

Timberg, Corporate Fictions. Logical, Social and International Implications, Columbia Law Review, Vol. 46, No., 1946.

Udovitch, At the Origins of the Western Commenda: Islam, Israel, Byzantium?, 37 Spectrum 198, 1962.

Vandekerckrove , Piercing the Corporate Veil, Kluwer Law International, 2007, 230.

Vasiliev, History of the Byzantine Empire, 1952.

Weber-Rey, Insolvency of a German Limited Liability Company: De Facto Shareholder, Group Liability for Individual Shareholders, 7 Pace Int. L. Rev. 523, 1995.

Wix, Piercing the Corporate Veil: Should Michigan Consider Statutory Solutions? 79 University of Detroit Mercy Law Review 637, 2002.

Wix, Piercing the Corporate Veil: Should Michigan Consider Statutory Solutions? 79 University of Detroit Mercy Law Review 637, 2002.

Woodward, Liability of a Members of De Facto Corporation, 27 American Law Review 209, 1893.

Wormser, Disregard of the Corporate Fiction and Allied Corporation Problem 1927, reprinted in 2000, Law Classics series.

Wormser, Piercing the Veil of Corporate Entity, Columbia Law Review, Vol. 12. No. 6, 1912.

Wormser, Piercing the Veil of Corporate Entity, Columbia Law Review, Vol.12, No. 6, 1912.

Zhen Qu, Ahl, Lowering the Corporate Veil in Germany: a case note on BGH 16 July 2007 (Trihotel), Oxford U. Comparative L. Forum 4, 2008.

Zinnerman, The Law of Obligations, Roman Foundations of Civilian Traditions, 1996.

Долинская, Акционерное Право. Основные положения и тенденции, 2006.

Красильникова, История Корпоративного Права России, 2011.

Новицкий, Римское право, Москва, 2009.

Федчук, Проникновение за Корпоративный Занавес в Праве Ведущих Зарубужных Сран, 2008.

Чиларж, Учебник Институций Римского Права, Часть I, Москва, 1906.

ნორმატიული მასალა:

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ,” გამოქვეყნებული საქართველოს პარლამენტის უწყებებში, 1994 წელი, №21-22.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს 1996 წლის 13 დეკემბრის კანონი №535 - პარლამენტის უწყებანი №1-2.

საქართველოს 1999 წლის 6 ივნისის კანონი №2073, სსმ I, №24(31).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1923 წლის სამოქალაქო კოდექსი.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი.

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, 1999 წლის 9 ივნისი №2073–III.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი.

გადახდისუუნარობის შესახებ საქართველოს კანონი.

საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

1958 Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards.

1966 Convention on the Settlement of Investment Disputes between States and Nationals of Other States.

1969 Vienna Convention on the Law of Treaties.

1980 Rome Convention on the Law Applicable to Contractual Obligations.

Code de Civil (France)

Code de Commerce (France).

Loi n° 85-98 du 25 janvier 1985 relative au redressement et à la liquidation judiciaires des entreprises.

Council Directive 77/91/EC, 1977.

Council Regulation (EC) No 2157/2001 of 8 October 2001 on the Statute for a European Company.

Directive 89/667/EEC of 21 December 1989 on single-member private limited-liability companies.

European Model Company Act, 2013.

UN, Draft Code of Conduct on Transnational Corporations, 23 I.L.M. 626 1984.

III, Obligations of Multinational Enterprises and Their Member Companies, 1 Sep. 1995

OECD, Guidelines for Multinational Enterprises 2011.

Company Act 2006 (UK).
Insolvency Act 1986 (UK).
Limited Liability Act 1855 (UK).
Partnership Act 1890 (UK)
Limited Partnership Act 1907 (UK).
Limited Liability Partnership Act 2000 (UK).

MBCA (USA).
Texas Business Corporation Act (USA)..
UFTA (USA).
ALI, Principles of Corporate Governance, 1994 (USA)..
CERCLA 1980 (USA).
German Joint Stock Corporation Act, Norton Rose Translation as at 1 December 2011.

საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებები:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება №2160-2012.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №28/2821-12.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 აპრილის განჩინება საქმეზე №2/ზ-257-2013.
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/36-7.
სუს, 2015 წლის 28 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-813-764-2015.
სუს, 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1307-1245-2014.
სუს, 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1158-1104-2014.
სუს, 2013 წლის 13 მაისის განჩინება საქმეზე №ას-286-272-2013.
სუს, 2013 წლის 7 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1162-1091-2013.
სუს, 2011 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1328-1170-2010.
სუს, 2010 წლის 8 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-238-224-2010.

სხვა ქვეყნის სასამართლოების, საერთაშორისო სასამართლოებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებები

Adams v Cape Industries plc [1990] Ch 433;
Agrotexim Hellas SA and Others v. Greece, ECHR, Judgment of 24 October 1995;
Amino Acids OJ, 2001 L 152/24, 2001 5 CMLR, 322;
Anderson v. Abbott, 321 U.S. 349, 362 (1944);
Archer v. Griffith 390 S.W.2d 735 (1964);
Arnold v. Browne, 27 Cal. App. 3d 386, 395, 103 Cal. Rptr. 775, 782 (1972);
Associated Vendors, Inc. v. Oakland Meat Co., 210 Cal. App. 2d 825, 26 Cal. Rptr. 806 (1962);
Bair v. Purcell, 500 F. Supp. 2d 468, 480. (M.D. Pa. 2007);
Bangor Punta Operations, Inc. v. Bangor & Aroostook R.R. Co., 417 U.S. 703, 713 (1974);
Bartle v. Home Owners Co-op, 127 N.E. 2d 832 (N.Y. 1995);

Bellaire Securities Corp. v. Brown, 124 Fla. 47, 87, 168 So. 625, 633 (1936);
 Belvedere Condominium Unit Owners' Assn. v. R.E. Roark Co., Inc. 67 Ohio St. 3d 274 (1993);
 Berger v. Columbia Broadcasting Sys., Inc., 453 F.2d 991 (5th Cir.), cert. denied, 409 U.S. 848 (1972);
 Berkey v Third Avenue Ry. 244 N.Y. 84, 94, 155 N.E. 58, 61, (1926) 50 ALR 599, 604;
 Berkey v. Third Avenue Railway Co 244 N.Y. 602 (1927);
 Booth v. Bunce (1865) 33 N. Y. 139;
 Bridas S.A.P.I.C. v. Government of Turkmenistan, 447 F.3d 411 (5th Cir. 2006);
 Carlesimo v. Schwebel, 87 Cal. App. 2d 482, 490, 197 P.2d 167, 172 (1948);
 Case 6/73 Instituto Chemioterapico Spa and Commercial Solvents Corporation v. Commission Para 37;
 Case C-97/08, AKZO judgment of 10 September 2009;
 Case Concerning Barcelona Traction, Light, and Power Company, Ltd, Belgium v. Spain, [1970] ICJ;
 Cases T-65/89 BPB Industries plc v Commission /1993/ ECL II-139;
 Castleberry v. Branscum 721 S.W.2d 270, 272 (Tex. 1986);
 Cf. Harris v. Curtis, 8 Cal. App. 3d 837, 843, 87 Cal. Rptr. 614, 619 (1970);
 Crane v. Green & Freedman Baking Co., Inc., 134 F.3d 17, 25 (1st Cir. 1998);
 Daimler Co Ltd v Continental Tyre and Rubber Co (Great Britain) Ltd [1916];
 Davis v. Alexander, 269 U.S. 114, 117 (1925);
 Derry v Peek (1889) LR 14 App Cas 337;
 Design Assoc., Inc. v. Welch, 224 Cal. App. 2d 165, 36 cal. Rptr. 341 (1964);
 DeWitt Truck Brokers v. W. Ray Flemming Fruit Co., 540 F.2d 681 (4th Cir. 1976);
 DHN Food Distributors Ltd v Tower Hamlets London Borough Council [1976] 1 WLR 852;
 Dow Chemical v. Isover St. Gobain, ICC Case No. 4131, Interim Award of September 23, 1982, in: IX Yearbook of Commercial Arbitration, ICCA, 131, 1984;
 Fairfield Cnty. Tpk. Co. v. Thorp, 13 Conn. 173, 179 (Conn. 1839);
 First National City Bank v. Banco para el Comercio Exterior de Cuba 462 U.S. 611 (1983);
 Gentry v. Credit Plan Corp. of Houston, 528 S.W.2d at 573-75;
 Gordon Chemical Co., Inc. & Others v. The Aetna Casualty & Surety Company & Others, 266 NE 2d 653 – Mass: Supreme Judicial Court 1971;
 Graham v. Railroad Company, 102 U.S. 148 (1880);
 Guth v Loft Inc 5 A2d 503 (Del Ch 1939);
 Hanson v. Bradley 10 N.E.2d 259 (Mass. 1937);
 Hashem V. Shayif and Anotehr [2008] EWHC 2380;
 In re Sunbeam Corp., 284 B.R. 355 (Bankr. S.D. N.Y. 2002);
 J. J. McCaskill Co. v. United States, 216 U.S. 504 (1910);
 Kinney Shoe Corp. v. Polan, 939 F.2d 209, 210, 212 (4th Cir. 1991);
 Krivo Indus. Supply Co. v. National Distillers & Chem. Corp., 483 F.2d 1098 (5th Cir. 1973);
 Labadie Coal Co. v. Black, 672 F.2d 92, 96-97 (D.C. Cir. 1982);
 Lucas v. Texas Industries, Inc., 696 S.W.2d 372, 374 (Tex.1984);
 Ludwig v. Western Union Tel. Co., 216 U.S. 146, 164 (1910);
 Luis v. Orcutt Town Water Co., 204 Cal. App. 2d 433, 22 Cal. Rptr. 389 (1948);
 Menetti v. Chavers, 974 S.W.2d 168 (Tex. Ct. App. 1986);
 Minton v. Cavaney, 364 P.2d 473 (Cal. 1961);
 Moore Moore Drilling v. White, 345 S.W.2d 550 (Tex. Civ. App. 1961);

Passalacqua Builders Inc. v Rensick Developers South Inc 933 F.2d 131, 139 (2d Cir.1991);
Pauley Petroleum Inc. v. Continental Oil 231 A.2d 450 (1967);
Pine Valley Developments Ltd and Others v. Ireland, judgment 29 November 1991;
Prest v Petrodel Resources Ltd [2013] UKSC;
Preston Farm & Ranch Supply, Inc. v. Bio-Zyme Enters., 615 S.W.2d 258, 262-63 (Tex. Civ.App. 1981);
Pullman Co. v. Kansas, 216 U.S. 56 (1910);
Re Darby, ex parte Brougham [1911] 1 KB 95;
Re Rolly Pech International Plc (in Administration) (No.3), [1998] All ER (D) 194;
Salomon v A Salomon & Co Ltd [1897] AC 22;
Sea-Land Servs., Inc. v. Pepper Source, 941 F.2d 519, 521 (7th Cir. 1991);
Simmons Creek Coal Co. v. Doran, 142 U.S. 417 (1892);
Snook v London and West Riding Investments Ltd [1967] 2 QB 786 (CA);
Soderberg Advertising Inc. v. Kent-Moore Corp., 11 Wash. App. 721, 524 P.2d 1355 (1974);
Southern Ry. v. Greene, 216 U.S. 400, 416-17 (1910);
Telekom A.S. v. Republic of Kazakhstan, ICSID Case No. ARB/05/16, Award (July 29, 2008);
Tr. of Dartmouth Coll. v. Woodward, 17 U.S. (4 Wheat.) 518, 636 (1819);
Twyne's case (1601)76 ER 809;
United States v. Bestfoods, 524 U.S. 51, 61 (1998);
United States v. Milwaukee Refrigerator Transit Co., 142 F. 247, 255 (C.C.E.D. Wis. 1905);
United States v. Reading Co., 226 U.S. 324, 355 (1912);
United States v. Reading Co., 253 U.S. 26 (1920);
Victoria Elevator Co. v. Meriden Grain Co., 283 N.W.2d 509, 513 (Minn. 1979);
VTB Capital plc v Nutritek International Corp and others [2012] EWCA Civ 808;
Walkovszky v. Carlton, 223 N.E.2d 6 (NY 1966);
Western Union Tel. Co. v. Kansas, 216 U.S. 1, 18 (1910);
Wood v. Dummer, 30 F. Cas. 435 (C.C.D. Me. 1824) (No.17, 944);
Zhinvali Development Ltd. v. Republic of Georgia, ICSID Case No. ARB/84/3, 2003, 392- 405;
Zubik v. Zubik, 384 F.2d 267 (3d Cir. 1967), cert. denied, 390 U.S. 988 (1968);

ინტერნეტ რესურსები:

<http://www.legifrance.gouv.fr>

<http://eur-lex.europa.eu/>

დადასტურება ნაშრომის ორიგინალობის შესახებ

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ჩემს მიერ, არ გამოიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითების გარეშე და ვაცნობიერებ სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

ნონა ზუბიტაშვილი,

თსუ, იურიდიული ფაკულტეტის
სამართლის სადოქტორო პროგრამის
დოქტორანტი